

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

6 იანვარი 2006 №1



ერთმანეთს ვაძლავ-სხვან ღვინს!

შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	დრო, რომელიც არ წყდება
ექსპრეს-ინტერვიუ	4	თავისუფლების უხილავი, სასიფათო საზღვრები (საუბარი ვახტანგ ჯავახიძესთან)
ჩვენი ყოფა, წითისოვანი	5	საბა სულხანიშვილი საბადისწარმო განცხადება
კულუარები	6, 44	ნოზალი, ნო-ბა-ლი, ნო-ბა-ლიიიიი!
პროზა	7	ოთარ ჩხეიძე ოდოქლერი
პირველი შთაბეჭდილება	10	მაკა ჯოხაძე „ოდოქლერი“ – წარმავლობის საკმეველი
პოეზია	12	ბელა ჩეკურიშვილი ახალი ლექსები
ლიტერატურული ფიქტივი	15	ლიანა ელიავა სიყვარულის მისტერიები
უხსოვლის თვალთ	21	გიორგი ლობჯანიძე როცა ზაჰრა ტირის
ფიქრები	23	გივი ალხაიშვილი ერთი ღამის ჩანაწერები
უხსოვარი ანეკდოტი	28	ჯუზეპე მაძინი ალფრედ დე ვინის „ჩატარტონის“ იტალიური თარგმანის წინასიტყვაობა
რეპორტაჟი	32	იღუმალაზის ირონია (ლაშა იმედაშვილის „ბიოგრაფიები“)
ქრისტიანობა	36	ლალი დათაშვილი მსუბუქი შალივით სავდა
გამოსაუკრები	38	ლევან ბრეგაძე ტაში – განგი ინტელექტუალთათვის
პირსონაჟი და პროტოტიპი	40	დენის ბრაიენი პირველი სიყვარული
გასხივება	45	თეიმურაზ მატრეველი
ლიტერატურული სიხალენი	47	ნანა ალექსიძე თითქმის ერთი ქმნილება იყოს
თეატრალური სიხალენი	50	ლელა ოჩიაური არ იცით, რაა მამაკაცური სახელი? („უდანაშაულო დამნაშავე“)
ფიქტივი	53	ნაჯიბ მაჰფუზი გამომიება
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	39, 63	ახალგაზრდა რაიკომის მდივნის ვნებანი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

ტელეფონები:
რედაქცია – (995 32) 94-39-63
რეკლამა – (995 77) 48-12-24
ფაქსი: (995 32) 95-23-24
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაბოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საქართველო, თბილისი, საჩაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ტელეფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე

გარეკანზე – გოგი ჩაგელიშვილი, „ზამთარი“

ფასი 1,50 ლარი

დრო, რომელიც არ წყდება

„ჩვენი მწერლობის“ სიცოცხლის გაგრძელებას უპირველესად ქართული სალიტერატურო ცხოვრება ითხოვს, მოშლილი, დაღვებული, თვითდინებაზე მიშვებულსაც რომ ვეღარ დაარქმევ. ჯერ თვითდინება რა არის და ისიც მისაღწევი გაგვხდომია.

„ჩვენი მწერლობა“ თუ მოუყრის თავს გარიყულ, ხელჩაქნეულ შემოქმედთა საუკეთესო ძალებს და წარმოაჩენს ქართული ლიტერატურის დიდ ენერჯიასა და სწრაფვას ევროპული სივრცის დაუფლებიდან, ის თუ აღადგენს ბუნებრივ მდინარებას, რადგანაც დაარსებისთანავე მთელი ჩვენი მწერლობისა და კულტურისათვის იყო მონოდებული და არა ამა თუ იმ გუნდის წვლილის გასაზვიადებლად, უმთავრესად რისთვისაც იქმნება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები.

უმთავრესად, მაგრამ არა ყველა ჟურნალ „ომეგასა“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ შეწყვეტამ საგრძნობლად დააზარალა ჩვენი კულტურული და სამწერლო პროცესი, მისი განვითარებიდან უღმობლად ამოაგდო სისხლსავსე ცხოვრების ის მონაკვეთი, რაც იქნებ ბევრს არაფერს ნიშნავდეს ისტორიისათვის, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია პიროვნებისა თუ თაობის ბიოგრაფიაში.

ალექსანდრე ყაზბეგს რომ შეუცვივებდებოდნენ ახალდაარსებულ სტამბაში, ვეღარც ვეღარასოდეს აღადგენდა მოშლილ საწარმოს და ამ ოცნებას სულაც ჩაუკლავდნენ.

მაგრამ მაშინ „ივერია“ არსებობდა, „დროება“ არსებობდა, ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების სადავეები მტკიცე ხელებს ეპყრა და ალექსანდრე ყაზბეგის საგამომცემლო-რედაქტორული მოღვაწეობის აღკვეთა ისე საბედისწეროდ არ დააჩნდებოდა ჩვენს რეალობას.

„ჩვენს მწერლობას“ დღეს სხვა მოვალეობა დაჰკისრებია. სალიტერატურო პროცესის წარმართვაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

გაზეთს ჟურნალი ჩანაცვლება, მაგრამ იდეურ-ესთეტიკური გეზი იგივე დარჩენილა და ის გამოტოვებული დრო თანდათან ისე უნდა ამოივსოს, რომ აღარც ემჩნეოდეს, თითქოს არც არასოდეს დარღვეულაო.

სად შევჩერდით?

სად შეგვაყვანეს?

მაინც რა უცნაურია დროის განცდა, მის იდუმალებით მოსილ სამყაროში შეღწევის წადილი.

„ახალი ცხოვრების“ მესამე თავის ბოლოს დანტე ალიგიერი გამჭვირვალედ მიანიშნებს მკითხველს გვიდო კავალკანტიზე: პირველად ვრაცხ მეგობრებს შორისო. ხოლო ოცდამეოთხე თავის დასაწყისშივე კვლავ რომ მოიხსენიებს: ერთ კე-

თილშობილსა და მშვენებით სრულ ასულს ეტრფოდა ოდეს-ღაცო, – ისე გვამცნობს: ეს ჩემი პირველი მეგობარიო, – თითქოს ეს თავი იმ მესამეს ზედ წაებმოდეს და მათ შორის 21 თავი არ ჩალაგებულყოფს.

ეს ჩემი მეგობარიო, გეუბნება დანტე და მკითხველი როგორღაც უნდა მიხვდეს, რომ ამ ჩვენებით ნაცვალსახელს – „ეს“ – თხრობის ახლო-მახლო კი არა, ლამის სათავემდე უნდა გაჰყვეს. თუ არა, ვერაფრის დიდებით ვერ მიხვდება, ვინ იგულისხმება.

თარგმანისათვის დართულ კომენტარებში ბაჩანა ბრეგვაძე საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას, რომ დანტე ისე თავისუფლად იყენებს ჩვენებით ნაცვალსახელს, თითქოს ოცდამეოთხე თავით უშუალოდ აგრძელებდეს მესამეს.

ეს საერთოდ სჩვევია დანტესო – დასძენს – და ამ მხრივ ერთ საგულისხმო ანეკდოტსაც გაიხსენებს:

ცნობილია, რომ იტალიის უდიდეს ბრძენ-მოძღვარს თანამემამულენი ხშირად მიმართავდნენ ყველაზე უმნიშვნელო შეკითხვებითაც კი; და, აი, ერთხელ, როდესაც დანტე ჩაფიქრებული იჯდა რავენის პინეტაში (ფიჭვნარში), ერთმა რავენელმა ჩაუარა გვერდით და ჰკითხა:

– რას თვლით ყველაზე გემრიელ საჭმელად?

– მოხარშულ კვერცხსო, – მიუგო დანტემ.

ერთი წლის შემდეგ იმ რავენელმა იმავე ადგილას გაიარა და როცა დანტე იმავე პოზაში მჯდომი იხილა, კვლავ ჰკითხა თურმე:

– რითო?

– მარილითო, – უპასუხა დანტემ.

და ამის შემდეგ გაგიკვირდეს, როდის გვიდო კავალკანტის ახსენებდაო; არადა, ისეთი

შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს წინა ფრაზებში გაეღვლოს დანტეს ამ უპირველეს მეგობარს.

ანეკდოტი უნოდე, თუ გინდა.

რაოდენ რელიეფურად წარმოისახება პიროვნების ხასიათი.

ესაა თავისი ქვეყნისა და ქალაქის ყოველდღიურ ყოფაშიც გათქვეფილი კაცი, ვისაც, გულთამხილაობისა და სამყაროს ყოველი განზომილების შეცნობის მიუხედავად, ეს ყოველდღიურობაც უყვარს და ალღევებს და, სოკრატესი არ იყოს, მისი ნახვა და მასთან გამოლაპარაკება ყველგან შეიძლება – ქუჩაშიც, ხეთა ჩერომიც, საფიზნოზეც. ეგაა, იმასავით თვითონ არ ითრევს თანაქალაქელებს სასაუბროდ, მხოლოდ ასდევს მათ ლაპარაკსა და დაუშრეტელ ცნობისმოყვარეობას.

მაგრამ ყოველი წამის ასე აღბეჭდვა მესხიერებაში?

ყოვლად ბანალურისაც კი, არამცთუ განსაკუთრებულისა და მნიშვნელოვანის.



დანტე ალიგიერის პორტრეტი. მხატვარი სერგო ქობულაძე.

და მხატვრულ ძიებებშიც ეს შეგრძნება როგორ ძალდაუტანებლად იჩენს თავს, თითქოს ყველა და ყველაფერი ერთად შენივეთებულიაო.

ამიტომაც ვერ აღიქვამს დროის მანძილს – ხანმოკლე იქნება თუ ხანგრძლივი.

მიხეილ ჯავახიშვილი კი აღიქვამდა?

მოსე გვასალიაც აღმოჩნდებოდა მისი პატიმრობის დღეების თვითმხილველი და წლების შემდგომ მწერლის ქალიშვილსაც უამბობდა, ქეთევან ჯავახიშვილს, ვის ბიოგრაფიულ რომანშიც ეს ნაამბობი სახიერ ეპიზოდად ჩაერთვოდა:

მიხეილი თანასაკნელებს რაღაც საინტერესო ამბავს უყვება. ისინიც სულგანაბულნი უსმენენ. ამ დროს საკნის კარი იღება და „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი დაკითხვაზე გაჰყავთ. აქ დარჩენილნი მდუმარედ უცდიან მის მოსვლას და განიცდიან მის ხვედრს. იციან, სანამებლადაა ნაყვანილი. კარგა ხანი გავა და მიხეილს საკანში დააბრუნებენ. ნანამებია, დადლილი და ღონემიხილი. პატიმრები სანოლზე დაანვენენ, გარს შემოხვეულნი მის ნანამებ სახეს შესცქერაინ.

– გეთაყვა, სად გავჩერდი? – იკითხავს მიხეილ ჯავახიშვილი.

პატიმრები გაოგნებისაგან გონს ვერ მოსულან. ამ ყოფაში ნუთუ შეწყვეტილი ამბის გაგრძელების ოსილაა შერჩენია?

და სიტყვას რომ ვერავინ შეაშველებს, იგი თვითონვე აღიდგენს ბოლო ფრაზას და მოყოლას ძველებური გზნებით განაგრძობს.

გონებამ თვითონვე ამოაგდო მწარე საათები?

ესეცაა, ცხადია, მაგრამ მთავარი მაინც განუწყვეტელი დრო-ჟამის განცდაა, თავისუფალი ტრიალი მის მდინარებაში, შუაზე გახლეჩილი დიალოგის, ფრაზისა თუ სულაც სიტყვის ისე აღდგენა და გადაბმა, ნაწიბურიც არსად შეემჩნეს.

– გეთაყვა, სად გავჩერდი? – იკითხავდა მიხეილ ჯავახიშვილი.

დანტეს სულ სხვა რამეს ჰკითხავდნენ და ამ ანეკდოტური შესიტყვების მიხედვით გულუბრყვილო მკითხველს შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილებაც დარჩეს, „ღვთაებრივი კომედის“ შემოქმედს უზრუნველი ცხოვრება ჰქონიაო. არადა, რაც ის პოლიტიკურ ბრძოლებში მოყოლილა, რაც იმას შევიწროება და დევნა გადაუტანია!..

ბედს არ უტყდებოდა დანტე ალიგიერი და ქარ-ცეცხლიდან ის-ისაა გამოსული მეგობრებთან და იქნებ სულაც გვიდო კავალკანტისთან – ისე განაგრძობდა განწყვეტილ საუბარს, თითქოს ის ქარ-ცეცხლი სიზმრადაც არ მოლანდებოდა.

– გეთაყვა, სად გავჩერდი? – კითხულობდა მიხეილ ჯავახიშვილი, უთრთოდა ნაგვემი სხეული, სისხლს სახელდახელოდ უჩერებდნენ და უკვირდათ და ვერ აეხსნათ, რა დროს შეწყვეტილი ამბის გაგრძელებააო.

მაგრამ ამის დრო ყოველთვისაა, და თვითონ დროა ის ძარღვი, რომელზეც უნდა ამოშენდეს ფიქრიც, ოცნებაც, საქმეც. და ნაწიბურიც არსად შეეცდოს.



მიხეილ ჯავახიშვილი

სად შევჩერდით?

სად შეგვაცოცხლეს?

... „ელგუჯას“ შექმნა ხომ ჩემს ხელთ არის, აბა, აქაც შემომივარდეს ჯარიო, – გულს ამითლა ინუგეშებდა ალექსანდრე ყაზბეგი, როდესაც საძირკველმომშლილი სტამბიდან თვალს ააყოლებდა გერგეტის მთას – მწვერვალზე გამომდგარ სამების ტაძრამდე.

ხოლო დრო... დრო არა წყდებოდა...

მინაწერი:

განზრახული გვექონდა ზუსტი განმეორება გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2004 წლის 20 თებერვლის ნომრის და ჟურნალ „ომეგას“ მარტის ნომრისა – სტრიქონის ჩაუსწორებლად. მაგრამ გარემოებანი ისე მოიბრუნდა, რომ ორივე გამოცემის ერთდროული აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა და ისინი დროებით უნდა შეეცვალა ჟურნალ „ჩვენს მწერლობას“ – შუალედურ გამოცემას მათ შორის: კომპოზიციური აღნაგობით, რუბრიკების შერწყმა-შეთანადებით, პერიოდულობით.

იქნებ თავისებურ ნოსტალგიასაც ინვედეს.

არ გავიკვირდება, ამ განცდით თუ აიღებს მკითხველი ხელში ამ ნომერს... მომდევნო ნომრებსაც...

ზუსტი განმეორება ხელშესახებად გამოსატყავდა დროის იმ უწყვეტობას, რასაც თუნდ დანტე ალიგიერისა და მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიული რეალიებიც გვიდასტურებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სულიერი და განზოგადებული აზრით მარადისობის ეს განცდა მაინც შენარჩუნებულია ამ სახითაც და კვლავ გვაგულიანებს სამწერლო-კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, რისთვისაც მოვწოდებულვართ.

იქნებ ცოტა კიდევ გადაგვენია „ჩვენი მწერლობის“ განახლება, რათა უფრო მტკიცედ გვეგრძნო თავი, მაგრამ მკითხველის დაუფარავი ნუხილი – სულიერი სივრცე დაგვიცარიელდაო – გვაიძულებს ახლავე მობრუნებას ჩვენს მიერვე გაჭრილი კალაპოტის გასაგრძელებლად.

კალაპოტისა, რომელიც გულისხმობს საქართველოს ყველა მოქალაქის ფიქრისა და მისწრაფების არეკვლას და არა ამა თუ იმ წრისა ან ფენის.

არც თბილისია ჩვენთვის ქალაქ-სახელმწიფო და არც, ვთქვით, ვერა და ვაკე უბან-სახელმწიფოები.

ათასგვარი ფრაზა თუ ტაეპი რიალებს გონებაში და მათგან სახელდახელოდ იქნებ ესენიც გამოგვეჩრია: ასფუთიანი ჩაქურჩის ცემით ცა ჩვენზე ცდიდა ძალთა მოკრებასო... ან: ჩანაცვეთ რიგში ტყვია ცამეტიო... და მსჯელობის შეფარულ ფონსა და შორეულ ასოციაციებს იქნებ ბუნებრივადაც მისადაგებოდნა მათი განწყობილებანი, მაგრამ ვაითუ კონტექსტიდან მოწყვეტილ ამ ძვირფას სტრიქონებს ზედმეტი სენტიმენტალობა შემოეტანა... ამიტომ იქნებ ისევ ილია ჭავჭავაძის ქრესტომათიული სტრიქონი წამოგვეშველებოდა:


მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო.

მითუმეტეს, იქვე ასე კაშკაშებს, ასე ბრღვევიალებს ის სხვა ვარსკვლავი!..

თავისუფლების უხილავი, სახიფათო საზღვრები

*

საუბარი
ვახტანგ ჯავახიანი



– სხვათაშორის, „მონტაჟი“ ჩემი უცნობისზუსტი მახასიათებელია. მე მომიხდა პოეტის ტრაგიკული ცხოვრების წლებიდან და დღეებიდან, უმდიდრესი არქივიდან, მრავალზე მრავალი მოგონებიდან, მოსმენილ-გაგონილიდან და საკუთარი დაკვირვებებიდან – ყველაზე ნიშანდობლივი და საინტერესო ფაქტებისა და ეპიზოდების, ფრაგმენტებისა და დეტალების შერჩევა და „დამონტაჟება“.

– ბატონო ვახტანგ, თქვენი პოეტური კრებული „2002 სტრიქონი“ გამომცემლობა „მერანმა“ 2002 წელს გამოსცა. წიგნის ანოტაციაში პოლ ვალერის მოსაზრებაა ციტირებული: „თავისუფლება ყველაზე ძნელი გამოცდაა, რომლის წინაშეც შეიძლება დააყენო ხალხი. თავისუფლებით სარგებლობის უნარი ყველა კაცსა და ყველა ხალხს როდი შესწევს“. როგორ ფიქრობთ, ჩააბარა ჩვენმა ქვეყანამ ეს მეტად ძნელი გამოცდა, თუ „დრო იგი სჯობია, როცა არ ვიყავით და დრო იგი აჯობებს, როცა არ ვიქნებით“?

– ეს მეტად ძნელი გამოცდა დღესაც გრძელდება და ჯერჯერობით არც ისე კარგი პირი უჩანს. თუკი განვლილ სამოქალაქო ომს, დაკარგულ ტერიტორიებს და მრავალათასობით ლტოლვილს გავიხსენებთ, ალბათ დამაკმაყოფილებელ ნიშანსაც არ დაგვიწერს ისტორია. ხოლო თუ ჩემს ასაკს გავითვალისწინებთ, დაბეჯითებით შემიძლია გავიმეორო: „დრო იგი აჯობებს, როცა არ ვიქნები“.

– ვფიქრობ, შემოქმედი ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანი. რას ნიშნავს იყო შინაგანად თავისუფალი, რადგან ხშირად გვგონია და გვეჩვენება, თითქოს სრულად ვსარგებლობთ თავისუფლებით.

– პირველი პასუხი უნდა გავაგრძელო: დაიხ, სრულყოფილად ვერ ვსარგებლობთ თავისუფლების სიკეთით. რაც შეეხება პიროვნულ თავისუფლებას, ამ შემთხვევაში მწერალს დიდი უპირატესობა გააჩნია, იგი შეიძლება ციხეშიც თავისუფლად გრძნობდეს თავს. ამისთვის არც პალიტრა და მოლბერტი ესაჭიროება, არც – მუსიკალური ინსტრუმენტი და არც – სცენა. ლევან გოთუამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი პატიმრობაში გაატარა და თავისი საკმაოდ დიდი მოცულობის ნიგნებიც ციხეში დანერგა. პიროვნულად იგი უფრო თავისუფალი აღმოჩნდა, ვიდრე ზოგიერთი მისი კოლეგა, რომელიც პოლიტიკური კონსტიტუციის ზედამხედველთა კარნახით ნერდა და მკერდს ჩინ-მედლები უმშვენებდა.

– მინდა თქვენი ყურადღება „უცნობზე“ შევაჩერო, გალაკტიონის ტრაგიკულ ბედზე რომ მოგვითხრობს:

*ტალახიან ბათინკებით – შენს უნმინდეს ტაძარში –
შემოვიჭერ, კიდევ კარგი, ამჯერადაც გადარჩი!
მაპატიე (თუმც ბოდიში აღარაა მოდაში)
შენი დაფლეთილი სულის უნებლიე მონტაჟი!*

რამ გადაგანყვეტინათ „მონტაჟი“ გალაკტიონის ტრაგიკული ცხოვრებისა, მკითხველზე ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება რომ მოახდინა და ბევრი უცნობი მხარე ამჟამად ახლობელი და სულისშემძვრელია?

ყველაფერი კი შემთხვევით მოხდა: გამომცემლობის ახალბედა რედაქტორს გალაკტიონის რჩეულის შედგენა დამავალეს. დიდი ხნის შემდეგ განვიზრახე დამენერა წერილი მომავალი გამომცემლების გასაფრთხილებლად, თუ როგორი პასიური ავტორი იყო გალაკტიონი. დამჭირდა იმ საკმაოდ დიდი მასალის გადათვალიერება, რომელიც შედგენისას გადაირჩა და მერე გალაკტიონმა და მე ერთად გადავიტანეთ პოეტის ბინაში. ამ მიზნით ლიტერატურულ მუზეუმს მივაკითხე და სასწაული აღმოვაჩინე: პოეტის უცნაურმა და უმდიდრესმა არქივმა მეტად სასიამოვნო ქაოსში ჩამითრია და დღესაც არ თუ ვერ დამიღწევია თავი: კვლავ წიგნის მეოთხე საბოლოო ვარიანტს ვაგებ და ვაზუსტებ.

– ვინ მოახდინა თქვენზე, როგორც მწერალზე, დიდი გავლენა?

– ქართველმა და რუსმა პოეტებმა (რადგან, სამწუხაროდ, უცხო ენები არ ვიცი). ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, საუკუნის მეტრმა, რომლის შესახებაც ახლახან ვისაუბრეთ.

– როგორ შეაფასებდით დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს. რა ნოვაციები შეიმჩნევა? რა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს გამოჰყოფდით საბჭოურ ქართულ ლიტერატურულ პროცესსა და დღევანდელს შორის?

– თავისუფლებისა და დემოკრატიის პრიმატი აშკარად განასხვავებს პოსტსაბჭოთა ლიტერატურას. ნოვაციებს რაც შეეხება, გამოვყოფდი პოეზიაში თავისუფალი ლექსის აღორძინებას, რომელიც ბესიკ ხარანაულის სახელს უკავშირდება და პროზაში „თავისუფალი პროზის“ წარმატებას, რომელიც გურამ დოჩანაშვილის უკანასკნელ რომანში აისახა. როგორც ჩანს, გურამ დოჩანაშვილი თავის მთავარ წიგნს წერს. ალბათ მიმიხვედით, იგულისხმება უთარგმნელი „ლოდი, ნასაყდრალი“, რომელსაც ალბათ აქტიური ოპოზიცია ეყოლება და ამიტომ მინდა გავამხნეო: ყოჩაღ, ჩემო გურამ!

– თქვენი შვილი ირაკლიც თქვენს გზას დაადგა. როგორ შეხვდით თავიდან მის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას? უმეტესწილად მშობლები შვილების მიმართ მომთხოვნები და კრიტიკულები არიან.

– მწერლობა ბედისწერაა და ამიტომ ჩემი ირაკლის სხვა არჩევანზე არასოდეს მიფიქრია. საბედნიეროდ, ირაკლის თაობა დემოკრატიის წლებში ჩამოყალიბდა და სრულად ეზიარა თავისუფლების სიკეთეს (ისევე თავისუფლებას!). ამ თაობას ერთი რამ კი უნდა ვურჩიო: თავისუფლებასაც გააჩნია საკუთარი საზღვრები, ოღონდ უფრო უხილავი და ამდენად – უფრო სახიფათო.

– დამეთანხმებით, მწერალი გამუდმებით სიახლის ძიებაშია. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. თქვენი კრებულის „2002 სტრიქონის“ გამომცემიდან საკმაოდ დრო გავიდა. ჩემი

ყურადღება მიიპყრო თქვენი ახალი ლექსების პუბლიკაციამ გაზეთ „პარნასში“. როგორც იქნა, განახლდა „ჩვენი მწერლობის“ გამოცემა. იგი ფორმალურად სახეშეცვლილია – ორკვირეული ჟურნალი – და გაზეთისა და ერთგვარად ჟურნალ „ომეგას“ გზას გააგრძელებს. რას ნიშნავდა თქვენთვის „ჩვენი მწერლობა“ და რას ფიქრობთ ამ განახლებულ გამოცემაზე?

– რაკი შემთხვევა მომეცა, არ შემიძლია მადლიერებით არ გავიხსენო „ომეგას კლუბი“ – ერთი ოაზისი გარდამავალი წლების უდაბნოში. აღსანიშნავია არა მარტო „ჩვენი მწერლობისა“

და „ომეგას“ ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებანი, არამედ – ის ხშირი შეხვედრები კლუბის ოფისში თუ ოფისს გარეთ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც გათიშული მწერლები ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ვეკამათებოდით და ვერთობოდით კიდეც. მივესალმები „ჩვენი მწერლობის“ განახლებას და კვლავაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ყურნალო.

ესაუბრა
სათუნა ალხაზიშვილი

საბედისწერო ბანცხადება

*
წინანდალი:
ბუშინ, დღეს, სხალ

იყიდება დავით ჭავჭავაძის სახლ-კარიო, – 1878 წელს მისწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის მოგვარეს ივანე ორბელიანს, – იყიდება წინანდალიო.

ზვავივით დაძრულიყო ქართული მიწებისა და კარ-მიდამოთა გაყიდვა და გაოგნებულიყო კავკასიის ომგამოვლილი გენერალი: უბედურება უბედურებად და ეს რა სიჩქარით ხდება ყველაფერიო.

წინანდლის მამულიც ამ ორომტრიალში ჩართულიყო.

დროულად უნდა მოესწროთ, რაკილა მარჯვე საშუალება მისცემოდათ, მალევე უნდა ჩამოერთმიათ და მიეთვისებინათ, რასაც ქართველ თავადაზნაურთა მამულები ერქვა, ლამის უფასოდ ჩაეგდოთ ხელში და საბრალო თავადაზნაურობა – აქამდე ამ ქვეყნის პატრონი, მფარველი, მეზობელი და შემნახველი ათასწლეულებით – დაერჩინათ განწყალბებული, ულუკმაპუროდ და უნუგეყოდ.

ამ გამწარებულ ყოფას არაერთხელ დაიჩივლებდა პირად საუბრებშიც და კერძო წერილებშიც, მაგრამ ივანე ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათი ნამდვილ გოდებაში გადადიოდა, აკაკი განერელიას ჟანრობრივი განსაზღვრებისა არ იყოს; და ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სტრიქონებსაც ამიტომ მოგვაგონებს უღრმესი განცდითა და შთამბეჭდაობით, ტრაგიზმის იმ უკიდურესობით, უკვე სასონარკვეთილების უფსკრულში რომ იჩნება ყველაფერი.

არცერთ საუკუნეში – ირწმუნებოდა „სადღეგრძელოს“ შემოქმედი – როდესაც ჩინგიზები და ლანგთემურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდოდნენ და აოხრებდნენ ჩვენს მხარეს, მგონია, ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთ განწირულ მდგომარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენ ამ დროს და მეტადრე ჩვენი გვარისა.

ორბელიანებსაც მწარედ გადახდენოდათ ქვეყნის ტრაგიკული ბედი და არანაკლები სიმწარე წინ ედოთ, მაგრამ ასეთი მაინც რა მომხდარიყო, რომ ამგვარი გამწარება ქვეყანას არ მოსწეოდა სხვა რბევა-აკლებათა ჟამს?

რა და:

„უნინ მტრისაგან დამწვარს სახლსა ავაშენებდით ნელ-ნელა, რადგანაც მინა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებული სახლი-დამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით საით მივეფარნეთ, რადგანაც ფეხქვეშიდამ გვეცლება მინა, და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის...“

თავიდათავი უბედურებაც ესაა, მომავლის კარს ჩარაზულს რომ ხედავენ.

და ფეხქვეშიდან რომ მინა ეცლებათ, ამიტომაცაა:

„ჩვენი საყაფლანიშვილო მამული ერთიანად იყიდება; გაჩქარებულნი მოგვევენ სოლოლაანი, ჭავჭავაძიანი, ანდრონიკიანი, ვაჩნაძიანი, ციციანი, თარხნიანი, ერისთავიანი და სხვანი... იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული, იყიდება დავით ჭავჭავაძის სახლ-კარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით, იყიდება თითქმის მთელი საქართველო... ახლა ვის, ვის შეეშბავლოთ, ვის შევგაგონოთ ესრეთი სამწუხარო მდგომარეობა საქართველოს არა თუ თავადაზნაურობისა, თვით გლენობაც ამავე ტაფაში იწვიან...“

თავზარდამცემი სურათია.

ტრაგიკული ფილმის კადრებივით ჩაიქროლებს ჩვენს თვალწინ ქვეყნის ყოფილ მეპატრონეთა ეს სავალალო ყოფა, მართლაც თავზრუდამხვევი ორომტრიალი, ამ საბედისწერო ფორმულით დაგვირგვინებული:

– იყიდება თითქმის მთელი საქართველო!..

ბიბლიიდან გადმონერილი გეგონება.

აზარდა, გულის ნაკარნახევს გამოთქვამს ენა.

მკვლევარებს ლამის ეჭვი გასჩენოდათ, ეს ბარათი ხომ არ უნახავს შემთხვევით ნიკო ლორთქიფანიძეს და მისით ხომ არ შთაგონებულა, იმ ტრაგიკულ მინიატურას რომ ქმნიდაო. „იყიდება საქართველო“ მართლაც თავისებურ ვერსიად მოჩანს გრიგოლ ორბელიანის ამ ბარათისა, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურის შექმნისას სადღაც არქივის სიღრმეში ჩაძირულიყო და ჩვენი ბელეტრისტიკის ჩანახერხებში არსად მოჩანს საიმისო კვალი, თითქოს იგი ამ გოდების წერილს სადმე უნებურად გადაწყდომოდეს.

ეგაა, ორი შემოქმედი „იქ, სივრცეებში“ შეხვედროდა ერთმანეთს, თავზარდაცემაც და გულისტკივილიც იქ გაეზიარებინათ ურთიერთისათვის და, გარდა თემისა და მოტივის ერთგვარობისა, სტილური მსგავსებაც ამიტომ შეიძლება ამოგვიჩნდეს თვალწინ ამ ორ საბედისწერო განცხადებაში, ერთს ბარათი რომ დარქმევია და მეორეს იგი ამ გოდების წერილს სადმე უნებურად გადაწყდომოდეს.

დამსხდარან ორივენი ნაპირსა ზედა მტკვრისასა და გოდებენ. ამ გოდების გამოძახილი იქნებოდა ეს სტრიქონებიც გრიგოლ ორბელიანის ბარათიდან, ამავე წლის 24 აგვისტოს რომ მისწერდა ძალუა სოფიოს:

„ჩუენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ ჩამოეთეს-ლენ პოლოზოვები, აბონიანცები; ფიტარეთი, ჩუენის მამაპა-

პეპის სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩუენის ოჯახისათვის“.

ვის შევბავლოთ, ვის შევავაგონოთ, გზას რომ ეძიებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, მიხეილ ლორის-მელიქოვისაგან შეეცდებოდა შეველას და 1881 წლის 16 ივნისს გაგზავნილ ბარათში კვლავაც წინასწარმეტყველის სტილით აღშფოთდებოდა: ჩუმად, კვნესითა და ოხვრით კვდება და ჰქრება სახელოვანი თავადაზნაურობა. საქართველო მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგ-თემურ-შაჰ-აბასისაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუს ხელმწიფებს იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ ეღირსებოდა მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასაო:



„ახლა რასა ვჰხედავთ? ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არა ოდეს. გაუძლებელი სივალსაჲ და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგვიპყრა სასონარკვეთილებამ, მოველით რა დღედლე, რომ გამოგვრეკენ სახლიდამ, მამულიდამ; გულზე გვანევს სიმძიმე ვაებისა, მწუხარებისა და ესრეთი უნუგეშო მდგომარეობა რამდენისამე ათასის სულისა, მგონია არ იყოს კარგი თვით ხელმწიფისათვისაცა“.

მოგვეშველეთ, შეგვენით, გამოიხსენით ესენი „პრიკაზის“ ტყვეობიდანო, – ამ თხოვნით აბოლოვებდა გოდების მღულარებას, და ამ გაყიდულსა და დაქცეულ სინამდვილეში მხოლოდ ბანკის დაარსება თუ იხსნიდა მინა-წყალს, რომელსაც ოფიციალურ ენაზე ყოფილი საქართველოს ტერიტორია ერქვა – დიმიტრი ყიფიანის იდეა და ილია ჭავჭავაძის სულიერი ენერჯია აღიზარებოდა ბარიერად და „პრიკაზის“ ტყვეობიდანაც ის გამოიხსნიდა გაჩქარებული ტემპით ერთიერთმანეთზე გამეტებულ მამულებს,

რომელთა ერთობლიობაც ჰკრავდა იმ საყოველთაო მამულს, ასეთი განწირული და სულით დაცემული სხვა დრო-ჟამს არასოდეს ყოფილაო, გრიგოლ ორბელიანი როგორც დარწმუნებულიყო.

ყველას თავისი ეპოქა ჰგონია ყველაზე ტრაგიკული საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში.

იყიდება ჭავჭავაძეთა სახლ-კარი, იყიდება წინანდალი, – ალბათ ჩვენი თანამედროვე გრიგოლ ორბელიანის პირად წერილშიც გაიელვებს ეს სახელები თუ თავისებური სიმბოლიკა და გულის ის მღულარება: არასოდეს ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ასეთ განწირულ ყოფაში, ასე დაცემული სულითო.

მეორდებიან მოვლენებიც და პერსონაჟებიც ისტორიის ავანსცენაზე, სული გადმოედინება – სალსალამათიც, გადაგვარებულიც, კვლავინდებურად ეხლებიან ერთმანეთს, კვლავინდებურად დაუთმობენი... ოდნავ, სულ ოდნავ მაინც იცვლება ეპოქები და თავთავისი ნიუანსები შემოაქვთ? მაგრამ უფრო გარეგნული და მოჩვენებითია ეს განსხვავება, რომლის სიღრმეშიც დის ის მარადი სული, ათასგვარად ხორცშესხმული, უეჭვლად რომ იძენს მხსნელის სახესაც.

დაჩქარებულად მივყვებით ერთმანეთსო, – მოისმის ვალალი მაშინდელივით.

და სადღაც იმშუშნება ის სულიც, ბარიერად რომ უნდა აღემართოს სასონარკვეთის უფსკრულისაკენ დაქანებულ ყოფას.

წინანდალი კი ისევ ისე კიაფობს ამ ორომტრიალში – თავისი მწარე ხვედრით, თავისი დრამატული იერიითა და... იმედოვნებით...

მდინარების გარდუყვალი შემობრუნების იმედოვნებით...

საბა სულსანიშვილი

კულუარები

ნოხელი, ნო-ბე-ლი, ნო-ბე-ლიიიიი!

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც აშკარად საუბრობენ ნობელის პრემიის გაპოლიტიკურებაზე. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი მართლაც საუკეთესო გახლდათ თანამოკალმეთა შორის. თანაც ეს გაპოლიტიკურება შემთხვევიდან შემთხვევამდე კი აღარ ხდება, არამედ კანონზომიერებად იქცა და პრემიათა კომიტეტი თანდათან ავტორიტეტსაც ჰკარგავს.

სტალინურ და ლენინურ პრემიებს თუ დაემგვანა, რა გამოვა!.. ამერიკის სალიტერატურო წრეები სხვაგვარად ვერც ხსნიან, რომ ჯონ აპდაიკი ცოცხალი იყოს და პრემია კი ტონი მორისონს (ზანგი მწერალი ქალი) არგუნონ; ანდა თუ მაინცდამაინც ინგლისელის გალაურეატება გადაუსყვევით, ჰაროლდ პინტერისათვის გამეტონ ეს ჯილდო და არა ტომ სტოპარდისათვის, ვინც დღესდღეობით საუკეთესო დრამატურგია და მისი „არკადია“ კი ის ქმნილებაა, რომელსაც ჩვენი ეპოქა სიამაყით წარუდგენს შთამომავლობას.

კურტ ვონეგუტს გამოუცია ნიგნი – „უსამშობლო კაცი“ – სადაც თავი მოუყარა მოგონებებს, შეხედულებებს, ამერიკის პოლიტიკის კრიტიკას... იქ გახსენებულია ამბავი მისი მანქანისაც: თურმე იგი ოცდაცამეტი წლის წინათ ყოფილა მფლობელი და მეწვეკერი „შააბის“ ფირმის (შვედური ფირმა) მანქანების ოფისისა

და თვითონაც ჰყოლია ამ მარკის ავტომობილი.

ერთი სიტყვით, ამ ანექდოტისებურ ჩანაწერში ვონეგუტი ქირქილებს „შააბის“ ფირმის მანქანებზე და... დაასკვნის: აი, ამიტომ არ იმეტებენ ჩემთვის შედეგები ნობელის პრემიასო.

ანექდოტი საკმაოდ უკვილოა (ასეთი რამ ვონეგუტისაგან უცნაურია), მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ ნობელის პრემიათა კომიტეტს თავს ახსენებს, ვებრდები და ნუ დამივიწყეთო.

ეს ჩანაწერი ჯონ აპდაიკს რომ ნაუკითხავს, მაშინვე გამოხმაურდება: ახლა კი შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კურტ ვონეგუტი მიიღებს პრემიას თავისი შააბ-ის მოთხრობისათვისო.

რაკილა „შააბი“ ნააგავს ინგლისურ სიტყვას „სობ“ (ტირილი), ამერიკულ ლიტერატურულ წრეებში სახელდახელოდ კალამურიც შეუთხზავთ: ვონეგუტი თავისი მტირალა მოთხრობისათვის ნობელით დაგვიჯილდოვდებაო.

კურტ ვონეგუტი ის კაცი არ არის, ირონია თუ სარკაზმი ვინმეს დაანებოს ან აპატიოს და უახლოეს ხანში უთუოდ მწარედ გაკენწლავს აპდაიკსაც და მის მომხრეებსაც, თუ ნობელის პრემიის მიუღებლობა ისე არ განიცადა, რომ ამ თემაზე ხუმრობის ხალისი სამუდამოდ დაეკარგოს.

ოთარ ჩხეიძე

ოდოჟლერი

*

ჩემი სოფლის ეტიუდაჟიდან

**იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.**

იოსებ დავითაშვილი

ორლობები ჩაათავეს. დიდ ბოგირს გასცდნენ. ნაკომ-კარსაცა. ყანას მიადგნენ

გოგონები.

შორს ნანგრევები ილანდებოდა ციხისაი. ნულისა. მეორე მხარესაცა. წვერისა. პირდაპირ დირბი მისცურავდა ზოლზოლადა. უფრო შორს მთები ლიხისაი. მთლად ეს მიდამო ყანას დაეფარა. თითქოსაო. თითქოსა. ატალღებულ ყანასა. ოდნავა. მცირედადა. ატალღებულსა ზენაქარზედა. ოდნავი სუსხიც რო მოჰყოლოდა. ოდნავი. სუსტი. ლიხსაც რო მოსდგომოდა ღრუბელი. ქროლაი. არცთუ საშიში. თუ არ გაშავდებოდა. არ აიგრაგნებოდა თუ.

თუ რაც იქნებოდა. იქნებოდა. ყანა ნებვირობდა თავისთვისა. შეყვითლებულიყო. სიმწვანეს თავისი მოეთავებინა. ილეოდა. მკრთალდებოდა. ეს აქვე. აგერა – მუხლებთაგან გოგონებისა. მერედამერე მუქდებოდა უფროდაუფრო. ლურჯდებოდა შორსადაშორსა. თითქოს რო მართლაც ზღვა არისო. მისცურავენ თითქოს გემებიცა: კუნლის ხეები. აქაიქა. შორსადაშორსა. მზეც იქით გადახრილა. მზეც აფრქვევს თავისასა. ოქროსფერს აფრქვევს. სიმწვანეს ერეკება. და რო ჩაყურჭულთ შორსადაშორსა. თითქოს ლურჯადაო. ეს ის ქილილია: სიმწვანისაი და სიყვითლისაი. ყანის მნიფობაა. ოდოჟლერია.

საბა იტყოდა ოდოჟლერიაო.

თუ როგორ იტყოდა, თვითონვე ბრძანოს:

„ნუშთა, ნიგოზთა და ეგვეითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგვეითართა დაუჟამებელსა და სიმაგრენაკლებსა ოდოშსა უწოდენ, ხოლო ყანათასა – ეტერსა“.

ეტერი უკვე ივინყებოდა. გადარჩენასა ლამობდა საბაი. გადარჩენასა ეტერისა. რალა თქმა უნდა. ვერც იმან გაანყო ბევრი ვერაფერი. ივინყებოდა და დაივინყეს. სხვაც ბევრი სიტყვა რო დაივინყეს. მკვეთრი. სახიერი. მორჭმული. მხნე. გარდასულსაც რო მოაგონებდა. შინაარსი რამ იდო სიტყვაში. ყანაც მოაქციეს მერე ოდოშში. შემოსვლაი ყანისა. როგორც რო ცერცვიო, ისიც ისევეო. როგორც რო სიმინდიო, ისიც ისევეო. ნუშიცაო. ნიგოზიცაო. ოდოშო. ოდოშლერი. ჟანიც – ჩაუდგეს მომეტებული ჟღერადობისათვისა: ოდოჟლერიო. და ჟღერდა ყანაი. ჟღერდა და ჟღერდა. იმედი უძველესი. უპირველესი იმედი ქართლოსიანთა. უძველესი. უუუუუუძველესი. ამაზედაც რო ვერ იტყოდნენ: ამერიკიდან შემოიტანესო. ვერა. ვერა. პირიქითაც იტყოდნენ: გაიტანეს ქართლიდანაო. კახეთიდანაო. როგორც რო ვაზი. როგორც რო მუხაი. რო-

გორც რო თხილიცა. თხილიცა. თხილიცა. წინააღმდეგს ნუ იტყვი. ნურც დანვრილებით მომათხრობინებ –

გოგონები ჰო ყანას გასცქეროდნენ.

აღელვებულსა.

აუღერებულსა.

გადაშვებულიყვენ თუ არაო –

შერევოდნენ თუ არაო –

გოგონები ყანასა.

„შორსაა!..“ თქვა ერთმა.


„რა შორსაა?!?!“ გაატრიზავა მეორემა.

„რა შორსაა?!?!“ მესამემ უფრო გაატრიზავა. უმცროსი ბრძანდებოდა ის მესამეი. რვაო თუ ცხრაოდე წლისაი. თანაც დაგვალული. პირველმავცეც რო იმან შეტოპა – მალე ყანამაც თავსგადაუარა. როგორც შეტოპა, ისე გამოტოპა. სიცილითა და წიოკობითა. ის ორი მაინც არ შეშინებულა. ყელიც მოიღერეს მომეტებულადა. სიამაყითაცა. სითამამითაცა. აშოლტილიყვენ. ავარდნილიყვენ. ტოლს არ უდებდნენ ერთიმეორესა. 12-13-ოდე წლისანი იქნებოდნენ. სახემწყაზარნი. თვალბრიალანი. მოქნეულნი და მოზიდულნი. ყანა ვითომ რაო. ყანის ღელვა რაო, მიეცემოდნენ ზღვასაცა. მღელვარესა. ზღვა იქ არ გახლდა. ყანა ღელავდა. ოდოჟლერი ღელავდა. მწვანეიო და შოქროსფერებული. ალაგ სიმწვანე რო ნააჭარბებდა. ალაგ სიყვითლეი. რალა თქმა უნდა: ოქროსფერიო – სხვა რა იქნებოდა. და შორსა. შორსაო თუ არც ისე შორსაო, ლურჯადაც რო მოგეჩვენებოდა. მზეც რო იქაობას ნაჰკიდებოდა და ადიოდა აღმური ყვითელი, მწვანე და ლურჯი ერთადა. იქ უნდა ყოფილიყო. სწორედ იქა. ცერცვი. ოდოში. ოდოშლერი. ოდოჟლერი. სადაც ყანა რო ლონიერია, ცერცვიც იქ არის ფესვმოდგმულიო. გაეგონათ მწყემსებისგანა. გაეგონათ და აჰყოლოდნენ. ხალისს აჰყოლოდნენ. ველარც ველარაფერი რო ვერ შეაჩერებდათ. დაგვალული გოგოს წიოკობაო!.. რა სათქმელია!..

ის იქვე მიატოვეს. ყანის ნაპირასა.

შევიდნენ. შესცურეს ჯიქურ და გულდაგულა.

რომელი ქვედატანი შეუშლიდათ ხელსა. მუხლზვეით გადაჭრილი. ან ზედატანი. აცურებული ჭიპზევითა. ანთუ შეიდიში – ახლა რო აგერა ბიკინებად გადაქცეულიყო. ჰფარავდა მხოლოდ რო სასირცხვოსა. ბენვებიც ისე რო სამოცვენილიყო, როგორც რო ფხანი თავთუხისანი. არც არაფერი არ შეუშლიდათ. თვითონ თუ ყანაო – რო სქელდებოდა და სქელდებოდა. რო მალღებოდა და მალღებობოდა. ასპიტდებოდა ფხანიცა თავთავისა. კანჭებს აწყდებოდა. ტლოკებსა ფხოტნიდა. ან რა ბიკინები გაუძლებდა. ნაზი. სათუთი. შიგ იჭრებოდა. დაუბრკოლებლადა. იხლართებოდა ბენვთა შორისა. რჩებოდა შიგვე. ფუთფუთებდა. მოუსვენრობდა. სხვაც მიინევდა. მიინევდა. ჰპოვებდა ადგილსა იგი სხვასაცა. სხვაცა და სხვაცა. ლაჯები მიჰქროდა. მუხლები მიშვებავდა. მზე იცინოდა. არც რო ნიავი არ იშლიდა თავისასა. რას დაიშლიდა. მინდორი მინდვრადაო და უფრო ვრცლადაც რო შემოენერა თვალსა.



გაფართოებულსა. გახაციცებულსა. შიგ მოეცანებინა დედოფლის მინდორიცა. ქვიშეთისა და ლიხის კალთებიცა. საციციანოსაც შესტოტებოდა. თვალი ჰო თვალია. და თვალი იმხნისაი – ის გოგონები რო ბრძანდებოდნენ. მოზარდი გოგონები. მოზრდილნი, თორემ უმცროსი ჰო ნაპირსავე დარჩა და მისძახოდა იქიდანა: დაბრუნდით. ვერ მიაღწევთ. შორს არის. შორსა. რაც გინდათ, ახლოს ნუ გეჩვენებათ. რაც გინდათ შორს არის. ძალიან შორსაო. შეჰხე ამ პატარასა!.. ბრძნულს იტყოდა. თუ დაესწავლა დიდედსაგანა. ან პაპისგანა თუ დიდედისაგანა. სულერთია. ბრძნულს იტყოდა და ბრძნულად მოუწოდებდა.

ვილას ესმოდა.

ყანა შხუოდა. ყანა მორჩილობდა. დაიხრებოდა. დაიდებლებდა. ლაჯებში ძვრებოდა. აიმაღლებდა მერე ისევე. რა ვუყოთ თუ ფხას შეატოვებდა. რამდენიმესა. რა ვუყოთ. რა ვუყოთ. აიმართებოდა ისევე ისევე. გაილაღებდა ისევე ისევე. აირწეოდა. დაირწეოდა. გადაებმოდა ტალღა ტალღასა. ბზინავდა. ჩურჩულებდა. დუდუნებდა. ელავდა. ფერადფერადა. ოქროსფერადაო თუ მწვანედაო ან უფრო მღვრიედა. აღრეულადა. სწრაფადა. ელვადა. მართლაც ელვადა. რო ველარ მიასწრებდი ველარც სიმწვანესა. სიყვითლესაც ველარა. ასწრებდა თვალსაცა კრთომაი იგი გარდასახვავი. სილურჯე ისევე შორით მოსჩანდა. სილურჯეიო თუ კვლავ სიმწვანეი. მუქი. ყურჭი. სინედლეი კვლავა. ხარბად რო ნთქავდა სხივებსა მზისა. ხარბადა ისე – ისე ხარბადა, ზემოდან რო ვერც მოჰკიდებოდა. ისევე შორითაო. ჯერაც შორითა.

და უფრო მიინევდნენ. უფრო და უფრო. უფრო გულდაგულა. გოგონები უფრო ატანილნი. უფრო აყვანილნი. დაუფლებულნი უფრო და უფრო. სხვისა მიერა. რილაცის მიერა. რილაცისაიო თუ ვილაცისაიო. შეუცნობელისა და მახლობელისა. შორით რო ეწეოდა და იქვეც რო იყო. რო მიინევდნენ და გაურბოდნენ კიდევაცა. ესენი. ეს უეცრად ანიოკებული გოგონები. გაურბოდნენ. ირიდებდნენ და უცვივოდნენ ხელშია. მაინცა კრთოდნენ. მაინცა ფანთხალბედნენ. მაინც არ უნდოდათ და უნდოდათ კიდევაცა. იქ დარჩენილიყვენ. იმათ ხელშია. თუნდ სამუდამოდა. არა თუ თუნდაო – სამუდამოდა. სამუდამოდა!.. შეჩერდებოდნენ და მირბოდნენ. ფხებს ამოიცილდნენ. რასაც მოასწრებდნენ. ვერც რასა რო ისევე რო გაურბოდნენ. ისევე რო ესწრაფოდნენ. აყოლილნი იმა ფორიაქსა. შფოთსა იმასა. აწრიალებასა იმასა, ყანას რო შესჩენოდა ცალკე ნიავისა, ცალკე მზისაგანა. რო ფიცხდებოდა ნიავიცა. მზეცა ფიცხდებოდა. საბოლოოდა. მალე რო უნდა ჩავარდნილიყო ლიხის უბეშია. მალეო. მწყემსებს გამოეცადათ. ამოდიოდა ნელა. ამოსვლისასა. მზეი. ნელა და ნელა. თვალს ძლივს ახელდა გამოუძინარი. მზეი. მზეი. რალა თქმა უნდა. შუადღისას მოითენებოდა. მოითენთავდა რო საქონელსაცა. მინასაცა. მცენარეთაცა. მოითენებოდნენ ჰო თვითონაცა. მწყემსები. მიეყრებოდნენ საქონელთან ერთადა. ადგომა რო აღარც უნდოდათ, მზე რო იქით დაქანდებოდა. დაქანდებოდა და დაქანდებოდა. დაღლილი. დაქანცული. მიეშურებოდა მოსასვენებლად. ერთს გვარიანად შეფიცხდებოდა. ერთსაო და ერთხელ კიდევცა. მცხუნვარებდა და იფრქვეოდა ფერებდა. ფერადფერადა. მრავალფერადა. მრავალ სახედა. იხაზებოდა რალა არაო. იხაზებოდა. ისახებოდა. ბინდებუნდადა და მიმზიდველადა. თვალმომჭრელადა

და შემამფოთადა. რო ვერ ნაუხვიდოდი. ვერადავერა. ათასი ხელი რო გამოება. ათასი ფხიცა. ორი ფხით ვერ გაასწრებდი. ვერც გაუძვრებოდი ხელების შუა: რა ექნათ არ იცოდნენ. არა. აღარა. გოგონებსაო. რალა თქმა უნდა.

შეყოვნდებოდნენ.

მიაჩერდებოდნენ ერთიმეორესა.

დაბნეულნი.

აფორიაქებულნი. მირბოდნენ ისევე. გზაბნეულნი. ანთუ გზა სად იყო, ყანა რო გახლდა აღელვებული. ერთადა. ერთბაშადა. ერთნაირადა. და ირგვლივა. უკვე. ნაპირი ეჰაა – სად დარჩენილიყო!.. გოგონაი. უმცროსი. რო აღარც მოსჩანდა ლამისაო. თუმცა რო ისევე არა სცხრებოდა: ნულარ მიხვალთო. მისძახოდა. გამობრუნდითო. ვილას ესმოდა. ანთუ რალადროსაო – აგერა ისა, ისე ყურჭად მოლაღანე ყანაი. სქლადა. დუნდგოდა. ცერცვი რო გახლართულა. გაბარდულა შიგა. რო არწევს და ანელებს კიდევაცა რწევასა აკვნისასა. ანელებს. ანელებს. ფრთხილადა. ფრთხილადა. რო არ შეაკრთოს ის ისაა ჩაძინებული ყმანვილი. აგერა. აგერა. იქითაცაო. იქითაცაო. იქითაცაო. აერიათ რო ჰირველმონიშნული. აერიათ. აუბრჭყვი-აღდათ. საითღა წასულიყვენ. მისტანებოდნენ თუ რომელსაო. მიტრიალდნენ და მოტრიალდნენ. იციენს. იხითხითეს. მოიხარნენ. აიშოლტნენ. შემოინწეს ხელებიცა გულმკერდზედა. მალღაც ატყორცნეს. თითქოს სხივებს ჩამოეკიდნენო. მკლავებიც არიაო. ისევე ისევე. ზვერი. მრავალი. სახეები ერთი. ანთუისიც რო შეგროვილი ნაწილნაწილა. შემამფოთი და მომჯადოები. ვისთვის რო ეგებ ღმერთიც რო იყოს. ვისთვის ეშმაკი. გაიქცე რო გინდა. ველარც ნაუხვალ. მიბრუნდები ის არის. გახლავს იგივეი, – იტრიალე რამდენიც გენებოს. და იტრიალეს. იბზრიალეს. აეხვათ თვალები. ჟრუანტელმა დარია ხელი. ორივესა. უმცროსი ჰო აღარც მოსჩანდა. დაცვივდნენ. ჩაცვივდნენ თითქოს აკვანშიო. შეკრულიყო თავთავი ისე. ისე. თავისი საგებითა და არტახებითა. დაცვივდნენ და იწწვოდნენ. იწწვოდნენ და იწწვოდნენ. ქარი უმღეროდა ნანასაო. არცთუ ქარი – სიოი ცოტა მომძლავრებული. მზე მაინც რო დასახვალს იყო. დაახანებდა რო მაინცა. იქით მთები ელოდებოდა. აქეთ ყანები არ ეთმოზობდა.

და გაინაბნენ გოგონები.

არც რო არა თვლემდნენ.

წასვლოდათ სიფხიზლევცა. რალაც ძალას მინებებოდნენ. უცნობსა. ანთუ არც ისე შორეულსა. არც ისე უცნობსა. თანდაყოლილსა. არსებითსა. ჯერ განუცდელსა. სალოდნელსა. ძალასა. სახედაც რო გამოკრთებოდა. მიჰქრებოდა. ამოისახებოდა. მიილეოდა. მომძლავრდებოდა. აიყვანდა და მიაქანებდა. მიაქანებდა. საით თუო – არ გაეგებოდათ. ნურც გაიგებდნენ. ოლონდ ასე გაქანებულიყვენ. ექროლათ. ექროლათ. ექროლათ და ექროლათ. სულა და სულა. სამუდამოდა. და მაინც წამოხტნენ. ანთუ რალამაც წამოჰყარაო. ჩაჰკიდეს ხელი ერთიმეორესა. მოშვებულებმა. მოდუნებულებმა. ჩაჰკიდეს. გაბრუნდნენ. ივარაუდეს რო სწორედა: მზისკენ მიჰქროდნენ. ზურგი შეაქციეს მზესა. გზა გაიგნეს შინისაკენა. ანთუ რა გზაო – მთარვევდნენ რო ისევე ყანასა. შედედებულსა თითქოსაო. ფხებისგან კანჭები რო დასუსხოდათ. ტლოკებზე სისხლი ამონვეთოდათ. მცირე წინწკლებადა. მატულობდა რო – ისევე რო ეფშვებოდა ფხანი თავთუხისა.

შიგნითშიგნითაც შემძვრალიყო. ფხები. ცხადია. რას დაიფარავდა ისედაც მოკლე ქვედატანი, უფრო ზევითაც რო ასულიყო იმდენ სირბილსა სწრაფვასა თუ გაქანებაში... ახლა თითქოს რო ნელა ვიდოდნენ. თანაც ხელიხელჩაკიდებულნი. ფხები არ იშლიდა მაინც თავისასა. ასპიტობდა უარესადა. თანაც რო მწყერიც რო აუფრინდათ. ფხებში. ფხებში. დაიჟღერებდა და ავარდა ცაშია.

შეშინდნენ. მიეკვრნენ ერთიმეორესა. გოგონები რაღა თქმა უნდა.

მიჰხვდნენ – მწყერიო.

ინანეს რო შეშინდნენ.

დაიჭერდნენ ანუ ეგონათ: დავიჭერდითო. ინანეს. ინანეს. სად რო ჩავარდა. მწყერი. ცხადია. რო მოინიშნეს. გავარდნენ იქითა. ასწრაფებითა. სულმოუთქმელადა: არა მე მივასწრო, არა მეო. ისედაც მოსწყდა. ისედაც ჩავარდა – დაიჯერებდნენ იქვე იქნებაო. არც იქ აღმოჩნდა. არც არსად მახლობლადა. სადღაც მოშორებით ავარდა ისევა. ჟღავიჟღავითა ისეთივეთი. თითქოს ქვეყანა იქცევად. და ამან უნდა გაასწროსო. მწყერმა. ცხადია. თავს უშველოს. თავი იხსნას. ქვეყანა ჭირსაც წაულიაო. რკალად ავარდა. უფრო მალლა. უფრო მონყვევით ჩავარდა ყანაში. აღელვებულში უფროდაუფრო. უფრო

ლონიერ ადგილშიადა. აღარც გასდიეს. აღარც შეეძლოთ. მიჰხვდნენ კიდევაცა: ეთამაშებოდა მწყერი. ისიც ოდოში. შეხალისებული იმ პირველადა. შეთქვირებული და შეხალისებული შეთქვირებულივე გოგონებთანა. მეტს აღარ აპყვენენ ესენი. გოგონები. იმანაც იკმარა. აღარც გამოჩენილა. გაჰყვა ოდოჟღერსა. გოგონით გაჰყვა. ამათ გოგონის თავი არა ჰქონდათ. არა. აღარა. ცალკე ტლოკები. დანიწკლულიო. ტლოკებიო თუ მთელი სხეულიო. ცალკე ისე ფხანი. აბეარნი. ცალკე ნიავი. ცალკე მზეი. ცალკე ნაპირი. დაკარგული. აღარ რო სჩანდა. აღარც უმცროსი გოგონა აღარ რო მოსჩანდა. აღარც ძახილი: ნულარ მიდიხართო. რო ახლებდა ამათა უფრო. მზე რო ენეოდა მძაფრად და ბევრად მძაფრად. ღელვაცა ყანისაი. ახლა მზე ზურგიდან მოჰქცეოდათ. აღარც აქეზებდა. აღარც უშვებდა ხელიდანა. ყანა ბრუნავდა. თითქოს მორევი. მორევს მორევი გადასჯაჭვია თითქოსა. ერთს თუ გადაურჩნენ, მეორე ჩაიტანს. ჩაიხვევს. ჩაიკრავს. ჩაიხუტებს. ცალცალკე ჩაიკრავს. ცალცალკე ჩაიყოლებს. დაინარჩუნებს ცალცალკევეო. მიეკვრნენ ერთმანეთსა. არ დანებდებოდნენ. ცალცალკე ჰო არა – ერთადაც არაო. ბრუნავდა ყანაი. ჩხრილებდა თავთავი. კანრავდა ფხებსა. ტლოკებს ჰოო და ჭიპსაც ჰოო და – მთელს სხეულს კანრავდა. გულსა კანრავდა. გულიღა ეჭირათ ხელითა. ლა-

მის დაცვენილიყვენ. ლამისა. ლამისა. გააღწევენ როგორც იქნება. ყანას გააღწევენ და მერელა დაცვივიან. დაცვივიან.

ბულულთან დაცვივიან. ბულულთანაო. ცერცვისაი. იქ სად ექებდნენ – აგერა ცერცვი!.. ოდოში. ოდოშლერი. ოდოშლერი. ოდოშობაო. და ესეც შენი ოდოშობაო. ბულულში ჩამჯდარა უმცროსი გოგონაი. ჩამჯდარა და თავზედაც გადასდის. ფცქენის. მარცვლავს. მუჭამუჭა იყრის პირშია. იყრის და ვერც იყრის. ხელებზედაც მოსდებია. ტუჩპირზედაცა. რძისამებრ მოსდებია. იხვარბლება რო და წვენიც გასდის. ნახირმა ჩაიარა. მწყემსებმა ჩაიარეს ბარდანებითა ცერცვისაი. გამოგლიჯეს ბლუჯაბლუჯადა. ბარდანებდა. რაღა თქმა უნდა. ცერცვი. ბუჩქები ცერცვისაი და მიაყარეს გოგონასა. მარტოდ შთენილსა. აფორიაქებულსა. აწრიალებულს. რო



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

აღარ მოსჩანდნენ მოზრდილები. მოჩიტულეები. მოთამამებულნი. და თვითონ რა ელოდა რო აღარ იცოდა. მწყემსები მიესალმნენ. დაუდგეს უცებ ცერცვის ბულული. უცებ დაუდგეს და ჩაიკარგნენ მაშინვე. უცებვე. ნახირთან ერთადა. მტვერთან ერთადა. ამოგანგლულნი თვითონაც მტვერშია. მტვერი რო ბრჭყვიალებდა დახრილ სხივებში. მწყემსებიცა. მწყემსებიცა რაღა თქმა უნდა. ბრჭყვიალებდნენ. ქათქათებ-

დნენ. ანათებდნენ. და ქათქათებდნენ და ანათებდნენ მერეცა. მერეცა. მტვერი რო დაწკნა იმათ უკანა. თვალი წაილო. იქით წაილო. ესეც ანუხებდათ – გაეძროთ გოგონებსა. ბიკინები. აცლიდნენ ფხებსა გამალებითა. აცლიდნენ და ველარც აცლიდნენ. გავესებულიყო ისე იმგვარადა, ნაქსოვიც რო აღარ ეტყობოდა. ფერიც აღარა. აძრობდნენ. ჩქარობდნენ. მალე რო ჩაეცვათ. აჰკეცოდათ ქვედატანიცა. ისედაც მოკლეი. დაისრული ფხებითა ისიცა. ბალანიც დაისრული. ჩქოლა ბალანი. თუნდაც ოდოშიო. მთლად დაისრული ერთისიტყვითა. აძრობდნენ. აცლიდნენ და ვითომ გააცალეს – წვერები შიგ ჩარჩა. იგრძნეს მაშინვე, ჩაიცვეს თუ არა. უარესად იგრძნეს. უარესად ემწვევათ. გაიძრეს ფივცხლადა. მოიშორეს. მოსტყორცნეს. წაილო ყანამა. ნიავემა წაილო. ჯერ ვითომ რო ააფრიალა კიდევაცა. გაშალა ფრთებივითა. ვეება ფრთებივითა. შედარებითა მწყერის ფრთებთანა. რაღა თქმა უნდა. გეგონებოდა ფრთები არწივისა. ბახალებისა. ბახალებისა. ისაა რო გადმოცვენილიყვენ ბუდიდანა. ისაა რო სწავლობდნენ ფრენასა. სწავლობდნენ და ვერცა სწავლობდნენ – ნიავი უშლიდა. თუმცა ცდილობდა, ეშველა როგორმე. ვერც რას შეენია. მხოლოდ ესაა რო დააგორგალა და წაილო ეგრე – გორაობითა. გორაობითა. ატალლულ ყანაზე გორაობითა. რა მოენონა უმცროსსაო. გოგონასა. რაღა თქმა უნდა. ძნელი სათქმელია – თვითონაც გაიძრო ბიკინი

თავისი. ისროლა იმანაცა. გაიხარა ნიაგმა იმითი უფრო – ააფრიალა. აიყოლია ერთი პირობაო. მალე ისიც წაართვა ყანამა. ააგორა. ააგორგალა.

სულელი!..

თქვეს უფროსმა გოგონებმა. ერთადა თქვეს. ერთადვე წამოჰკრიფეს ცერცვის ბუჩქები. შემოიწყვეს ირგვლივა. თეძოების ირგვლივა. ერთნაირადვე. ეგრე აუქციეს ნაკოშკარსაცა. გადავლეს ბოგირიცა ეგრევე. ორლობეცა. ორლობეცაო. ოლონდ ისიცა – მტვერი იდგა ორლობეში ისევა. მტვერი. მტვერი. ნახირის მტვერი. მტვერი გადასდიოდა იქაცა ოდოჟღერსა. აქაც მტვერში გაეხვია ოდოჟღერი. ოდოში. ოდოშღერი.

ოდოჟღერი –

გვიანობამდე შემორჩა სიტყვარსა. ქართულსა. გვიანობამდისა. წინა საუკუნის შუახანებამდე. ყანას შემორჩა. ყანისა არც გახლდა. ყანის მოწვეას – ეტერა – რქმევიდა. მივინყებულებო რო საბამდისაცა. საბა მოაგონებს. საბა განასხვავებს. დაუბეჯითებს. უჩიჩინებს!.. არც რო საბასთვისაც აღარ დაუგდიათ ყური!.. მერედამერე – ეტერა კი არა – ლამის ჯეჯილიც დავინყებულა. ლამისაო თუ თითქმისაო. რა ჯეჯილიო და რა იმდენი დავიდარაბაო – ბოლოს ჰო პური უნდა დარჩენოდათ – პური – პური – პური – პური არსობისა. პურისთვის იდგამდნენ ნელეებზე ფეხსა. პურს მიიღებდნენ და სხვა რალა უნდოდათ – რაი – რალაი – რაილასთვისლა გაენყალებინათ ტვინი იმ იმდენი შრომისაო თუ ლოდიწის მერე. რილასთვისლაო. რაილასთვისლაო. წინ ვითომაც არაფერიო. რო მოჰყვე თუნდაც ჯეჯილიდანა, რილათი

აღარ უნდა გაიწყალო ტვინიცო და გულიცაო. ჯეჯილი ჰო ჯეჯილიადა. ეს ეტერაო თუ ოდოშიო. იმ თავისი ოდოშობითა თუ ოდოჟღერობითა. ეს თავთავიო. ეს ფხაიო. ეს მარცვალიო. ეს იფქლიო. ეს ხორბალიო. ეს ნაკმაზიო. ეს ნარკვევიო. ეს ფქვილიო. და ახლა წისქვილსაც თუ გაუყვი – სახეთქელადან სარეკელამდისა!.. მერე თონესაცა – სამტკიცადან შამფურამდისა!.. როდისლა მიაღწევ პურამდეო. როდისლაო. როდისლაო. გშიან რო. კუჭი გენვის. რალა დროს ის იმდენი სიტყვარია?!. როცა რო პურია ყველაფერი: პური. პური. პური არსობისა და პური ჩვენი. ჩვენი. ჩვენი. ჩვენი!.. პური და პური!.. სხვა დანარჩენი რა მოხელეაო. ვინც რის მოხელეა, იმან იცოდეს – საქმეც იმანა და სიტყვარიც იმანა. შენ რალად უნდა გაიწვრილო გული. რალადა?!. რალადა?!. ან ჭკუა რაისთვის გადაიტვირთო. რამდენი სიახლეა – ცივილიზაცია!.. დასავლეთი!.. გლობალიზაცია!.. კიდევ კარგი რო პური შემოგრჩა. რაც უნდა შთანთქა, ის მაინც შემოგრჩა: პური!.. პური!.. პური არსობისა. პური არსობისა შენისა და შენი!.. შენი!.. ლამის ესეც რო წაგვლიჯეს პირიდანა. აბა!.. ჯერ როდის ის იყო რო ჩაგანვეთეს – „დაიხლებო ლაზარი!“?!. გახსოვს?!. რა თქმა უნდა. „რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო“. დიახაც – უწინვეო. თუ როდის უწინა, ნულარც იკითხავ. ჯანდაბას მაგათი ვთუო და ტანი. რაც თუ რა იყო გადაიტანე. პირი პირად შეგრჩა, პური პურადა. პური!.. პური!.. პური პურადა!.. ამასაც გადაიტან – „ბრედ“იო თუ „ბრენდი“ო თუ რა ახალი ჯანდაბაც არის. გადაიტან. გადაიტან. რა არ გადაგიტანია. რა არა. რა არა???!!! ამასაც გადაიტან...

პირველი შთაბეჭდილება

მაკა ჯოხაძე

„ოდოჟღერი“ – ნარმაველობის საკმეველი

როდღონ შჩედრინთან შეხვედრისას მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორმა კომპოზიტორს ჰკითხა – შოუბიზნესის კანონები კლასიკურ მუსიკას შეეხო თუ არაო. დიღმა მანესტრომ სევდიანად აღიარა, კლასიკური მუსიკის ჩანერამოსმენა სულ უფრო და უფრო ძვირადღირებულ სიამოვნებად იქცაო. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების მოშველიებით პუნქტობრივად შეეცადა გაძვირების კონკრეტულ მიზეზთა განმარტებას ინტერვიუში, მე ამ მოვლენის უფრო ზოგადი ახსნა გამაჩნია და ხსენებულ ტენდენციას სტიქიურ უბედურებათა რანგში მოვიარებ. რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, სული ისევე ინამება, ხარობს და ღვებება ღვთაებრივი მუსიკით, როგორც ყინვით დამზრალი, ანდა გვალვით დახეთქილი ნიადაგი მზითა და წვიმის უეცარი მოსვლით.

როგორც ჩანს (მუსიკალური სამყაროსაგან განსხვავებით), ლიტერატურულ სამყაროში ეს სენი გაცილებით ადრე შეამჩნიეს. ნორთრობ ფრაიმ თავის „კრიტიკის ანატომიაში“

ჯერ კიდევ 1957 წელს ასეთი დაკვირვება გამოთქვა: „ლიტერატურული საფონდო ბირჟის დაშვება, სადაც ამა თუ იმ მწერლის რეიტინგები ხან ზევით იწვეს, ხან კი ქვემოთ მიექანება, ნიშნავს იმას, რომ ლიტერატურული კრიტიკა უსაქმურთა კლასის ჭორიკნობამდე იქნას დამცრობილი“.

დააკვირდით! ეს შეკვეთა – „იქნას დამცრობილი“ – უჩინართა ხელის მიერ დაგეგმილ და კარგად გათვლილ პროგრამებს რომ გულისხმობს, დღეს უკვე რალაცნაირად გვემშობლიურება ე.წ. რეფორმათა ტყვეობაში ჩარჩენილ ქართველობას...

მეტნაკლებად ღირებული ხელოვნის, მით უფრო სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული მწერლის შემოქმედება ის იშვიათი, უნიკალური მოვლენაა, რომელიც სუბიექტურ უნივერსალიზმს გვაზიარებს და მშობლიური, ლაკონური ტერმინოლოგიებიდან გასული კოსმოსისათვის იხსნება.

მსოფლიო ბესტსელერების წარმოება კი ერთ მტკაველა, ციდა სივრცეებზეა გათვლილი. ე.წ. აქტუალური თემების ქრონიკული გამოდევნება – „ათვისება“, მათი უწყვეტობის გარანტირება, მუდმივი სენსაციის ტემპი, რეკლამა, პროპაგანდა, რეიტინგი... ის მომენტებია, რომელთა ხმაურიანი წარდგინებით წიგნის გამომცემლები, პროდუსერები, მენეჯერები მკითხველს დღესასწაულს ჰპირდებიან... არადა, ეს ხანმოკლე ზეიმები სხვა არაფერია, თუ არა ეზოდან ქუჩაში გასული ბჭების შედეგებული აგრესია, საახალწლო „ხლოპუშკების“ (მამხალეების) ვარგისიანობას დროზე ადრე (ერთი თვით ადრე მაინც) რომ ამონებენ: ისვრის, არ ისვრის; ფეთქდება, არ ფეთქდება... პატარა „ტერორისტების“ ეს „უწყინარი“ გამობდომები ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას, რბი-

ლად რომ ვთქვათ, ნერვებს უშლის, რადგან სამოქალაქო ომის კონფულსიებს და მის ფატალურ შედეგებს ასხენებს.

თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შეხსენების იმპულსები როდესმე ხსოვნის კეთილშობილ ხარისხში გადადიოდეს. მით უფრო მწარე შედეგებს ხომ ჭირახუთლივით არავინ აბინავებს ჩვენი ტვინის უჯრედებში. გამოცდილება უნუგეშოდ ცდილობს ნებისმიერი პარტიის, უწყების, ორგანიზაციის, ჯგუფისა თუ დაწესებულების ოფისში შეღწევას, როგორმე იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობა რომ შეახსენოს სახელმწიფო „მოღვაწეებს“; იდეოლოგიისა, რომლის განხორციელებასაც მშვიდად, ჭკვიანურად მოფიქრებული სტრატეგიული გეგმა და ტაქტიკური სვლები სჭირდება.

დიახ, ტაქტიკური, დიპლომატიური, რადგან ჩვენზე უკეთ სწორედ მტრის შემსწავლელმა ცენტრმა იცის თითოეულ ჩვენთაგანში ანონიმურად არსებული ამ იდეოლოგიის ნამდვილი სახელიცა და ნამდვილი ფასიც. ამიტომ ყოველნაირად ცდილობს მისი სამზოვზე გამოტანის გადავადებას, შეფერხებას... ამასობაში იქნებ სულაც გადავიწყობდეთ დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებს, რომ თავისუფლებისა თუ რესპუბლიკის მოედნებზე მოწყობილი პურისა და სანახაობის გარდა, არსებობს გაცილებით მაღალი მიზანი: „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“, სიყვარული რომ ჰქვია სახელად.

სამშობლოს სიყვარული... ამის გააზრებასაც კეთილი ნება და ნანატრი სიმშვიდე სჭირდება... რაში მდგომარეობს, როგორ გამოიხატება ეს სიყვარული. არადა, რა დააცხრობს ისტერიული ტემპით გაჩაღებულ ნგრევა-შენებას, ყიდვა-გაყიდვას, კანონთა მიღებას და უკანონობის დაკანონებას... ყველაფერთან ერთად იმედსაც ფასი დაუკარგეს. მინისტრთა თუ მთავრობის ნევრთა კაბინეტის კედლებზე კი ჩვენი დიდი მოღვაწეების პორტრეტები ისე უმწეოდ იცქირებიან, როგორც გულუბრყვილო მშობლების მიერ აკვნებზე ჩამოკონიალებული გიშრის ავგაროები – აქაოდა ჩვენს პატარებს თვალი არ ეცეთო.

ამ სარკასტულ რეჟისურაში, ქვეყნის ტრაგედია შოუბიზნესად რომ აქცია, პოეტი ისევ სევდის რთველში გვეპატიჟება:

**როგორც გაკრფილ ვენახში მტევნები
იმეითაა ქვეყანაზე მართალი გულები.**

თუკი ვინმეს დარჩა, უპირველეს ყოვლისა, ალბათ მწერალს დარჩა მართალი გული და კეთილი თვალი. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ჭკუამოკლის მიერ „ძველი ყაიდის მწერლად“ სახელდებულია იგი, ვეზუვის ვულკანთან ეულად მდგარი ჯარისკაცისთვის, ჯიუტად რომ იცავს ჯუნგლის კანონებით გააგებულ ქალაქს და ჯიუტად სჯერა – რომ ამოხოცონ და დაჭამონ ამათ ერთმანეთი, მაინც აქაურობის დაცვაა საჭირო, დგას და ფხს არ იცვლის სიკეთის დასაცავად. ამ ვაკხანალიაში მტრის ჯინაზე სახელმწიფო ჰერალდიკას ზეით ეწევა და ქარში აფრიალებს...

ჩვენს თანამედროვეთა შორის ყველაზე ჯიუტი და შეუპოვარი მაინც ოთარ ჩხეიძე აღმოჩნდა, რომელმაც ნაყოფიერების თვალსაზრისით კარგახანია მოხსნა ევროპელი მწერლების რეკორდი. ლიტერატურული ნერილების, ესეების, მემუარების, სამეცნიერო თხზულებების, პიესების, ზღაპრების, თარგმანების უამრავ კრებულთან ერთად იგი 22 რომანის ავტორია. სულ ბოლო წლებში დაწერა შესანიშნავი ტრილოგია: „ბერმუდის სამკუთხედი“ „მორჩილი“ და „ლაზერმოუ“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გაოცებას იმდენად პროდუქტიულობა კი არ იწვევს ამ ასაკში, ბოლოსდაბოლოს ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არსებობს სტილის ინერცია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწერალს სა-

შუალებას აძლევს დარჩეს საკუთარი მიღწევების ტყვეობაში და პროფესიონალიზმის წყალობით შექმნას ილუზია, რომ ყოველი მომდევნო ნაწარმოები ახალი და გამორჩეულია.

გაოცებას სწორედ მისი ასაკისათვის უჩვეულო, ვიტყოდი, არაბუნებრივი ენერჯია და სტილური ექსპრესიის შენარჩუნება იწვევს. ბოლო წლებში ოთარ ჩხეიძემ მთლიანად შეცვალა ხელწერა, სტილური მანერა, რომლის ვერათვისების, ვერგაგების თუ უბრალოდ ვერმიღების გამო თავის დროზე მწერალს აქტიურად საყვედურობდნენ და სჯიდნენ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რალაც ძალიან მნიშვნელოვანი, იქნებ ბოლომდე გადაუგვარებელი ინტუიციაც კი, უფლებას არ აძლევდათ საერთოდ არ შეემჩნიათ ამხელა ხელოვანი.

მეჩვენება, რომ გამოსავალი აქაც უცხოეთის მიბაძვით მოიძებნა და იგიც ფოლკნერივით და ჯოისივით „წნელადასაკითხავ მწერალთა“ რიგს მიაკუთვნეს ჩვენში.

ურთულესი, ვრცელი თანწყობილი წინადადებებიდან, რომელთა განმეორებადი ნრებრუნვაც თავის წიაღში ატმოსფერული ძაბრივით თითქოს საგანგებოდ ითრევადა მხატვრული სივრცის ნაკადებით ამოძრავებულ ეპოქალურ პროცესებსა და მოვლენებს, რომლის წყალობითაც ერთდროულად ინიღბებოდა და იმიფრებოდა კიდევ მწერლის მიერ დასმული აქცენტები და, თავგზაბნეულ ცენზურასთან ერთად დიდი პოეტის მიერ „გადაამკითხველბად“ მონათლულ მკითხველებსაც აღიზიანებდა, დღეს თითქოს აღარაფერი დარჩათ სასაყვედურო.

თითქოს ყველაფერი დაიშალა, გასწორდა, გამარტივდა. მთავარიანი რელიეფივით ჩვენს თვალწინ გადაჭიმული პასაჟები, აზნაცები ორსიტყვიან, ხშირ შემთხვევაში ერთსიტყვიან წინადადებებად იქცა. მხატვრულ ტექსტში ზმნის წყალობით ისეთივე თავბრუდამხვევი დინამიკა შეიქმნა, როგორც თავის დროზე „ტრაგედია უგმირით“ და „თავსაფრიალი დედაკაცის“ ავტორმა შექმნა.

ოლონდ ნიკო ლორთქიფანიძესთან ზმნის, როგორც ერთი კაცის ენერჯია, მოკლე დისტანციაზე გარბნას ეყო. ამიტომაც მისი, როგორც ოსტატის ბრწყინვალეობა სწორედ მინიატურებში გამოვლინდა. ოთარ ჩხეიძესთან კი ზმნის შეუჩერებელი ქმედება მხატვრული ქსოვილის კილომეტრებს გასწვდა. კითხვის პროცესშივე შექმნა განცდა, რომ რომანის არაჩვეულებრივ მოზაიკურ მოძრაობას უსასრულოდ შეგიძლია მიაღწევოთ თვალი – მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.

და ბოლოს, რადგან მინიატურა ვახსენეთ, მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ მზადდება ოთარ ჩხეიძის ნოველებისა და მინიატურების მესამე წიგნი (ციკლიდან „ჩემი სოფლის ეტიუდები“), რომელსაც მწერალი ბოლო წლების განმავლობაში რომანების პარალელურად წერდა.

ვეთანხმები თანამედროვე რომანის პრობლემებზე დაფიქრებულ მილან კუნდერას, რომ არსებობს ისეთი პრობლემები, მეტაფიზიკური თუ ადამიანურ ყოფასთან დაკავშირებული, რომელთაც ფილოსოფია ვერასოდეს ართმევდა თავს და მათი მოხელთება უფრო რომანის პრეროგატივა იყო.

ფეიქრობ, რომანის ნაცვლად, ჩვენს შემთხვევაში, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ ობობას მსგავსად მხოლოდ მწერლის ნარმოსახვის უფაქიზესი ქსელი მოიხელთებს ერთდროულად როგორც ადამიანის შინაგან სამყაროში, ისე მის გარეთ არსებული რეალური დროისა და სივრცის სამანებს... მხოლოდ მწერლის მოაზროვნე გული ახერხებს სამყაროში გაფანტულ, ერთი შეხედვით სრულიად დანანევრებულად, დამოუკიდებლად არსებული საგნების, ფიქრების, დინებების, განცდების თავმოყრას, დაკავშირებას და მათთვის აზრის მიჩიქებას.

პირველი შთაბეჭდილება

რას ნიშნავს ამ თვალსაზრისით „ჩვენი მწერლობის“ დღევანდელ ფურცლებზე წარმოდგენილი ოთარ ჩხეიძის ნოველა „ოდოჟლერი“?

დარწმუნებული ვარ მწერალმა ოდესღაც აშკარად იხილა ახალდამნიჭებული ყანის ტალღებში შეცურებული სამი გოგონას ხატება. ესაა და ეს. რა არის ამაში განსაკუთრებული? ვინ იცის, რამდენი ასეთი მშვენიერი, უცნაური თუ აუხსნელი სურათი ჩარჩენილა თითოეული ჩვენთაგანის მეხსიერებაში...

ოთარ ჩხეიძემ ამ პატარა შედეგში – „ოდოჟლერი“ – წარმავლობის ამ უჩვეულო ჰიმნში, სევდის წვეთში რომ მოათავსა ჩვენს ირგვლივ არსებული ლანდშაფტი, ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური, ბიოლოგიური ზრდისა თუ წინსვლის წუთობრივი აღწერა და საუკუნეებში გამოტარებული ერთი „აგარაული“ სიტყვის როგორც შინაარსობრივი,

ისე მელოდიური დატვირთვა, გვიჩვენა, რომ ვერაფერი გადაურჩება ბებერ ყაჩაღს, დრო-ჟამის მსახვრალი ხელით განძარცვას... ვერც ბუნება, ვერც კაცი, ვერც სიტყვა...

მაგრამ ჩვენი მეხსიერება მანაც გამოსტაცებს ბედნიერების იმ უცნაურ წამებს სამყაროს, როცა ფიზიკურად, ჟრჟოლივით აგიტანს რუსთველის სიბრძნის ფორმულა:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი...“

როგორ შეიძლება ამ უიშვიათეს მთლიანობას, სრულყოფილების ამ ნეტარ შეგრძნებას ტყუილბურალოდ იმეტებდეს ღმერთი. ამიტომაც ოთარ ჩხეიძემ ჰიმნი უძღვნა მას. „ოდოჟლერი“ წარმავლობის წამიერი მოხელთების ბრწყინვალე ნიმუშია, რომლის სურნელიც საკმეველივით ეზიდება ჩვენსკენ სოფლის ტკბილ-მწარე კვამლს და კიდევ ერთხელ გვაზიარებს მხატვრული სიტყვის სასწაულებრივ ძალას.

პოეზია

ბელა ჩეკურიშვილის ლექსები ქართულ სალიტერატურო პრესაში დიდი ხანია იბეჭდება. წლების მანძილზე მის მიერ პერიოდიკაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება, მკითხველისა, რომელსაც არ უჭირს მართალი ინტონაცია და პირველ, გაუბედავ სტრიქონებში მოცახცახე შემოქმედებითი პოტენცია ამოიცნოს.

დროთა განმავლობაში კი ბელა ჩეკურიშვილი თანდათან დაიხვეწა, სტილი უფრო მკაფიო, ხოლო სათქმელი უფრო ნათელი და მრავალნახნაგოვანი გახდა. ვფიქრობთ, დღევანდელი პუბლიკაცია ამის დასტურია. ავტორი შესანიშნავად ფლობს როგორც კონვენციური, ასევე თავისუფალი ლექსის ნიუანსებს და ორივე შემთხვევაში საკუთარი განცდილ-ნააზრების მკითხველამდე მიტანას ერთნაირი წარმატებით ახერხებს.



ბელა ჩეკურიშვილი

წერილი მეორე

თემოს

„ჩემს თავს, ბებერ თავს,
ერთნაირად თეთრსა და მოჭრილს“...

ისევ დამჩემდა გზისკენ ყურება და შენს ნატერფალს
ფრთხილად ვაბიჯებ,
აღსრულებულა ძველი თქმულება, დაღენილია ყველა
კარიბჭე,
გადამწვარია ყველა ქალაქი, დაუტაციათ ნადავლი
მხედრებს,
უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, რაც ითვლებოდა
სინმინდედ დღემდე,
უკვე იმაზეც მიმანიშნებენ, რომ დრო მკურნალობს,
და რომ დაგმშვიდდე,
თვალს მარიდებენ ქადაგ-მისნები და გამირბიან
როგორც ბავშვები,
და ისიც უკვირთ, როგორ გადავრჩი, უშენოდ როგორ
ვაგრძელებ სუნთქვას,
იჭყიტებიან ჩემთან კარავში, ვითომ საათის გაგება
სურდათ.
ქვასავით ვზივარ დობილთა შორის და გამვლელები
გვიქებენ კაბებს,

მინდა დავმალო მუხლების ჟრჟოლა და გადავცლაპო
პატარა აბი,
უხერხულია ხმამალა კენესა, ვიცი და წყნარად იხსნება
ჩანთა,
(მათ გასაგონად! ცოცხალი დღეს ვარ, თორემ ხვალ
ბოლმა ცეცხლივით ჩამნთქავს),
რომ არ გექებე ცხრაკლიტურებში, რომ არ გავადნე
ჯაჭვები ლოკვით,
ვყოფილიყავი უნდა მელექსე, უნდა მცოდნოდა
გრძნეული როკვა,
სისხლით დამეთრო ციხის მცველები, ღამის გუშაგი
მომემთო თმებით...
შეიცვლებოდა ძველი თქმულება, მაგრამ წინასწარ
ვერასდროს ვგვდებით,
როდის წავიდეთ და როდის დავრჩეთ, როცა გრძნობები
სასწორზე გვიდევს,
მუდამ ვილაცას ვაბრალებთ სასჯელს, დავიმსახურეთ
რომელიც თვითონ.
.....
ქარია ახლაც ზამთრის და ავი, გვიწნავს სულელებს
და ფარულ ვნებებს,
შემოაქვთ შენი მოჭრილი თავი და ჩემს წინ,
აქვე თაროზე დებენ.

გომიტი არაპულს, ჰომეტს

(თვითმკვლელებისათვის ერთი დღე არსებობსო, ამბობენ)

გაფანტულია ჩვენი ეჭვები ნახნაგოვანი ქალაქის თავზე,
 დღეს შეგვიძლია გადმოვიჯება და მთვარეც არის ისეთი
 საესე,
 რომ სახურავებს, არ დაიჯერებთ, გადაფრენილი
 სულელებით ავსებს.
 დღეს შეგვიძლია სახლებს ვენვიოთ და აივნებზე
 ჩამოვისვენოთ,
 მოგონებები დილას შევნიროთ და შევიყვაროთ ლამის
 მისნები,
 ვიდრე ვიპოვით ჩვენ ჩვენს მენყვილეს და ვიდრე ზეცა არ
 გაიხსნება.
 დღეს შეგვიძლია აღარ ვიდარდოთ, რომ ერთმანეთი
 დროში დავკარგეთ,
 რომ ვიქნებოდით ახლა მდიდრები და ხალიჩები ხელით
 ნაქარგი,
 გაფენილია ლაბირინთებში, როცა სიკვდილი დაქრის
 კარდაკარ.
 დღეს შეგვიძლია სიტყვებსაც ვენდოთ, რასაც ტირიან
 და რასაც გვწერენ
 უცნაურია ასეთი სევდა ამდენი წლის და თვეების მერე,
 როცა მაგიდის გარშემო სხედან და სიგარეტის ითვლიან
 ღერებს.
 გაფანტულია ჩვენი ეჭვები, სისხლი მიჰყვება მდინარის
 ტალღებს,
 დღეს გვაპოვნიან ნატურის ბეჭედი, დღეს მოვერიეთ
 ლალატის ბალღამს
 და ბედაურებს, მთაში დაჭედილთ, გათენებამდე
 გავიყვანთ გაღმა.

BODY ART

მაიას

შემიღებე ზურგი და მკლავები,
 დამახატე თვალები ბეჭებზე
 და მუშტმოღერებული თავისქალა ხერხემლის გასწვრივ,
 დამამსგავსე ვეფხვსა და ქედანს,
 ხობისყელისფრად დამიფერე
 წვივები და მუხლისთავები,
 რადგან არა მაქვს საწმერთული ერისთავის ქალის
 საკადრი,
 გააკეთე ნატურმორტი ჩემი მკერდისგან
 მარწყვებით და ვარდის კოკრებით,
 ტანის სიშიშვლით აღვადგინოთ მეთავე მცნება,
 ნუ დაზოგავ ოქროს და კობალტს,
 მოაპირკეთე ბილიკები მუცლამდე
 და ყელის გარშემო,
 მერე რა, თუკი დროში ავცდით იმ საუკუნეს,
 როცა ქალებს მაქმანები ეფინათ ნელზე,
 მხატვრები კი
 მათ წყლის პირას გამოსახავდნენ.

ოცნებების აკვარიუმი

მე უნდა მქონოდა
 გახლეჩილი ფორთოხლის ღიმილი
 და შენ უნდა აღმოგეჩინა
 ვარდისფერი ხალები ჩემს მუცელზე,
 უნდა ვყოფილიყავი
 ცამეტჯერ ცამეტი წლის
 და ობობას სიმშვიდით დავლოდებოდი
 შენს გამოჩენას,
 უნდა დამერღვია შენი კავშირები ანმყოსთან,
 თიხის ქოთნებში მეთესა შური
 და სანამღავით ამომეცხო
 თანაგრძნობის ყოველი ხვრელი,
 ყოველ დილით უნდა ჩამერთო
 წითელი მადულარა
 და ყოველ საღამოს მეყვირა „რატომ“,
 იქნებ გამეღვიძებინა
 კარადის თავზე მთვლემარე
 ნაცრისფერი ბეჭემოტები,
 უნდა მეთმინა
 შენი ქურთუკის მარჯვენა ჯიბე,
 არამც და არამც არ გამელო
 მეთორმეტე ოთახის კარი,
 სადაც გულუბრყვილო არიადნა ეკიდა თმებით,
 ჩემი ოცნებების აკვარიუმი
 უნდა წვეთნვეთად ამომშრალიყო
 და მოფართხალე თევზებისაგან
 შენი საყვარელი მაიონეზის სალათი დამემზადებინა.

„ლია“

სანამ ჩემი ნაზამთრალი მკლავები
 მზის სხივებით გამომთვრალან,
 სანამ მოსულან გაპრანჭული გიაცინტები
 და თბილისის ყველა ავიაკომპანია დამინყევლია,
 სანამ მომკვდარა
 შენი ქალაქის ბოლო მცხოვრებელიც
 და სისხლიან ქუჩებს
 შხლაპა-შხლუპით სანამ დავივლი,
 იქნებ ჩამოვსხდეთ,
 ნაყინთან ერთად დავიგემოვნოთ
 ოქროსფერი სკოლის ფასადი,
 ნაცნობ-მეგობრებს
 ღიმილები გადავაცლაპოთ
 და თუ მზეც იქნა,
 შუბლი შევჭმუნხოთ.
 ანმყო ძვირია საცხოვრებლად,
 მომავალი კი, თითქმის უფასო,
 შემეკითხე გადახაზული კალენდარი,
 ჩამოხეული დღეები
 და დაფანტული უიქენდები.
 შენი ტკივილის გამონურვას
 ახლალა მოვრჩი
 და საერთო კოქტილი შევაზავე.

პოეზია

დალევის მერე
ცარიელი ჭიქები უფრო სევდიანი სანახავია
და მარტოობით თუნდაც დავმუნჯდეთ,
მოვეფეროთ დედამინას
თეთრი ფრჩხილებით,
მოვმუჭოთ და სული ჩავბეროთ.

„მე არ ვუყვარვარ საქართველოს“
რეზოს

სწორედ ის სადგური,
სწორედ ის ქალაქი,
კუნძული, რომელიც გვაჭრყოლებს,
გაქცევით სულდგმულობს
ჭერი და ავეჯი,
ობობას მზითვი და გარაჟი,
თუ პაციენტები
კლინიკის აურით,
ფერადზე ფერადი კაბებით,
ფეხებზე (თანდათან სისხლისგან იცლები)
გაცსა და არმაზსაც იკიდებ.
ჩლუნგდება,
უნყალოდ ობლდება სამშობლო,
გავრბივართ,
რვაფეხებს გავასწრებთ,
უჩანგლოდ აწყობენ
სამარხვო მაგიდას,
წუხს წმინდა გიორგი გავაზის
ნასხვისარ რწმენას და
ერთჯერად სიყვარულს,
ქალაქზე გადაცვილი იმედებს,
(ოლონდაც გვენახა,
სიკვდილი გვენახა,
გველემას უცრემლოდ ვიმეტებთ).
ჩამოვსხდეთ,
ნასვლის წინ დავთვალთ თითები,
ქაშვეთში პირფარის დამწერის,
ბავშვობის განირვით
ფეხვები გვილპება
და თვალებს ჭაობში ვაცეცებთ.
და თუკი არ ვიშლით,
თუ მაინც ვღალატობთ

(მინას და სალ კლდეებს კი არა),
უზნეო ბავშვივით
ტკბილეულს ვხარბდებით
და სულში ნიანგი წრიალებს,
თუ მაინც ეშვება
ფარდა და ჟალუზი,
არენა ჩვენს სახელს გაჰკივის,
მოვირგოთ ჯაჭვები,
ხმალი და ჩაჩქანი,
და მთელი გვერჩიოს ნახევარს.

ენკი, ბენკი

როცა ნიკრისის ქარები შემანუხებს,
შენ ჩამოჯდები ჩემს წინ
და მეტყვი: „ენკი, ბენკი“ . . .
ალბათ ჩიბუხი გექნება ხელში
და შეიძლება სომბრეროც გეხუროს.
მე შეგეხვეწები,
გადაშენებულ მუსტანგებზე მომიყევი,
ანდა ბიზონი დამიხატე კედელზე-მეთქი,
შენ შემახსენებ,
რომ მენამული კაბა მეცვა
ორპირობის დღესასწაულზე
და მუხლებზე დაფენილი პლედის კალთებს ამომიკეცავ.
მე ნავიტირებ
ჩემი შავი კულულების
და შენი წყლისფერი თვალების გამო,
მეორე დღით კი,
ერთი დღით ბებერი ვიქნები
და ჩემი ცრემლი არ მესხომება.
ჩვენი ოთახი სავსე იქნება
სირაქლემას ფრთებით
და ინდიელთა საბრძოლო ჰოროლებით,
შენ დილა-სალამოს ააჩხაკუნებ
გულზე დაკიდულ ნიანგის კბილებს
და შამანის ლოცვებს ნაიბუტბუტებ.
ზაფხულობით კი
ჩენდლერთა საგვარეულო რელიქვიებს
ახალგაზრდა ჯამბაზებს ჩამოვურიგებთ
და აივანზე
მზის აბაზანებს დავეხარბებით.

ქრონიკა

ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა „ვუნდერკინდი“ და მოსწავლეთა გაზეთმა „ნერგი“ გამართა მოსწავლეთა თხზულებებისა და ნახატების კონკურსი, რომლის თემატიკა უკავშირდება საქართველოს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 1500-მდე ნამუშევარი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. მის შედეგებს მიეძღვნა „ნერგის“ საგანგებო ნომერი. გამარჯვებული თხზულებანი და ნახატები გამოიცა ცალკე წიგნადაც, სათაურით „ჩემი საქართველო“. 23 დეკემბერს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა ამ კრებულის წარდგინება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ქრონიკა

21 დეკემბერს კაფე „გოეთე“ მასპინძლობდა გამომცემლობა „დიოგენესა“ და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის თაოსნობით გამართული ორენოვანი პოეტური კრებულის — პაულ ცელანის „სიმღერა უდაბნოში“ (გერმანულიდან თარგმნა ზვიად რატიანმა) — პრეზენტაციას.

ლიანა ელიავა

სიყვარულის მისტერიები

როდესაც უფროსი „ომეგას“ ფურცლებზე (2002, №4) ანდრე კარბელაშვილის სტატია გამოქვეყნდებოდა დაგნი იუელსა და მის ტრაგიკულ აღსასრულზე, საგულისხმო სათაურით „სილამაზის ბედისწერა“, რედაქცია ვარაუდობდა, რომ მას უსათუოდ მოჰყვებოდა საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ დაგნი იუელი ისევე იქცა ქართველ შემოქმედთა შთამბეჭებლად, როგორც საუკუნის წინათ აფორიაქებდა თვალსაჩინო ევროპელ ხელოვანთა – ედუარდ მუნკის, ავგუსტ სტრინდბერგის, სტანისლავ პშიბიშევსკისა და, როგორც ირკვევა, კნუტ ჰამსუნის – სულსა და გონებას.

და ეს კოლორიტული ნორვეგიელი ქალი თბილისში გამოეცალმება სიცოცხლეს.

დაიკრძალება კუკიის სასაფლაოზე.

შემდგომ სწორედ ანდრე კარბელაშვილის თაოსნობით გადასვენებენ მის ნეშტს წმინდა ნინოს ეკლესიის გალავანში.

ესეც ჩვენი „ნილი“ მის მლეღარე და ხანმოკლე ბიოგრაფიაში.

ამ თემაზე პირველად ზურაბ კანდელაკის რადიოპიესა შეიქმნება – „მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი“ და მისივე რეჟისორობით დაიდგმება საქართველოს რადიოში.

პრემიერა გაიმართა 2002 წლის 1 სექტემბერს და მონაწილეობდნენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზურაბ ყიფშიძე, რევაზ თავართქილაძე, მერაბ შარიქაძე, გივი ჩუგუაშვილი, არჩილ ბარათაშვილი, მათთან ერთად პოლონელი მსახიობი მალგოჟატა პავლაკი. დადგმა წარდგენილი გახლდათ ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე, დაიმსახურა მონონება და შეიტანეს საუკეთესო რადიოსპექტაკლთა კატალოგში.

პიესას ზურაბ კანდელაკი 2003 წლის მარტში ვარშავაშიც დადგამდა პოლონურ ენაზე.

„მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლის“ განხილვა გაიმართებოდა „ომეგას“ კულტურის ცენტრში 2003 წლის 13 მაისს, მისი რეპორტაჟი („დარჩეს ლამაზ ლეგენდად...“) გამოქვეყნდებოდა „ჩვენი მწერლობის“ 20 ივნისის ნომერში, ხოლო 22 აგვისტოს ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდებოდა თვითონ რადიოპიესის ტექსტი.


ამჯერად ვთავაზობთ ჩვენი ცნობილი კინორეჟისორის, ფინეთში მცხოვრები ლიანა ელიავას ლიტერატურულ-დეტექტიურ ნარკვევს დაგნი იუელზე, დეტექტიურს არა იმდენად მკვლევარობის გარემოებათა გამო, რამდენადაც კნუტ ჰამსუნის „მისტერიები“ ამ ტრაგიკული ქალბატონის სახეობის მიგნებით.

უფროსი მომდევნო ნომერში ამავე თემაზე გამოქვეყნდება ლამა იმედაშვილის მოთხრობა „ვუძღვნი ქალებს, ჩემთან მწყარალებს“.

როგორც ხმები მოგვწვდა, კიდევ რამდენიმე პიროვნება დაინტერესებული ამ ამაღლევებელი თემით და, როგორც ჩანს, დაგნი იუელის ხელახალი სიცოცხლის თავისებურ „ბუმს“ უნდა ველოდეთ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

მე-19 საუკუნის მიწურულსა, კერძოდ 1899 წ. ზაფხულში, და მე-20 საუკუნის დასაწყისში – 1901 წ. გაზაფხულზე, სულ რაღაც ორი წლის განსხვავებით საქართველოში იმოგზაურეს ცნობილმა ნორვეგიელებმა: კაცმა და ქალმა.

პირველ შემთხვევაში ეს გახლდათ 40 წლის, იმ დროისთვის უკვე საქვეყნოდ აღიარებული მწერალი, ავტორი რომანებისა: „შიმშილი“, „მისტერიები“, „პანი“, „ვიქტორია“ და სხვ. შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი – კნუტ ჰამსუნის, ერთი წლის შერთულ მეუღლესთან ერთად. ცოლქმარმა იმოგზაურა რატომღაც ინკოგნიტოდ, სხვისი ცვარსახელებითა და საბუთებით, ამიტომ საქართველოშიც არ დახვედრიან, როგორც თავის დროზე ალექსანდრე დიუმას – ზარ-ზეიმით. გაჩერდნენ სასტუმრო „ლონდონში“. შენობას ამ ფაქტის აღსანიშნავად ახლა მემორიალური დაფა ამშვენებს. 1903 წ. ჰამსუნმა გამოაქვეყნა ესეი, სათაურით „ზღაპრულ ქვეყანაში“, რომელიც მისი ცხოვრების სწორედ



დაგნი იუელი

მხატვარი ედუარდ მუნკი

ამ ეპიზოდს ანუ – რუსეთის გავლით – კავკასიაში მოგზაურობას ეხება.

მეორე შემთხვევაში ეს იყო ნორვეგიელი პიანისტი, მხატვარი, პოეტი ქალი, მეუღლე პოპულარული პოლონელი მწერლის – სტანისლავ პშიბიშევსკის, მუზა დიდ ხელოვანთა, მისი თანამემამულის, მხატვარ – ედუარდ მუნკის და შვედი მწერლის – ავგუსტ სტრინდბერგისა, დაგნი იუელ-პშიბიშევსკია.

ამ მოგზაურობისას დაგნი იყო 34 წლისა და მას თან ახლდნენ: 6 წლის ვაჟიშვილი – ზენონი და ოჯახის მეგობარი – ჭიათურის მარგანეცის საბადოების მფლობელის შვილი – 25 წლის ვლადისლავ ემერიკი, რომელმაც მიიწვია სტანისლავ პშიბიშევსკის ოჯახი საქართველოში. თვით სტანისლავი, სამსახურებრივი საქმეების გამო, ვერ წამოვიდა მათთან ერთად, დათქვეს, კვირის თავზე ჩამოსულიყო. დაგნი შვილთან ერთად დაბინავდა სასტუმრო „გრანდ-ოტელში“, მოგვიანებით აქაც განჩნდა მემორიალური დაფა. ემერიკს მასპინძლობ-

და მისი მეგობარი, საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი – მელჩავესკი.

გავიდა დათქმული კვირა, ათი დღე, პშიბიშვესკი არ ჩანდა... ახალგაზრდა, სიმპათიურმა ემერიკმა ზღვარს გადასული ყურადღება გამოიჩინა სიყვარულს მონატრებული ქალი-სადმი... საბედისწერო მეთერთმეტე დღეს ემერიკმა რევოლვერის გასროლით მოკლა დაგნი, რის შემდეგ თვითონაც მოიკლა თავი. ორივე დაკრძალეს თბილისში, კუკის სასაფლაოზე. საუკუნის თავზე ქართველი მკვლევარის ანდრე კარბელაშვილისა და კუკის სასაფლაოს დირექტორის არკადი ჭოველიძის თაოსნობით დაგნი გადასვენებულ იქნა იქვე, წმინდა ნინოს ეკლესიის ეზოში მდებარე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, რომელიც არკადი ჭოველიძის მიერვეა დაარსებული, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მისი ქალიშვილის – თამარიკო ჭოველიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მკვლევარმა ანდრე კარბელაშვილმა მოიძია ცნობები დაგნის მკვლელობის შესახებ იმდროინდელ თბილისურ პრესაში და, მრავალ საინტერესო მასალასთან ერთად, გამოაქვეყნა ჟურნალ „ომეგაში“ 4/2002, სათაურით „სილამაზის ბედისწერა“.

თურმე მკვლელს დაუტოვებია სამი წერილი: ერთი – ქმრის, სტანისლავ პშიბიშვესკისადმი, მეორე – ვაჟიშვილის, ზენონისადმი, როცა იგი 24 წლისა გახდებოდა, მესამე – მეგობრისა და მასპინძლის, მელჩავესკისადმი.

რა იყო ამ სამიწერილი ტრაგედიის მიზეზი? ასახელებენ ექვიანობას, მისი გამომწვევი პიროვნების დაუკონკრეტებლად. ჩვენ გავგვიჩნდა სურვილი, ამ ტრაგედიის მოქმედი პირობების ცხოვრებისა თუ შემოქმედების დაწვრილებითი და შედარებითი ანალიზით, მივიწყებული სინამდვილის აღდგენისა.

გარდა ამ თავსატეხისა, გვინტერესებს ჰქონდა თუ არა ერთმანეთთან როდისმე, სადმე შეხების წერტილი საქართველოსთან ერთდროულად დაკავშირებულ, ორ ცნობილ ნორვეგიელ ქალსა და კაცს: დაგნი იუელსა და კნუტ ჰამსუნს, ცხოვრებასა და შემოქმედებაში? ისინი ხომ საერთო ნაცნობ-მეგობრების (მუნკი, სტრინდბერგი) წრეში ტრიალებდნენ?!

დე, მომიტევეს ჰამსუნზე შესანიშნავი სტატიის ავტორის, გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსანდრე კუპრინის უკვდავმა სულმა, თუ არ დავეთანხმები მის აზრს დიდ ადამიანთა ბიოგრაფიით დაინტერესების არაკეთილშობილებაზე და პასტერნაკის სტრიქონებს მოვიშველიებ: „Во всем мне хочется дойти \ До самой сути“, რათა გენიოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა კუთხე-კუნჭულში შევადინო, ოღონდ არა პიკანტურ წვრილმანებზე სანადიროდ, არამედ ცრუ მითების გასაქარწყლებლად და გარდასულთა შეწუხებული სულების სალბუნად.

ცისკრის ვარსკვლავი

დაგნი ნორვეგიულად ცისკრის ვარსკვლავს ნიშნავს. იგი თავისი გარეგნობითაც ამართლებდა ამ სახელს. დაიბადა 1867 წ. სამხრეთ ნორვეგიის პატარა ქალაქ კონსვინგერში. ამ ზაფხულს შემთხვევით გზად გავიარე, შერეული ტყით დაფარულ გორაკებზე შეფენილ ამ ქალაქში, რომელსაც მდინარე ჩაუდის. ქალაქის მისადგომებთან მე-17 საუკუნის, სამხედროების სადგომ-საცხოვრისის მსგავს ქვის ნაგებობებზე მიგვანიშნა ექსკურსიამძღოლმა. ეტყობა, ძველი ქალაქია. რკინიგზა ალბათ დაგნის დროსაც არსებობდა, ისეთი მრავალრიცხოვანი განშტოებები აქვს ამჟამად. ქალაქი ცნობილია, როგორც ხე-ტყის მძლავრი დამამზადებელ-განმანაწი-

ლებელი ბაზა. რკინიგზის გასწვრივ მორების გორები დგას, ახალმოჭრილი ხეები ირწყვება, უკვე ფიცრებად დაჭრილ-დახერხილი კი საგანგებოდაა შეხვეული გასაგზავნად.

ადმინისტრაციული ცენტრის გარდა, ქალაქი ძირითადად ხისაა, ორ-სამ სართულიანი. იგი დაახლოებით თანაბარი მანძილითაა დაშორებული ოსლოსაც და სტოკჰოლმსაც. ბუნება აქ უფრო რბილი, შეედურია, ვიდრე მკაცრი, ნორვეგიული. ქალაქს ორივე მხრიდან ესაზღვრება პატარა ტრაქტორებით ორხაზიან რვეულებად გადახაზული, შერისისა და კარტოფილის ყანები. ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია, შიგნიდან ქალაქი ალბათ თავისი ნორვეგიული სულსკვეთებით ცხოვრობს. სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, დაგნის სახლი, სადაც ამჟამად ქალთა სახლ-მუზეუმი, ვერ დავათვალიერე.

დაგნის მშობლიურ ქალაქში ამ ხანმოკლე ექსკურსიის შემდეგ ისევ დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს.

ექიმის ოჯახში დაბადებული დაგნი სწავლობდა მუსიკას, მხატვრობას, ლიტერატურას ჯერ ქრისტიანიაში (ოსლო), ხოლო 1893 წლიდან – ბერლინში. ახალგაზრდა, ლამაზი დაგნი გამოჩენისთანავე ორივეგან მოექცა შემოქმედებითი ბოჰემის თავბრუდამხვევ მორევში, სადაც პარიზული მოდის მიმდევრები ქადაგებდნენ სიყვარულის თავისუფლებას, სექსუალურ თანასწორობას, ეტანებოდნენ მაგარ სასმელებს. იგი გახდა დიდ ხელოვანთა სულთა მპყრობელი.


ოლოფ ლაგერკრანცი წიგნში „ავგუსტ სტრინდბერგი“ წერდა, რომ 1893 წელს დაგნი ჩამოვიდა ბერლინში მუნკის გამო. ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მუნკს უყვარდა დაგნი და აქცია იგი თავისი შემოქმედების მთავარ ფიგურად. ამავე დროს მას მეტოქეობას უწევდა სტრინდბერგი, რომელმაც დაგნის ასპაზია შეარქვა. ამბობენ, დაგნი სტრინდბერგს უნდა უმადლოდეს თავის შელახულ რეპუტაციას. ამის დასტურად ხშირად უთითებენ მის მისტიკურ რომანზე „Inferno“ – „ჯოჯოხეთი“, რომელიც სამშობლოს, ოჯახს იძულებით მონყევტილი მწერლის მიერ ფსიქიკურად გაუნონასწორებელ მდგომარეობაშია შექმნილი და ჰიპერტროფირებული სუბიექტურობით სცოდავს.

ცნობილია, რომ სტრინდბერგი დიდად არ სწყალობდა ქალებს, მიიჩნევდა ქალს ადამიანური არსებობის განუვითარებელ ფორმად, მამაკაცს კი – მწვერვალად, კულტურის შემქმნელ-შემოქმედად და, რადგანაც ქალი თავის თავს ვერ გადაახტებოდა, მამაკაცთან მისი გათანასწორებაც არარეალურად მიაჩნდა („ფროკენ ჯულიას“ წინასიტყვაობა).

1897 წელს გამოქვეყნებული მისი ავტობიოგრაფიული რომანიდან „გიჟის სიტყვა თავის დასაცავად“ ქვეყანას მოედო პირველ ცოლთან, მსახიობ - სირი ფონ ესენთან, მწერლის გაყრის სკანდალური ამბავი. ბუნებრივია, ქალებიც შესაბამისად პასუხობდნენ. იყო შემთხვევა, როცა სტოკჰოლმში მისი ტრაგედიის „მამა“ პრემიერისას, რომელიც აღიქმებოდა ქალების სიძულვილის მანიფესტად, მაყურებელ ქალთა ნაწილმა დარბაზი დატოვა. არც დაგნი აღმოჩნდა ამ მხრივ გამონაკლისი, მასზე 18 წლით უფროსმა, მსუქანმა (დაგნის შეფასება) სტრინდბერგმა საბოლოოდ მაინც ვერ მოინადირა არანაკლებ გენიალურ მამაკაცთა თავყვანისცემით განებებულ ქალის გული. რაღაც მინიშნებები ყოველივე ამაზე იკითხება მუნკის მიერ შექმნილ სტრინდბერგის პორტრეტში, რომლის გრაფიკულ ჩარჩოში ჩანერილია „ა. სტინდბერგი“ სტრინდბერგის ნაცვლად, „სტინ“ კი ნორვეგიულად მსუქანს ნიშნავს. შეიძლება ეს უბრალო შეცდომა იყოს, მაგრამ ფროიდი სწორედ ასეთ შეცდომებში ხედავდა ჭეშმარიტებას.



სტანისლავ შჩიგოლევი



ედუარდ მუნკი



ავგუსტ სტრინდბერგი

თვით სტრინდბერგი კი ამ პორტრეტში უფრო მეტად გაალიზიანა ჩარჩოში დატანებულმა შიშველმა ქალმა. მოგვიანებით მხატვარმა წაშალა ქალი.

1893-95 წლებში შეიქმნა მუნკის ცნობილი „მადონა“, თვალბმილულული, შიშველი დაგნის გამოსახულებით, როგორც უცხოელი ხელოვნებათმცოდნენი ღიად აღნიშნავენ, ორგანიზმისა თუ განაყოფიერების მომენტში. თვითონ მუნკს ქალის ცხოველური მაგნეტიზმის გამოხატვა ენადა, სურათიდან კი გამოსჭვივის ქალურობის, დედობის მშვენიერება.

ამ სურათში ჩვენი ყურადღება მიიქცია ნითელ ჩარჩოში ჩახატულმა მოულოდნელმა დეტალებმა: ზემოთ – სპერმის სამკაულებმა, ქვევით – ბავშვის ჩანასახმა. შემდეგ ვარიანტში მუნკმა ჩანასახი მოხსნა. ხომ არ შეიძლება ეს შემთხვევითი, უმნიშვნელო დეტალები იყოს?!

ჩვენ არაფერს ვამტიკებთ, უბრალოდ ვცდილობთ ჩვენგან მოვლენებს გულისგულში. 1901 წელს, დაგნის მკვლელობისას ვაჟიშვილი – ზენონი, რომელიც მას თან ახლდა, ნ წლისა იყო, სურათი კი დათარიღებულია 1895 წლით. დანარჩენი მკითხველმა თვითონ განსაჯოს, როგორც ნებავს.

იმავე პერიოდის მეორე ნახატი „ექვიანობა“ (ვარიანტებით) მუნკმა ნითელმოსასხამიანი, შიშველი დაგნის ფიგურა ხან ავტორის, ანუ თავისი აღნაგობის მამაკაცთან ჩახვეული დახატა, ხან შეყვარებული წყვილი ადამ და ევად გამოსახა, წინა ხედზე აღბეჭდილ თვალბგაფართოებულ მამაკაცს კი შჩიგოლევის ეჭვიანი სახე თუ ნილაბი ჰქონდა, რაც აშკარად მიანიშნებდა ფარულ რეალობაზე. მაგრამ, სტრინდბერგისაგან განსხვავებით, მუნკმა თავის საყვარელ არსებას არ დაუკარგა ქალური მიმზიდველობა. შეიძლება ვილაცამ გაიხსენოს მუნკის უსახური, ნითელი „ვამპირი“, დაგნის ოვალითა და თმებით, მაგრამ ეს ხარკი უფროა მოდური მიმდინარეობის წინაშე ქალის, როგორც მადონასა და დემონის ნაზავის შესახებ, ვიდრე რეალობა. არც მხატვრული თვალსაზრისით შეედრება სრულყოფილ „მადონას“ ესკიზური „ვამპირი“.

ადამიანურ სისუსტეებზე ამადლების გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა თავის მხრივ შჩიგოლევისკიმაც. ცხოვრებაში ეჭვიანობის მიუხედავად, იგი ისე მოიქცა, თითქოს მუნკის საყვა-

რელი (რეალურადაც) მოდელი დაგნი მისი მეუღლე არ ყოფილიყოს და ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა სტატია მუნკის შემოქმედებას, სადაც ღირსეულად შეაფასა მისი ოსტატობა. თუმცა ამავე დროს მასაც არ გამოორჩენია, ხაზი გაესვა ქალში ორი ღმერთის: სიკეთისა და ბოროტების – მადონასა და დემონის არსებობისათვის.

ახლა დავეუკვირდეთ მკვლელის მიერ დატოვებულ წერილებს.

აი, რას წერს ემერიკი ქმრის, ანუ შჩიგოლევის მისამართით: „მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გავაკეთებინა...“ ხომ არ ნიშნავს ეს, ცნობილ მიზეზთა გამო, ადრევე შენს მიერ იყო მოსაკლავიო. ვაჟიშვილ ზენონს კი მკვლელი ამცნობს დედის შესახებ: „ის, პირველი დედოფალი... შენს წინაშე იყო მოთვინიერებული და მიაჩნდა, რომ შენ იყავი მთელი მისი ცხოვრების გამართლება“, პატარა ივამ, რომელიც პოლონეთში დარჩა, რა დააშავა? უცხოეთის ადვილად დასაჯერებელი, ბანალური არითმეტიკით ხომ არ არიან ბავშვები ერთმანეთისგან გამორჩეულები? იქნებ თვით ქალმა გაანდო თავისი სიყვარულის საიდუმლო? შემდეგ, თითქოს თავის თავსვე ეწინააღმდეგებაო, ემერიკი აფრთხილებს ზენონს: „უცნაურ აზრებს, რომლებსაც მასზე გაიგებ, ალბათ ნაკლებად უნდა ერწმუნო... ის იყო წმინდანი, თან დედოფლური სიკეთით სავსე“.

ასეთ ქალებს მაშინ უფრო აფასებენ, როცა კარგავენ. სტანისლავ შჩიგოლევიც არა მარტო მუნკის, დაგნის მიმართაც გამოჩინა დიდსულოვნება და სიკვდილის შემდეგ უძღვნა წერილი, სათაურით „როცა მზე ჩადის“, სადაც სამართლიანად ასკვნიდა: „მისი ტრაგედია სილამაზე, სიამაყე და გულწრფელობა აღმოჩნდა (სიტყვების შერჩევამაც იკითხება რალაც ფარული, განსაკუთრებით „გულწრფელობა“ გვეცემა თვალში). ის იყო ულამაზესი ყვავილი, რომელიც იშვიათად იფურჩქნება, მაგრამ განწირულია გასათელად.“

1902 წელს, დაგნის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, შჩიგოლევიც გამოაქვეყნა დრამა „ოქროს სანმისი“ (ამ ცნების სიყვარულის სიმბოლოდ გამოყენების გარდა, ხომ არ არის აქ მინიშნებაც ტრაგედიის ადგილზე?). ამ დრამაში ერთმანეთს გადახლართულია ყველა ის გრძნობა, რაც დაგნისა

და მის ურთიერთობას ახასიათებდა. მათი ცხოვრება ხომ განუწყვეტელი ჯაჭვი იყო განშორება-შერიგებებისა?! იტყვიო, დაგნი არ იყო უმნიშვნელო არსებაო, მაგრამ პშიბიშევესკიც რომ არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისპეტაკით?! საყვარლები, ნიკოტინი, ალკოჰოლი – ეს ხომ მისი ცხოვრების განუშორებელი ატრიბუტებია! სიყვარულში ძნელია მტყუან-მართლის გარჩევა, სიყვარული ან არის, ან არ არის.

დავუბრუნდეთ პშიბიშევესკის დრამას. აქ ყველაფერი: სიყვარული, („მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც არავის ჰყვარებიხარ ჩემამდე და არც ჩემს შემდეგ ეყვარები ვინმეს“), ექვიანობა, არცთუ უსაფუძვლო, რომელიც ცხოვრებას უწამლავს წყვილს („ჩემს სულში არის რაღაც, რომელიც არ გენდობა შენ“, „რაღაც ხმა მკარნახობს, რომ მე მხოლოდ გასაგებელი სადგური ვარ შენი ცხოვრების გზაზე“), ღალატი, შვილის მამობის სათუოობა, მიტევება, რადგან თვითონაც მოღალატე და მისატევებელია, მოვალეობის გრძობა ოჯახის, ბავშვების წინაშე („თქვენ კი იცით, რა უნდა გამეკეთებინა მე, მაგრამ ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა. ყველაზე ცუდი დედაც დედაა“), ამიტომაც, ემერიკისაგან განსხვავებით, დრამის გმირი მხოლოდ თვითმკვლელობას სჯერდება. ქალისა და კაცის ურთიერთობის გამოსახატავად გმირს მოაქვს ერთმანეთს ტყუპისცალივით შეზრდილი ორი ხის მაგალითი, რომელშიც სუსტი ძლიერსაც ახმობს, რადგან ჩაფრენილია მას და არ ეშვება. ამ სიმბოლოს პოლონელი ქალი – ირენა პასუხობს სკანდინავიური მითით ავსულიან, ჯუჯა კაცუნებზე – ბეიგებზე, რომლებიც ესხმიან თავს ქალს და ჯიჯგნიან, კორტინან მას. ქალი იბრძვის, უსხლტება, მაგრამ იმთავითვე განწირულია დასალუპად, რადგან არ იცის საიდან, როდის შეუტევენ ვერაგულად კაცუნა-ბეიგები. ეს მითი აღიქმება დაგნის ცხოვრების სიმბოლოდ. შესაძლოა მანვე უამბო ის პშიბიშევესკის. სხვათა შორის, ამ ზღაპრული ჯუჯა-კაცუნების, ანუ „ტროლების“, როგორც აქ ეძახიან, ნაძერწ-ნაქანდაკარი გამოსახულებებით მოფენილია დღეს ნორვეგიის სუვენირთა მაღაზია-ჯიხურები.

იმავე პერიოდში, 1901 წ. გამოქვეყნდა სტრინდბერგის პიესა „სიკვდილის როკვა“, რომელიც ასევე სიყვარულის სამკუთხედს ეძღვნებოდა და სადაც გმირი ასევე ტრაგიკულად ამთავრებდა ცხოვრებას. როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე ვითარებაში ქალი მეორე მწერალმაც არ გაიმეტა სასიკვდილოდ. პირიქით, მიუხედავად სიძულვილისა მოდას აყოლილი, ემანსიპირებული ქალებისადმი, თავისი მოთხოვნების კრებულის „ქორწინებანი 1“ წინასიტყვაობაში სტრინდბერგი წერდა, რომ „ქალი დედა სამყაროს მეუფეა.“

არც მუნკის ცხოვრება წარმართულა ბედნიერად. იგი ბოლომდე უცოლო დარჩა, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა: არამყარი ეკონომიური მდგომარეობა, განუკურნელი სენი – ტუბერკულოზი, რომელმაც მოცელა მისი ნათესავების უმრავლესობა, შიში, რომ ოჯახი ჩაკლავდა მის ნიჭს და ბოლოს, იქნებ ყველაზე მთავარი, ეს იყო – ერთგულება ერთადერთი სიყვარულისადმი. ამ პრინციპს მან თითის ფალანგიც კი შესწინა, როცა 1902 წელს თავის საყვარელ ტულა ლარსენს უარი განუცხადა დაქორწინებაზე. ქალი, თვითმკვლელობის მიზნით, რევოლვერს დასწვდა, მუნკმა სცადა გამოეგლიჯა და ამ დროს შემთხვევით გავარდნილმა ტყვიამ მხატვარს თითის ფალანგი მოსაჭრელი გაუხადა. ამ ამბავმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი მათ ურთიერთობას. ტუბერკულოზით გასენილ მუნკს ფსიქიკური აშლილობაც დაერთო და იგი თვეობით მკურნალობდა ევროპის სანატორიუმებში.

1899-1900 წლებში მუნკმა შექმნა სურათი „ცხოვრების ცეკვა“, ამ სურათს 1925-29 წლებშიც მიუბრუნდა. სურათის მარცხენა ნაწილში გამოსახულია ახალგაზრდა თეთრკანიანი ტულა ლარსენი, რომელსაც შეცბუნებული სახე აქვს. შუაში ცეკვავს ახალგაზრდა წყვილი, ქალი ნითელ კაბაშია. მოცეკვავეთა სახეები არ ჩანს, მაგრამ ფიგურები და თმები მოგავიწყებთ დაგნისა და მუნკს. მარჯვენა ნაწილში კი უკვე ასაკოვანი, თალსხამოსიანი ტულა ლარსენი დანანებით აპარებს აღმაცერ მზერას მოცეკვავე წყვილისაკენ. ეს სურათი მუნკის ცხოვრების ანარეკლია, სადაც, როგორც სარკეში, ჩანს, რომ მხატვრის არსებას, ისევე, როგორც მის შემოქმედებას, გასდევდა ერთი, ხან ვნებიანი, ხანაც „მსოფლიო სინაზის დამტევი“ (მუნკის მიერ მადონას შესახებ დღიურში ჩანერილი სიტყვებია) ქალის ხატება.

სამი დიდი ხელოვანი: მუნკი, სტრინდბერგი და პშიბიშევესკი რომ ერთი ცეცხლით იწვოდა და ეს ცეცხლი იყო დაგნი, მიგვანიშნებს ისიც, რომ სამივემ შექმნა ნაწარმოები, რომელშიც სიტყვა „ცეკვა“ ფიგურირებს სხვადასხვა კონტექსტში. პირველად მომჩენი მაინც მუნკია. მან 1899 წელს დაახატა სურათი „ცხოვრების ცეკვა“, მინიშნებით დაგნიზე. როგორც სათაურიდან ჩანს, მუშაობის დასაწყისში დაგნი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მერე სტრინდბერგმა, უკვე დაგნის სიკვდილის შემდეგ, 1901 წელს დაწერა დრამა „სიკვდილის როკვა“ (არ ვიცი, პირველწყაროში როგორაა, მაგრამ სიკვდილს ალბათ როკვა უფრო უხდება, ვინემ ცეკვა) და ყველაზე ბოლოს, 1902 წელს, პშიბიშევესკიმ დაარქვა „სიყვარულისა და სიკვდილის ცეკვა“ დრამების ციკლს, სადაც ზემოთ ნახსენები „ოქროს საწმისიც“ შევიდა. ერთი ქალის ცხოვრება, სიყვარული, სიკვდილი, – აი, რა აერთიანებს ამ სამ ცეკვას სამი ხელოვანის შემოქმედებაში.

ასეთია წინაისტორია საქართველოში დატრიალებული ამ შემადრწუნებელი ტრაგედიისა და ალბათ მიზეზიც აქვეა ჩამარხული.

ჩვენთვის ემერიკი, რომელმაც მოკლა უმშვენიერესი ქალი, ორი შვილის დედა, სწორედ ერთ-ერთი იმ ბეიგთაგანია სკანდინავიური მითიდან. მხოლოდ ბეიგს შეიძლება დაენერა ასეთი სიტყვები: „ვკლავ იმ მომენტში, როცა ყველაზე ნაკლებად მოელის.“ ეს სასტიკი საქციელი ჰეროსტრატეს კომპლექსის გამოვლინება უფროა, ვიდრე დიდი სიყვარულისა. სტრინდბერგის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „სიგიჟეა დამნაშავის გაიდება“ (წერილიდან ნიცშესადმი). ემერიკი, თავისი ახალგაზრდობის, მომგებიანი გარეგნობის, ქალთან ფიზიკური სიახლოვის მიუხედავად, ვერაფრით ვერ შესწევებოდა დაგნის სულის იმ მაღალ ტაძარს, სადაც გენიოსთა სანთლები ენთო, ამიტომაც გაანადგურა მან მისთვის მიუწვდომელი ტაძარი. და როცა მიხვდა, რა ჩაიდინა (მეგობრის სარეცლის ნაბილწვა, ბავშვების დაობლება), გარდა სინდისის ქენჯნისა, კიდევ უამრავი სხვა მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო (მემკვიდრეობითობა, აღზრდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, არასრულფასოვნების კომპლექსი...) და თვითონაც მოიკლა თავი. ცოდვილი, ეტყობა, ურწმუნოც იყო, თორემ ვინ მისცა უბრალო მოკვდავს სხვისი განკითხვის ნება?!

იქნებ საერთოდ უცხო ნიადაგზე ამ მშვენიერი ყვავილის გადარგვა იყო მთელი ამ უბედურების თავი და ბოლო? აკი ამბობს ჰამსუნის მრავალი ნაწარმოების გმირი, უცხოელზე გათხოვილი, შემდეგ დაქვრივებული და ორი შვილით ისევ სამშობლოში დაბრუნებული, ცხოვრებაარეული ედვარდა თავის თავზე რომანში „როზა“:

„ბავშვობაში დავბოდილობდი მინდვრად და ლოყით ვე-
ლამუნებოდი მაღალ ბალახის ღერებს, რათა გამემხიარულე-
ბინა ისინი... მაგრამ სად გაქრა ის ღერები, ბილიკები... ის გო-
გონაც აღარ არის უკვე... ჩემი რომ გამხდარიყო ის, ვინც მიყ-
ვარდა, მე რომ სულ აქ (იგულისხმება ნორვეგია, ავტ.) მეც-
ხოვრა, მეხეტიალა ტყე-ტყე, ბილიკებზე, ნამდვილად არ დავ-
კარგავდი სიმშვიდეს... მგონია, თვითონ ცხოვრებამ გადა-
მაგლო სხვაგან, სადაც არც ისე ტკბილად მეცხოვრებოდა,
მაგრამ რატომ, რატომ დასჭირდა ეს ცხოვრებას?“

მხოლოდ უფალმა უნყის ამ კითხვაზე პასუხი.

ტალიპოტური პალმა

საქართველოში მოგზაურობისას კნუტ ჰამსუნი 40 წლისა
გახლდათ. წარმოშობით ჩრდილოეთ ნორვეგიიდან იყო. რო-
ცა ამ მხარეში მოხვდები, მიხვდები, რა მასალისგან გამოი-
ძერნა ეს ბუმბერაზი მწერალი. სწორედ ჩრდილოეთ ნორვე-
გიის ბუნების სიდიადემ: მყინვარებმა, ჩანჩქერებმა, გრანი-
ტის შხერებმა, ფანტასტიკურმა ღრუბლებმა შექმნა იგი.
ცხოვრებასა თუ მწერლობაში თავისით გზაგაკვლეული, ლა-
რიბი სოფლელი მკერავის შვილი, იგი არ მიეკუთვნებოდა
ქრისტიანის ლიტერატურულ ბოჰემას, სადაც მაღალი წრის
დაგნი და მუნკი ტრიალებდნენ, თანაც რამდენიმე წლით
მათზე უფროსი იყო და, როცა ისინი ასპარეზზე გამოჩნდნენ,
უკვე სახელმწიფო მწერალი გახლდათ.

ჰამსუნი, როგორც სიყვარულის მწერალი, ალბათ თავისი
სულის საღაროში აგროვებდა არა მარტო საკუთარ გამოც-
დილებს, არამედ სხვათა ყურმოკრულ თავგადასავლებსაც,
მათ შორის მუნკისა და დაგნის სასიყვარულო ურთიერთობის
შესახებაც სმენოდა ალბათ რაღაც დაფარული.

რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ჰამსუნი დაგნის პირადად
იცნობდა, ჩვენ არ მოგვეპოვება, თუმცა დაგნის სახელთან
დაკავშირებულ მწერალ-მხატვარი მამაკაცები კი გაიცნო:
სტრინდბერგი – 1894, მუნკი კი – 1896 წელს. ამ უკანასკნე-
ლისა და ჰამსუნის შემოქმედებითი მოტივების თანხვედრა
იმდენად თვალშისაცემია, რომ მისი გამომცემლები საილუს-
ტრაციოდ ხშირად იყენებენ მუნკის სურათებს. არ არის ძნე-
ლი 1893 წელს შექმნილი მუნკის ცნობილი სურათის „ყვირი-
ლის“ პერსონაჟში ჰამსუნის 1891 წელს ბერლინში (სადაც
მუნკი ეუფლებოდა მხატვრობას) გამოცემული პირველი გახ-
მაურებული რომანის „შიმშილის“ გმირი შეიცნო. „ყვირილის“

პერსონაჟის ძვალ-
ტყავა სახე სწორედ
რომ დამშეული ადა-
მიანის ჩონჩხადქცე-
ულ თავის ქალას მოგ-
ვაგონებს ნახვრეტე-
ბით თვალებისა და
ცხვირ-პირის ნაც-
ვლად. მისი სასონარ-
კვეთილი ყვირილი
უნმო, უძალო ხავი-
ლია, რომელიც არ
სწვდება ხიდზე მოსე-
ირნე მშვიდი ფიგურე-
ბის სულს, ასევე
გულგრილია საზოგა-
დოება ჰამსუნის რო-
მანის შიმშილით დაო-

სებული გმირის გარშემო. სურათის შემამოფოთებელი შავ-ნი-
თელი ატმოსფეროც ჰამსუნის გმირის ტრაგიკული შინაგანი
სამყაროს ვიზუალური წარმოსახვაა თითქოს.

საპირისპიროდ ჰამსუნმა 1892 წელს გამოქვეყნებული
თავისი რომანის „მისტერიების“ გმირ ქალს დაარქვა სახე-
ლად დაგნი, მუნკის საყვარელი მოდელის სახელი. დააჯილ-
დოვა იგი ისეთივე ანდამატური მიმზიდველობით, რომლი-
თაც გამოირჩეოდა რეალური დაგნი, შემდგომ მუნკის ცნო-
ბილი „მადონა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი რომანის
გმირი ქალის ცხოვრების დამთხვევა რეალური დაგნის ბიოგ-
რაფიასთანაც. ვგულისხმობ დაგნის ცხოვრების დასაწყისს,
რადგან საბედისწერო ფინალი ჯერ კიდევ შორსაა.

დოკუმენტური სიზუსტე, ცხადია, გამორიცხულია, მაგ-
რამ რეალური დაგნის ხასიათიდან გამომდინარე, მოვლენა-
თა ისე განვითარება, როგორც რომანშია აღწერილი, ადვილი
წარმოსადგენია.

„მისტერიების“ დაგნიც ერთი ნახვით შეუყვარდება მოხე-
ტიალე მხატვარ ნაგელს. „ეს იყო მეხის დაცემასავით“, „მეც
სხვებივით გიხდით ხარკს“, – ეუბნება ნაგელი დაგნის, –
„შეგხვდით და გონი დავკარგე“, „რა უცნაურია, თითქოს რა-
ღაც აყვავდა ჩემში“.

ვისაც დაგნის ფოტო უნახავს, არ გაუჭირდება მსგავსე-
ბის პოვნა რომანის დაგნისთან. მასაც ნათელი სახე, ღია ფე-
რის, სქელი თმები, ცისფერი თვალები და ბავშვივით გაბუშ-
ტული ტუჩები აქვს. ერთი შეხედვით, თითქოს მიდრეკილია
სიმსუქნისაკენ, მაგრამ ისე მაღალი და მოქნილია, ციგურებ-
ზე სრიალიც კი დაშვენდება.

რომანში დაგნი პასტორის შვილია, და არა ექიმისა, რო-
გორც სინამდვილეში, მაგრამ სოციალურად ამაში არავითარ
განსხვავება არ არის, ორივე იმდროინდელი საზოგადოე-
ბის მაღალ ფენას განეკუთვნება, თანაც ექიმის ოჯახი რო-
მანში ეპიზოდურად მაინც არსებობს და გარკვეული წარ-
მოდგენა გვექმნება მასზე: თეთრი სასახლე, თავისი ტყითა
და ბალითურთ, სტუმრებით სავსე, ვრცელ დარბაზში როი-
ალზე უკრავენ შოპენს, წრუპავენ ყავას, ეწვიან სიგარას,
ათვლიერებენ საოჯახო ალბომს, საუბრობენ ირლანდიაზე,
პარნელზე. დაგნი უკრავს ფორტეპიანოზე. რეალური დაგ-
ნიც ხომ პიანისტი იყო.

„მისტერიებში“ დაგნი, რომელიც ასე თავდავინყებით შე-
უყვარდა მხატვარ ნაგელს, მხოლოდ დანიშნულია, თხოვდება
ჰამსუნის შემდეგ ნაწარმოებში „რედაქტორი ლუნგე“, რომე-

ლიც გამოქვეყნდა
მომდევნო – 1893
წელს. სადღაც ამ
დროს გათხოვდა რეა-
ლური დაგნიც. გათ-
ხოვებამდე რომანის
დაგნისა და მხატვარ
ნაგელს შორის ხდება
ისეთი რამ, რაც ალ-
ბათ მაშინ დიდ ცოდ-
ვად ითვლებოდა. ეტყ-
ყობა, რაღაც მსგავსი
რეალურ დაგნისაც
შემთხვა მუნკთან და
მოგვიანებით სიცოც-
ხლის ფასად დაუჯდა.
სასიყვარულო ეპიზო-
დები რომანში ისეთი



ამ შენობაში (ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“. ამჟამად ათონელის 31)
1899 წელს თბილისში ყოფნის დროს ცხოვრობდა კნუტ ჰამსუნი

ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიზუსტითაა დანერვილი, არ შემიძლია არ მოვიტანო ბოლო, გადამწყვეტი ეპიზოდი მაინც:

„...მეორე დღეს ნაგელმა ისევ გასწია დაგნის სახლის მახლობელ ტყისაკენ. ახალ ნაწვიმარზე მიწა ჯერ არ გამშრალიყო. იგი ჩამოჯდა ქვაზე და ბილიკზე დაყრილ სველ ქვიშაზე შეამჩნია დაგნის ნაფეხურები. ესე იგი, ნასულია ქალაქს. დიდხანს ელოდა, მერე ადგა და წავიდა შესახვედრად. ტყის პირას მართლაც შეეყარა დაგნის, რომელსაც ნოტები მოჰქონდა.

- ვიცოდი, რომ შეგხვდებოდით.
- საიდან?
- თქვენი ნაფეხურები შევნიშნე.
- წარმოგიდგენიათ, ჩვენი ძალღილა?

დაილუპა.

- რას ამბობთ?
- რამდენიმე დღის წინათ მკვდარი ვიპოვეთ, ვერ გავიგეთ რისაგან.

- ისე, ძალიან საზიზღარი ძალღილა კი იყო. ვერასდროს ვერ ვიტანდი ცხვირპაჭუა ბუდლოებს, თავხედი ადამიანის გამომეტყველებით. როცა ვინმეს უყურებდა, ტუჩის კუთხეები ისე ეკიდა, თითქოს მსოფლიო სევდას ატარებდნენ. ვერ დაგიმალავთ, არ მწყენია მისი სიკვდილი.

- როგორ არ გრცხვენიათ, - დაგნის შეამჩნია დაბინტული ხელი, - რა მოგივიდათ?
- თქვენმა ძალღილა მიკბინა.

იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ, ბოლოს ნაგელმა დაარღვია სიჩუმე.

- ყოველ ღამე ძილის წინ მოვდიოდი თქვენთან, ფანჯრის ქვეშ ვიდექი. მაპატიეთ, მაგრამ ეს ხომ დანაშაული არ არის? მე რომ თქვენ ღამე მშვიდობისას გისურვებდით, თქვენი ძალღილა ყოველთვის მიყვებოდა, მაგრამ, როცა მიკბინა კიდეც, სანამლავი მივეცი.

- ესე იგი, თქვენ მოკალით ჩვენი ძალღილა?
- დიახ.

დაგნის არ იცოდა, რა ეთქვა. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე.

- მე შემიძლია კიდე უფრო მძიმე დანაშაული ჩავიდინო, ოღონდ თქვენ გნახოთ. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვარ თქვენით შეპყრობილი. რასაც უნდა ვაკეთებდე, გაუთავებლად ვფიქრობ თქვენზე, სხვა არაფერი არ მაინტერესებს. მოიღეთ მოწყალება და არ წახვიდეთ კიდეც ორი წუთი. მინდა რაღაც ვითხრათ, ეს ჩემზე ძლიერია.

- თქვენ ხომ შემპირდით, რომ...
- შეიძლება, მაგრამ არაფერი არ გამომდის... ერთხელ კინალამ შემოვიჭერი თქვენს სახლში. მზად ვიყავი, კარებიც კი შემომემტვრია და შემოვსულიყავი პირდაპირ თქვენთან, თუნდაც მარტო არ ყოფილიყავით... საერთოდ გაცლაც კი ვცაადე, მაგრამ ვერ შევძელი. აი, თქვენ რომ წახვიდეთ სადმე, სადაც უნდა გაემგზავროთ, დაგედევნებოდით, თქვენს კვალს მივგანებდი. აბა, ახლა სად წავალ აქედან, როცა თქვენ აქ მეგულებით! ეს ტყე ჩემი ტაძარია. აქ მე ყველა ჩიტი მიცნობს და დილას რომ მხვდებიან, განზე ხრიან თავს. აქ მე ვპოულობ თქვენს ნაკვალევს და მერე საათობით გელოდებით სადმე ქვის უკან დამალული.



კნუტ ჰამსუნი

დაგნი შეჩერდა და ნაგელის ხელისკენ დაიხარა.

- ღრმა ჭრილობა გაქვთ? შეიძლება ვნახო?

ის ახლა ისე ახლოს იყო, რომ ნაგელმა მისი თმების, კისრის სურნელი იგრძნო და შეისუნთქა. მოზღვავებული გრძნობისაგან თავი ვერ შეიკავა, ჯერ ერთი ხელი მოხვია, მერე, როცა ქალმა გათავისუფლება სცადა, ორივე შემოაჭდო, მიწას მოსწყვიტა და დიდხანს იკრავდა მკერდში. უცებ იგრძნო, რომ ქალის ზურგი მოიდრეკა და მან წინააღმდეგობა შესწყვიტა. თითქოს დამძიმებულმა მიბნედილი თვალებით შეხედა და თვითონაც მიეკრო. ღმერთო, რა კარგი იყო! ნაგელი ეჩურჩულებოდა, არაჩვეულებრივი ხარ და სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ შენ იქნები ჩემი ერთადერთი სიყვარული, შენი ერთი სიტყვა, ნიშანი და მზად ვარ მოვკვდეო. ნაგელი ძალღილად იკრავდა ქალს მკერდში და იმეორებდა: „მე შენ მიყვარხარ...“ შემდეგ კი დაგნი უკვე მთლიანად მიწებდა კაცის ვნებას, ნაგელი კოცნიდა უნაზესი სიტყვების ჩურჩულით...

- მიყვარხარ. ხვალაც მოდი ჩემთან, დაგნი, ამ ვერხვის ხესთან. მოდი, როცა გინდოდეს, მოხვალ? შევიდზე?..

დაგნის არაფერი უპასუხა, მხოლოდ მოგვიანებით თქვა:

- ახლა კი გამიშვით.

ნელა გამოძვრა კაცის მკლავებიდან, რამდენიმე წუთი იდგა და დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით, სახეზე თანდათან მწარე სინანული გამოესახა, ტუჩები აუკანკალდა, ძლიერ მილასლასდა ქვამდე და ჩამოჯდა. იგი ტიროდა, ნაგელი თავზე ადგა და თმებზე უსვამდა ხელს. უცებ დაგნი წამოდგა და ფერდაკარგულმა კბილებში გამოსცრა:

- თქვენ თვითონ არ გესმით, რამხელა არამზადა ხართ. როგორ შეგეძლოთ, ეს ჩაგედინათ?

დაგნი ისევ ატირდა, ნაგელმაც ისევ სცადა დამშვიდება, მაგრამ ამაოდ.

- და თქვენ კიდეც მოხოვთ შეხვედრას?! არ მინდა თქვენი დანახვა. სულმდაბლად მოიქეცით. ეს რა მიყავით? ნადით, არ დამენახოთ.

ნაგელი მუხლებზე დავარდა მის წინ, პატივებს სთხოვდა, უკოცნიდა კაბის კალთას. დაგნის აუკრძალა გვერდით სიარული, ერთი ნაბიჯითაც!

დაგნი წავიდა შინისაკენ, ნაგელმა დააპირა გაკიდებოდა.

- არ გაბედოთ! გესმით, არ გაბედოთ!

ნაგელი მაინც წამოუწია და გააჩერა:

- ცუდს არაფერს შეგამთხვევთ, მაგრამ ჩემს მიმართაც გამოიჩინეთ თანაგრძნობის რაღაც ნატამალი. მთლიანად თქვენი მონა-მორჩილი ვარ... მზად ვარ მოვკვდე, ოღონდ თავი არ შეგანყინოთ. მითხარით ერთი სიტყვა და მოვკვდე-ბი. ამასვე გაგიმეორებთ ხვალ, თუ გნახავთ. ჩემი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ თქვენ შეგხვდით ცხოვრების გზაზე. ღმერთმა დაგიფაროთ იმისაგან, რასაც ახლა განვიცდი.

ნაგელი გატრიალდა და ქალაქისაკენ წავიდა. მიდიოდა და ფართო მხრები უცახცახებდა. მიდიოდა და ვერაფერს ვერ ხედავდა, ვერავის ცნობდა...

სიყვარულის უკვდავ ჰიმნად ჟღერს ყოველივე ამის შემდეგ ნაგელის ხმამალლა ნაფიქრი, მიმართული დაგნისადმი:

„მე როდესმე ბრილიანტი რომ მეპოვა, დაგნის დავარქმევდი... მინდა მუდამ მესმოედეს შენი სახელი. მინდა, რომ მას იმეორებდნენ ყველანი, ადამიანები და მხეცები, მთები და ვარსკვლავები, რომ არ მეყურებოდეს სხვა არაფერი და მხოლოდ შენი სახელი ჩამესმოედეს მარად, როგორც უსასრულო მუსიკა, დღე და ღამე, მთელი ცხოვრება.. შენი სახელის სადიდებლად შემოვიღებდი ახალ ფიცს, ყველა ხალხისათვის დედამიწის ზურგზე და თუ ამით უფალს შეეცოდავდი და ღმერთი მიმანიშნებდა მასზე, ვუპასუხებდი, ჩემად მიითვალე ეს ცოდვა, სულით გამოვისყიდი მას, როცა ჩემი დრო მოვა-მეთქი“ (თარგმანი ავტორისა).

ჩემი აზრების დასტურად დამაჯერებელი რომც არ აღმოჩნდეს, თუ ამ ნაწყვეტებით (მაპატიოს მკითხველმა მოუზომავოდა) ჰამსუნისადმი სიყვარულს მაინც გადავებდი იმით, ვისაც ჯერ კიდევ წინა აქვს მისი ნაწარმოებების ნაკითხვის სიამოვნება, მიზანს მიღწეულად ჩავთვლი.

სიყვარულის დიდი საგალობლის უმშვენიერესი ვარიაციებია ჰამსუნის ამ პერიოდის სხვა რომანებიც: „პანი“, „ვიქტორია“, „როზა“.

ყველა ამ ნაწარმოებში სიყვარული სტიქიური მოვლენაა. ის არ ემორჩილება გონებას, საუკუნეებით დადგენილ მორალურ კოდექსს, არ იცის ზღვარი, მოვარდება და წაგილებს მენყერივით. ჰამსუნის გმირი ქალების უმეტესობა გათხოვილი თუ არა, დანიშნული მაინცაა, როცა ისინი თავდავიწყებით უყვარდებთ სხვა მამაკაცებს და ქალები თვითონაც ეხვევიან ამ სიყვარულის ალში. სტრინდბერგისა და პშიბიშევისკის გმირებისაგან განსხვავებით, მათთვის უცხოა ეჭვიანობის განცდა. მიუხედავად პირობითი, ზოგჯერ საბედისწერო დაბრკოლებებისა, მათ მთელი ცხოვრება უყვართ ერთადერთი ქალი და ისინიც ერთადერთნი არიან თავიანთი ქალებისათვის.

„...იცით, არის ასეთი პალმა, ტალიპოტური პალმა, რომელიც 70 წელი ცოცხლობს და მხოლოდ ერთხელ ყვავილობს ცხოვრებაში. ამჟამად მეჩვენება, რომ ყველაფერი ყვავის ჩემში...“ – ეუბნება იუჰანესი ვიქტორიას რომანში „ვიქტორია“.

„ამ ფურცლებზე რამდენ ვინმეზეა საუბარი, ჩემი აზრით კი მხოლოდ ერთადერთზე“ – ასე ამთავრებს რომანს „როზა“ კნუტ ჰამსუნი.

ალბათ ის ერთადერთი კაცი თვითონ კნუტ ჰამსუნია, განსხვავებული გლანში, ნაგელში, იუჰანესში, ხოლო ქალებს: დაგნის, ედვარდას, ვიქტორიას... თითქოს „ემე ფატალე“ – დაგნი იუელის სული აქვთ შთაბერილი.

მართალია, რეალურ ცხოვრებაში ღმერთმა არ ინება ეს ორი, ანდამატურად მიმზიდველი ნორვეგიელი: დაგნი იუელი და კნუტ ჰამსუნი გამხდარიყო ერთმანეთის ბედისწერა, მაგრამ გენიალური მწერლის უკვდავ ქმნილებებში მათმა სულებმა მაინც ჰპოვეს ერთმანეთი. ეს სწორედ ის ირეალურია, რომლის მოსახელთებლად მწერალი კნუტ ჰამსუნი მთელი ცხოვრება იღვწოდა.

2004-5 წ. თბილისი-ჰელსინკი

P.S.

დრომ შეუსრულა ჰამსუნს ნაგელის პირით ნათქვამი თხოვნა, გამოარჩია იგი, „კომუნის მასშტაბის გენიოსებისაგან“, ალამალა „გენიოსთა პროლეტარიატზე“ და მიუჩინა კუთვნილი ადგილი მსოფლიო მწერლობის ოლიმპზე.

დრომ კიდევ ერთხელ დაადასტურა დაგნის ანდამატური მიმზიდველობა, ახლახან ოსლოს სახელმწიფო გალერეიდან, მუნკის სხვა ცნობილ ტილოებთან ერთად, გაიტაცეს „მადონაც“ მშვენიერი დაგნის გამოსახულებით.

გიორგი ლობჯანიძე

როცა ზაჰრა ტირის

თვირანის უნივერსიტეტში სწავლისას ინდურ-ბუდაისტურ რელიგიათა პროფესორმა ბატონმა ზურვანიმ ერთ-ერთი ლექცია მოულოდნელად შეწყვიტა და აუდიტორიის ბოლო მერხებისაკენ გაემართა. ბოლო მერხებზე, წესისამებრ, გოგონები ისხდნენ, ზოგ მათგანს სახეზე ვერც კი ვცნობდი, რადგან „მძიმე ჩადრს“ ატარებდნენ და პირსახეს გარეშე მამაკაცთა თვალს გულდაგულ არიდებდნენ. ზაჰრა ხანუმი ამ ქალებს არა ჰგავდა. კანონის თანახმად, ჩადრი მასაც ეხურა, მაგრამ ირანელ ქალთა უმრავლესობის მსგავსად მხოლოდ „მაყნა“ — თავსაბურავი და „მანთო“ — გრძელი მოსასხამი ემოსა. ხალხიანი გოგონა იყო და დერეფანში გამოლაპარაკებასა და ადამიანური რჩევების მოცემასაც არასდროს გაურბოდა. იმ დღეს კი ზაჰრა ბოლო მერხზე მარტოდმარტო მიკუნჭულიყო, ჩვეულების საპირისპიროდ, ზემოდან „ჩოთორი“ — შავი ფერის საბურავიც მოეხურა და თავჩაღუნულ მხრები უცახცახებდა.

— ზაჰრა ხანუმ, რა მოგივიდათ? — გაკვირვებულმა ჰკითხა ბატონმა ზურვანიმ და პასუხი რომ ვერ მიიღო, სტუდენტი საგულდაგულოდ შეათვალიერა. მიხვდა, რომ რალაცას კითხულობდა და უთხრა, ნიგნი ჩოთორს ქვემოდან გამოეღო და მერხზე დაედო. ზაჰრასაც მეტი გზა აღარ ჰქონდა, შუაზე გადაშლილი ნიგნი, რომლის გვერდებიც მის ცრემლებს გვარიანად დაესველებინა, ზემოთ ამოიღო და თვითონ კიდევ უფრო გულამოსკენით ატირდა.

ბატონმა ზურვანიმ ნიგნი დახურა და გარეკანს დააცქერდა. მერე ნიგნის ავტორი და სათაური ხმამალლა ნაიკითხა: ფათანე ჰაჰ სეიედ ჯავადი (ფარვინ) — „ნაბახუსევის განთიადი“.

— ყოჩაღ, ზაჰრა ხანუმ! აი, რას უნდა კითხულობდეს თეოლოგიის ფაკულტეტის სანაქებო სტუდენტი! — პროფესორმა გოგონას ხუმრობანარევი საყვედური „სტყორცნა“ და თვითონ ისევ შეწყვეტილი ლექცია განაგრძო.

თვითონ ზაჰრას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ქვემოდან ამოგვხედა ყველას ისეთი მზერით, როგორც მარტო ირანელ ქალს შეიძლება ჰქონდეს. ცრემლი კი ამ შემოხედვას კიდევ უფრო ამკვეთებდა. თვალებში შეკავებული ვნების, იმედგაცრუების, მაგრამ, ამის მიუხედავად, დიდი სიყვარულის მოლოდინის ქარიშხალი ედგა. მზერით გვეუბნებოდა: „აბა, თქვენ რა გესმით, თქვენ რას გაიგებთ“.

გამოიცხადებოდა, მართლაც არასოდეს მესმოდა ისეთი ნიგნებისა, რომლებზეც ქალები ცრემლს აღვარღვარებდნენ. ამგვარი ნიგნები მდარე ლიტერატურის ნიმუშებად მიმანდა

და, საპნის ოპერებისა არ იყოს, მათი ცნობისნადილით არასოდეს ვიტანჯებოდი. თუმცა იმდღევანდელი შემთხვევის წყალობით, ავტორის გვარი და წიგნის სათაური მაინც დამამახსოვრდა. სულ მალე კი თეირანში ამ წიგნის ნამდვილი ბუმი დაიწყო.

„ნაბახუსევის განთიადს“ კითხულობდნენ ყველგან და ყველანაირი გემოვნების ადამიანები. ავტორის სახელი ყველას პირზე ეკერა და ქალს, რომლის შესახებ ამ წიგნამდე თითქმის არაფერი არაფერი სმენოდა, დიდ შემოქმედებით მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მასების აღფრთოვანება მალე კრიტიკასაც გადაედო და ფათანე ჰაჯ სეიედ ჯავადმა მოკლე ხანში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიაც მიიღო. რომანის ახალ-ახალი ტირაჟი სარეკორდო სისწრაფით ქრებოდა წიგნის მალაზიათა დახლებიდან.

ეს უკვე „საპნის ოპერის“ წარმატებას აღარ ჰგავდა და ჩემი მწირი სტიპენდიიდან რამდენიმე (მგონი, ოციოდე) თუმნის გამეტებაც ვიკადრე. კითხვას სალამოხანს შევუდექი და ოთხას ოცდაცხრამეტგვერდიანი რომანი მეორე დილით, განთიადისას დავასრულე. შთაბეჭდილება მართლაც თავზარდამცემი გახლდათ. ეს იყო სრულიად ახალი ტიპის რომანი, რომლის მთავარ ღირსებასაც თხრობის ბუნებრივი მდინარება და სპარსული ენის ფარულ შესაძლებლობათა გადმოფარჩავება წარმოადგენს. წიგნში მართლაც ფარჩის ლამაზ-ლამაზი ნაკეცებივით ისხმება ათასგვარი მხატვრული ხერხი და თითოეული პლასტი იმდენად მკვეთრია, ისე თავის ადგილას ზის, შეიძლება ვერც დაიჯერო, რომ „ნაბახუსევის განთიადი“ ფათანე ჰაჯ სეიედ ჯავადის პირველი რომანია.

წარმოშობის მთავარი სათქმელი ქალის ბედისწერის გარშემო ტრიალებს. ეს ერთი ირანელი ქალის ცხოვრებაა, რომელთან დამოკიდებულებაში იმ ქვეყნის მთელი საზოგადოების, ტრადიციისა თუ თანამედროვეობის შეუღლებული სურათი იხატება. აღწერილი ვითარება მელოდრამატულია, მაგრამ ავტორი ახერხებს ასეთი შემთხვევისათვის ბუნებრივ საშიშროებას გამოცდილი ლიტერატორის ოსტატობით გაუმკლავდეს. საშიშროება კი ისაა, რომ შეიძლება ყოველ წამს, ერთი გაუფრთხილებლად მოქმედი ფრაზით თხრობა ქარით ათრთოლებული ზამბახის ყელივით უგემოვნობისაკენ გადაქანდეს და ატორტმანდეს. მაგრამ წიგნში ასეთ ფრაზას ვერსად წაანყდებით და ამას მწერალი სტილის ხალხურ, სალაპარაკო მეტყველებასთან უკიდურესი სიახლოვით ახერხებს. საამისო საფუძველს კი აძლევს ის, რომ თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. პერსონაჟი ქალი თავის ამბავს თვითონვე გვყვება და ეს ამბავი ისეთი უშუალოებით ხასიათდება, როგორც გულშემატკივარი მეგობრისათვის გამხელილი აღსარება.

მე აქ საგანგებოდ არ ვჩერდები წიგნის შინაარსზე, რადგან მინდა, ფათანე ჰაჯ სეიედ ჯავადის რომანი ქართულადაც ითარგმნოს და მეშინია, წინასწარი ზედმეტი საუბრით მთარგმნელს საქმე არ გაუფუჭო. უბრალოდ ამ პატარა წერილით სპარსული ლიტერატურის გამორჩეულ სიახლესთან შეხმიანების გარდა მინდოდა მკითხველისთვის მეთქვა, რომ წიგნი ჩვენთვის, ქართველებისათვის კიდევ ერთი რამითაა მნიშვნელოვანი. კერძოდ, გამომცემლობა „ალბორზის“ მიერ 2000 წელს წიგნის 26-ე გამოცემის 244-ე გვერდზე, რომანის მთავარ პერსონაჟ ქალს თავისი გადია ყოფილი შეყვარებულის ქორწილის ამბავს რომ უყვება, სიტყვას პატარაძალზეც ჩამოუგდებს და ამბობს:

„ამბობენ (პატარძლის) მამის ბებია საქართველოდან ყოფილა. ქართველების სილამაზე კიდევ, მოგეხსენება, საყოველთაოდ ცნობილია. მათ ხომ მომწვანო ფერის თვალები აქვთ.“

თითქოს არაფერი, თითქოს სასხვათაშორისოდ გაკრთა ქართველთა ქება, მაგრამ მაინც ძალიან სასიამოვნოა, როცა თანამედროვე ირანელი მწერალი ასე აფასებს ჩვენი ერის გარეგნულ ღირსებას. ამ ერთი შეხედვით უჩინარი ფრაზის მნიშვნელოვანი კი შესაბამისად აღიქმება, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ წიგნის 26 ტირაჟი მილიონობით ადამიანმა წაიკითხა.

სხვათა შორის, აქვე აღბათ ისიც უნდა ითქვას, რომ, ჩემდა გასაკვირად, ჩვეულებრივი ირანელები საქართველოს ძალზე ნაკლებად იცნობენ და ჩვენს შესახებ, გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, ძალზე მწირი ინფორმაცია აქვთ. ეს ინფორმაცია კი ან სახელმძღვანელოებში ამოკითხული ფრაზის „საქართველო ადრე ირანის ნაწილი იყო“, ანდა იქაური სომხური დიასპორის პროპაგანდის გავლენით ჩაგონებული აზრის, „ქართველებს ანბანი მესრობ მაშტოცმა შეგიქმნათ“, საზღვრებს არ სცილდება. ასეთ ვითარებაში ჩვენ მიმართ ნათქვამი ნებისმიერი კეთილი ფრაზა განსაკუთრებულ შინაარსს იძენს, მით უმეტეს, თუ ეს ფრაზა ისეთი წიგნის ფურცლებზე ხმიანობს, რომელსაც მილიონები კითხულობენ.

თუმცა მთავარი მაინც რომანი და მისი ავტორია. ჩემი ერთი ირანელი მეგობრისაგან ბოლო ხანს შევიტყვე, რომ მისი პოპულარობა დღითიდღე მატულობს და წიგნი მკითხველს იმდენად უყვარს, რომ ვილაცას (არა თვითონ ავტორს) მისი გაგრძელებაც კი დაუწერია. თუ „ნაბახუსევის განთიადში“ მოვლენებს ქალის თვალთ დანახულს, პერსონაჟი ქალის მონათხრობით ვეცნობით, ამ გაგრძელებასა თუ ვარიანტში იმავე ამბავს ახლა კაცი ყვება, თავისი ინტერპრეტაციითა და აზრობრივ-ემოციური აქცენტებით. მეგობარმა მითხრა, გაგრძელება ისეთი პოპულარული არ არის, როგორც თვით რომანიო. შეიძლება ეს იმიტომ, რომ გაგრძელების ავტორს სეიედ ჯავადის ნიჭი არ მოსდევს, შეიძლება მიზეზი ისაა, რომ მკითხველი დაჩაგრულს უფრო თანაუგრძობს, დაჩაგრული კი ნებისმიერ შემთხვევაში რომანის ქალი პერსონაჟია. არ ვიცი. გაგრძელება არ წამიკითხავს და ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა კი ძალიან მაინტერესებს, მაგრამ უფრო მაინტერესებს ფათანე ჰაჯ სეიედ ჯავადის შემდგომ ლიტერატურული ბედისწერა, რომლის შესახებაც ამ ზაფხულს ჩემთან ინტერვიუში გამოჩენილი ირანელი მწერალი ქალი გოლი თარაყიცი ბევრს მესაუბრა. თუმცა ძირითადად ამ ავტორის პირველ წიგნზე ილაპარაკა და მისთვის ჩვეული პირდაპირობით და უშეღავათო პროფესიონალიზმით, ფათანე ჰაჯ სეიედ ჯავადი იმის მაგალითად მოიტანა, როგორ აფუჭებს ზოგჯერ მწერალს ზედმეტი ყურადღება. გოლი მითხრა, მისი მეორე წიგნი კაპიკად აღარ ვარგა იმიტომ, რომ ყველა პრემია, რაც ირანში არსებობს, პირველივე წიგნში მიიღო.

დასანანია, თუმცა მთავარი ისაა, რომ პირველი წიგნი — უაღრესად საინტერესო რომანი — ასეთი კარგია. ლიტერატურული პროგნოზების კეთება კი ისეთივე სათუთი და საალაღბელო საქმეა, როგორც იმის გამორკვევა, რა ატირებს ქალს. უფრო სწორად, ქალის ცრემლები ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რაც მას ატირებს, უსათუოდ მელოდრამატული საპნის ოპერაა. გააჩნია ქალს... როცა ზაჰრა ტირის, ამის სერიოზული მიზეზიც აქვს...



გივი ალხაზიშვილი ერთი ლამის ჩანაწერები

* * *

სუბიექტურობის უარყოფა პოეზიაში ლამის პოეზიის უმთავრეს წარმატებად ან წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობად ჩაუთვლიათ.

ნებისმიერი ემოცია – დადებითი თუ უარყოფითი, თვით გულგრილობაც კი, არაა თავისუფალი სუბიექტურობისგან. გაათავისუფლე სიტყვა ემოციისგან და გაათავისუფლე მას გარკვეული სუბიექტურობისგან, შექმნი მხოლოდ ტექსტს ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე.

ჩემთვის ინდივიდია საინტერესო თავისი ინდივიდუალური განუმეორებლობით, სუბიექტური თავისებურებით, ხოლო ინდივიდუალობას თუ სუბიექტურობას გამოვაკლებთ, ასეთ შემთხვევაში არ ვიცი, პოეტი რაგვარ ტექსტს დაგვიმზადებს, იქნება თუ არა ტექსტში პოეზიის ნატამალი, თუკი, ცხადია, შექმნის პროცესს – მწარმოებლობასთან, დამზადებასთან გააიგივებს. სუბიექტურობის უარყოფა უნდა იყოს სწორედ შემოქმედების გაუქმებისკენ მიჰყავთ. ისინი გამოირიცხავენ „სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას“ ლექსის წერის პროცესში, თავი რომ დავანებოთ ინიციაციის არქაულ მეთოდს, საიდუმლოს ზიარების და განდობის ტრადიციულ, მაგრამ, ამავე დროს, მეტად სუბიექტურ პროცესს, რაც დღემდე მიმზიდველია თავის განუმეორებელი შედეგებით, სულიერი ენერჯის გაუცნობიერებელი ორგანიზებით, ანუ იმ ძალით, რაც ტალანტის თავისებურებას წარმოაჩენს.

ერთია სუბიექტურობით სპეკულაცია, ფიქციათა კასკადი, სულ სხვაა სუბიექტური გამოცდილების განზოგადების უნარი. თვითმიზანი, სუბიექტურობისგან სრულიად გაათავისუფლო პოეტური ტექსტი, ნიშნავს, სულიერად არ მონაწილეობდე „ტესტის“ შექმნაში და მიიღო ზუსტად ისეთი შედეგი, რასაც ყოველდღიური ერთფეროვნება ისედაც გვთავაზობს „წერილობის“ გარეშე. პოეზიაში დეგრადაციის მრავალი გზა არსებობს:

1. სუბიექტივიზმი – გადაზრდილი გულისამრევ სოლიპსიზმი;

2. სუბიექტურობის სრული იგნორირება.

ორივე შემთხვევაში, ის, რაც მთავარია ლირიკაში (სულიერი ზეგავლენის ხარისხი) დაკნინებულია ან დაწუნებული. ამის მიზეზი ერთადერთია – არასაკმარისი ნიჭი, რაც ლიტერატურულ ობიექტს შეგნებულად განაწყობს ტალანტთან საბრძოლველად, რადგან მან სუბიექტურობა მთლიანად დაიწუნა.

* * *

ყოფიერების „აპოლოგეტები“ ან ყოფიერების ნატურალისტურად ამსახველი ტექსტების ავტორები ზუსტად იწერენ ყოველდღიურობის ფსკერიდან ყველაფერს, ნებისმიერი ფრაზეოლოგიის მეშვეობით. კონტრკულტურისათვის

დამახასიათებელი ანტი-ესთეტიკა იბრძვის სტერილური განწყობილებებისა და ფსევდო მხატვრულობის უარსაყოფად.

არსებობს პოეზია, ყოველივეს რომ პოულობს ყოფნისა და არყოფნის ზღვარზე, სადაც ფიქციისთვის თითქმის არ რჩება ადგილი, იქ სიტყვა მინერალივითა და გვერდს უვლის გულისამრევ ვულგარულობასაც და სტერილურ ენასაც, უარყოფს სრულ გულგრილობასაც და სიურეალისტურ ფრაზათა ნანგრევების ცრუნოვაციურობასაც.

ბუნებრივია, რომ ახალი დრო ახალ კლასიკას აყალიბებს. ლიტერატურულ ქაოსში ისევ ძველი და ახალი კლასიკა იპყრობს ჩემს ყურადღებას. როცა ახალ კლასიკაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ ახლებურ სიმწყობრეს და არა ტექსტობრივი ნანგრევების ნაირსახეობას, სადაც მხოლოდ სულიერი სიძაბუნე, აუტანელი ეგოცენტრიზმი ან სრული გულგრილობაა გამეფებული.

ლექსის მწარმოებელი (თითქოს პოეტი) მაგონებს სექსინდემწარმეს, რადგან მან უარყო სიყვარული და იქცა ლექსის მწარმოებელ დაზგად.

პოეზია „სულის ჩამდგმელ“ ქვეყანაში თანდათან ექცევა იმ ყოფის ტყვეობაში, მასკულტურამ რომ გააბატონა. ისინი ბაზრის შექვეთაზე მუშაობენ.

ახალი პოეტური სიტყვის ნახევრადლიაობას ან ნაწილობრივ დახშულობას უარყოფს ახალი „ენა“, ახალი „ესთეტიკა“ (ანტიესთეტიკა), რომელიც ზუსტად ასახავს იმ სულიერ კრიზისს, რაც კარგახანია დამკვიდრდა ცივილიზებულ სამყაროში ავადმყოფური პრაგმატიზმისა და კონფორმიზმის წყალობით.

აი, უიოლესი გზა: სუბიექტურობის დასაძლევად საჭიროა საეჭვოდ ობიექტური ხედვა (აზრი), რომელიც ინდივიდს კი არა, კოლექტივს ეკუთვნის. ასეთ ვითარებაში აუცილებელია უარი ვთქვათ ტრანსცედენტზე, დუენდზე, სულის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, ინიციაციურ ხილვებზე, ანუ ყოველივე იმაზე, რითაც პოეზია საზრდოობს.

როცა ჩვენ გვასწავლიან, როგორი იყოს პოეზია, ისეთი ადამიანები, თვითონ რომ „ანარმოებენ“ პოეტურ ტექსტებს, მათ ეს უნდა შეძლონ თავიანთი ლექსებით და არა თეორიული რეცეპტებით, რაც მეტად საეჭვო საქმეა.

ნიჭის მფლობელი, ღვთის შეწევნით ინდივიდია და არა მასა. და თუკი მასას, ანუ კოლექტივს, აღარ უნდა ნიჭი, ანუ ინდივიდი (სუბიექტი), მაშინ მათი დაშორიშორება გარდაუვალია.

ჩვენ აძვერად სწორედ ამ პროცესის შემსწრენი ვართ. მაგრამ ისმის კითხვა: იყო კი ოდესმე საყოველთაო მოთხოვნა ტალანტის ნაღვანზე, თუ მაშინაც და ახლაც მხოლოდ გარკვეულ წრეს ესმოდა მისი?!

* * *

ნიჰილიზმი, რასაც გამუდმებით გვკარნახობს ცივილიზაცია, მთლიანად ცვლის ჩვენს ცნობიერებას და სუბიექტური აზრისთვის, სუბიექტისთვის (ინდივიდისთვის) ადგილსა



და სივრცეს აღარ ტოვებს. გარდაუვალი ჭიდილი ინდივიდსა და კოლექტივს შორის, ამ უკანასკნელის შთამბეჭდავი (თუმცა მოჩვენებითი) გამარჯვებით მთავრდება.

იქ, სადაც ჩვენ შეიძლება სუბიექტურობაზე ავმალდეთ, მხოლოდ რწმენაა. უსიყვარულობაში, ურწმუნობაში დაკარგული ინდივიდუალობა აყალიბებს ურწმუნოთა „რელიგიას“, რომელსაც ნეგატიურ რელიგიად თუ მოვიხსენიებთ. ღვთის გვერდის ავლით ყველა გზა ჩიხისკენ მიდის. მაშინაც, როცა ფარისევლურად გვწამს და მაშინაც, თუ „ნეგატიური რელიგიის“ ერთგულებას ვიჩემებთ. ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციის პროცესშიც იგივე ხდება, თუმცა უფრო თვალნათლივ ვხედავთ საკუთარ შეცდომებს.

ერთმა უნიჭიერესმა, უმცროსმა კოლეგამ გამომხილა: „ადრე ჩემთვის პოეზია იყო რელიგია, ახლა რელიგიაა პოეზია“.

საგულისხმო და ფრიად საინტერესო მოსაზრებაა.

* * *

უცნაური მოვლენაა პოეტი-ქარიზმა. იგი ახერხებს თავისი პოეზიის მეშვეობით აგვიყოლოს. არის ამ მოვლენაში რაღაც „ტოტალიტარიზმის“ (იასპერსი) მსგავსი, თუმცა ამ „ტოტალიტარიზმიდან“ თავის დაღწევა პოეზიიდან თავის დაღწევას გულისხმობს აპრიორულად.

მრავალს არ სურს დაემორჩილოს პოეტ-ქადაგს, პოეტ-სიბილას, პოეტ-გურუს, პოეტ-წინასწარმეტყველს და ირჩევს გასართობ ლიტერატურას. გაუმარჯოს თავისუფალ არჩევანს!

ცივილიზაცია „სახიფათო“ ინდივიდების იგნორირებას იოლად ახერხებს. თამაშის ახალი წესები ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციას ემყარება, ხოლო ახალ წესრიგში ადამიანი-არაა რაიმე მსოფლმეგრძნებას ზედმეტ ბარგად მიიჩნევს და უკიდურეს პრაგმატიზმს აღიარებს, როგორც ახალ „აღმსარებლობას“.

დეკონსტრუირებული ლოგოცენტრიზმი, ანუ ღმერთი და უსაყრდენოდ დარჩენილი ადამიანი-არაა.

რა სხვაობაა კამიუს („უტხო“) მთავარ პერსონაჟსა და პავლიკ მოროზოვს შორის? ერთი ცივილიზაციის მსხვერპლია, ხოლო მეორე კი მარქსისტული ცრუიდეოლოგიისა.

ერთი გაუცხოებულია, დანაშაულებრივად გულგრილი, მეორე აგრესიული და დაუნდობელი ტოტალიტარიზმის მონა. ორივე შემთხვევაში ქრისტიანობა ჩანაცვლებულია „ნეგატიური რელიგიით“.

* * *

პოეზია ყოველთვის პოულობს თავის სივრცეს, როგორც ყვაილი გასაშლელ ადგილს. იცვლება მშვენიერების ესთეტიკა, სტილისტიკა, ენა, მაგრამ ცვალებადი მშვენიერება ყოველთვის მთავარია ხელოვნებაში.

* * *

რეპში, კიჩში (სლემში) გააღწია პოეზიამ, ის თავის ადგილს ყველგან ეძებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სერიოზულ პოეზიას სხვა გზები და სხვა ფორმები ეძიოს.

* * *

„ბიტიკების“ დაგვიანებულმა ექომ ჩვენამდეც მოაღწია. ნუ დავარქმევთ ნოვაციას გინზბერგის „ყმუილის“ ექოს მეთასე და უსუსტეს ექოს.

* * *

ყაყაჩო მაშინაც კი მშვენიერია, როცა აღარც კი გახსოვს, მერამდენედ აკვირდები. თუმცა, ამ ყვაილის მშვენიერება

შეიძლება ცრუპოეტმა მოკლას, თუ კი მას ისევ და ისევ ცეცხლს შეადარებს.

არ ვიცი, პირველად ყაყაჩო ვინ შეადარა ცეცხლს, მაგრამ მაშინაც კი ეს შედარება მხოლოდ ვიზუალური და, ამრიგად, ცალმხრივი იყო. ამ შედარების გადამმღერებლები აღარც ცალმხრივები, ისინი ჩვეულებრივი უნიჭოები არიან.

* * *

რომელიღაც კენკრის სურნელში მეტი პოეზიაა, ვიდრე ფიქციით მოკლულ სიტყვებში.

* * *

უსმენო პოეტი, არც თუ იშვიათად, ასეთ ეპიგრამას იმსახურებს:

თითებზე ითვლის სიტყვათა მარცვლებს, სტრიქონზე აფენს საკუთარ საცვლებს.

„გარდამოქმელი“

პუშკინი დამ; გოეთე დამ; ლერმონტოვი დამ; წერდენენ მიცხრამეტე საუკუნეში, ზუსტად მიუთითებდნენ პირველწყაროს და ამავე დროს გვაუწყებდნენ „საიდამ“ იყო გადმოღებული ესა თუ ის მხატვრული ტექსტი მშობლიურ ენაზე. თარგმანის სანაცვლოდ, არც თუ იშვიათად იყენებდნენ ჩემთვის უფრო მისაღებ შესატყვისს, როგორცაა: ქართულად „გარდათქმული“. ის, რასაც ახლა, ჩვენ მხატვრულ თარგმანს ვუნოდებთ, პოეტურ თარგმანს ვგულისხმობ, „ქართულად გარდათქმული“, ან „რილკედან“, „ბლოკიდან“ და ა.შ. უფრო ზუსტად მიესადაგება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართულად გარდათქმა“ თავისთავში გულისხმობს ორიგინალიდან გადმოღებული ტექსტის გარდაუვალ სახეცვლილებას (იდიომატურ ძიებებს, ადექვატური სახეებისა თუ ტროპული სტრუქტურის, უთარგმნელი ფრაზებისა და ცალკეული სიტყვების ქართულ ენაზე შესაბამისი ლექსიკური ერთეულების სავარაუდოდ, სათუო ვარიანტების შერჩევას, რაიმეს აუცილებელ ჩამატებას, ამოკლებას, უეჭველ დანაკარგს, რაც „რალაცით“ უნდა შეივსოს, და კიდევ იმას, რომ ეს „რალაც“ მეტ-ნაკლებად მისაღები ან დასაშვები უნდა იყოს), ცხადი გახდება, რომ „ქართულად გარდათქმა“ უფრო ზუსტად შეესაბამება იმ პროცესს, რასაც პოეტურ თარგმანს ვუნოდებთ.

პოეზიის თარგმანზე შეგნებულად ვამახვილებ ყურადღებას, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოეზიის ადექვატურად თარგმნა შეუძლებელია, ან თითქმის შეუძლებელია, მაგრამ „ქართულად გარდათქმა“, ან რომელიმე ავტორიდან გადმოღება შესაძლებელია.

პოეზიის კონგენიალური მთარგმნელი პირველწყაროს ავტორს, ალბათ, მეტოქეობას ვერ გაუნეგს, მაგრამ იგი სხვა ენაზე სიცოცხლეს უხანგრძლივებს და ამასთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე.

მთარგმნელი გარკვეულწილად რაფსოდის ნიჭსაც ავლენს, და ამა თუ იმ ტექსტის მშობლიურ ენაზე გარდასახვისას, გვთავაზობს თავის ვარიანტს, რომელიც მკითხველზე ზემოქმედებს იმის მიხედვით, რაგვარი შესაძლებლობებისა-ცაა მთარგმნელი. მთარგმნელის ნიჭი, თუ იგი მხოლოდ თარგმანითაა დაკავებული, ფრიად გამორჩეული და განსაკუთრებულია, თუმცა მისი შემოქმედებითი ზრახვანი, სამემსრულებლო საშუალებანი მთლიანად დამოკიდებულია

„გარდასათქმელი“ ტექსტის ავტორზე. უპირველეს ინიციატორად, ცხადია, მაინც რჩება შემოქმედი ანუ ავტორი, ანუ ის, ვინც შთააგონა მთარგმნელი.

ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა ამდიდრებს პოეტს, მაგრამ გამდიდრების პროცესი, ზოგჯერ, უკუშედეგითაც მთავრდება, ანუ იმით, რომ კონგენიალური „გარდამთქმელი“ რჩება კონგენიალურ „გარდამთქმელად“, რადგან მასში არ აღმოჩნდა ის ძლიერი ნება, რისი მემკვიდრეობაც თავს დააღწევდა უინიციატივობას, უსათქმელობას, რადგან იგი შეეჩვია, რომ „სათქმელი“ სხვა ავტორიდან უნდა გადმოიღოს, შემოქმედებითი ინიციატივა სხვა ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. მსგავსი ნებაყოფლობითი „მსხვერპლშენივსი“ მაგალითების დასახელება შეიძლება.

მთარგმნელები გასაოცარ და უდიდეს საქმეს აკეთებენ, მათი ნიჭიც განსაკუთრებული ნიჭია გამუდმებით რომ ამდიდრებს ლიტერატურულ პროცესს.

მთარგმნელი-პოეტი, რომლის ღვაწლსა და მნიშვნელობას დიდ პატივს მივაგებ, მაგრამ ვერ ვიზიარებ კულტურულ საუბრებში გამოთქმულ ზოგიერთი მათგანის მოსაზრებას, რომ თითქოს ლექსების წერას საბჭოური ცენზურის გამო მიანებეს თავი და თავიანთი ნიჭი მთლიანად მიუძღვნეს პოეზიის თარგმნას. ჩავთვალოთ, რომ ეს უფრო მეტის გაკეთების სურვილით გამოწვეული სინანულია, ან იქნებ თავის მართლება, რომ ჩავლილ წლებში, ისინი მხოლოდ პოეზიის მთარგმნელობით იმიტომ დაკმაყოფილდნენ, რომ არსებული ცენზურა, რეჟიმი იყო ამაში დამნაშავე. როგორც ჩანს სხვა მიზეზიც არსებობდა საამისოდ, თუნდაც პოეტური სიმღერის, თავისთვის წერის მძლავრი სურვილის უქონლობა, თორემ ხომ იარსებებდა საიდუმლო ტექსტები, რომელთა გამოქვეყნება მათი მოსაზრების სინრფელეში დაგვაჯერებდა. მათ შეძლეს ის, რაც შეეძლოთ და დიდი საქმეები აკეთეს.

აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პოეტი წერს თავისთვის და პირობითი მკითხველისთვის, მომავალში ნაგულისხმევი მკითხველისთვის, მაშინაც, როცა აქვეყნებს და მაშინაც, როცა ვერ აქვეყნებს.

ამავს ამტკიცებს გუტენბერგამდე არსებული ეპოქები, ათასი წლით გამჭრალი კატულუსის ხელნაწერი, პარმის ტაძარში რომ იპოვნა ერთმა ეპისკოპოსმა, დიდხანს მდუმარე გონგორა, ჰოლდერლინი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, დიკინსონი და ა.შ.

რაც შეეხება ცენზურისა და რეჟიმის მომიზეზებას, მინდა დავიჯერო, რომ ეს არგუმენტი გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა შალამოვის მაგალითის გახსენება სრულიად საკმარისია, მე რომ საპირისპირო ვამტკიცო. სად, როგორ, რა პირობებში წერდა იგი პროზაულ თუ პოეტურ ტექსტებს, საყოველთაოდ ცნობილია.

თავისუფალი თარგმანი

ინგლისურენოვანი პოეზიის ჟურნალის (Fulcrum აშშ) რედაქტორი კატია კაპოვიჩი „ინოსტრანინაი ლიტერატურას“ ანკეტის (№7-2005) ერთ-ერთ შეკითხვას – (თქვენი შეხედულებით განსხვავდება თუ ერთმანეთს ენათესავება საქმიანობა-ლექსების წერა და ლექსების თარგმნა) დაახლოებით ასე პასუხობს: ალბათ, განსხვავდება ისე, როგორც ოკეანეში ცურვა და აბაზანაში ჭყუმპალაობა. თითქოს ორივეგან ერთი და იგივეა სტიქია – წყალი. თუმცა, პირველი შემთხვევისას ფსკერი მიუწვდომელია, რასაც თან ახლავს თავის მიმზიდველობა და უხერხულობა. მეორე შემთხვევისას,

ფორმა მოცემულია, მაგრამ უნდა შეძლო მოდუნდე და შეერწყა ამ ფორმას...

ამავე ანკეტაში კატია კაპოვიჩი სხვა საყოველთაო მოსაზრებასაც გამოთქვამს: ... ცვეტაევამ თარგმნა ბოდლერის „ნაოსნობა“ და ამ თარგმანმა, ალბათ, მრავალზე მოახდინა გავლენა. მახსოვს, ოდენმა, როცა ნაიკითხა თარგმანები მანდელშტამიდან, გაცდა: გენიალური პოეტია, ასე უნდა ვირწმუნოთ – თქვა მან. ესე იგი, ყველაზე საუკეთესო და მთავარი უთარგმნელია...

ამიტომაც, პოეზიის უთარგმნელობის მიზეზით, დიდი ხნის წინათ გაჩნდა თავისუფალი თარგმანის გზა თავის თეორიითა და პრაქტიკით. თავისუფალ თარგმანში მთარგმნელი ჩაენაცვლება ავტორს და ორიგინალის უნაპირო ინტერპრეტაციის საშუალებით, პრაქტიკულად ქმნის ახალ ტექსტს და თვითონ უფრო ავტორი, ვიდრე მთარგმნელი. სინამდვილეში ჩნდება ახალი ტექსტი. ორიგინალის ავტორი პირობითი თანაავტორია. ასეთ „თარგმანში“ მთარგმნელი მთელ პოეტურ ენერჯიას ითვისებს ორიგინალის ავტორისაგან და ქმნის სხვა სამყაროს, სხვა სალექსო სივრცეს. შთაგონების პირველწყარო უცხო ტექსტია და შედეგად ვიღებთ ინდივიდუალური თანაგანცდის იმიტაციას.

ძნელი გასამიჯნია ერთმანეთისაგან ორიგინალური პოეზია და თავისუფალი თარგმანის ამგვარი ტექსტები, რადგან ორიგინალური პოეზიაც, თავისთავად რომელიღაც დაწერილი თუ დაუნერეელი ტექსტის თარგმანი, ვარიაცია, ან სულაც გაბმული ინტერპრეტაციაა და რაც ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იპყრობს, ეს არის პოეზია, რომელსაც ძალუბს „თავს მოგვახვიოს“ „სხვისი“ განცდები და ფიქრები, მუსიკა და მეტაფორები, ავგიყოლიოს და განგვაცვიფროს იმით, რომ ეს „სხვისი“ სამყარო ჩვენიც ყოფილა, მაგრამ დღემდე ვერ აღმოგვეჩინა. თავისთავად მთარგმნელი მაინც აბაზანაშია და თავს ოკეანეში წარმოადგენს, მისი ტექსტი კი სხვისი განცდების გათავისების თუ მითვისების, მიტაცებული ენერჯიის სიტყვიერი ვარიაციაა, ნაყოფია.

პოეტიც მთარგმნელია, ოღონდ თარგმნის პირველწყარო-სამყაროა, რომლის კითხვასაც შეეწირა მრავალი თაობა. რადგან ყოველ პოეტურ თარგმანში იკარგება რაღაც მნიშვნელოვანი. პოეტიც „სამყაროს გადმოღებისას“ პროსოდის მეშვეობით ქმნის, თან კარგავს იმ განცდას, იმ სათქმელს, იმ ტრანსულ ხილვას, რასაც გამუდმებით ეძებს მორიგი ლექსის წერისას, მაგრამ პოულობს მხოლოდ ეპიზოდებს, ფრაგმენტებს, მოზაიკის ნაწილებს, რადგან შეგრძნებათა სამყაროს უდანაკარგო გადმოცემა შეუძლებელია და არც სიტყვებია საამისოდ საკმარისი. რაც ყოველთვის ამოუთქმელი რჩებოდა და რჩება, ეს ის ძალაა პოეზიისკენ რომ გვბიძგებს, მაგრამ თვითონ მარადის ამოუცნობელია. პოეზია ცდილობს იგრძნოს და გვაგრძნობინოს ის, რისი ბოლომდე შეცნობაც შეუძლებელია, რაც თავის არსებობას ისევდაისევ პოეზიასა და ზოგადად ხელოვნებაში ამხელს.

ყოფისა და ირეალობის ზღვარზე

არსებობს სამი განსხვავებული ენა (მუსიკის, პოეზიის, ფერწერის) და ისინი ერთმანეთს არათუ გულისხმობენ, შეიცავენ კიდევ. სამყაროს წიგნის გადმოცემის, გარდაქმნის, გადმოხატვის იდუმალი მოთხოვნილება უძველესი დროიდან დღემდე აგრძელებს თავის საკრალურ არსებობას და ესთეტიკურ დოქტრინათა გამუდმებული ცვალებადობის კვალდაკვალ იცვლება ლიტერატურული პროცესი. ვითარ-

დება ან სულაც დეგრადაციას განიცდის. იმისდა მიხედვით რა ხარისხის ნიჭითაა დაჯილდოებული ინდივიდი (შემოქმედი) და რაგვარი სიახლის დამკვიდრების უნარი შესწევს ავტორს, რომელმაც ცვალებადი უცვლელობის გრძნობადი სამყარო გაითავისა, ან სულაც ვერაფერი გაუგო. ხე ნაყოფით იცნობა, პოეტი – ლექსით.

მოყვარულთა სიმრავლე და მოყვარულთა საქმიანობის ნოვაციად აღიარება იმ გარემოებაზე მიგვიბრუნებს, რომ უამრავი შემოქმედისთვის მიუღებელია (უფრო კი დაუძლეველია) ამა თუ იმ სახელოვნებო ენის ცოდნა, რაც წარსულში სავალდებულო პირობად ითვლებოდა და რის გარეშეც წარმატების მიღწევა შეუძლებელი იყო. გაჩნდნენ კომპოზიტორები, რომლებსაც „საკუთარი მუსიკის“ სანოტო ფურცლებზე გადატანა არ შეუძლიათ. გაჩნდნენ მხატვრები, რომელთაც მხოლოდ ხატვის ჟინი (იქნებ სურვილი) აქვთ, მაგრამ უარს ამბობენ დაოსტატებისთვის სავალდებულო დამქანცველი გზის გავლაზე და ყველაფერს ინყებენ არაფრიდან, ანუ არცოდნიდან და ასე საღებუბა თვითმიზნური უაზრობანი ნოვაციად, რომელსაც კრიტიკოსები ხოტბას ასხამენ და ახალ „მიმდინარეობებს“ გაპრანჭულ სახელებსაც შეარქმევენ.

დამეკარგა ბაზარში ლექსი და სამშობლო, თუ ვინმე იპოვნის, დამანახოს.

რუსუდან კაიშაურის ლექსის („გამოცხადება“) ბოლო ორმა სტრიქონმა მიბიძგა ჩემი რეცენზია სწორედ „ლექსის დაკარგვის“ თემის განსჯით დამეწყო.

გულისტკივილი, რომელიც პოეტური კრებულის („ცოცხების გადაფრენა“. „კავკასიური სახლი“, 2004 წ.) ავტორს, რუსუდან კაიშაურს პირველივე ლექსში გამოუხატავს, ჩემთვის საკმაოდ ნაცნობია და გარკვეულწილად პრობლემატურიც. თუმცა, ამა თუ იმ ტექსტით ჩვენი ბუნებრივი გულისტკივილი თუ გალიზიანება, ცხადია, ბუნებრივია, მაგრამ მაინც უსაფუძვლო, რადგან მაკულატურის მთები სწრაფად ინგრევა და რასაც დრო (მკითხველი) გადაარჩენს, მხოლოდ მას შესწევს ავტორის სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი და არავინ იცის მომავალში არსებობის ვადები და თარიღები.

**ერთ დროს ქალი იყო
სანერი მაგიდა,
დანებით ტრიალებდა ქურასთან,
სარეცხის თოკებით
ქარებს რომ აბამდა,
ოჯახურ ოცნებებს წურავდა.
ყველა უჯრამი შვილები ეჯდა,
გულს იტრიალებდა გასაღებით,
ლექსებს ღამეებით ათეთრებდა,
რადგან გრძნობა ჰქონდა დასაღლეი.
ეს ქალი, ერთხელ, წელში მოიხარა,
დარჩა ასე და არ აფრინდა.
მოადგა სკამი უტიფრად. არც იკითხა.
ეს ქალი იყო თუ მაგიდა.**

რუსუდან კაიშაური მრავალშვილიანი დედაა. თითქოს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება არც კი ღირს, თუმცა კრებულში („ცოცხების გადაფრენა“) შეტანილი ლექსების თემატიკა, ყოფითი სცენების ირეალური ჭრილიდან ხედვა, ყოფიერებისა და პოეტური მედიტაციის თანაარსე-

ბობა მაფიქრებინებს, რომ იგი ერთი შეხედვით პრიმიტიულ ოჯახურ ერთფეროვნებაში პოულობს იმ შესიტყვებებს, რომლებიც პოეზიითაა აღსავსე და, რასაც, ყოველდღიურობაში, არც უნდა ვეძებდეთ („ქალი იყო სანერი მაგიდა...“, „სარეცხის თოკით ქარებს აბამდა...“, „ოჯახურ ოცნებებს წურავდა...“, „წელში მოიხარა, დარჩა ასე და არ აფრინდა...“).

იგი ზუსტად პოულობს სიტყვებს იმ განცდათა გადმოსაცემად, ბუნებრივად რომ იმეორებენ სტილურ რხევებს და ავტორს მკითხველამდე მიჰყავს ის ცოცხალი და, ამავე დროს, ხილული შეგრძნებები, მის ნიჭიერებას რომ ადასტურებს.

**გრძელი წყევლა ამოვიარე,
კიბეები წაღმა-უკულმა გატარებენ,
ველარ გიტაცე ხელი სახრეზე,
თეთრი ლექსებით ცხვირი მოგხოცე.
ვაიმე, მეტი არ მომივიდეს და არ მოხუცდე,
დიდი ხარ და საკმარისია!
ბიბლიიდან გაიქეცი
სახარებაში
და ჩაიკარგე...**

....
**სანამ რამეს არ ჩაიდენ კაენივით,
ველარ გიპოვნინა.
ძუძუ შემომკვნესი!
„ქალო, სად არის შენი შვილი?“**

ამ ლექსშიც ალაგ-ალაგ გაკრთება რითმა, როგორც უნებლიე მუსიკალური საყრდენი. წაკითხვისთანავე ნათელია, რომ ვერბლანი თვითმიზნურად არაა დანერგული და არსებული სალექსო ფორმა შერწყმულია დედის შეგრძნებასთან (შიშთან), რომელიც ყოველთვის ატონალურია. ბიბლიიდან გაქცეული შვილი, რომელიც სახარებაში ჩაიკარგა, მას ვერასოდეს იპოვნინა, სანამ რაიმეს არ ჩაიდენს კაენივით და შიშის პირმოუკრავი ბზარიდან ამოდის ხმა: „ქალო, სად არის შენი შვილი?“

ამ წიგნის წინათქმა ასეა დასათაურებული: „ნაწყვეტი ჩემი ყოფიდან“. ეს მცირე ოპუსი, ერთგვარად, წიგნის გასაღების როლს ასრულებს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემს მოსაზრებას, რომ რუსუდან კაიშაურის ყოფა რეალურისა და ირეალურის თანაარსებობაა, თანამონაცვლეობაა, კონკრეტულის განზოგადებაა, სადაც ყოველდღიური, დამქანცველი ყოფა სხვაგვარ, პოეზიის სამყაროში გადადის სულის მოსათქმელად და ამგვარი წრებრუნვა უცნაურ მისტიკას შეიცავს, კერძოდ კი, საგნების გაცოცხლების სურვილს („მერე ნიჟარაში შევძვრებოდი და 15 წუთში, ცხენად ქცეული, ისევ გარეთ ვისკუპებდი. უკან მომყვებოდნენ ცოცხი, ტაფა, როდინი, სარეცხის თოკი სარჭებითურთ და ციცხვი“). ყოფიდან გაღწევისა და ყოფაში დაბრუნების მტკივნეული აუცილებლობა, შვილების სიჩუმის თუ სიმშვიდის მოდარაჯე დედისათვის, პოეზიაა, სივრცე, სადაც შეუძლია სხვა რამედ იქცეს.

„ცოცხების გადაფრენის“ ავტორის შემოქმედებას თითქმის სამი ათეული წელია თვალს ვადევნებ. პირველი შთაბეჭდილება „ცისკრის“ პუბლიკაციიდან რომ შემომრჩა, საბედნიეროდ, დღეს უფრო დადასტურდა და დასრულებული სახე მიიღო. იგი პოეტია, რასაც მრავალზე ვერ იტყვი, თანაც თავის თაობაში გამორჩეული. მძიმე ყოფამ და მრავალშვილიანი დედის გაბმულმა პრობლემებმა ვერ შეძლო მისი ნი-

ჭის დამცრობა, პირიქით, იგი ვითარდება, როგორც პოეტი და ისევე ტოვებს მოლოდინის განცდას, რაც შეფასების უტყუარი კრიტერიუმი.

**მზე ნივთებს შეახსენებს სახელებს
ისე, ვით ეხებიან საკრავებს.
თვალეზმა დაამცირეს ნივთები,
ადამიანები მათ ჩავრავენ.
ოთახმა დაივარცხნა ფარდები,
გაისწორა სარკიანი დეკორები,
სად არის სტუმარი პოეტი,
რომ აქ ყველაფერი შეტოკდეს.**

ყოფა, რომელიც რუსუდან კაიშაურის ლექსებში, პოეტურ მაგიასთანაა დაწყვილებული, მაინც გულისხმობს იმ უძველეს ფესვს, რომელზეც მისი წარმოსახვა ამოზრდილი და რამაც ტრანსფორმირებული სახით თავისი ადგილი დაიმკვიდრა მის შემოქმედებაში. ეს გახლავთ მის მეხსიერებაში ჩარჩენილი ხევი, ხალხური სიტყვიერების სახეცვლილი ექო, რომელიც თითქოსდა შორეული სათავისკენ გვახედებს, სინამდვილეში რომ აქვია, ხუთი შვილის სუნთქვის კვინტეტიტით გამთბარი.

მეგობრის უკანასკნელი სათხოვარი

თვითმკვლელობამდე დათო მჭედლურმა სამიოდე პირადი წერილი დატოვა, ერთ-ერთის ადრესატი მე ვარ.

არ შევუდგები იმის აღწერას, რა განვიცადა მაშინ, როცა მის უკანასკნელ წერილს ვკითხულობდი. ახლა კი მინდა ფართო მკითხველს გავაცნო დათო მჭედლურის ჩემთვის დატოვებული ბარათი, რომლის გამოქვეყნებაზეც გარკვეული მიზეზის გამო ვიკავებდი თავს. ღირს კი საერთოდ პირადი წერილის გამოქვეყნება, იმ ტექსტის დაბეჭდვა, რომელშიც უხერხულ, საქებარ კონტექსტში ვარ მოხსენიებული, ამასთან, არის თუ არა ეთიკური ერთი ადრესატისთვის დატოვებული წერილი ყველას წავაკითხო?!

ამ ფიქრში და „ჩვენი მწერლობის“ აღდგენის მოლოდინში, სადაც იგი მუშაობდა განყოფილების გამგედ, ვიდრე გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი გახდებოდა, საკმაოდ დრო გავიდა. თანაც, ჩემი ორჭოფობა – დამბეჭდა თუ არა ეს წერილი, თანდათანობით გააქარწყლა მრავალმა კითხვამ, საზოგადოებაში რომ გაჩნდა და მათი უპასუხოდ დატოვება შეუძლებლად ჩავთვალე. გადადებდა აზრი აღარ ჰქონდა, გადავწყვიტე დათოს „ანდერძი“ გამომქვეყნებინა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი პასუხისმგებლობა მისი დანაბარების წინაშე გაორმაგებულიყო.

წიგნი ზურაბ ერისთავზე, რომლის გამოცემასაც დათო მთხოვს, მისი ტრაგიკული აღსასრულის მეორმოცე დღეს განხორციელდა.

ახლა ჯერი იმ წიგნზეა („თავისუფლების სახელით“) ასე საგულდაგულოდ რომ შეავსო, განავრცო და განასრულა.

იგი თავის ანდერძში არაფერს საუბრობს პოეტურ კრებულზე, რომლის მომზადებასაც მალე შევუდგები და რჩეული ლექსების წიგნი „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოიცემა.

ლიტერატურის ისტორიისთვის მწერლის ყოველი სტრიქონი საინტერესოა, მითუმეტეს იმ წერილის შინაარსი, თვითმკვლელობის წინა დღეს რომ დაინერა.

ჩემი ძვირფასო ძმავო პოეტი!
სადაც ვიყავი ვიყავი ვიყავი, წყარო იყო ჩემი, ზღაპრით
იზიარებდი თანაგრძობს, ეს ჩემი უყვარველი ღიმილი მკითხველს
ღიმილი იყო და მჭიდროდ ვერცხვით სიყვარულით
შენი უპასუხოდ მიღებული ვაჟი, მინი მთავარი
პოეტი და ვერ მოვიხერხე, მთავარი უფრო მთავარი, სიმა
პოეტობაში ვაჟი უპასუხველად, ჩემი შენ ხარ
მეც ვიყავი შენ ღიმილი არიყვით და ღიმილი ვიყავი მისი
ღიმილი იყავი მისი და ღიმილი მისი იყო.

ჩემო ძვირფასო ძმავო გივი!
ამ ბარათს ვწერ ფშავში, ჩემს პატარა სახლში, სადაც ამოკვდი იარაღის წასაღებად, ეს ჩემი უკანასკნელი ღამეა მარადიული ღამის წინ და მშვიდად ვემზადები სიკვდილისათვის.
შენი უსაზღვროდ მაღლიერი ვარ, რისი გამოთქმაც ვერა და ვერ მოვახერხე, ახლა კი უნდა გითხრა, რომ მაღლობელი ვარ ყველაფრისათვის, რაც შენ ჩემთვის გააკეთე. შენ დიდი პოეტი და დიდი ვაჟკაცი ხარ, დიდი მეგობრობა და დიდი ძმობა იცი.

მინდა გისურვო კვლავ და კვლავ უბერებელი ლექსები, დიდხანს სიცოცხლე, გამრავლებას ვუსურვებ შენს ოჯახს, შენს შვილიშვილებს.

ჩემი უბედური ცხოვრება არ შეიძლებოდა სხვანაირად დასრულებულიყო და ეს მე დიდი ხნის წინათ ვიცოდი, მაპატიე, რომ ამიერიდან შენს გვერდით ვეღარ ვიქნები.

გიტოვებ უკანასკნელ სათხოვარს:

– ჩემი ბოლო წიგნი ზურაბ ერისთავზე, რომლის მომზადება ვერ მოვახსნარი, იქნებ როგორმე გამოსცე, ჩემი ოჯახიდან ვადმოგცემენ ჩემს მიერ ჩასწორებულ ბოლო ვარიანტს, ლურჯი პასტით სწორებები ახალია და ისინი დისკეტაზე არ იქნება, ვთხოვ ქალბატონ მილიცას, რომ დისკეტიდან ამონაბეჭდი შეუდაროს ამ ვარიანტს და სწორებები გადაიტანოს დაკაბადონების დროს.

კომპიუტერზე ანაწყობის ერთი ეგზემპლარი და დისკეტები დევეს ჩემს მაგიდაზე სამსახურში. დიდი მხატვრული გაფორმებისთვის ნუ შენუხდები. მთავარია გამოიცეს.

– ძალიან მინდოდა გამომეცა ჩემი წიგნი „თავისუფლების სახელით“, შევსებული და შესწორებული. თუ მომავალში გამომცემლობა იარსებებს, ამ წიგნის გამოცემა ურიგო არ იქნება, მისი ხელნაწერი ჩემს ოჯახში ინახება.

– ვთხოვ იზრუნო, რომ ჩემმა საცოდავმა ოჯახმა სამართლიანად მიიღოს ის, რაც ეკუთვნის, თანხა მიეცი მხოლოდ ქეთინოს, მასვე მიეცი ის თანხა, რომელიც ბანკის ვალის გადასახდელად დავიტოვე, იმ განრიგით, როგორც მოვილაპარაკეთ.

თუ ჩვენი წილების ყიდვა-გაყიდვას კიდევ რაიმე ხელმონერა დასჭირდა, ამის შესახებ მინდობილობა აქვს ჩემს შვილს ზურაბს.

მაპატიე, რომ ამდენი სათხოვარით განუხებ. ვიცი, რომ ყოველივე ამას შენ ჩემი თხოვნის გარეშეც გააკეთებ. მშვიდობით და მშვიდობა!

დავით მჭედლური

შენ მისტიკას ნაზიარები პოეტი ხარ და აი, ახლა ოდნავ ღია კარიდან ერთი ჭრელი პატარა ჩიტი შემოფრინდა, კედელს დაეტაკა და უსულოდ დაეცა იატაკზე, ის თუ იყო ჩემი სული?!

ჯუზეპე მაძინი

ალფრედ დე ვინის „ჩატერტონის“ იტალიური თარგმანის წინასიტყვაობა

დალი ინკორველმა (1937-2004) ეს თარგმანი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წარმოუდგინა ჩვენს რედაქციას. ესეი მოვინონეთ და მაშინვე გამზადდა დასაბეჭდად, თუმცა ჩვენდა უნებურად მისი გამოშვება აქამდე ვაჭიანურდა.

მთარგმნელმა 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. საერთოდ კი შეისწავლა რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ესპანური ენები.

1964-73 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს-მდივნის თანამშრომელად, 1973 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად.

სხვადასხვა დროს თარგმნილი აქვს: ჯონ აპდაიკის რომანი „კენტავრი“ (1972), ჰენრი ჯეიმზის ნოველა „დეზი მილერი“ (1967), პედრო კალდერონ დე ლა ბარკას პიესა „ცხოვრება სიზმარია“ (1992), მიგელ დე უნამუნოს პიესა „მედია“ (1993). გამოსცა ემილი დიკინსონის ლექსების კრებული (1981). ამ ამერიკელი პოეტი ქალის შემოქმედებას მიუძღვნა რამდენიმე ლიტერატურული ნარკვევი და საკანდიდატო დისერტაცია: „ემილი დიკინსონის პოეტური გზა“ (1975), თარგმნა აგრეთვე, მისი ცხოვრების თემაზე შექმნილი პიესა, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზეც დაიდგა 1981 წელს: უილიამ ლიუისის „ამპერსტის მშენებელი“.

ეკუთვნის მონოგრაფია „დანტე და ქართული ლიტერატურა“ (1983), მეცნიერული ნარკვევები: ბალავარიანზე ესპანურ ლიტერატურაში, ილია ჭავჭავაძის „ვანდეგილზე“, აკაკი წერეთლის „მედიაზე“, ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელზე“, სამზეოს თემაზე ვაჟა-ფშაველასა და ჰომეროსის პოეზიაში... ესეი დოსტოევსკიზე, აკაკი განაგორის ლიტერატურული პორტრეტი...

ასკარაა მკვლევარისა და მთარგმნელის ინტერესთა მრავალმხრივობა, რასაც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტებად აქცევდა მისი პროფესიონალიზმი და არც ის არის შემთხვევითი, ასე რომ აუღელვებია ტომას ჩატერტონის ტრაგიკულ ბედსა და სიმბოლოდ გადაქცეულ მის სახებას.

არ ვიცი, იტალიაში ბევრი ისეთი გული თუ ფეთქავს, „ჩატერტონის“ გაგების უნარი რომ შესწევდეს. მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ იქ, სადაც „ჩატერტონს“ ცივი გონებით განსჯიან ფილოლოგიური პოზიციიდან, როგორც მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს და ამ ლიტერატურული ძეგლის შექმნას არ ჩათვლიან წმიდა ზნეობრივი მისიის აღსრულებად და მოციქულებრივ ღვანლს არ გაუთანაბრებენ, – იქ, სადაც კრიტიკოსები ფორმის ძიებას მოჰყვებიან, ისე, რომ მათი სულები მწუხარე შეშფოთებით არ განიმსჭვალება იმ ცივი გულგრილობის გამო, მსუსხავ ქარ-სეტყვად რომ აცხრება მკითხველს ამ დრამის წიაღიდან, – იქ ლაპარაკიც კი ზედმეტია ლიტერატურის აღორძინებაზე, აზრის აყვავებასა და პოეზიაზე, რომელიც აზრის ამ ნალკოტში საკმევლის მსგავს ნელსურნელებას უნდა გამოსცემდეს. აღორძინება იმითომ ვახსენე, რომ ამჟამად ისეთი ქვეყანა არ მეგულება, სადაც პოეზია ცოცხლობდეს, სადაც მისი სუნთქვა შთააგონებდეს ადამიანებს, ამხნევებდეს და უკვდავი იმედით აღავსებდეს. ინგლისში პოეზია მაშინ დასამარდა, როცა ბაირონის სიცოცხლე შეწყდა, ხოლო გერმანიაში გოეთესთან ერთად აღესრულა. საფრანგეთში პოეზია სულს დაფავს და იფერფლება ურწმუნოების მიზეზით – იტალიაში კი ის ძილქუშმა მოიცვა მიქელანჯელოს „ლამის“ მსგავსად*. ცოცხალთაგან ალბათ მიცქვირია უდიდესი პოეტი; მაგრამ რომელი ჩვენგანი იცნობს სრულყოფილად მის შემოქმედებას? საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც თითო-ორი ცხოველი სული კიდევ შემორჩა, ფარულად პატივს რომ მიაგებენ მას, მაგრამ ნუთუ ამაზე მეტს არ იმსახურებს? მიცქვირი დღეს ლტოლვილის ყოფაშია და პოეზიაც მასავით დევნილია.

პოეზია უკვდავია, რადგანაც ის ხსოვნა და მიზანსწრაფვაა, ადამიანის თანამდევრი, ერთიმეორისაგან განუყრელი ორი ნიჭია და ორკეცი პოეტური განჭვრეტის დაუმრეტელი მადლი. მაგრამ ახლა განყვეტილია ის ჯაჭვი, პოეზიას წარსულთან რომ აკავშირებს და ვერავინ შეძლო დღემდე მისი გამრთელება. მართალია, ახლაც იბადებიან წრფელი, უმარკო სულები, რომლებიც სიყვარულისა და პოეზიისთვის არიან შექმნილი; ისინი მზად არიან ეს სიყვარული გადასცენ ყველას და მთელს სამყაროში მიმოფანტონ გენიისა და ენთუზიანზმის სურნელოვანი ნექტარი. მაგრამ სადღაა ტაძარი, ან სად არიან მორწმუნენი? ის საკრალური ცეცხლი, ამ სულებს რომ აღაგზნებს, უხმოდ და იდუმალ ინვის გაძევებული ღმერთის საკურთხეველზე, ანდა უსარგებლოდ ბრწყინავს ლიმარტოვები, მატერიალიზმის უდაბნოში გამომწყვეტილი. საზოგადოება გაძარცულია პოეზიისგან, პოეტები კი მოკლებულნი არიან სიყვარულსა და აღიარებას; გენიოსი გათიშულია რწმენისა და იმ მიზნისგან, რომელმაც პოეტის სულიერი ძალები ერთ ჰარმონიულ მთლიანობად უნდა შეკრას და გარდაქმნას უმაღლეს რელიგიურ მსახურებად. პოეზია სიცოცხლეს ვერ ეზიარება იმ დრომდე, ვიდრე პოეტს უკან არ დაუბრუნდება ქურუმისა და წინასწარმეტყველის უზენაესი ღირსება. მაგრამ დღეს თვით არსებობაც კი მიუწვდომელია იმ რჩეულთათვის, ვისაც ბუნებით მომადლებია ადამიანის შეწყალებისა და საერთო მწუხარების განცდის უნარი; ამ ორი გზიდან ერთი უნდა აირჩიონ: მანკიერებით დაცემა ან სასოწარკვეთა; ან სული უნდა მიჰყიდონ საზოგადოების შეძლებულ ფენებს, ანდა სიკვდილში ჰპოვონ ხსნა სილატაკისა და სულიერი დამცირებისგან.

შეიძლება პოეტს ბედმა გაუღიმოს – საარსებო ლუკმა ჰპოვოს და სულიერ დაკნინებასაც გადაურჩეს, მაგრამ საბო-

* მიქელანჯელოს ის სკულპტურული ალეგორია იგულისხმება, ჯულიანო მედიჩის საფლავს რომ ამშვენებს ფლორენციაში (მთარგმნელის შენიშვნა)

ლოოდ დაღუპვა მანაც არ ასცდებია: ფრთაშეჭრილი ფრინველივით მიუსაფარი იქნება, რადგანაც მატერიალური ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებს იმ ადამიანს, ვის მკერდშიც პოეტური გენიის ცეცხლი ბოხოქრობს; სამარის ქვასავით მოუშთობს სულს ღვთისგან ბოძებული, მაგრამ ბორკილდადებული ენერჯია, და თავის ქალას გაუპოვებს ის დატყვევებული აზრი, მისი სულის სიღრმეში რომ ღვივდება და ძალას იკრებს. დაიღუპება, რადგანაც უმრავლესობის ანგარება, გულგრილობა და ეგოიზმი პირველი გაელვებისთანავე უკუაგდება და ტალახში მოისვრის ამ აზრს, როგორც კი ის პოეტურ ქმნილებაში გაცხადდება. პოეტს არ ძალუძს განდევნილი იცხოვროს ანდა მხოლოდ შინაგან ხილვებს მიაპყროს გულისყური, და არც სიძულვილი ეყოფა საიმისოდ, ვინმეზე შური რომ იძიოს – ის ზიზღით შეაქცევს ზურგს საზოგადოებას და უდროოდ გაეცლება ამ სოფელს ტიტანების მღელვარებით სუნთქვაშეკრული, თავის საიდუმლოს კი საფლავეში გაიყოლებს, – რამდენიმე ელვისებურ გამოსხივებას მოასწრებს მხოლოდ მისი სულის შინაგანი ნათელი, – და საფლავეშივე ჩაიტანს გაუზიარებელ სიყვარულს, ყველასთვის გაუგებარ ტანჯვასა და განწირულ იმედებს. ადამიანები ვერც კი შენიშნავენ ამ არსებას, სიცოცხლე რომ დაუმსხვრიეს და ფეხქვეშ გათელეს ველის ყვავილივით; დაე ღმერთმა მიუტევოს მათ უგუნური მრისხანება, მაგრამ შეიძლება მათ არც პოეტის ხსოვნა დაინდონ და შეურაცხველ ზიზღით და უნდობლობით, როგორც შეურაცხველ ჩატერტონის, ბაირონისა და ფოსკოლოს წმიდა სახელები.

სხეულის ან სულის თვითმკვლელობა, ფაუსტის სიცოცხლე ან ჩატერტონის უკანასკნელი გადაწყვეტილება – ამ ორ სიმბოლოს შორის მერყეობს დღეს პოეზია და ამ ორ უკიდურეს არჩევანს სთავაზობს პოეტს საზოგადოება.

საზოგადოებას და პოეტს შორის ომი გრძელდება და ეს ომი იმ დღიდან მოდის, რა დღესაც პოეზია ადამიანურ ხელოვნებად მონათლეს. იმ დღეს პოეზია ორ ბანაკად გაიყო და ამ ორი ბანაკიდან მხოლოდ ერთსღა შერჩა ალამი. უდროოდ დარჩენილი სულის დამამსხვრეველ, არსთა გამთიშველ მატერიალიზმს მიაცივდნენ, რომელმაც ანალიზის სახელწოდება მიიღო, და ამ თვითმიზნად ქცეულმა ანალიზმა ჭეშმარიტების გამჟღავნების ნაცვლად ერთიანად მოსპო სიცოცხლე, გაყინა საზოგადოება და ცხედარს დაამსგავსა. თვით ადამიანის გულის ფეთქვაც კი შენელდა, რადგან გული ზედმეტად ჩათვალეს და ციფრით შეცვალეს. არავინ უწყის, თუ რამდენად სარფიანი იყო ეს გაროგება სამოქალაქო ცხოვრებისა და საზოგადოების მამოძრავებელი ძალებისთვის.

ლიტერატურა იქცა პედანტების საქმიანობად, ერუდიტთა ანატომიურ გართობად, გრამატიკოსთა და რიტორთა უბადრუკ პაექრობად; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის გარდაიცვალა, რადგან ყოველგვარი ლიტერატურის სათავე ადამიანის გულია, და თუ ეს გული აღარ ფეთქავს, არისტოტელეს დროიდან შექმნილი ყველა თეორიაც კი ვერ უზრუნველყოფს მის გაფურჩქნა-ყვავებას. ამიტომაც არის, რომ დღეს პოეზია, კუთხეში გამოძწყვედი და გასრესილი, ანგარებით სულმეხუთული, დამცირებული უნდობლობით ან მონური თავყვანისცემით, იმის ნაცვლად, რომ თაობების ბედი წარემართა, უსაქმური მდიდრების დაცინვის საგანი გახდა; ოდესღაც ის იდეა იყო, ახლა კი ბევრად იქცა და ისეთ ხელობად გარდაიქმნა, რომელიც პირობითი ხერხებისგან წარმოსდგება, გაძარცვულია გრძობისგან და აღარ საზრდოობს ღვთიური შთაგონებით. თვით პოეტი კი, დაუტირებელი და ყველას მიერ ყბადაღებული მოწამე, უბედურებას უბედურებაზე აწყდება, დაუსრულებლად იბრძვის და, უკურნებელი ნელულებისგან ლონემხილი, დამარცხებულია მუდამ, მაშინაც კი, როცა ხალხს

მოზიემ ეჩვენება და დაფნითაა შემკული – ასე რომ სამსხვერპლო ტარიგსაც ამკობენ; ზოგჯერ ის ამაღლებულია ხალხის თვალში, – მაგრამ ეს ეშაფოტის სიმაღლეა. დღეგრძელობით იშვიათად არის განებივრებული, ხშირად კი თვითონვე იმოკლებს სიცოცხლეს; და ეს მისი ერთადერთი ბედნიერებაა; სამაგიეროდ, ისეთი დღეები და საათებიც გამოერევა მის არსებობაში, რომლებიც მთელ სიცოცხლედ ღირს და გამოისყიდის უნუგემო გლოვასა და უსასრულო ტანჯვა-წამებას; მაგრამ ვერც იმ წამს გაექცევა პოეტი, როდესაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარ თავზე გადამრავლებული გრძობიერება უდიდესი ძალისხმევით აღანთებს მის გულს და ნათელხილვისთვის განამზადებს; ასეთ წუთებში წარსული, აწმყო და მომავალი თითქოს ერთ ნერტილში მოიყრის თავს და მგოსნის ცნობიერებაში დამცინავად ცნაურდება დასეტყვილი სინამდვილე, დამზრალი იმედები, სიყრმის ზმანებანი და სიმწიფის ასაკის შეხედულებები, და ეს ნათელხილვა გააშიშვლებს მის ძალასა და უმწეობას; ზოგჯერ ის ფიქრში იძირება და ხედავს ჭაბუკური ილუზიების ჭკნობას, სიმწვანეშემოძარცულ სიცოცხლეს, სიმწრით შეავლებს შინაგან მზერას სულის გამქრალ ყვავილობას და ნელსურნელებას მოისაკლისებს, მიხვდება, რომ ვერავინ შეიცნო მისი გული და ის სიყვარული, სიცოცხლის სხივშუქად რომ დაჰყვა მას დაბადებიდან, იგრძნობს, რომ ეს გულცივობა და სივერაგე მხოლოდ იმის გამო ხვდა წილად, რომ პოეტია, და რადგანაც ადამიანებს სამძიმოდ უჩანთ პოეზიის სიყვარული, მხატვრის ხელოვნება ხელობად აქციეს, ბედის ანაბარა მიატოვეს პოეზია, მიწიერი გლოვისა და სიხარულის ეს უიშვიათესი გვირგვინი; პოეტი სახელს ვერ შეარქმევს იმ წუთებს, როდესაც, სიკვდილთან პირისპირ დარჩენილი, გრძნობს, სიცივე როგორ ისადგურებს მის სულში, თითქოს უდაბნოში ისმენს საკუთარ გულისცემას, რომელიც უპასუხოდ რჩება, – უდაბნო განივრცობა მის ირგვლივ და გმინვასავით ჩაესმის ბაირონის სიტყვები: „აი, თურმე რას ნიშნავს მარტოსულობა; ეს არის, ეს არის სიმარტოვე“. ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ რამეს არასდროს განიცდის და სხვისი ნათქვამიც ფანტაზიად, ბოჯვად, მხატვრის მიერ გაზვიადებულად ეჩვენება; იქნებ ალფრედ დე ვინის დრამაც ასეთი გაზვიადება ჰგონიათ. იქნებ ტორკვატო ტასოც აზვიადებდა და ფერარაში განცდილი ზნეობრივი ტანჯვის მიზეზით გონება არ უღამდებოდა? იქნებ ჯონ კიტსსაც მოეჩვენა, რომ ყურნალში გამოქვეყნებული სტატიის გამო კვდებოდა? წმიდა ანას ციხეში უნდა წაიკითხოთ „ჩატერტონი“, * ანდა რავენაში, დანტეს საფლავთან, – დანტე მშვიდი აღსასრული-სათვის ალაგვინდა ვედრებას და მხოლოდ სამარეში ჰპოვა მან განსვენება; კაიუს ცესტიუსის პირამიდისთან კიტსის ნეშტია დაკრძალული; იქნებ ამ სამარის ხილვამ დაგარწმუნოთ, რომ „ჩატერტონი“ არაფერია გაზვიადებული. პოეტის ტანჯვა ისე ცხოველია, რადგანაც ღვთიური სხივით არის მისი სული გაღვივებული, რომ ვერავითარი სიბრძნე ვერ გიხსნით, ვერ გააქარწყლებს ამ ჭეშმარიტებას.

„ჩატერტონი“ იმ სულების ამოკენსაა, რომელნიც საკრალური უბედურებისთვის არიან განწირულნი, თუმცა ყველას თანაუგრძობენ, თვითონ კი ვერსად ჰპოვებენ ნუგემს, მსოფლიო ნაღველს დაატარებენ გულით და მათი მწუხარება მანაც გაუზიარებელი რჩება. „ჩატერტონი“ ყველა ცნობილი და უცნობი პოეტის შეუპოვარი გულიდან აღმოსკვდარი პროტესტია, იმ მგოსანთა გოდება, მწირი სიმარტოვისთვის რომ გაიმეტა ხარბმა და დამცინავმა საზოგადოებამ; ფარხმალს თუ დაყრიან ეს პოეტები, მათ ლაჩრებად თვლიან, და,

* ტორკვატო ტასო შვიდი წელი ამ ციხე-პოსპიტალში ჰყავდათ დატყვევებული (მთარგმნელის შენიშვნა)

გულგრილობას სწამებენ, საკუთარ ხვედრს თუ შეურიგდებიან და უყოყმანოდ დაცლიან შხამით სავსე ფიალას; ხოლო ამ ფიალას თუ აირიდებენ, ამას სიმდაბლედ უთვლიან, – თუ უფლის მიერ შთაგონებული რომელიმე მგოსანი მოახერხებს მისთვის განკუთვნილ მცირე სცენაზე აზრის ჰარმონიულად გამოხატვას, მას ტაშით ავილოდოებენ მომაკვდავი გლადიატორის მსგავსად; მაგრამ საკმარისია მათ ცხოვრებაში მონაწილეობა მოისურვონ ან საზოგადოებრივ ყოფაზე გაავრცელონ საკუთარი სულიერი მისწრაფებანი, რომ კვლავ მსხვერპლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. „ჩატერტონი“ თვით პოეზიის სიმბოლოა, ცით მოვლენილი იმ ანგელოზისა, რომელიც ჩვენს უმწიკობას იგლოვს და სწორედ ამის გამო უარვყოფთ, ვუკრძალავთ არსებობას, გლახაკის ტანსაცმელში გამოვანყოფთ და სულს დავუდაღავთ უნდობლობის ტვიფარით. ფრანგმა კრიტიკოსმა გუსტავ პლანშმა სცადა ჩატერტონის სახელის გატეხვა და „რევიუ დე მონდში“ გამოაქვეყნა წერილი ანონიმური პასკვილების მოხმობით. თავს დაესხნენ თვრამეტი წლის წმიდანს და აღფრედ დე ვინის დრამასაც, თითქოსდა ათასობით ჩატერტონი არ არსებობდეს, თითქოს ამ სიმბოლოს დამხობით წამებული პოეტის იდეასაც დაამხოზდნენ, გააქარწყლებდნენ იმ მოწოდებას, რომ გლოვა გემართებს უმაღურობისა და ეგოიზმის



ჩატერტონის აღსასრული

ცოცხლეში პური არ გაიმეტა მათთვის, სიკვდილის შემდეგ კი – ცრემლი. დე ვინი ამ ადამიანთა მწუხარებით იყო გამსჭვალული, როდესაც „ჩატერტონს“ წერდა; მან იცოდა, რომ პოეზია – საკრალური ნიჭია, და იქ, სადაც ის იდევნება, საზოგადოება „დანუნებულ ლოდს“ კარგავს, გულგრილ ინდივიდუალიზმში ეფლობა და ილუპება. ეს იდეა მან ფიზიკური შიმშილის ამსახველ დრამად გარდაქმნა, რადგანაც იცოდა, რომ სულიერი სიმართლით გამოწვეული უბედურება გენიისთვის ნიშნავს; სულიერი შიმშილის სურათი მეტად მკრთალი იქნებოდა, ბევრი მაყურებელი და მკითხველი ამას ვერ გაიგებდა. მე კიდევ ერთხელ გავისხენებ ლეონარდოს და გალილის, ყველა იმ დიდ ადამიანს, რომლებსაც შურით გაცოფებულმა უფიცობამ სილატაკე და სიკვდილი მიუსაჯა, და ჩემდათავად იმასაც დაეუმატებ, რომ

ამ უგუნურების მიზეზით დღეს ადამიანებს აღარ შესწევთ დიდი საქმის აღსრულების უნარი, მეცნიერებაში უთანხმოება სუფევს და აზრი უნაყოფო რჩება, სერიოზული გამოკვლევები აღარ ტარდება და ლიტერატურაშიც სასიკვდილო დაღლილობა გამეფდა მას შემდეგ, რაც ფეხქვეშ გაითელა გენიოსის ბუნებრივი უფლებები, ცხოვრებაზე მატერიალიზმი გაბატონდა და მძაბალ ანგარებას ფილოსოფიის ნიღაბი მოარგეს, გულგრილობა სიბრძნედ მო-

მხატვარი ჰენრი უოლისი (1830-1916)

გამო, თუ გვსურს, რომ მომავალი თაობები არ იმსხვერპლოს ამ მოუწინებელმა სირცხვილმა.

აღფრედ დე ვინი უმნიკვლო, სათნო და წმიდა დარჩა მკითხველის თვალში და აირიდა ცინიკურ ბრალდებათა ნიღვარი; მას კარგად ახსოვდა, რომ კამონენი ღარიბთა თავშესაფარში გარდაიცვალა და მის სიკვდილს ერთადერთი ზანგი მსახური ესწრებოდა; ახსოვდა ჟილბერის ბედიც,* რომელსაც სილატაკემ ბოროტმოქმედებისა და მკვლელობისაკენ უბიძგა, აგრეთვე ვიტალინის ხვედრი, რომელმაც უარი განაცხადა ქედმაღალი მდიდრისათვის მიეძღვნა თავის ლექსთა კრებული და უარჰყო მისი მფარველობა; მას ახსოვდა, რომ ნორვეგიელი სწავლული აბელ ნილს ჰენრიკი ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა პარიზში შიმშილსა და მწუხარებაში, რადგან აკადემიის მდივანმა უარი განაცხადა მის თხოვნაზე, რომ გაეთვალისწინებინათ მისი გამოკვლევების სია და დაეშვათ გამოცდაზე; სამაგიეროდ, ამ გამოკვლევების მიხედვით აბელ ნილს ჰენრიკი სიკვდილის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ მათემატიკოსთა შორის შერაცხეს. სხვა ბევრი უდანაშაულო წამებულიც ახსოვს კაცობრიობას – ყველა ისინი სამარიდან სასტიკ ბრალდებებს უგზავნიან საზოგადოებას, რომელმაც სი-

ნათლეს, პოეზია კი ცხოვრებიდან გააძევეს და წამიერ გასართობად აქციეს. იმასაც დავეძენ, რომ მას აქეთ, რაც პოეზია პოეტურ ხელოვნებად გარდაიქმნა და სამყაროში მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინეს, შეზღუდეს მისი გავლენა, აღუკვეთეს სიყვარული და თავყვანისცემის ნაცვლად შემთხვევითი ალტაცების მწირ ხარკს მიაგებენ მხოლოდ, პოეზიამ სახე იცვალა, ლიტერატურამ დათმო ძველი იდეალები, შთაგონებას გზა დაეხშო, ადამიანის შემოქმედებითი უნარი დასუსტდა, ფანტაზია ამოიწურა, გამეფდა გულქვაობა, პირმოთნობა, მონური მიმბაძველობა და ლიტერატურის სამყარო წალეკა წესებმა, პოეტიკამ, დიდაქტიკურმა თხზულებებმა, სხვადასხვა სკოლებმა, რითმისმთხველობამ, უსულგულო კრიტიკამ, უმიზნო მჯღაბნელებმა, ზნედაცემულმა ადამიანებმა, რომლებიც მცირერიცხოვანი ტალანტების საწამებლად გაჩნდნენ და საბოლოოდ დაასამარეს იტალიური სიტყვიერება, ქარს გაატანეს ჩვენი დიადი მამის – დანტეს შემკვიდრეობა. დღევანდელი საზოგადოება თეორიულად თუ ცხოვრებისეულ სინამდვილეში პოეზიას განსაზღვრავს, როგორც ყალბ ნეტარებას და სამყაროდან განდგომას, მაშინ, როდესაც პოეზია განჭვრეტის ნიჭია, უმჯობესის ჯერჩინება, ნატიფი აღქმის, სიყვარულის და ცხოველი ქმედების უნარი. ამ საზოგადოებამ სიცარიელე დაამკვიდრა ადამიანის გულში, გონება დაუჩლუნვა და დაამდაბლა მისი ცხოვრება, ფაქიზი გრძნობა დაამხო და და-

* ფრანგი სატირიკოსი და ქებათა შემთხვეული ლორან ნიკოლა ყოზეფი იგულისხმება (მთარგმნელის შენიშვნა)

დარდიანა უკვდავი სული, სილამაზეს შავი სუდარა გადააფარა და შესაქმე შეურაცხყო.

სილამაზე ქეშმარიტების ხატია, რამეთუ შესაქმე განუყოფელია და ყველაფერი სიმბოლოებში წარმოჩნდება; სილამაზე იმ იდეის განსხეულებაა, რომელიც სიცოცხლეს აზიარებს ქმნილებებს და რომელიც საუკუნეთა მანძილზე ჩვენს თვალწინ ცნაურდება. პოეზია კი ამ სილამაზისკენ ჩვენი სულიერი ლტოლვის გაცხადებაა და ქეშმარიტების მძლავრი ბერკეტი, თუმცა ამის შესახებ ბევრს წარმოადგენს კი არ გააჩნია.

პოეტი, რომელიც ბუნებაში განფენილი სილამაზის ლომის წილს იუნჯებს, მით უფრო სწრაფად აცნობიერებს სხვებისთვის უჩინარ იდუმალ კავშირებს. რაც უფრო დიდია მისი ნიჭი და რაც უფრო განღვივებულია ის თავისი რწმენისა და მინაგანი ენერჯის წყალობით – ეს ორი მადლი ორი ღვთიური ანგელოზის მსგავსად აცისკროვნებს მთელს მის მოღვაწეობას. პოეტი ნმიდაა, როგორც სილამაზე და ქეშმარიტება, როგორც თვით ის შესაქმე, რომლის მეხოტბედაც იბადება იგი. მაგრამ ადამიანები ადრევე უფროსობენ მას ციურ ზმანებას და სდევნიან მის აკვანთან მოდარაჯე ანგელოზებსაც, და როდესაც მგოსანი იწყებს იმ ბუნდოვან ზმანებათა გახსენებას, ანგელოზებმა წინასწარმეტყველები სიზმრებში რომ მოუვლინეს, აბუჩად იგდებენ მას და ამ მოგონებებს ფანტაზიად ნათლავენ.

სილამაზე ქეშმარიტების ხატია – და ვიდრე ამ პრინციპს არ გაიზარებენ, არ მოუძებნიან ზუსტ განსაზღვრებას და არ განავითარებენ სათანადო განმარტებათა მოხმობით, ვიდრე მას აქსიომად არ აქცევენ და არ აღიარებენ ყველა ლიტერატურული და კრიტიკული განსჯის საფუძვლად და შემოქმედებითი შრომის პირველმიზეზად, თვითნებური ნორმებით დამცირებული, შერყენილი და შებორკილი სიტყვიერება იმ დრომდე უგზო-უკვლოდ იხეტიალებს, ფერს იცვლის შემთხვევისა და გარემოების კარნახით, მაგრამ ეპოქას წინ ვერ გაუსწრებს, პროგრესულად ვერ განვითარდება და ვერ დაექვემდებარება საკუთარ მისიასა და ბუნებით კანონს; ხოლო ნებისმიერი რეფორმა, განახლების ნებისმიერი ცდა ახალი სკოლების, ახალი მონური ნორმების შემოღებით დასრულდება და გადაიზრდება უნაყოფო მსჯელობაში ფორმის შესახებ, ასეთი მსჯელობა კი მხოლოდ გენიოსს, დიდ პიროვნებას ხელენიფება, რადგანაც ანალოგიური ძიება იმ იდეის საერთო კვლევას ითვლისწინებს, რომელიც სხვადასხვა ტენდენციებს ჰარმონიით აკვირვინებს: ლიტერატურული ნაწარმოები კილიტის ფურცელს დაემსგავსება და არასდროს გველირსება ქეშმარიტი პოეზია.

ვიდრე ამ ერთადერთ პრინციპს არ მოიხმობენ პოეზიის დასაცავად, არ ამოივსება უფსკრული პოეტისა და საზოგადოებას შორის და კვლავ გაუცნობიერებელი დარჩება პოეტის მაღალი მისია, რომელიც ზეცაში ეძიებს იმ გზებს, უფალმა კაცობრიობას რომ განუმზადა; იმ დრომდე ბევრი ელვარე ტალანტი და სიყვარულით ანთებული გული მსხვერპლად შეენიერება ბრმა განუსჯელობას და კიდევ მრავალი ჩატერტონი დაილუპება სიცივით, შიმშილითა და შეურაცხყოფით.

დაუბრუნეთ პოეზიას დაკარგული ტახტი და თავყანი მიაგეთ ენთუზიაზმს! შეარიგეთ პოეტი სიცოცხლესთან და დაუთმეთ მას სამოქმედო ასპარეზი! განა მზე თანასწორად არ მოჰყენს ყოველ სულდამგულს თავის ცხოველმყოფელ სხივებს? მამ ზნეობრივ სამყაროსაც დაუბრუნოთ სულიერი მზე. პოეზია – სინმიდეა, ის პოეტის სულში ჩაკეტილი ყალბი გამოწვანა კი არ არის. არამედ ის ჰაერია, რომლითაც უნდა ვსუნთქავდეთ; ის სამყაროს აზრია და შესაქმის სული, თუ მას სამყაროდან გავაძევებთ, სივრცე, რომელშიც ვცხოვ-

რობთ, უზარმაზარ მკვდარ მექანიზმად იქცევა, შესაქმე კი – უსიცოცხლო ჩონჩხს დაემსგავსება.

უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ჩატერტონის თვითმკვლელობაში საზოგადოებას მიუძღვის ბრალი და მნიშვნელობა არ გააჩნია, იარაღმა გამოიწვია ეს სიკვდილი, შიმშილმა თუ დამცირებამ. უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებას, რომ ცხოვრება მეტისმეტად მიძიმა და მრავალი სული მიელტვის იმ ნუგეშს, რომელსაც ღვთიური სიბრძნის მძებნელი ქეშმარიტ პოეზიაში ჰპოვებენ, რადგანაც პოეზია მუსიკის ღვიძლი დაა, სულიერი ჰარმონიის წინათგრძნობა და გამოძახილი; ამ ერთადერთი სხივის ჩაქრობით კი ამ სათნო სულებს ეს უკანასკნელი ნუგეშიც გარდაუწყდება.

**იტალიურიდან თარგმნა
დალი ინსპირველა**

რედაქციის მინანერი

XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ვალერიან გაფრინდაშვილი აუცილებლობად დასახავდა ახალი მითოლოგიის შექმნას და ესეებით თეორიულ სარჩულსაც გამოაკერებდა ამ ნაშრომებს – „სახელების მაგია“ და „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“ – პოეტური მასკარადის ერთ-ერთ მონაწილედ მიიჩნევა ტომას ჩატერტონსაც, ნაადრევად აღსრულებულ ინგლისელ პოეტს: 1752-1770, – და ერთი მხრივ თვითმკვლელობით დაანათესავებდა ქართველ პოეტებთან (გიონ საგანელი, გრიშა აბაშიძე), მეორე მხრივ კი მხატვრული მისტიფიკაციით – მან ისევე გამოიგონა მე-14 საუკუნის პოეტის როულის მითი, როგორც ერთმა თანამედროვე პოეტმა (პაოლო იაშვილს იგულისხმებდა) მითი ელენე დარიანისაო.

და ლექსად რომ მიუძღვნოდა ტომას ჩატერტონს, სწორედ ამ რეალობით – არარსებული პოეტის შეთხზვა და თვითმკვლელობა – გახსნიდა მკითხველის წარმოსახვას ამ უჩვეულო მოვლენის მიმართ ინგლისურ პოეზიაში – უჩვეულოს ლირიკული მიღწევებითაც და ტრაგიკული ბიოგრაფიითაც.

ამ ბიოგრაფიასა და ჩატერტონის პიროვნულ ხასიათს არაერთი შემოქმედი აელეღვიბინა, მათ შორის ფრანგული პოეზიის გამოჩენილი სახელები – ალფრედ დე ვინი, რომლის ფსიქოლოგიური დრამის შუაგულშიც მოექცეოდა ინგლისელი ჭაბუკის უაღრესად კოლორიტული ფიგურა; და ვალერიან გაფრინდაშვილსაც სწორედ ფრანგი შემოქმედი და კერძოდ კი ვინი გაუკვალავდა გზას ამ უჩვეულო სამყაროსაკენ, რომლის მთავარი გმირიც „პროვინციელის სინაზით“ სტუმრებოდა ლონდონს ბრისტოლიდან თავისი ფანტასტიკური წინაპრის ორეულის აღსადგენად. და ეს „გენიალური მსხემობა“ ქართველ პოეტს გაახსენებდა თავისი მოძღვარის – გრიგოლ რობაქიძის – სწრაფვას ფანტასტიკური წინაპრის ირრუბაქიძის სახების გამოსაძერწად.

ჭაბუკი ჩამოდის დამპყრობლის ჟინით ატანლი, თითქოს ონორე დე ბალზაკის გმირების წინამორბედიო – დაეუფლოს შექსპირისა და დედოფალ ელისაბედის ქალაქს, ცხოვრობს საეჭვო ოთახებში, დიასახლისები იბრალებენ, როგორც მათხოვარს, და დადის ვით უცხოელი და ჯაშუში, ტემზის ნაპირების ბოჰემა და დიდ ვიტრინათა ჟინიანი მაყურებელი.

დააკვირდით – ვალერიან გაფრინდაშვილი ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რაც ცისფერყანწილებს პოეტის აუცილებელ თვისებებად მიაჩნდათ და თვითმკვლელობა ხომ სულაც დაიდი ექსტაზითა და შარავანდით აკვირვინებდა პიროვნების ცხოვრებას მათ თვალში.

და ამიტომაცაა, განსაკუთრებული სიფაქიზითა და ექსპრესიით რომ წარმოსახავს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს („... უკანასკნელად მოიწვია თავის ბინაზე ლონდონის ნისლები. კვამლით შემოსილი, როგორც ნერონი-აენობარბი, ამბობდა ლექსებს, ენატრებოდა პარაცელზი, ხანძარი, ცირკი, ბოთლში ამოსული ეკლესია, კარაბადინი... ის კიდევ ერთხელ შეაჩერა საყვარელ რითმის გამოქროლებამ. მაგრამ მოისმის ვესტმინსტერის დროის საყვირი. მაგრამ შუალამემ შეასრულა თავისი ცეკვა და მოითხოვს იოქანანანის თავს. ა-გო-ნი-ა! უკანასკნელი კომპარების ავი დაღმართი! კირიელისონ!“), გულის სიღრმემდეა შეძრული საზოგადოების გულგრილობით ნამდვილი ტალანტის მიმართ და ინგლისის დედაქალაქს ღვთიური სასჯელისთვისაც კი გაიმეტებს:

**ხომ შეიძლება დასწვა ლონდონი,
რადგან იქ თავი მოიწამლა სიმშვილისაგან
ჩატერტონმა?
ეს იქნებოდა დიდებული შურისძიება!**

ლექსი 1924 წელსაა შექმნილი და უცნაური სულაც არ იქნებოდა, რომელიმე მკითხველმა ეს სტრიქონები ასეც რომ ამოიკითხოს: ხომ შეიძლება დასწვა მოსკოვი... აი, მართლაც დიდებული შურისძიებაო.

მაგრამ ამჯერად ნუ გამოვედევნებით იმ მკითხველის წარმოსახვებს და დავუკვირდეთ ლექსის ფინალს, რომელშიც ქართულ სადღეგრძელოთა რიგი კიდევ ერთი ორიგინალური ტოსტით შეიძლება შეივსოს. და ეს იმიტომ, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი („სახელების მარადიორი და პირანუზი“) „პოეტის კარიერაში“ სვამს ჩატერტონის სადღეგრძელოს.

ტომას ჩატერტონის პოეზიასა და ბედისწერას ჩვენი რედაქცია კვლავაც დაუბრუნდება, ეს მცირე წინათქმა კი იმისათვის გახდა საჭირო, რათა ხიდი გაგვედო ცისფერყანწელებთანაც და ისიც საცნაური გაგვეხადა, თუ რატომ უიგივდება ევროპულ – და არა მხოლოდ ინგლისურ – ლიტერატურაში ჩატერტონის სახელი უანგარობას, სულიერ ტრაგიაზმსა და პოეზიისათვის თვითშენივრას.

რეპორტაჟი

იდუმალების ირონია

*
**ლაშა იმედაშვილის
„ბიომბრაფიები“**

3 თებერვლის თავყრილობა „ომეგას“ გალერეაში ლაშა იმედაშვილის მოთხრობების ახალი კრებულის „ბიომბრაფიები“ („ლომისი“) განხილვას დაეთმო.

ეს კრებული, **როსტომ ჩხვიძის** შეფასებით, არაორდინარული მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ლაშა იმედაშვილი წლების მანძილზე ბეჭდავდა მოთხრობებს, მაგრამ ბოლო წლებში, ჟურნალ „ომეგასა“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ დაარსების შემდეგ, განსაკუთრებით მიზანმიმართული გახდა მისი საქმიანობა; და ის, რაც საიმედო იყო მანამდე, ახლა რეალობაა. და უიმისოდ უკვე წარმოუდგენელია დღევანდელი ქართული საწერლო პროცესი.

„ამის დადასტურებაა ეს წიგნი – თავისი ორიგინალურობით, თავისი სტილური ძიებებით, თავისი შინაგანი მასშტაბით, სტილური არტისტიზმითა და სილაღით, დრამატიზმისა და გროტესკის მარჯვე მონაცვლეობით.

უანრობრივად შეიძლება პოსტმოდერნიზმსაც დაუუკავშიროთ, ოღონდ მთავარი ერთია: ლაშა იმედაშვილი არ არის ის მწერალი, რომელიც შეიძლება აპყვეს მოდურ გატაცებას, თუ მისთვის ბუნებრივი არაა ესა თუ ის მიმდინარეობა.

იგი, როგორც მწერალი, ინოვს, ითვისებს ყველაფერ საუკეთესოს, ოღონდ თავის სულიერ ქურაში გადაადნობს და ასე ქმნის საკუთარ სამყაროს. მისი სამყაროს ერთი – და საკმაოდ შთაბეჭქდავი – ნაწილი „ბიომბრაფიებშია“ გამოხატული.

თვითონ სახელწოდებაც წიგნისა ორიგინალურია. ჩნდება განცდა, რომ საქმე გვაქვს დოკუმენტურ პროზასთან (დოკუმენტალიზმი, მოგვსენებათ, თანამედროვე პროზის ერთი არსებითი რკალია), მაგრამ ეს შთაბეჭქდილება მოჩვენებითია. და ეს არის მისი სტილის თავისებურება – მოჩვენე-

ბითობის მიღმა მძაფრი ძიება იმ სულიერი რეალობისა, რაც ამთლიანებს სამყაროს უძველესი ხანიდან დღემდე.

ქრონოლოგიურად ძალიან დაცილებულია ეს „ბიომბრაფიები“ ანუ თითოეული მოთხრობა, მაგრამ შინაგანად ერთი გარემო, ერთი სინამდვილეა დახატული თავის ათასფერადი ვარიაციებით.



კომპოზიციური ჩარჩოც მარჯვედაა მოფიქრებული. არ ვიცი, წინასწარგანზრახვით მოხდა თუ ინტუიციურად, მთავარი ისაა, რომ ჩარჩო საკმაოდ მტკიცეა – როდესაც პირველი მოთხრობა ეხება იესო ქრისტეს, ბოლო მოთხრობა აუცილებლად უნდა იყოს სატანაზე... ეს არის გარდუვალობა... სადაც არის გველეშაპი, იქ აუცილებლად უნდა გაჩნდეს გმირი, ეს არის ცხოვრების დრამატიზმისათვის ნიშანდობლივი მომენტი, – არაფერი არ ჩნდება ნაცრისფერ, დაგუბებულ სივრცეში. მოდის თუ არა რალაც ძალა სიკეთისა, მოჰყვება ბოროტებაც, ანდა პირიქით...

ამ კრებულში ეს არაა დეკლარაციულად გამოხატული. იგი სრულიად გარიდებულია დეკლარაციულობას, ჟურნალიზმს, და ამ მხრივაც სანიშნოა.

ადრეც მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ის მიდრეკილება თუ სტილური ნაირსახეობა, რაც ნიშანდობლივი გახდა თანამედროვე ქართულ პროზაში, როცა იყენებენ ადრინდელ თხზულებათა გარკვეულ ვარიაციებს, ჩვენი ავტორისათვის არამცთუ უცხო არ არის, ამ ტენდენციის სათავეში სულაც ლაშა იმედაშვილი დგას, – ის ძალიან მშვიდად, ნყნარად, უხმაუროდ აკეთებს თავის მეტად ფასეულ საქმეს – ისეთი ცოცხალ, არაორდინარულ წიგნთან გვაქვს საქმე, რომ შეიძლება თავი არც შევიკავოთ ეპითეტებისაგან და არც იმის გვეშინოდეს, რომელიმე ეპითეტი ფუჭი გამოდგესო.

ეს არის წიგნი, გულისხმობს შემდგომ გაგრძელებასაც, ოღონდ თავისთავად რაც არის, ესეც ღირებულია“.

მაია ჯალიაშვილმა მრავალმხრივ საგულისხმო და ცოცხალი მოხსენება წაიკითხა. მის ამ ნაშრომს ნებისმიერი ავტორიტეტული კრიტიკოსი სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

მან ისაუბრა ლაშა იმედაშვილზე, როგორც თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთ გამორჩეულ შემოქმედზე და აღნიშნა: „თანამედროვე საზოგადოება, სენსაციებს დახარბებული, ახალ-ახალ ინფორმაციას ნარკოტიკივით ეტანება. განსაკუთრებით კი ცნობილ სახელთა მანიითა შეპყრობილი. რა თქმა უნდა, ეს სახელები უმთავრესად შოუ-ბიზნესისა და პოლიტიკის სივრცეებშია. ლაშა იმედაშვილი ამგვარი ზედაპირულ-უღიმილამო გატაცებისაგან შორსაა, მაგრამ მასაც იზიდავს ცნობილი სახელები და ამბები (ამაში მისი ნოველების სათაურების ერთი თვალის გადავლებაც დაგვარწმუნებს: „იესო ქრისტე“, „ალფრედ ბერნარდ ნობელი“, „ლეონარდო და ვინჩი“, „მიხეილ ჯავახიშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე...“). ეს ცნობისმოყვარეობა მწერლისათვის ერთგვარი იმპულსია ცხოვრების საზრისის საძიებლად, დღევანდელი მისი თუ სამყაროს მარადიული თემებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გასამყლავებლად.

ლაშა იმედაშვილი, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, ჰყვება ამბავს ისტორიასა თუ ლიტერატურაში ცნობილ პიროვნებებზე. ამიტომ მისი ნოველები მეტალიტერატურაა – ნონსელექციით, ინტერტექსტულობით, ორმაგი კოდირებით, ირონიულ-პაროდიული მინიშნებებით, ციტატების სიუხვით, ესეისტური პასაჟებით. მისი ნოველები რამდენიმე განსხვავებულ დონეზე იკითხება და შესაბამისად გამოიკვეთება სათქმელის სიღრმე და აქტუალობა.

იგი შესანიშნავი იმპროვიზაციების ნიჭით გამოირჩევა: ცნობილი თემის მახვილგონივრული ინტერპრეტაციებითა და ვარიაციებით ჩახლართულსა და მიმზიდველ სიუჟეტსა ქმნის. მის მიერ მოყოლილ ამბებს მკითხველი ერთი ნაკითხვისთანავე „ტყვედ ბარდება“. ლაშა იმედაშვილის მხატვრული სისტემისთვის დამახასიათებელია თხრობის პარადოქსული მანერა, ცნობილი ამბების უჩვეულო რაკურსით წარმოჩენა და აბსურდული პარალელები.

ლაშა იმედაშვილსაც, ბორხესივით, არ გააჩნია ილუზია, რომ „ნიჭიერად დანერჩილ ტექსტებს სამყაროს შეცვლა ძალუძდეთ“, ამიტომაც მისი ნოველები, ერთი შეხედვით, შორსაა ლიტერატურის ტრადიციული საზრუნავებისაგან. მწერალი ცნობილ ლიტერატურულსა და ისტორიულ გმირებს მხატვრულ ნიღბებად აქცევს და თავის სამწერლო-შემოქმედებით ლაბორატორიაში უცნაურ ექსპერიმენტებს ატარებს. მას აინტერესებს ცნობილი, მომხდარი „საქმეების“ ახლებური ინტერპრეტაციები. ეს მას ოსტატურად გამოსდის, რადგანაც მოქნილი, ლალი წარმოსახვა აქვს და ენასაც იოლად იმორჩილებს“.

მაია ჯალიაშვილის მოხსენებაში არაერთი საინტერესო მოსაზრება და დაკვირვება გამოიკვეთა, ოღონდ როსტომ ჩხეიძემ ფინალში თქმული რამდენიმე ფრაზა გამოჰყო და მომხსენებლის განსაკუთრებულ კრიტიკულ ალღოზე გაამახვილა ყურადღება:

„მაიამ ახსენა რამდენიმე თემა, რომელიც არის ლაშა იმედაშვილისთვის შესაფერისი და მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს მოთხრობების ქარგად. მათ შორის დასახელება ივანე მაჩაბლის გაუჩინარება. ლაშა იმედაშვილს ამ თემაზე უკვე აქვს შექმნილი ბელეტრისტული თხზულება და უახლოეს ხანში მკითხველიც გაეცნობა.

მაია ჯალიაშვილმა ამოიცნო, შინაგანი ლოგიკით იგრძნო, რა შეიძლება ანუხებდეს მწერალს“.

ბელა ნიფურია: „ამ ახალი ნიგნის ყდა გარდა ტრადიციული ინფორმაციისა, სხვა შეტყობინებებსაც აწვდის მკით-

ხველს. უკანა გვერდზე კრიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ნიგნს სიახლე მოაქვს ქართულ ლიტერატურაში და ამ სიახლეს პოსტმოდერნიზმსაც უკავშირებენ.

რაც მთავარია, ნიგნის ხელში ალბისას მონა ლიზა შემოგვლიმის, ტრადიციული, კლასიკური და თითქმის ბანალური სახე, რომელიც დღეს აღარ აღიქმება, როგორც უბრალო შედევი ან კლასიკური მეგვიდრეობა. ის პოსტმოდერნული კულტურის კოდიცაა, რომელიც ითვალისწინებს გზას კლასიკიდან ავანგარდამდე, ავანგარდიდან პოსტმოდერნამდე. როცა 1919 წელს მარსელ დეუსანმა ულვაშებმისატული მონა ლიზა გამოფინა, მისი აქცია გულისმობდა კლასიკისადმი, შედეგებისადმი გადამფასებლურ, უარყოფელ, თვით აგრესიულ დამოკიდებულებას. მაგრამ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ამგვარი გარეგნული აგრესია უკვე საჭირო აღარ არის. კლასიკას, უბრალოდ, საკუთარი მიზნებისათვის მოიხმარენ, მას იყენებენ რეკლამისთვის, რეპროდუქციების სიმრავლე მას საყოველთაოდ მისაწვდომს ხდის, ამიტომ ჩვენს ხელთ მხოლოდ ასლი რჩება და აღარავინ იცის, სად არის ორიგინალი, სად არის სინამდვილე (სწორედ ისევე, როგორც ეს ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში „ლეონარდო და ვინჩი“ ხდება).

შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნიზმის ეს ძირითადი პოზიცია — არსის, სინამდვილის, რეალობის დაკარგვა და ასლის, იმიტაციის სამყაროში დარჩენა — ამ ნიგნში არა მსოფლმხედველობრივი, არამედ უკვე ლიტერატურული, მხატვრული პრინციპის ფორმით არის ათვისებული: აქ ხდება სიუჟეტის აგების საშუალებაც და, მეორე მხრივ, ამ პოზიციას ეფუძნება თვით მოთხრობის, როგორც ბიოგრაფიის შემოთავაზების ფაქტი. რა თქმა უნდა, ნამდვილ ბიოგრაფიას, ანუ ბიოგრაფიას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მკითხველი ვერ ნახავს. ავტორი აუქმებს თავის პირველივე შეტყობინებას, მკითხველის პირველივე მოლოდინს. აქ ფიქცია, გამონაგონი ხდება სწორედ ის, რაც ნამდვილი იყო ლიტერატურის ფიქციურ სამყაროში: ტრადიციულად, როცა ნიგნს ვიღებდით ხელში, ჩვენ გვახსოვდა, რომ ვკითხულობდით მწერლის მიერ გამოგონილ ამბებს, მაგრამ ერთადერთი რამ ნიგნში მაინც იყო ნამდვილი — თვით მწერლის ბიოგრაფია, რომელსაც, ალბათ, სწორედ სინამდვილესთან შეკავშირების მიზნითაც დაურთავდნენ ხოლმე სქელტანიან კლასიკურ რომანებს. მაგრამ პოსტმოდერნულ ეპოქაში ავტორს, შესაძლოა, სწორედ იმ ფორმით უნდა გვაგრძნობინოს სინამდვილესთან, რეალობასთან კავშირის განყვეტა, რომ ხელყოფს მას, რაც ნამდვილი გვგონია, ამ შემთხვევაში — ხელყოფს ბიოგრაფიას. მართლაც, თუკი ბოდრიარი აცხადებს, რომ პოსტმოდერნულ ეპოქას უკვე აღარანაირი კავშირი აღარა აქვს ძირეულ რეალობასთან და აქ ყოველივე მხოლოდ საკუთარი თავის სიმულაციაა, როგორღა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სინამდვილეს ვნახავთ იქ, სადაც ის იმთავითვე არ იგულისხმება, იმ მხატვრულ სამყაროში, რომელიც ჩანაფიქრშივე წარმოადგენს რეალობის ალტერნატივას.

ამიტომ ლაშა იმედაშვილის მოთხრობებში საგანგებოდაა აქცენტირებული რეალობის დისკრედიტაციის თემა: აქ არის ასლი მხატვრის ორიგინალის ნაცვლად, ნაყალბევი ნამდვილი ხელნაწერის ნაცვლად, იმიტაცია რეალობის ნაცვლად. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ყალბ „ავტობიოგრაფიას“ აქ არშემდგარი მწერალი, ნიკა, წერს, თანაც სრულიად ანგარებიანი მიზნით, გასაყიდად. ენის, სტილის იმიტირება იმდენად დამაჯერებელი გამოდის, რომ ნიკას აპატიმრებენ ფასეული ხელნაწერის გაყიდვის მცდელობი-

სათვის. ასე გადაეჯაჭვება ერთმანეთს სიმულაცია და სინამდვილე, ნიკა რეალურ სასჯელს იმიტირებულ ხელნაწერის გაყიდვისთვის იხდის.

ეს მოთხრობა ქართული ლიტერატურის სივრცეში, ქართული მასალის საფუძველზე ამუშავებს ბოდრიარის შეხედულებას, რომლის თანახმადაც რომ სიმულაციის პროცესის იზოლირება შეუძლებელია; იქ, სადაც ხდება სიმულირება, უეცრად ერთგება რეალობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნში ლაშა იმედაშვილის მიერ ქართულ მასალაზე საკმაოდ მოხერხებულად არის მორგებული პოსტმოდერნიზმის საკვანძო თემები და პრინციპები.

მართლაც, თუკი დღევანდელ ქართულ ლიტერატურას ერგო საკუთარი მემკვიდრეობა, მისივე უფლებებში შედის ამ მემკვიდრეობის აღქმა, გადაშუშავება ან, სულაც, მოხმარება. მოხმარების მსგავსი ხერხებით ქართველი ავტორები უერთდებიან საერთო პოსტმოდერნულ სინამდვილეს, რომელშიც მოვლენისადმი ინტერესი აღარ ვლინდება თაყვანისცემისა თუ მოწონების ტრადიციული ფორმით. ეს ინტერესი შეიძლება მოვლენაში შედგეს, მისი ათვისების, მისი ენის გათავისებით გამოვლინდეს. სწორედ ამიტომ შეიძლება გახდეს თანამედროვე ავტორისათვის ახალი მხატვრული ხერხი არსებულ ენათა და ტექსტთა სივრცეში მუშაობა.

რა თქმა უნდა, აქ თავის როლს ასრულებს პაროდია, მაგრამ საკუთრივ რა არის პაროდირებული მსგავს შემთხვევაში? ლაშა იმედაშვილის მოთხრობებში, ფაქტობრივად, პაროდირებულია არა კლასიკა, ტრადიცია, იდეალები ან ფასეულობები, არამედ სწორედ ის ეპოქა, რომელიც ხელყოფს მათ. ეს შეიძლება იყოს საუკუნის დასაწყისი, საბჭოური სინამდვილე, თანამედროვეობა — ყველა ამ პერიოდს გადასწვდება ავტორის ირონია, გამოხატვის ხერხები კი სწორედ პოსტმოდერნიზმის მხატვრულ გამოცდილებაშია მოძიებული.

„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს, ბევრი რამ არის საკამათო და სადავო“ — ასე დაიწყო თავისი სიტყვა **გია მურულუიამ** და არც იმის თქმას მორიდებია, რომ ლაშა იმედაშვილის პროზა მოვლენაა.

„რატომ არის მოვლენა?“

მოვლენაა იმით, რაც არის მისი ღირსება, და იმითაც, რაც არის საკამათო და სადავო...

ეს არის ინტელექტუალთა პროზა, კი აწერია, ერთნაირად საინტერესოა ჩვეულებრივი მკითხველისათვისაც, მაგრამ ინტელექტუალებისთვის გაცილებით საინტერესოა, რადგანაც ეს წიგნი ითხოვს განათლებული მკითხველისგან, რომ ერთგვარად ითანამშრომლოს მწერალთან...

ძალიან ორიგინალური ფანტაზია ჩანს და ნამდვილი პროფესიონალიზმით, ოსტატობით ხდება ამ ფანტაზიის ხორცშესხმა. საინტერესოდ, დასამახსოვრებლად იხატება ეს უცნაური სახეები, იდუმალი ადამიანები...

ამ მოთხრობებში იგრძნობა იდუმალების ირონია. და ისეთი აზრი იბადება, რომ მთელი ეს ჩვენი ყოფა, წუთისოფელი ასლია იმისა, რაც ღმერთმა თავიდან ჩაიფიქრა...

როგორ მუდავდება ეს ორიგინალური ფანტაზია?“

და კრიტიკოსმა ჩამოთვალა რამდენიმე მომენტი, რომელიც ლაშა იმედაშვილის პროზას თავისებურ ელფერს ანიჭებს — დროის ტრაგიკული დანაწევრების ლიტერატურული დაძლევა, „რომელიც ლამის კულტუროლოგიურ დაძლევა იქცევს“, არაჩვეულებრივის გაჩვეულებრივება, როდესაც სხვადასხვა ვექტორის სამყაროები ერთ ნერტილში იყრიან თავს (მაგალითად, ნობელის შესახებ ნოველაში ქართველი მწერლის უცვარი ჩართვა), თხრობის და კომპოზიციის აგების კულტურა... საკვანძო ფრაზის მიგნების კულტურა... მკითხველში ინტერესის აღძვრის უნარი.

ბ-ნმა გიამ არაერთი მაგალითი დაასახელა ლაშას წიგნიდან და დასძინა: „ძალიან მომზიბლა სიტყვა „მასტერკლასის“

გათამაშებამ ნოველაში „ლეონარდო და ვინჩი“ „ინტერესის აღძვრა ერთია, ამ ინტერესის შენარჩუნება, ტალღისებური გაძლიერება ახალ-ახალი კომპოზიციური იმპულსებით, ცალკე ხელოვნება...“

ნონა კუპრეიშვილიმა ბატონი კობა იმედაშვილის ნათქვამი ერთი ფრაზა გაიხსენა: „დროა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ნამდვილი ლიტერატორები და ლიტერატურის საქმოსნები...“

„ეს ფრაზა იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ლაშა ბ-ნი კობას ვაჟია, არამედ იმიტომ, რომ მის პროზაში თანაბრად მონანილებს მწერალიც და ლიტერატურისმცოდნეც, უფრო სწორად, ადამიანი, რომელიც არ არის კმაყოფილი იმით, რაც გაკეთდა ამ თვალსაზრისით.

მაგალითად, მოთხრობაში „მიხილ ჯავახიშვილი“, ის, რაც თქმულია ლიტერატურისმცოდნეობითი თვალსაზრისით, თავისთავად ძალზე საგულისხმოა და არა მგონია, ზედმეტი იყოს.

ლაშა იმედაშვილი იმით არის საინტერესო, რომ ის ბედავს და მონადინებულია, რომ ამ ზღვარზე იყოს — რეალობისა და მეორე რეალობის, ანუ ხელოვნების.

აი, ეს ზღვარი ყველაზე მაცთუნებელი და სასურველია მისთვის იმიტომ, რომ აქ ცდის ის თავის თავს, როგორც მწერალი...“

ლევან ბრეგვაძე გახლავთ ის კრიტიკოსი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ლაშა იმედაშვილის გამორჩენას მწერლობაში და მისცა ის შეფასება, რაც სავსებით დადასტურდა ლაშას შემდგომ მოთხრობებშიც.

„ეს წიგნი, — თქვა მან, — ეს მართლაც შესანიშნავი მოვლენა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა, იმსახურებს ასეთ მაღალ შეფასებას, რაც აქ ითქვა.

ახლახან ბაჩანა ბრეგვაძის ჩანაწერები დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელსაც „კარგი წიგნი“ ჰქვია, ვკითხულობთ: „ბედნიერებაა, როდესაც დაღლილი სული ისე ისვენებს წიგნის ფურცლებზე, როგორც გადამფრენი ფრინველები შუა ზღვაში, გემის ანძაზე“. ასეთი იყო ლაშას წიგნი ჩემთვის — სულმა დაისვენა.

ექვსივე მოთხრობა არაჩვეულებრივია, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო. „იესო ქრისტე“ და „ლეონარდო და ვინჩი“ — ეს უკვე შედეგებია...

განსაცვიფრებელ ეფექტს ახდენს მარტივი ხერხი, რომელიც გამოყენებულია „იესო ქრისტეში“ — 2000 წლის წინანდელი ამბები აღწერილია თანამედროვე ჩრდილოვანი ეკონომიკის ტერმინებით...

ეს რა თქმა უნდა, პაროდიაა, მაგრამ რისი? არა წმინდა წერილისა, ცხადია, არამედ ჩვენი ცხოვრების... რაც შეეხება „ლეონარდო და ვინჩის“, აქ არაჩვეულებრივი ფინალია, სრულიად მოულოდნელი. მკითხველი ბოლომდე ვერ ხვდება მოხუცის ვინაობას და ასეთი „მარცხი“ არის ნებისმიერი მკითხველისთვის დიდი ესთეტიკური სიამოვნება.

ძალზე საინტერესოა „ვისკის“ როგორ აღწერს მწერალი, ეს „ვისკი“ მთელი მხატვრული სახეა...

ანი, მაგალითად, ის მომენტები, როცა მოულოდნელად ჩაერთვება რეკლამა, ჭამა-სმის რეკლამა, და ამაზე გადადის ჩვენი ყურადღება — თითქოს სახიფათო ასეთი ეკლექტიზმი, მაგრამ იმდენად კარგად ფლობს ახალგაზრდა მწერალი ამ მასალას, რომ აძლევს თავს ამის უფლებას და მართლაც ოსტატურად გამოსდის ამ ლიტერატურულ მახეთა დაგება...“

ბ-ნ ლევანის წერილთან ერთად როსტომ ჩხეიძემ დამსწრეთ **თამარ ღონღაძის** წერილიც შეახსენა, რომელიც ედ-

დენებოდა ლაშა იმედაშვილს და რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე; და დასძინა, რომ ქ-ნი თამარი არის დაულაღავი პროპაგანდისტი ლაშა იმედაშვილისა და, სასიხარულოა, რომ მან ყველას, და არა მარტო ქ-ნ თამარს, გაგვიმართლა იმედი და მოლოდინი.

ქ-ნმა თამარმა ერთი ადამიანი გაიხსენა, თავისი მასწავლებელი, ქართული ლიტერატურის ცნობილი პედაგოგი – დოდო ჯორბენაძე, რომელიც ხშირად ასე მიმართავდა შეგირდებს: „დამინერეთ ისე, რომ ჩანდეს სიყვარული და პირდაპირ არა თქვათ: მიყვარხარ...“

„აი, ლაშას ნაწერებს არაჩვეულებრივად ესადაგება დეიდა დოდოს ანუ დედამისის ეს სიტყვები. – არსად არ წერს არაფერს პირდაპირ, მაგრამ ყველგან იგრძნობა სიღრმე და სიმძაფრე აზრისა და გრძნობისა.“

მას არაჩვეულებრივი სიტყვის გრძნობა აქვს, იცის სიტყვების გონიერებად და მგრძნობიარებად ქცევა და მათთვის ძალიან ზუსტი ადგილის მიჩენა.

ეს წიგნი ძალზე ლაღად იკითხება – თითქოს დასრიალებ მის ზედაპირზე...

ლაშას ოსტატობა, სიღრმისეული წვდომა ფაქტებისა, მოვლენებისა, ადამიანებისა გაიძულებთ, მისი მოთხრობები წარუშლელად ჩაგებქვდეთ გონებაში“.

ტელეკომპანია „იბერისა“ პოპულარული გადაცემის „სილუეტის“ წამყვანი, მწერალი **მაკა ჯოხაძე** ლაშა იმედაშვილთან საუბრისას ისე შეიჭრა როლში, რომ შეკითხვების ნაცვლად მთელი რეცენზია გამოუვიდა მისი მოთხრობების შესახებ. უცებ გაჩერდა და იკითხა:

- სიტყვა ხომ არ გამიგრძობდა?
- არა, პირიქით, ძალიან საინტერესოდ საუბრობთ, გააგრძელეთ, გააგრძელეთ, – ჯენტლმენურად დაუთმო სიტყვა ბ-ნმა ლაშამ.

მაკა ჯოხაძემ წიგნის განხილვაზე გააგრძელა შეწყვეტილი სიტყვა:

„იმიტაციური მწერლობა“ – საინტერესო სათაური ერქვა ლაშა იმედაშვილის ერთ-ერთ წიგნს, ოღონდ საფრთხილოც, რადგან, ვფიქრობ, რომ პლბეგებისა და სნობების გონება ამ მწერლურ მოკრძალებას ვერ დააფასებდა და სათაურს პირდაპირი მნიშვნელობით მიიღებდა. თუმცა, როგორც ჩანს, მწერალი სნობებზე (ამ საფრთხილო და საშიშ ხალხზე) ნაკლებ ფიქრობს და ეს უთუოდ მის პიროვნულ ძლიერებაზეც მეტყველებს.

ლაშას, როგორც პროზაიკოსის, უპირველეს ღირსებას, წარმოადგენს არა მხოლოდ ის, რომ აქვს იშვიათი მხედველობითი მეხსიერება (ერთი შეხედვით უმცირეს დეტალსაც კი თავისი ფუნქცია და ზუსტი ადგილი აქვს მიჩენილი), არამედ აბსოლუტური მუსიკალური სმენა. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ მუსიკალური მოტივის, ჰარმონიული ნწყობის ზუსტი განმეორების უნარს. ვგულისხმობ იმას, რომ ნებისმიერი მწერლის აზროვნების სიღრმესა და მანერას თავისი ინტონაცია აქვს. ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, რობაქიძე, ანდა გამსახურდია ერთი შეხედვით „იოლად“ დასამორჩილებელია და იმიტირებაც თითქოს უფრო თვალშისაცემია. ლაშა იმედაშვილის პროზის შემთხვევაში მე უფრო ევროპული აზროვნების მანერას ვგულისხმობ. ევროპული სივრცეებისა და თუ გნებავთ, ანტიურაჟების ინტონაციას. მაგალითად ალფრედ ნობელისა და მამამისისდროინდელ გარემოში არაჩვეულებრივი სიზუსტით ეწერება მოთხრობაში ქართველი მწერლის ვუკოლის ვნებები.

ლაშას შემოქმედების მთლიანი გაცნობა გაგრძნობინებთ, რომ მან ღირსეულად გაიარა არა მხოლოდ ქართველ ოსტატთა შეგირდობის ხანა, არამედ ზოგადად დიდი ლიტე-

რატურის შეგირდობის პერიოდიც, და ის, რასაც ჰქვია წმინდად სამწერლო ტექნიკის არსენალი, სრულყოფილად აითვისა.

ლაშა იმედაშვილი შესანიშნავი მოთხრობელია. თხრობის მანერა, მისი სტილი აშკარად გაგრძნობინებს, რომ მისი დევიზია იყოს არა მხოლოდ მართალი, არამედ უპირველეს ყოვლისა საინტერესო (პერმან ჰესეს „თამაში რიოში მიძივებით“).

მისი ხელწერით არ ხდება არც ფსიქოლოგიური ნიაღსვლები, არც ტიპაჟებისა და ხასიათების საგანგებო ძერწვა. მასთან მოცემულია შტრიხი, ზოგჯერ ერთი დეტალი, რომლის მიღმაც მკითხველის ფანტაზია უკვე იოლად წარმოიდგენს – იმ ბოლოქარ ვნებებს, რითაც ესა თუ ის გმირი ცხოვრობს. მაგალითად, ის ქართველი მხატვარი „ლეონარდო და ვინჩიდან“...

ვფიქრობ, რომ კინოში მიღებულმა გარკვეულმა გამოცდილებამ ლაშას ასწავლა მონტაჟის ხელოვნება. ამიტომაც ასეთი ბუნებრივი და ორგანული მისი მოთხრობების სრულიად უცხო გარემოში, უცხო სააზროვნო და სასიცოცხლო სივრცეში ქართველი პერსონაჟების „ჩამონტაჟება“.

ამ თვალსაზრისით იგი ოთარ იოსელიანის ხელწერას მაგონებს, განსაკუთრებით ბოლო 10-15 წელში შექმნილ ფილმებში, ოღონდ ოთარ იოსელიანთან ამ პერსონაჟების გამოჩენა ქართული გენის, ქართული ნაშთის გაელვებას უფრო ჰგავს, თანდათან რომ დნება და ქრება... ხოლო ლაშას მოთხრობებში – პირიქით, ეს გენი ბრიალებს, ცოცხლობს, მოქმედებს. აქ გაცილებით დიდია მინიშნება ერის პოტენციაზე.

და ბოლოს, სანამ დავამთავრებდე, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მოთხრობაზე „იესო ქრისტე“.

იესოს სახის შერყვნაში თავიანთი წვლილი ლიტერატორებსაც მიუძღვით. ამ ლიტერატურული პროფანაციების სათავეში დგას რენანი... რენანის ლიტერატურული ტრადიციები ბულგაკოვმა გააგრძელა „ოსტატსა და მარგარიტაში“... არსებობს ლიტერატურული ვერსიები იუდას თემის ინტერპრეტირებისა. საცა იუდას ე.წ. „მისიაზეა“ საუბარი. რომ არა ეს „მისია“ – ლალატი, არ იქნებოდა ჯვარცმა, აღდგომა...

ერთი სიტყვით, ამ ინტელექტუალურ გულჩვილობას, რომელიც ქართულ ლიტერატურულ სივრცეებშიც არსებობდა, 90-იანი წლების დასაწყისში ფანტასტიურად დაუპირისპირდა როსტომ ჩხეიძე თავის ბრწყინვალე ესეით „30 ვერცხლი“.

ეს ყველაფერი ლაშა იმედაშვილის „იესოს საქმემ“ გამახსენა. მართალი გითხრათ, შემამინა წიგნის სათაურმა. არა იმიტომ, რომ თითქოს საქართველოში არსებობს ეს მართლაც თითოდან გამონოვილი პრობლემა საეკლესიო ცენზურის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ ეს არის სრული პაროდირება თანამედროვე იურისპრუდენციისა.

სულხანს, ახალგაზრდა იურისტს, ამ საქმის, „იესოს საქმის“, გახსნას შესთავაზებენ. გამოძიების პროცესში ძალიან შთამბეჭდავად წარმოჩნდა დეგრადირებული, უნიგნური, ურწმუნო თანამედროვე სამყარო. და რაც მთავარია – ფინალი. გამოძიებული მიდის დასკვნამდე, რომ იესო ცოცხალია. ეს არის ერთგვარი მოქცევის სასწაული. ეს არის აქსიომა იმის შესახებ, რომ რწმენამდე ყველა ადამიანს თავისი ინდივიდუალური გზა აქვს გასაცვლელი.

„ცოცხალია! ცოცხალს კი სად არ გადააწყდები. დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად სადმე შეგეფეთება, სადმე გადაეყრები, ქვეყანა დიდია“.

ამ მონაკვეთმა ბორხესის პანია ესეი გამახსენა, სადაც იესოს ხატება ხან მეტროს ვაგონის სარკმელზე აირეკლება, ხან ესკალატორის კიბეზე, ხანაც მათხოვრის გაშვერილ პეშვში.

ლაშას ეს მოთხრობა ბენვისხილზე გავლას ჰგავდა, რომელიც ძლიერი ფინალით დაგვირგვინდა.

„ისეთი შვება იგრძნო, როგორც სიკვდილს გადარჩენილმა მშობიარე ქალმა და მისი სისულელეებით გაფუებული გონება იმგვარად დაიჩუტა, როგორც მომავალი დედის გაბერილი მუცელი“.

ნაყოფით დამძიმებულმა მუცელმა კი რწმენა შვა. ისე, როგორც ლაშა იმედაშვილის ბოლო ნიგნმაც საბოლოოდ დაბადა რწმენა, რომ ქართულ ლიტერატურას ძალიან საინტერესო მწერალი შეემატა“.

ქეთევან ელაშვილი: „ცხოვრების გზის დროჟამეული პროეცირება – „ბიოგრაფია“ ლაშა იმედაშვილთან, როგორც აღინიშნა – „განსაკუთრებულ ჟანრად – წარმოსახვით ავტობიოგრაფიად“ გარდაისახა. ამგვარი „ბიოგრაფია“ თავისი პლასტიკითა და დინამიზმით ლიტერატურულ პერსონაჟს სივრცეში ამყოფებს – საოცრად ამორფულსა და მიღმიურში. ამიტომაცაა შესაძლებელი, რომ „აქ“ – ლაშა იმედაშვილთან, გალაკტიონის შესაცნობად „ცა მოწმენდილზე“ გამოიძერწა მისი ანტიპოდი, ვითომდა დიდი პოეტი – ბონდო ლვიძიშვილი, „ამ პარტიის ლვიძი შვილი“, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს „მოკლა პოეზიამ, როგორც რკინა კოროზიამ“. ბონდო „პოეტური ძალადობის“ რეალური მსხვერპლი გახლდათ, გალაკტიონს კი სწორედ „პოეზია უბერავდა სულს“, საზოგადოება კი...

გალაკტიონთან მრავალწერტილის მთელი სიღრმე და ტრაგიზმი მრავლისმთქმელია, მაგრამ იმ კონკრეტულ სივრცეში რატომღაც „დუმილის უფლება დაიტოვა“...

ამგვარად, ერთი შეხედვით, გარეშეთა, – „უბიოგრაფიო ადამიანთა“, ემოციები გაცილებით ჩახლართულს ხდის ყოველივეს და იმავდროულად მისტიურს. ეს ავტორისეული ხელწერაა და ამიტომაცაა შესაძლებელი, რომ მის სააზროვნო სივრცეში „საკუთარი ჭერის არმქონე“, განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიებელი – სულხანი „იესოს საქმეს“ იძიებს, ოღონდ თავდაპირველად „ბიბლიას გაზეთივით კითხულობს“, შემდეგ კი „ბიბლიას ჩაუჯდება“ და თვით იესო ქრისტეს წარმოსახვით თანამედროვედ გარდაისახება... ოღონდ „აქ“, ამ შემთხვევაში, ეს უფლის შეცნობის ერთ-ერთი გზაა, შეიძლება ჭეშმარიტიც, მაგრამ არცთუ სტანდარტული, არცთუ ყველასათვის მისაღები და ნებადართული, თუმცა გულწრფელი და უშუალო. და, რაც მთავარია, ლაშა იმედაშვილის ეს ხედვა სამყაროში არსებულ პირობითობას საცერვივით ცხრილავს და ერთმანეთისგან მიჯნავს ყალბ ილუზიასა და საღ ოცნებას.

აღბათ ამიტომაცაა, რომ ლაშა იმედაშვილი არ ერიდება თავისი „ბიოგრაფიები“ ისეთი თვალისა და ყურისმომჭრელი სახელებით მონათლოს, როგორებიცაა: ლეონარდო და ვინჩი, ალფრედ ბერნჰარდ ნობელი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, რომ აღარაფერი ვთქვა იესოს საკრალურ სახელდებაზე.

ლაშა იმედაშვილისათვის ეს სახელები ერთგვარი „მისტიური სარკეებია“ – ემოციური და მეტყველი, რომელთა ფონზეც იკვეთება უბრალოდ ადამიანის „ბიოგრაფია“ და, რაღა თქმა უნდა, ხშირად სევედიანიც. როგორც ავტორი აღნიშნავს: „სევედას უყვარს სიჩუმე“... ოღონდ ამ მდუმარებაში აუცილებელია გამოიკვეთოს გზა – შეიქმნას ბიოგრაფია და საერთოდ, იქნებ ესაა ამ „წარმოსახვით ავტობიოგრაფიებში“ უმთავრესი?!”

ლალი დათაშვილი
**მსუბუქი
ვალისით
სევედა**

*

**მარიანა ნანობაშვილის
„არიადნას გორგალი“**

მარიანა ნანობაშვილს თავისი კრებულის სათაური წარმატებით შეურჩევია, რადგან არიადნას გორგალი, როგორც სიმბოლო, მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, თანაც ზუსტად ერგება ავტორის სტილს. კერძოდ, მარიანა ნანობაშვილისთვის მწერლობა ნამდვილად არაა გოლგოთის ჯვარი, ნამლეკავი მენყერი თუ გულიდან მომდინარე სისხლის წვეთები. არამედ მშვიდი, მდორე ნაკადია, გამართული ქართულით განწყობილი, რომელიც ნება-უნებლიედ შეიყოლიებს მკითხველს მწერლის მიერ შემოთავაზებულ სამყაროში და

მოვლენათა თანამონაწილედ თუ თვითმხილველად გახდის. „რაც თავი მახსოვს, წერა ყოველთვის მეხერხებოდაო“, – შენიშნავს მწერალი და როგორც არიადნას გორგალით ნელა, მშვიდად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რუდუნებით იქსოვება რაიმე, მარიანა ნანობაშვილიც მშვიდად „ქსოვს“ თავის ნოველებსა და მინიატურებს. უცნაურია, მაგრამ თვით მინიატურაშიც იგრძნობა ნაქსოვისთვის შესაფერისი სიღბო, სიმშვიდე და ჰაეროვნება. ის ხომ არც რკინისგან ნაკვეთია, არც ცეცხლში ნანრთობი თუ უხეში ხაოთი შეკერილი, ფუმფულა, რბილი, თბილი და მშობლიურია. ამგვარი ასოციაციები მიჩნდებოდა ამ პატარა კრებულის კითხვისას. ჩვენი საუკუნის ემოციებისა და მკითხველის სულის დამთრგუნველ, ეგზალტირებული მასის პრობლემების ამსახველ ლიტერატურაში ასეთი მშვიდი და ზომიერი სტილი სანატრელი გაგვხდომია, მოგვნატრებია...

მწერლის ოსტატობად მიმაჩნია, რომ დაქცეულ გომორზე წერს („აპექსი“) თუ დასაქცევად განწირულ სულზე („რატომ გადაშენდნენ დინოზავრები“), ან სულაც შვილის მკვლელობის სამინელეობაზე („ერთი არსების ცხოვრებიდან“), მისი სტილი მაინც არ გახრჩობს, ვერ გრძნობს ყულზე მარწუხებისა თუ საცეცების შემოჭრით გამოწვეულ სულის ხუთვას და ზომიერი ტკივილით (ამგვარად თქმა თუ შეიძლება) კითხულობ – მწერლის ჩანაფიქრიც ესაა – მოვლენები, მათი ბუნების მიუხედავად, შინაურულად, სითბოს შენარჩუნებით ასახოს.

ნოველების ნაკითხვის შემდეგ რჩება სევედა, რომელიც არ გვამძიმებს. ეს ნამდვილად არაა მძიმე ნალველი თუ ნამლეკავი მწუხარება.

ამ კრებულში წარმოდგენილი პირველივე ნოველის პირველივე ფრაზას განვაზოგადებდი (ამ ნოველით ხომ მწერალი მკითხველს ეცნობა და ერთგვარი სავიზიტო ბარათის დატვირთვა აქვს). ოღონდ მარგარიტაზე ნათქვამით თვით მარიანა ნანობაშვილის შემოქმედებით გამოხატულ სევდას დავახასიათებდი, რადგან ასეა ნოველაში და მკითხველისგანაც ასე აღიქმება, მხოლოდ ორიოდ სიტყვას მივამატებ: სევდა „თავისი მსუბუქი შალივით მოეგდო მხრებზე. კიდეც ათბობდა, მომხიზვლელობასაც მატებდა იმიტომ, რომ მისი დანიშნულება ხალხისთვის ესთეტიკური სიამოვნების მოტანა იყო. თვითონ ასე ეგონა და, ალბათ, არ ცდებოდა“.



მინდა, რამდენიმე ნოველას საგანგებოდ შევეხო, პირველ რიგში, „აპექსს“. მწერალს დავესესხები „მარგარიტა და ოსტატიდან“: „თუ ემოციას ცხოვრება და არა რეალობა... რაც მგონია და არა – რაც არის – მაშინ მარგარიტა მართლა იყო სამყაროს ჭიპი“.

სწორედ ასეთი „სამყაროს ჭიპია“ გომორი, სადაც მწერლისეული ემოცია გაცხადდა, მისი ინტელექტი, გემოვნება გამოჩნდა და ის ყველაფერი, რაც მას, როგორც პიროვნებას, ჰგონია და არა – რაც არის. ის, რაც ჩემი აზრით, ყველაზე არსებითია მარიანა ნანობაშვილისთვის – სწრაფვა აპექსისკენ, ანუ მოცემულ მომენტში მოცემული წერტილის თვითგამოხატვა და მწვერვალისკენ მისწრაფება. იქით მზის სისტემა მოძრაობს. მწერალიც, როგორც ერთი წერტილი სამყაროში – „ჭიპი“, რადგან ყოველი ინდივიდი ცენტრია, საიდანაც აღიქვამს გარესიერებს, მიისწრაფვის აპექსისაკენ. მიისწრაფვის ცოდნით, ამ ცოდნით მიღებული ემოციით, მსოფლგანცდითა და ამ განცდებიდან მომდინარე მსოფლმხედველობით, იმ ყველაფრით, რაც ყოველ ინდივიდს ახსოვს, რაც თითოეულ ჩვენგანს აყალიბებს, როგორც პიროვნებას: ვიღაც მნიშვნელოვან მგზავრია, წყლისფერი თვალებით, ვიღაცა პეპელა „ნუკრის თვალებით თმით მიმოზებით“, ვიღაც გადაშენებული დინოზავრი, თუ დინოზავრთა ჯუჯა მუტანტი, ან ლოტი, ვირგილიუსი, დანტი თუ ვერიპიდე, თუმცა ყველა დახეტილობს, მოზორიალე წერტილია უკიდევანო სამყაროში, რადგან „მელთა ხურელი უჩანთ და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხლო ძესა კაცისასა არარაი აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“...

ასე გროვდება ადამიანთა ცოდვა, იგი მარილიან „ზღვად იქცევა და სველი საცეცხებით ეპარება ნაქალაქარებს“, რათა შთანთქას ისინი, „გიგანტურ ფულდუროს დაამსგავსოს“ და თვით ცერბერიც კი ააყმუფლოს, უბედურების ხილვით თავზარდაცემული, ჩვეულებრივ ძალღადავად გააქცეული.

„გზას გულის ხედვით მივუყვები“, – ამბობს წითური და მკითხველი გრძნობს, ეს მწერალი იყურება გულის თვალეებით და გომორში მოაგროვებს დანაიდებს, დამოკლეს მახვილის ქვეშ მშვიდად მსხდომარე ხალხს, ფოთოლ თუ ტრანსპარანტაფარებულ მამათმავლებს, ფალოსის ქანდაკებას, დედაკაცს, რომელიც „წყალი დამალევისეს“ მოსმენისას სამართლები დედაკაცივით კი არ მოიქცევა, არამედ საწყაულს გაიქნევს და პირისახეზე მიახეთქებს მთხოვნელს; ორსახიან იანუსს, კლეფსიდრადან მწვეთავ წყალს რომ მიერთმევს; აზვრიან ბრუტუსს, თავისუფლების ტახტს სისხლიანი ხმლით რომ აწვევა და საყვედურით მკვნესარე ნანგრევებს ოცდაათ ვერცხლს რომ მიაყრის „შენცა ბრუტუსის“ მორიგ ამოგმინვაზე; ცელსიუსს, ფარენჰაიტს, თემიდას,

დარვინს, მედეას, ევრიპიდეს... ცოდვილთა ბრბოს, ყველა სიკეთის გაქელვას რომ ცდილობს და, პირველ რიგში, საკუთარი შვილის ემბრიონს შედგება ფეხით...

ეს ის ნაწილია კაცობრიობისა, რომელთა შესახებ ფიქრსაც „ჭდე დაუსვამს“ მარიანა ნანობაშვილისთვის და მუდამ თან დაჰყვება. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჭდედასმულის ცხოვრება ისე ევლება თავის ნაჭდევს, როგორც მინამრგვალი – მზეს“. ეს ის ხალხია, რომელმაც კარგად ვერ გაიგო უფლისგან ნაბოძები ნების თავისუფლების არსი, ეს თავისუფლება „გადაძერწა“ და რაც სთესა, ბოლოს ცრემლით მოიმკო. მნიშვნელოვანი გვიხსნის:

„ადამიანისა ჯერ თავია ცასთან ახლოს, მერე – გული, მერე – ვნებანი. ამ ქალაქში, მე

რომ ვეძებ, ხალხი თავდაყირა ცხოვრობს. თავი და გული სისხლით დამძიმებიათ, საერთოდ ვეღარ ხედავენ ცას. აქ „ფაშარი ქვევით“ ბაბილონის გოდოლზე მალალი კედელი შენდება, თუმცა „ღმერთს მაინც ვერ ხედავენ“. არც ბავშვები ჰყავთ, არც დედ-მამის სიყვარული იცის ვინმემ – სიყვარულისგან განთავისუფლებას ცდილობენ – ესაა თავისუფლების გადაძერწვა. ცერბერი გაუჩერებლად დარბის ქუჩებში, მაგრამ სიკვდილის არავის ეშინია. მკითხველისთვის ცხადია, პასუხისმგებლობის გრძნობაც ერთგვარი ბორკილია, მისგანაც ამიტომ ითავისუფლებენ თავს, შიში დიდთვალეობიანი ბეზიაა, რომელიც აქ არავის ეჭამნიკება, ხოლო თუ ვინმე უფალს ახსენებს, გასაგებია, რომ აქ შემთხვევით შემოხეტებულა, მიუგებენ: „რა უფალი, მგზავრო, საიდან მოდიხარ?! ჯერ არ გაგიგია, რომ ადამიანი მაიმუნისგან შეიქმნა?“

ცხადია, უფალმა აუცილებლად უნდა გაანადგუროს ეს ცოდვის ბუდე. აბრაამის ათი რჩეულიც აქ კარგა ხანია, აღარ მოიპოვება.

გომორიდან თავპირისმტვრევით გარბის ღირსეული. მართონიდან ათენისკენ მოკლევით უნდა მოჭრას, ან მარად მზისკენ ისწრაფვოდეს ფრთებდაზნეარი იკაროსი – ასე უნდა გააღწიოს აქაურობას – ამ წუმპეში ასეთთა ადგილი არ არის. ისინი სულელებად ითვლებიან.

ლოტსაც გამოიყვანს ანგელოზი და დარჩება მისი ცოლის მარილის თეთრი ქანდაკება, როგორც სანიშნობელი ამგვარად ცხოვრების საშინელებისა, ამგვარი ყოფის სიბინძურისა.

რა გადაგვარჩენს – დაფიქრდება მკითხველი და პასუხსაც მიიღებს მწერლისგან – სიყვარული... სიყვარული, რომელიც მიარბენინებს ათენელს მართონიდან, რომელიც კაცად დატოვებს ლოტს გადაგვარებულთა საზოგადოებაში, სულს შეუნარჩუნებს იკაროსს და აპექსისკენ გაავრძელებინებს გზას უკვე განწმენდილ, ამაღლებულ და ცოდნიანი ტანჯვით გაძლიერებულ მნიშვნურს.

ცოდვა სიყვარულით დაიძლევა, უფლისკენ სავალი გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისა მხოლოდ სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს.

მწერალს ესერება ისტორიული ამბების საკუთარი სულის ქურაში გატარება. „მარგარიტა და ოსტატი“ ჯერ ბულგაკოვის ასოციაციას ტოვებს, შემდეგ კი მკითხველს ნიკაულასა და აქტრისა მარგარიტას დაანახებებს ახლებურად, გაცილებით უფრო მსუბუქად – კატასავით რბილ და ჰაეროვან პერსონაჟად გარდასახავს მარგარიტას. გვიჩვენებს იმ ნალველს, ახალგაზრდობასთან შეხვედრას, პოპულარობის და-

კარგვას, წარმავალი და მარადიული ღირებულებების შეჯახებას რომ მოსდევს. თუმცა მკითხველი დათრგუნული არ რჩება „ღორიან გრეის პორტრეტის“ წაკითხვით მოგვრილი განცდის მსგავსად, არც „ხმელი ნიფელისა“ თუ სხვა ამგვარი ასოციაციით აღძრული ტკივილი შეგანუხებს, მსუბუქ სევდად შემოდიან ნიკალაც და მარგარიტაც. ამას იწვევს ნოველის ფინალში მწერლის მიერ ოსტატურად გამოყენებული სიტყვა „უბრწყინავდა“: „მარგარიტას თვალები უბრწყინავდა:

– ეს იცით, მე ვარ... ეს მე ვარ,“ – ჩურჩულებდა სადღაც სივრცეში“.

მრავალფეროვანია კრებულში წარმოდგენილ ნოველათა თემატიკა. ბედისწერასთან თამაშია ასახული „ვერონიკას თმებში“, იუმორითაა სავსე „მეფის გამბიტი“, დღევანდელი ყოფის სიცარიელესა და სიმახინჯეს, ადამიანურ ტკივილებს ასახავს „როცა მეფობენ მეფენი“, „არიადნას გორგალი“... ვინც იმას ცდილობს, გაანადგუროს თავისი „ყოფილი უმნიშვნელობის მონქე“, ნიღბიანი ადამიანები თავისუფლებიან ნიღბისგან, როგორც კი აღწევენ „კულისებს“... გადალახავენ და მუჯღუგუნს ჰკრავენ სხვას.

მწერალი ოდნავ სიმკაცრესაც იჩენს ნოველაში „ბარათი გალატეას“, როდესაც მიიჩნევს, რომ უმნიშვნელო და მაღალზნეობრივ ადამიანებს უბრალოდ გაუმართლდათ. მე, პირადად, ასეთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ: „მაღალზნეობრივ აქილევსებს ერთობ გაუმართლდათ: განგებამ მათი ქუსლი დაინდო და ის რვაბალიანი ეპიზოდი არ გაუთამაშდათ ცხოვრებაში, რომელიც ხსენებულ მაღალზნეობრიობას აგურებამდე დაანგრევდა...“, – ამბობს მწერალი. თუმცა უამრავი

უმნიშვნელო ადამიანი შეიძლება გაეცხსენოთ, რომელთაც ცხოვრებამ ქარბორბალად გადაუარა.

მწერლის ყურადღების ცენტრში არიან ცხოვრების მახინჯები, ანუ ისინი, ვინც უფრო ლამაზნი არიან, წესისამებრ, ვიდრე ჩვეულებრივნი. „დინოზავრი ნოე“, რომელიც მხოლოდ სიკეთისთვის მოსულა ამქვეყნად, მახო და ლია, რომელთა სისუფთავე და გულუბრყვილობა დაცინვის საგანია. მათ ბედნიერება არ უწერიათ, რადგან ცხოვრების გერეზად გაჩნდნენ...

„ბარათი გალატეას“ არამინიერ სიყვარულს გვიჩვენებს, ხანდახან შეუძლებელი შესაძლებელი ხდება, მეუღლის ნაცვლად კვდება საღსალამათი ვაჟუკაცი „გენაცვალეში“.

მომწონს მწერლისეული ჩანართები, დაკვირვებები, მიგნებები. მაგალითად, „მეფის გამბიტი“ ჩანართი ქალთა კატეგორიებისა და ბუნების შესახებ. „ქალი-ცოლის“, „საბედისწერო“, „ნარცისის“, „საყრდენის“, „ხე ქალისა“ და სხვა ამგვართა დახასიათება; მშვენიერი ჩანართი „მახინჯებში“: „სოფელს არ შეუძლია მახინჯის გარეშე. ბორცვი მხოლოდ უფსკრულთან მიმართებაშია მწვერვალი... მისთვის, ბორცვისთვის, აუცილებელია უფსკრული, რათა თავი უბრალო მიწად არ იგრძნოს“. ან „ხშირად უფრო ადვილია, მტერი შეიყვარო, ვიდრე მოყვასს ნიჭში მოულოდნელი უპირატესობა აპატიო“ („ბარათი გალატეას“).

დასკვნისთვის უნდა ითქვას, რომ მწერალი უიმედოდ არასოდეს გვტოვებს. ყოველთვის ჩნდება დასაყრდენი: დინოზავრი, მუტანტი თუ პანუა, რომელიც ცხოვრების გაგრძელებას გაიძულებს.

მარიანა ნანობაშვილიც სევდითა და იმედით სავსე მწერალია.

ბამოხმარება

ლევან ბრეგაძე

ტაში – ბანგი

ინტელექტუალთათვის

წავიკითხე ჟურნალ „ომეგას“ 2003 წლის თებერვლის ნომერში როსტომ ჩხეიძის ესეი „მისი უდიდებულესობა: ტაში“ და გამიხარდა: ტაშის ფენომენი, ანუ, როსტომ ჩხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტაში და მისი რაობა, მისი საზოგადოებრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური შინაარსი“ საფუძვლიანად ყოფილა გააზრებული ქართულ პოეზიაში; ჩვენს პოეტებს სავსებით გაცნობიერებული ჰქონიათ ტაშის მაცდური ბუნება და ტაშთან დაკავშირებული საშიშროება და უსიამოვნებანი.

ტაშის პრობლემატიკაზე საუბარი ჩვენში ილია ჭავჭავაძეს წამოუწყია: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურით“. ილია ჭავჭავაძის კვალს მეოცე საუკუნის პოეტებიც მიჰყვებიან და ასე ავითარებენ მის თვალსაზრისს: „ო, თავს მოიკლავს შოთა, თუ არ დაუკრეს ტაში“ (გალაკტიონი), „რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, ყველა ხევისური ვიცი დანტეა“ (გიორგი ლეონიძე), „თუმცა არასდროს გეშლება წერტილის დროზე დასმა, არ მოგატყუოს სიმალემ, არ შეგიტყუოს ტაშმა“ (ვახტანგ ჯავახიძე), „ერთადერთი რამეა ჭერისათვის

საშიში, ტაში შინ და ტაში გარეთ, ტაში გარეთ! ტაში შინ!“ (ტარიელ ჭანტურია).

განსაკუთრებით ფასეული როსტომ ჩხეიძის ესეი იმით არის, რომ მასში წარმოჩენილია წინააღმდეგობა, რაც ზოგიერთ დიდ შემოქმედთა სიტყვასა და საქმეს შორის შეინიშნება: „გალაკტიონ ტაბიძეც და გიორგი ლეონიძეც პოეტური მეტყველებისას ილია ჭავჭავაძეს ასდევნენ, იმ წუთას იქნებ გულწრფელნიც არიან, მაგრამ მოღვაწეობასა და იდეალს ერთმანეთს ველარ უსადაგებენ. ხელიდან გასხლტომიათ მთავარი ძარღვი იმ ნებისყოფისა, რაც მათ დიდ წინამორბედს სულიერი ჰარმონიით აღავსებდა. გასხლტომიათ და ტაშის სისუსტე მორევიათ. (...) დაშორებოდა ერთმანეთს იდეალი და რეალობა. ილია ჭავჭავაძესთან არ დაშორებოდა, მას ვერ მორეოდა ოვაციის ცდუნება, თორემ კონსტანტინე გამსახურდიასაც გატეხდა ტაში. ციხე ვერა, ვერც საკონცენტრაციო ბანაკი, ვერც ჩეკისტური კრიტიკის გაუთავებელი თავდასხმები, მუქარა-ცილისწამებებით შეზავებული თუ სხვა ათასგვარი შევიწროებანი. ტაში გატეხდა. ამ ცდუნებას ველარ გაუძლებდა და მიენდობოდა ხელისუფლების თანადგომას, რადგანაც კლაკიორთა ბრბოებთან და ბრიყვთა დაფასებასთან შედარებით მკრთალად მოისმოდა გულწრფელი ტაში“.

ყოველივე ამან ერთი გერმანული ლექსიკონი გამახსენა. 1998 წელს გერმანიაში ჰიპერის გამომცემლობამ დასტამბა ლექსიკონი ასეთი სახელწოდებით: „ფართოდ გავრცელებულ (პოპულარულ) მცდარ წარმოდგენათა ლექსიკონი“ (ორიოდე წელიწადში იგი თორმეტჯერ გამოიცა). მას ორი ავტორი ჰყავს — ვალტერ კრემერი და გიოც ტრენკლე-

რი. ლექსიკონის ერთ-ერთი სიტყვა-სტატია გახლავთ „ინტელექტუალები“. ინტელექტუალებში ავტორები გულისხმობენ ადამიანებს, რომლებიც საარსებო სახსარს წერთა და ლაპარაკით მოიპოვებენ (ჩვენში მათ ინტელიგენტებს უწოდებენ). ხოლო ინტელექტუალებთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული მცდარი წარმოდგენა გახლავთ ფრაზა, რომლის მსგავსი ჩვენშიც ხშირად წარმოთქმულა და დაწერილიც წაგვიკითხავს: „ინტელექტუალები ერის სინდისს განასახიერებენ“.

რეალობა ამ მოსაზრებას არ ადასტურებს, აცხადებენ ლექსიკონის ავტორები. მათი სიტყვით, „თუ უკანასკნელი ასი წლის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ინტელექტუალები მსოფლმხედველობრივად უფრო ადვილი საცდუნებელი არიან, ვიდრე „ნორმალური“ ადამიანები“.

არ მოიძებნება დიქტატორი, — ვკითხულობთ ლექსიკონში, — რომელიც თავს ვერ მოინონებდა იმით, რომ მას დასავლელ ინტელექტუალთა სოლიდური ჯგუფი უჭერდა მხარს. იმისათვის, რომ ეს მხარდაჭერა მოიპოვოს, დიქტატორმა ერთადერთი რამ უნდა მოიმოქმედოს: ტაში გაუხერხოს (ყარგონით თუ ვიტყვი, გაუჩალიჩოს) ინტელექტუალს, ანუ მისთვის ტაშის ორგანიზება შეძლოს. ტაში ლექსიკონში ქლოროფორმს არის შედარებული, საშუალებას, რომელსაც მედიცინაში პაციენტის დასაძინებლად იყენებენ მტკივნეული ოპერაციის დროს:

„აპლოდისმენტი ქლოროფორმით მოქმედებს თანამედროვე ლიტერატორებზე და აჩლუნგებს მათი კრიტიკული ხედვის უნარს; სანამ აპლოდისმენტი ესმით, სამყაროს იმათი თვალთ უყურებენ, ვინც მათ ტაშს უკრავს“.

აქ ავტორებს ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოჰყავთ გამოჩენილ დასავლელ ინტელექტუალთა ბიოგრაფიებიდან:

„მე ჯერ ასე კომფორტულად არასოდეს მიმგზავრია“, — იწერება ანდრე ჟიდი რუსეთიდან 1936 წელს, დიდი წმენდის პერიოდში. „საუკეთესო კუპები მატარებლებში, საუკეთესო ნომრები სასტუმროებში, რა საჭმელი, სულო და გულო! რა ყურადღება! ყველგან ტაში, ზეიმი“.

ბერნარდ შოუზე ვკითხულობთ:

„მოუსყიდველმა სოციალურმა კრიტიკოსმა ბერნარდ შოუმ 1930 წელს რუსეთში მოგზაურობისას, სწორედ იმ დროს, როცა მილიონობით რუსი ადამიანი შიმშილით კვდებოდა, მატარებლის ფანჯრიდან გადაყარა თანდასრული პროდუქტი — რაღა გინდა პური და კარაქი, როცა სამოთხეში მიემგზავრები!“

ან კიდევ:

„ჟან-პოლ სარტრი ალტაცებული იყო ფიდელ კასტროთი, რომელმაც დე გოლისაგან განსხვავებით, დიდებული მიღება მოუწყო ლიტერატორს (ამასთან შედარებით რაღა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კასტროს ხელში კუბელები ერთ-ერთ უღარიბეს ხალხად იქცნენ). სალმან რუზდი და ფრანც ქსავერ კრიოცი ჰიმნებს თხზავენ ნიკარაგუელ დიქტატორებზე — იქ კულტურის მინისტრმა სულ სხვაგვარი მასპინძლობა იცის, ვიდრე გერმანიასა და ინგლისში (იმავედროულად რომ ნიკარაგუაში ინდიელთა სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა, ეს ვითომც არაფერი), გულაჩუყებული, თვალზე ცრემლმომდგარი მოგვიტხრობს გრემ გრინი სკკპ გენერალური მდივნის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვის შესახებ...“

კი მაგრამ ანდრე ჟიდი ბოლოს ხომ მაინც უგანა სტალინს?

ამის საპასუხოდ სტალინის ბოლო აზრს ვკითხულობთ:

„მართალია, შეიძლება თქვან, რომ ასეთები მოგვიანებით მაინც შეიცნობენ ხოლმე მათ მიერ გაღმერთებული მანათობელი პიროვნების ჭეშმარიტ სახეს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ამ დროისათვის მათ უკვე ნაპოვნი ჰყავთ ახალი მანათობელი პიროვნება. კოლექტიური სიბრძნით შეპყრობილთა ამ მასის ფონზე იმგვარი ჭეშმარიტად კრიტიკულად განწყობილი ინტელექტუალების ჩამოსათვლელად, როგორებიც არიან ჰანს-მაგნუს ენცენსბერგერი, ჯორჯ ორუელი თუ ბერტრან რასელი, ორივე ხელის თითები სრულად საკმარისია“.

აქ დასახელებულთ, ჩემი მხრივ, აკაკი ბაქრაძეს და ვუმატებდი, ვისაც ვერც ტაში და ქება-დიდება, ვერც ხელისუფალთაგან გამოჩენილი ყურადღება თუ მათგან ნაბოძები თანამდებობები შეხედულებებს ვერ აცვლევინებდა.

მოზაიკა

ალიკაპი

თურმე ერთი ჩვენი თანამედროვე რუსი რეჟისორი ბერლინის თეატრში დგამდა „იდიოტს“ (ცხადია, დოსტოევსკის რომანის მიხედვით).

რეპეტიციების დროს იფეთქა ფრიად სერიოზულმა ინციდენტმა. გერმანელ მსახიობებს ვერაფრით ვერ გაეგოთ სპექტაკლის ერთი ეპიზოდი, სახელდობრ – როგოჟინი რომ უამბობს თავად მიჰკინს, მთვრალი ვიყავი და ქალაქ ფსკოვის ქუჩაში ძაღლებმა დამკბინესო.

- ალბათ უხეიროდ არის თარგმნილი, — დაჟინებით ამტკიცებდნენ გერმანელი მსახიობები. — დაუჯერებელია, რომ დოსტოევსკის ეს დაეწერა!
- რატომ ვერ დანერდა? — უკვირდა რუს რეჟისორს.
- იმიტომ რომ ეს სრულიად შეუძლებელია, წარმოუდგენელია. მაყურებელი სიცილით მოკვდება.
- ნეტავი რა ნახეთ აქ სასაცილო? — ცხარობდა რუსი რეჟისორი, აღშფოთებული დიდი რუსი მწერლის გაბაიბრებით.
- აბა ერთი გვიბრძანეთ, როგორ შეიძლება ძაღლებმა დაკბინონ ქუჩაში გამვლელი, ფხიზელი იქნება თუ მთვრალი, როცა ნე-

ბისმიერ ძალს დრუნჩზე ალიკაპი უკეთია?

რუსული პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართალია, დოსტოევსკის შემდეგ საუკუნეზე მეტი გასულა, მაგრამ დღევანდელ რუსეთში ძაღლები ალიკაპის ტარებას მაინცდამაინც არ ეტანებიან.

ამ მხრივ ჩვენშიც იგივე სურათია.

ოდესმე თუ გინახავთ თბილისის ქუჩებში მოსეირნე ძაღლი, რომელსაც დრუნჩი ალიკაპით ჰქონდეს დამშვენებული? ხოლო პატრონი ფეხდაფეხ მიჰყვებოდას თავის უერთგულეს მეგობარს, გულმოდგინედ აგროვებდეს პარკში ძაღლის ექსკრემენტს და სპეციალურ ურნებში ჰყრიდეს, როგორც ევროპაშია მიღებული.

მოდი და გაუგე რამე ამ დალოცვილ ევროპელებს, ასე გულმხურვალედ რომ გვეპატიჟებიან ევროკავშირში — უთქვენოდ ჩვენი სიცოცხლე, ვაჰჩვენ, რა დიდად ძნელიაო...

ვიდრე ალიკაპი ფართოდ არ დაინერგება ჩვენს სინამდვილეში, ნესითა და კანონით, ევროკავშირზე ოცნებაც კი უნდა ავიკრძალოთ! ბატონებო და ქალბატონებო, ჯერჯერობით, შორია ევროპამდე!

დენის ბრაიენი

პირველი სიყვარული

*

ფრაგმენტი ნიზნიდან
„უტყუარი ცნობები:
ერნესტ ჰემინგუეის ინტიმური პორტრეტი“



ერნესტ ჰემინგუეი მილანის ჰოსპიტალში, 1918 წელს, ტკივილებს სტვენით იყუჩებდა

ერნესტ ჰემინგუეის 1954 წელს ნობელის პრემია რომ მიანიჭეს, რომელიმე ამერიკულმა გაზეთმა მას უწოდა „მსოფლიოში უდიდესი მწერალი 1616 წლის შემდეგ“ (1616 წელი – შექსპირის გარდაცვალების თარიღია). ამგვარი გაზვიადებული ხოტბა ამა თუ იმ მწერლის პრესტიჟს, ალბათ, ზიანს უფრო მიაყენებს, ვიდრე სარგებელს – მის თაყვანისმცემელთა თვალშიც, ვინაიდან გონიერმა მკითხველმა, უთუოდ, იცის ზომა და ზღვარი, ჭეშმარიტებას აცდენილი ერთი ნაბიჯიც კი ეჩოთირება. მაგრამ რას იზამ, რეკლამა იმის რეკლამაა, რომ რაც შეიძლება ძვირად შეაფასოს გასაყიდი საქონელი, მატერიალური იქნება თუ სულიერი. ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ ჰემინგუეის, რასაკვირველია, არაფრად სჭირდებოდა მისი ღვანლის გაბუქვა და უკიდევანო ქება-დიდება.

როდესაც ინტელექტუალურ-სნობურ წრეებში მსჯელობენ ხოლმე XX საუკუნის ლიტერატურაზე, უმაღლესი მწვერვალების ჩამოთვლისას ჰემინგუეიზე უწინარეს, ცხადია, სხვებს დაასახელებენ, მაგრამ საყოველთაო პოპულარობის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ვერც ერთი მათგანი ვერ გაუტოლდება ჰემინგუეის. და ეს პოპულარობა სრულიადაც არ გახლავთ ისეთი იაფფასიანი, ეფემერულ ბესტსელერთა ავტორებს რომ მოუხვეჭიათ.

ჰემინგუეის რომანმა „ვისთვის რეკს ზარი“ (1940 წ.), ჩვენს ეპოქაში გათამაშებულ ანტიკურ ტრაგედიას რომ მოგვაგონებს, იმავდროულად, არნახული და გაუგონარი აღიარება ჰპოვა მკითხველთა ფართო ფენებში. საკმარისია ითქვას, რომ ორიოდე წლის მანძილზე მისმა ტირაჟმა მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. ისიც ნუ დავავიწყებდებ, რომ უკვე მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი და ნივინსათვის თითქოსდა ვიღაც სცხელოდა!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰემინგუეის სახელს ძალუძს დაამშვენოს ნებისმიერი ანთოლოგია თუ ქრესტომათია.

გამოჩენილი ამერიკელი ჟურნალისტი, პულიცერის პრემიის ლაურეატი ჰარისონ სოლზბერი, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ კორესპონდენტად რომ მუშაობდა ლონდონსა და მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის დროს, თავის მემუარებში ასე იგონებს ახალგაზრდობის წლებს: როდესაც ჰემინგუეის მოთხრობა „მკვლელები“ წავიკითხე, მივხვდი, რომ ჰემინგუეი უნდა გავმხდარიყავი (!) – „უნდა მენერა, როგორც წერდა ჰემინგუეი და უნდა მეცხოვრა, როგორც ის ცხოვრობდა“. თურმე სოლზბერი და მისი მეგობრები ყოველმხრივ ჰბაძავდნენ თავის კერპს – წერ-

დნენ შეკუმშულად, განმეორებებით და რატომღაც ცინიკურად (ცინიზმთან დაკავშირებით რა შუაში იყო ჰემინგუეი?); ერთი სიტყვით, „დაკარგულ თაობად“ გვეჩვენებოდა თავიო.

სოლზბერი ამტკიცებს, რომ მთელს მსოფლიოში არ მოიძებნება უფრო მართალი, მგზნებარე და ტრაგიკული ნაწარმოები, ვიდრე „მშვიდობით, იარაღო!“ ყველაფერში ვბაძავდით მწერალს და ჩვენ, ყველანი, მესამეხარისხოვანი ჰემინგუეები ვიყავითო.

ჰემინგუეი იმითაც გამოირჩევა, რომ მის შემოქმედებაში სხვისაზე მეტად შეჭრილა ავტობიოგრაფიული ელემენტები. საკუთარი ხასიათისა თუ ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკუნებს გულუხვად უწილადებს თავისი რომანების მთავარ გმირებს და ლამის ყოველი მათგანი რაღაც-რაღაცეებით გვაგონებს ავტორს: ახალგაზრდა ფრედერიკ ჰენრი იქნება თუ ჯეიკ ბარნსი, თავგანწირული რობერტ ჯორდანი თუ ხნიერი პოლკოვნიკი კანტუელი, და ისიც კი – ბებერი სანტიაგო, ვეება თევზს რომ დაიჭერს და ძილში ისევ დაესიზმრება ლომები. ჰემინგუეის სხვა პერსონაჟთა პროტოტიპებიც ხშირად ერთობ გამჭვირვალენი არიან. ეს გარემოება, შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ჰემინგუეის საოცრად მშფოთვარე ცხოვრება გაუტარებია, სასტიკი ომები და ფათერაკიანი მოგზაურობანი მისი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილად ქცეულა. ვის არ გადაჰყრია, ვინ არ გაუცნია: ესპანელი მატადორები და „დაკარგული თაობის“ ყველაზე სახელოვანი ფიგურები, პოლიევუდის კინოვარსკვლავები და აფრიკელი მონადირეები, ინგლისელი მფრინავები და ფრანგი პარტიზანები, კუბელი მეთევზეები და იტალიელი არისტოკრატები, ამერიკელი მოხალისენი და საბჭოთა ჟურნალისტები (ესპანეთის სამოქალაქო ომში).

გასული საუკუნის 30-იან წლებში უკვე სახელგანთქმულ მწერალს სტუმრად ეწვია დამწყები ავტორი ირვინგ სტოუნი და საჩუქრად მიართვა თავისი ბიოგრაფიული რომანი ვან გოგზე. შეექცეოდნენ ვისკის და საუბრობდნენ ლიტერატურული ჟანრების პრობლემის შესახებ.

სტოუნი უმტკიცებდა ჰემინგუეის, ჩვენ ორთაგან ჩემი ამოცანა უფრო რთული არისო. თვეობით უნდა ვჩხრაკო ათასობით ისტორიული დოკუმენტი და ხელშეუბრძელი ვარ იმით, რასაც მოვიპოვებო.

ჰემინგუეიმ მიუგო, რომ გამოგონილი ლიტერატურა საერთოდ არ არსებობს, ახსენა თავისი „ავტობიოგრაფიული მოთხრობები“. სტოუნის მოგონების თანახმად, ჰემინ-

გუეი ძალზე დაჟინებით უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ ლიტერატურაში ადგილი არა აქვს შიშველ წარმოსახვას; ამბობდა, იდეებსა და ხასიათებს თითიდან როდი გამოვწვითო. მერე კი აღიარა, რომ მის რომანებს ბიოგრაფიული უფრო შეიძლება ეწოდოს, ვიდრე გამოწვანი, ვინაიდან «ცხოვრებისეული გამოცდილებიდან» არიან წარმოქმნილიო.

ალბათ ამიტომაც არის საინტერესო ჰემინგუეის შემოქმედების კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორ შეეფარდებიან მისი რომანების პერსონაჟები თავის პროტოტიპებს, როგორ არის დოზირებული მათ პორტრეტებში რეალობა და გამოწვანი, ცხოვრებისეული დაკვირვებანი და მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია.

ამერიკელ მკვლევარს დენის ბრაიენს ჰემინგუეის სამი ნაწარმოები აურჩევია ამგვარი კვლევა-ძიების საგნად: „მშვიდობით, იარაღო!“, „აღმობედების მზე“ და „განუყრელი დღესასწაული“.

ბრაიენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მრგვალი მაგიდის“ გარშემო აწყობს სჯა-ბაასს და მონაწილეებად თავს უყრის სანდო მოწმეებს, პირადად რომ იცნობდნენ ჰემინგუეის, მის უახლოეს ნათესაებს, ჰემინგუეის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შექმნილი ნიგნების ავტორებს და, რაც მთავარია, მწერლის პერსონაჟთა პროტოტიპებს.

და აი, ამჯერად, სხვებთან ერთად ჩვენ უშუალოდ ვუსმენთ ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღო!“ გმირის პროტოტიპს – უკვე ხანდაზმულ ქალბატონს, ერნესტის პირველ სიყვარულს, ქეთრინ ბარკლის სახელით რომ გაგვაცნო მწერალმა.

მთარგმნელი

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი (ამერიკული წითელი ჯვრის მოწყალეების დაი – ქეთრინ ბარკლის პროტოტიპი):

ჰემინგუეი კარგი პაციენტი იყო, როგორც უნდა იყოს პაციენტი. მას ჭრილობა ფეხში ძალიან ანუხებდა და სხვა აღარაფერი ახსოვდა. მაგრამ, ვგონებ, მართლაც მტკივნეული ჭრილობა ჰქონდა. კარგა ხანს გულმოდგინედ ლაპობდა კანკეუმ ჩარჩენილი ტყვიის ნამცეცების ამოჩიქნას. ვერ ვიტყვი, რამდენად მძიმე იყო ჭრილობა, რადგან შეხვეული ჰქონდა და თვალს ვერ შეავლებდი. გადაიტანა ერთი ოპერაცია (სინამდვილეში – ორი). აი, ესაა ყველაფერი, რაც ამის შესახებ ვიცი. ის მხიარული ყმაწვილი იყო და სულ გართობაზე ეჭირა თვალი, ეხალისებოდა ლაპარაკი ადამიანებთან. რამდენიმე იტალიელი ოფიცერი მოდიოდა ხოლმე მის სანახავად, მიმზიდველ პიროვნებად მიაჩნდათ. ჩვენი ნაცნობობა სულ რაღაც სამიოდე თვე გაგრძელდა. ჩვენს შორის არაფერი ყოფილა სერიოზული. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვიყავით და მისი მოვლა მევალებოდა – თავდაპირველად ვერც დავუახლოვდი. ის ჩემი პაციენტი იყო და მე კი ღამის მორიგეობა სხვა მოწყალეების დებზე უფრო ხშირად მიწვდა, რადგანაც მათ ეზარებოდათ ღამეების თენება, ხოლო მე იოლად ვიტანდი. კარგად გამოვიძინებდი ხოლმე დღისით, მათ კი ეს უჭირდათ. ბოლოს და ბოლოს ჰემინგუეიმ ძალიან მომაბეზრა თავი, რადგან ერთობ თავდაჯერებული იყო და დარწმუნებული ვარ – ეგონა, რომ ყოველთვის მართალი ბრძანდებოდა.

დენის ბრაიენი (ბიოგრაფი და რომანისტი. დაიბადა ქალაქ კარდიფში – უელსი. სწავლობდა საუთჰემპტონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტში. ბომბდამშენის მფრინავი

მეორე მსოფლიო ომის წლებში. მუშაობდა ჟურნალისტად ინგლისსა და შეერთებულ შტატებში):

მისის სტენფილდ, **კარლოს ბეიკერის*** სიტყვით, როცა თქვენ მოწყალეების დად მსახურობდით მილანის ჰოსპიტალში, ერნესტს ეძახდით „კიდს“**, ხოლო საკუთარ თავს – „მისის კიდს“.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: იგი ბალღივით იცეოდა და დღეში ორჯერ მწერდა წერილს, როცა ღამის მორიგე ვიყავი. მომწერდა ხოლმე და გოგოებს მოჰქონდათ ჩემთან, დღის ოთხ საათზე რომ გავიღვიძებდი.

დენის ბრაიენი: თქვენს წერილებში ჰემინგუეის უწოდებთ „ჩემი სიცოცხლის მნათობს, უძვირფასესსა და ურჩეულესს, ერნესტსა შორის ყველაზე ერნესტს“***.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: არაფერი მაგის მსგავსი არ მითქვამს (იცინის). ეს მისი შეთხზული უნდა იყოს.

დენის ბრაიენი: არა, თქვენ სწორედ ასე ეძახდით.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: გეუბნებით, არამეთქი.

დენის ბრაიენი: თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ეს ჰემინგუეიმ დანერგა და თქვენ არაფერ შუაში ხართ?

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მწერალი იყო.

დენის ბრაიენი: აი, აქ არის ის, რაც ერთ-ერთ წერილში მიგინერიათ ჰემინგუეისთვის: „ღმერთო ჩემო! აქ რომ იყო, გამოვქანდებოდი და შევრიგდებოდი. შენ გამოღიმებდი და ღონიერ მკლავებს გამომიწვდიდი. მაგრამ ცარიელი ნატვრა რა ხეირია!“ (აგნესი ხმას არ იღებს) მაშინ თქვენ მეგობარი გვეგონათ თავი და არა სატრფო?

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: მას ეგონა, რომ ეს რომანი იყო, მაგრამ მე ასე არა ვფიქრობდი. ერნესტზე ხნიერი ვიყავი; მე – ოცდაექვსი წლისა და ის კი – მხოლოდ ცხრამეტის. ძალიან გაბრაზდა ჩემზე, რადგან სამშობლოში ვისტუმრებდი. ჯიმ გემბლმა, რომელიც ფულიანი კაცი იყო, შესთავაზა ემოგზაურათ ევროპაში ომის შემდეგ, მე კი ვუთხარი, შინ ნადი და ჯერ შენი ოჯახი მოინახულემეთქი. ეს გემბლი ეძმაკაცებოდა ერნესტს, აღტაცებული იყო მისი მხნეობითა და კაიბიჭობით. ჰემინგუეი აღარ ნასულა სამოგზაუროდ და სამშობლოში დაბრუნდა. ეს არ ექაშნიკებოდა და ჩემზე იკრდა ჯავრს.

დენის ბრაიენი: და ყიდევ უფრო შემოგწყრათ, როცა მისწერეთ, რომ არ აპირებდით მის ცოლობას.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: შეერთებულ შტატებში რომ ვბრუნდებოდი, მივწერე ერთ ჩვენზე ხნიერ მოწყალეების დას, რომელიც უფრო ადრე იყო წასული, და მან აუნცა ჰემინგუეის, აგნესი შინ ბრუნდებოდა. ერნესტმა კი თქვა: „იმედი მაქვს, რომ ნავმისადგომზე წაიქცევა და თავის წინა კბილებს დაიმტვრევს“. აი, რას გრძნობდა ჩემს მიმართ. ეს სასაცილო ელფერით მოსავს ყველაფერს.

დენის ბრაიენი: იგი ფიქრობდა, რომ თქვენ აცდუნეთ და მერე თქვენც გაცდუნათ იტალიელმა ოფიცერმა დომე-

* კარლოს ბეიკერი – ავტორი ნიგნისა „ერნესტ ჰემინგუეი. ცხოვრების ისტორია“ (1969)

** ინგლისურად ნიშნავს „ბიჭიკოს“ ან „თიკანს“

*** ინგლისურში ერთნაირად წარმოითქმის საკუთარი სახელი „ერნესტ“ და სიტყვა, რომელიც ნიშნავს – სერიოზულს, გულწრფელს (მთარგმნელის შენიშვნა)

ნიკო კარაჩოლომ. და ჰემინგუეიმ ერთ მეგობარს უთხრა: ამის გამო ძალზე ვწუხვარო.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი (იცინის): მე არა მჯერა ეს.

დენის ბრაიენი: როდესაც მან თქვენგან მიიღო წერილი, სადაც სწერდით: სამშობლოში არა ვბრუნდები, რომ ცოლად გამოგყვე და ჩემზე ახალგაზრდა ქალი მოძებნეო, თავზარი დაეცა და რამდენიმე დღე ლოჯინად იყო ჩავარდნილი, მერე კი მძაფრმა დეპრესიამ შეიპყრო. ფსიქიატრს, დოქტორ ირვინგ იელომს სჯერა, რომ თქვენგან ცდუნებაში მიაყენა ჰემინგუეის ღრმა და ძლიერი ემოციური ჭრილობა; ამას ნაწილობრივ ისიც ადასტურებს, რომ ჰემინგუეიმ ეს აღწერა არა მარტო რომანში „მშვიდობით, იარაღო!“, არამედ „ძალზე მოკლე მოთხრობაშიც“.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი:

მან თავის რომანში გამოიყვანა ყველა, ვინც კი შეხვედრია. ყველამ მაშინვე იცნო თავი, თუმცა მე ვერა ვცნობ ჩემს თავს. მე მგონი, ქეთრინი არის კრებითი პერსონაჟი.

დენის ბრაიენი: ფსიქიატრები ირვინგ და მერილინ იელომები წერენ „ზოგადი ფსიქოლოგიის არქივში“ (1971 წ.): „პირველ მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობები რომ მოიშუშა, ჰემინგუეის თავის სიცოცხლეში, ალბათ, პირველი სიყვარული დაატყდა თავს – აგნეს ფონ კუროვსკი შეუყვარდა... როცა აგნესმა სხვა მამაკაცი ამჯობინა, ჰემინგუეი სასონარკვეთამ შეიპყრო“.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: მე არავითარი სხვა მამაკაცი არ ამირჩევია. იტალიის არმიის ოფიცერი კარაჩოლო გავიცანი ჰემინგუეისთან ურთიერთობის განწყვეტიდან კარგა ხნის შემდეგ. კარაჩოლოს ვუყვარდი, მაგრამ მე არ მყვარებია. მისთვის უცხო ხილი ვიყავი. ის იტალიის არმიამი მსახურობდა და სხვა ჯარისკაცებთან ერთად იქ ტრიალებდა, სადაც ჩვენ, მოწყალეების დები, ვიმყოფებოდით. ისინი თავს ძალზე ეულად გრძნობდნენ და ჩვენთან მოდიოდნენ სტუმრად. ეს იყო და ეს. კარაჩოლო ძალზე ეჭვიანი კაცი გახლდათ, მან გადამიყარა ყველა წერილი, რომელიც ჰემინგუეისგან მიმიღია. ასე რომ, სახსოვრად ერთიც კი აღარ დამრჩა. სიმართლეს არ შეესაბამება, რასაც კარლოს ბეიკერი წერს, თითქოს მე ნეაპოლში გავემგზავრე კარაჩოლოს მშობლების გასაცნობად. დიახაც მომწონდა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ცოლად გავყოლოდი.

ჰენრი ვილარდი (მონმე ჰემინგუეი-კუროვსკის რომანისა, რომელმაც მრავალი წლის შემდეგ ჰკითხა ქალს, თუ რამდენად ზუსტია მწერლის თხრობა რომანში. ავტორი ნიგნისა „პირველი მსოფლიო ომის ჰოსპიტალში ჰემინგუეისთან ერთად“):

ერთადერთი, რასაც შევსწრებივარ ერნესტისა და აგნესის რომანთან დაკავშირებით, ის არის, რომ წუთით ხელს ჩასჭიდებდნენ ერთიმეორეს ზენარქვემ, როცა აგნესი ტემპერატურას უზომავდა. ასე რომ, განცვიფრდი და შევძრწუნდი კიდევ, თერთმეტი წლის შემდეგ „მშვიდობით, იარაღო!“



აგნეს ფონ კუროვსკი
1918 წელი

ბით, იარაღო!“ რომ წავიკითხე. რომანის დიდი ნაწილი აღწერს იტალიელთა სასტიკ დამარცხებას ავსტრიელთა მიერ კაპორეტოს ბრძოლაში. მე ვიცოდი, რომ ჰემინგუეი იტალიაში არც კი იმყოფებოდა, როდესაც ეს ამბავი მოხდა, მაგრამ სკანდალურად გამიშვლებულ სასიყვარულო სცენებს ვადმოგვცემს, როგორც პირადად განცდილს.

რომანში, როცა ჯერ კიდევ ყველას სძინავს, მოწყალეების დაი ქეთრინ ბარკლი და მისი პაციენტი ფრედერიკ ჰენრი, მიუხედავად ფიზიკური დასახიჩრებისა, რომელიც წააგავს ჰემინგუეისას, ჰოსპიტალის საწოლში ჰყვარობენ ერთმანეთს. მინდა ვიცოდე, შეთხზულის ნილაბქვემ ჰემინგუეი მოგვითხრობს თუ არა სინამდვილეში მომხდარს. მაშინ მათგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ვიყავი, მეზობელ ოთახში. მე მივხვდი, რომ ის მონაკვეთი, სადაც ჰენრისგან შვილის შობისას ქეთრინი კვდება, ასევე შეთხზულია, რადგანაც შევიტყვე, რომ აგნესი ცოცხალი იყო. როცა ეს წიგნი წავიკითხე, ირანში ვმსახურობდი აშშ ვიცე-კონსულად თეირანში. მე მივწერე აგნესს და რამდენჯერმე წარუმატებლად ვცადე მასთან შეხვედრა. ვაპირებდი მეკითხა, რამდენად მიზანშეწონილია მსჯელობა ჰემინგუეის მიერ მათი რომანის აღწერილობის შესახებ. საბოლოოდ მე შევხვდი აგნესს 1975 წელს, როცა მან მიმიპატიჟა თავის სახლში, ფლორიდაში. უკვე ოთხმოცდასამი წლისა იყო. მაცნობა, რომ ცოლად გაჰყვა დაქვრივებულ უილიამ სტენფილდს, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა. მე ვუთხარი აგნესს, რომ სასიყვარულო სცენები რომანში „მშვიდობით, იარაღო!“ მოთხრობილია ისე, როგორც ჰემინგუეის წარმოსახებოდა. აგნესმა მიპასუხა, მართალი ხარო. ჰემინგუეის საყვარელი არასოდეს ვყოფილვარ და არასოდეს გაგვიკეთებია ის, რასაც რომანში ხატავსო.

უილიამ სტენფილდი (აგნესის მეორე ქმარი, რომელიც უფრო გულახდილად ლაპარაკობს ჰემინგუეის რომანზე, ვიდრე აგნესი):

რამდენიმე წლის წინათ ერთმა კაცმა ჩიკაგოდან მოსწერა აგნესს და ემუქრებოდა, აღიარე, რომ ისეთივე ფიზიკური ურთიერთობა გქონდა ჰემინგუეისთან, როგორც მოწყალეების დას მის რომანშიო. უცნობი სწერდა: ამ ფაქტის უტყუარობა ვიცი, რადგანაც თვითონ ჰემინგუეიმ ასე მითხრაო – იმ პირობით, რომ ამას საიდუმლოდ შევინახავდი, ვიდრე ჰემინგუეი ცოცხალი იყო.

დენის ბრაიენი: თავის მეგობარ ერიკ დორმენ-სმიტთან საუბრისას აგნესის შესახებ ჰემინგუეიმ თქვა, მხოლოდ პროფესიონალმა მოწყალეების დამ იცის, თუ როგორ უნდა ისიყვარულო კაცთან, რომელსაც ფეხი არტახებში აქვსო. მინიშნება აშკარა გახლავთ. დორმენ-სმიტმა მოიხსენია ეს საუბარი თავის გამოქვეყნებულ მემუარებში. შესაძლოა, სწორედ ეს იყო წყარო ჩიკაგოელი კორესპონდენტის დენიზფორმაციისა.

უილიამ სტენფილდი: მოსაზრება, რომელიც გვარწმუნებს, თითქოს მაინცდამაინც ამ მოწყალეების დას, რომელშიც აგნესი იგულისხმება, შეეძლო ეს მოეხერხებინა

სანოლში ჰემინგუეისთან, ფეხი დასახიჩრებული რომ ჰქონდა, ცხადია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

დენის ბრაიენი: ვერა და ვერ გამიგია, თუ რატომ უარყოფს თქვენი მეუღლე, ჰემინგუეის სატრფიალო ბარათებს ვწერდიო, როდესაც ისინი ბუნებაში არსებობს.

უილიამ სტენფილდი: მე მჯერა, უკეთეს გუნებაზე თუ დადგება, ამას უეჭველად აღიარებს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სწერდა ჰემინგუეის, ვინაიდან თუკი არსებობს ეს ბარათები, მაშასადამე სწერდა. ამას ვერსად გაეცქევი. მაგრამ როცა დაუკრეფავში გადადიან, სრული უაზრობაა! არ ვიცი, როგორ ავიხსნათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რასაც ჩემით ვასკენი, რომ აგნესს არა ჰქონია სერიოზული სექსუალური ლტოლვა არც ჰემინგუეისა და არც იტალიელი ოფიცრის მიმართ. არა მგონია, რომ მას სერიოზულად ეფიქრა რომელიმე მამაკაცზე, ვიდრე ოცდაათი წლისა, ან ცოტა მეტიც, გახდებოდა. და ეს მოხდა ნიუ-იორკში, კარგა ხნის შემდეგ, რაც ეს ევროპული დავიდარბა მოთავდა.

პიტერ გრიფინი (ავტორი ნიგნისა „ჰემინგუეი. ახალგაზრდობის წლები“):

ბილ ჰორნს, რომელიც იცნობდა ჰემინგუეის, როდესაც საველე ჰოსპიტლის მძღოლად მუშაობდა იტალიაში, პირველი მსოფლიო ომის დროს, შეუნახავს ერნესტისგან გამოგზავნილი წერილები – ჰემინგუეის ბიოგრაფიის დასაწერად. ამ წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ერნესტს გაგიჟებით უყვარდა კუროვსკი, ლოგინიც ჰქონდათ, და ჰემინგუეის გულმუცელი ჩაენგრა, როცა აგნესმა იგი დაინუნა და სწორედ ამის შემდეგ პირველად დაინყო წერა, როგორც ჰემინგუეიმ. მე მგონი, კუროვსკის მიერ მიყენებულმა ჭრილობამ კაკალ გულში ერთიანად შესძრა ჰემინგუეი. თუმცა არც ისეთი აფეთქება ყოფილა, როგორც ამბობს ფილიპ იანგი. ვფიქრობ, სხვა უფრო საგრძნობი მიზეზებიც ჰქონდა. მაგრამ სული რომ ტოვებდა სხეულს, ამის მსგავსი რამ ჰემინგუეის სიყმანვილეშიც გამოუცდია, თავის ოჯახში ყოფნისას – სულისა და სხეულის გაყრა. იგი მთვარეულიც იყო. ჯიმი ბრინის გამოუქვეყნებელ რომანში ჰემინგუეი გვიამბობს, ყმანვილობის ჟამს ჩემი სული ტოვებდა სხეულს და დასერიონობდა ოუკ-პარკის ქუჩებში და ტივტივებდა ხეებს შორის. ამით კიდევაც ვტკბებოდი და კიდევაც მეშინოდაო.

დენის ბრაიენი: რით ასაბუთებთ, რომ ერნესტი და აგნესი ერთმანეთს ჰყვარობდნენ?

პიტერ გრიფინი: აგნეს ფონ კუროვსკი თავის წერილებში აღწერს ჰემინგუეისთან ერთად გატარებულ სამ დღეს და ერთგან აღნიშნავს: „გახსოვს, რა მშვენიერი იყო ის სამი დღე და შენ კი მოუსვენრობამ შეგიპყრო, გენადა – შენს მეგობრებთან გაგერთო თავი“. ეს სიტყვებიც ამას მიგვანიშნებს.

ნებს. და აგნესი სწერს ერნესტს: თავს ვდებდი სანუკვარ ადგილზე და ისე ვიძინებდიო.

დენის ბრაიენი: იმხანად ადამიანები უფრო უმანკონი იყვნენ. აგნესი უარყოფს, ერთმანეთს არ ვყვარობდითო. თავი სანუკვარ ადგილას რომ ედო, შესაძლოა, ერნესტის ყელი ვიგულისხმობთ.

პიტერ გრიფინი: მაგრამ მათ სამი დღე ერთად გაატარეს და ქალი წერს ამაზე: „მე ვიცი, რასაც გინცალობებ, როცა შინ დავბრუნდები“. ბილ ჰორნმა მითხრა და ამას ადასტურებს ჯონი მილერის წერილი იმ ორგანიზაციის შესახებ, ჰოსპიტალში რომ იმართებოდა. ამგვარი ურთიერთობა მონყალების დებსა და პაციენტებს შორის უჩვეულო სრულიად არ ყოფილა. თანაც ომი იყო. ჰემინგუეი წარმოუდგენლად მომხიბლავი და ძალზე გამოსარჩევი ჯეელი გახლდათ. ქალსა და კაცს ერთმანეთი უყვარდათ: ჰემინგუეი თავდავინყებით ეტრფოდა ამ ქალს და ისიც იზიარებდა მის ლტოლვას მთლად ინტიმური ფიზიკური გზით. ის მისი მონყალების დაი იყო და ამგვარი რამეები ხდება ხოლმე ჰოსპიტალში. არაფერია ამაში უჩვეულო. ერნესტს ენადა ცოლად შეერთო აგნესი და მეჯვარე უნდა ყოფილიყო ბილ ჰორნი.

დენის ბრაიენი: მეორე მომზე ჰენრი ვილარდი სკეპტიკურად უყურებს ფიზიკური სიახლოვის არსებობას.

პიტერ გრიფინი: ვილარდს თვითონ უყვარდა კუროვსკი. ბილ ჰორნმა მითხრა, ვილარდს კუროვსკი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდაო. ბილ ჰორნი ძალიან მფარველობს ჰემინგუეის. ყველა წერილი, რომელიც მიუღია ჰემინგუეისგან, მისივე ხელითაა ნაწერი, მაგრამ არის ერთი მათგანი, ბილ ჰორნს რომ გადაუწერია და იგი აღნიშნავს: „ექვსი სტრიქონი ძნელად იკითხებაო“, და მერე – „ათი სტრიქონი ძნელად იკითხებაო“, და ეს სტრიქონები მთლიანად ეხება კუროვსკის.

დენის ბრაიენი: ასე რომ, თქვენ კითხულობთ სტრიქონებს შორის იმას, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.

პიტერ გრიფინი: სტრიქონებს შორის იყო სხვა რალაცურულაცეებიც. როდესაც ერნესტი წერდა: „მე ვყვარობდი ერთ გოგოს და მივატოვე. მას სჭირდება ვინმე, ვინც მასთან ისიყვარულებს და თუკი კარგი ჯეელი გამოჩნდება, ბედი ზურგს შემატყვევს“. შესაძლოა, ასეც იყოს, შესაძლოა – არა.

დენის ბრაიენი: თქვენ გჯერათ აგრეთვე, რომ ჰემინგუეი და მისი ყმანვილობის დროინდელი მეგობარი კეიტ სმიტი, რომელიც ბოლოს დოს პასოსი* გაჰყვა ცოლად, ერთმანეთს ჰყვარობდნენ?

პიტერ გრიფინი: არა მგონია, რომ ეს საკითხავი იყოს. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება მეიერსს ნაკეითხა ჰედლის წერილები და ეს არ დაეჯერებინა?

ჯონ დოს პასოსი – გამოჩენილი ამერიკელი მწერალი

ანონსი

დენის ბრაიენის
 ამ ორიგინალური ნიგნიდან
 ჟურნალის უახლოეს ნომრებში
 გაეცნობით
 კიდევ ორ თავს,
 რომელიც ეძღვნება
ერნესტ ჰემინგუეის
 რომანების –
 „აღმომხდების მზე“
 და
 „ბანუხრელი დღესასწაული“ –
 პერსონაჟთა პროტოტიპებს.

ჰედლი ეჭვიანობდა კეიტზე. ის სწერდა ერნესტს: „კეიტს შენ უყვარდი“. ხოლო კეიტს ფრიად ანუხებდა, რომ ხელის-მომკიდედ იყო ერნესტისა და ჰედლის ჯვრისწერისას. ჰედლის ერთ-ერთ წერილში ისიც კი ნათქვამია, ვაითუ კეიტი ორსულად არისო. ერთმა პიროვნებამ, გვარად სმიტმა, ჰარტფორდის ტრინიტი-კოლეჯში თავისი მოღვაწეობის გარკვეული წილი ამ საკითხის კვლევას დაუთმო. ერთხანს იგი ჩიკაგოში იმყოფებოდა, ვილაც ქალი მიადგა და უმტკიცებდა, ჰემინგუეის ასული ვარო. ალბათ, ეს მონაჩმანია.

დენის ბრაიენი: მაშასადამე, ერნესტს თითქოსდა კეიტ სმიტთან ჰქონდა რომანი, ოღონდ ამას ვერ დაამტკიცებ.

პიტერ გრიფინი: ნაღდად თქმა მიჭირს, მაგრამ განაგრძეთ!

დენის ბრაიენი: ჰემინგუეის ბიოგრაფი ჯეფრი მეიერსი წერდა: „ჰემინგუეი აღწერს სქესს ქალებთან, ვისთანაც სინამდვილეში არასოდეს ჰქონია ფიზიკური კონტაქტი“. ასე რომ, თქვენ შეიძლება შეცდომა მოგდით, როდესაც ფიქრობთ, რომ მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის ფაქტს ეყრდნობა.

პიტერ გრიფინი: ეგებ მართალიც ბრძანდებით.

დენის ბრაიენი: ნაცვლად იმისა, რომ აგნესისთვის გრძელ-გრძელი წერილები გაეგზავნა, როგორც კი დეპრესია დასძლია, ჰემინგუეიმ ყველასთვის საინტერესო მოთხრობების წერას მოჰკიდა ხელი. გაზეთმა „ტორონტო სტარმა“ ათიოდე მათგანი გამოაქვეყნა (თითო სიტყვაში ნახევარ პენის უხდიდნენ). ცოტა ხნის შემდეგ ჰონორარი გაუორმაგეს. შემდეგ მან დაიწყო, როგორც ეჩვენებოდა, მისთვის შეუფერებელი სამსახური – ხელფასიანი თანამშრომლისა...

.....

ლეისტერ ჰემინგუეი (ერნესტის უმცროსი ძმა, ავტორი წიგნისა „ჩემი ძმა – ერნესტ ჰემინგუეი“. სხვათა შორის, მანაც თავი მოიკლა თოფით):

აი, ესაა დასახიჩრებული ომის გმირი, რომელიც მოატყუა ქალმა, ვინაც უყვარდა, შინიდან გააპანლურეს დაბადების ოცდამეერთე წლისთავზე (დედასთან კონფლიქტის შედეგად); საკმაოდ სასტიკი სასჯელი ხვდა წილად, განა

არა? ის ძალზე მგრძობიარე ადამიანი იყო. როგორ გგონიათ, ჭრილობა რამდენ ხანს გაჰყვებოდა? შესაძლოა – ათი წუთი, შესაძლოა – წლები. მე მგონი, ნანობურები გულში კუბოს ფიცრამდე დარჩებოდა, მაგრამ ის კი არ ვიცო, დიდი იყო თუ არა ეს ნანობურები.

მადელეინ ჰემინგუეი მილერი (ერნესტის მესამე დაი): მე მომწონს, რომ კეთილი გულით ვიფიქრო ერნიზე. არ ძალმიძს დავიჯერო საეჭვო მასალები, რომლებიც ამოუქექიათ მწერლებს. იგი ხიბლავდა ქალებს და ისინიც ხიბლავდნენ მას. ქალები მუდამ კუდში დასდევდნენ. ერნესტი იმდენად მიმზიდველი იყო, რომ „მაჩოს“ დავარქმევდი. ფოტოებს, ახლა რომ დაჰყურებავთ, მისი საბრალო გამომეტყველება აღუბეჭდავთ. ეს არ არის მაშინდელი ერნი. იგი კინოვარსკვლავივით მომხიბლავი გახლდათ. მას ჰქონდა სიცოცხლის სიყვარული და ინტერესი, რაც მისკენ ძალუმაღ იზიდავდა ადამიანებს.

დენის ბრაიენი: ჰემინგუეიმ ყურად არ იღო აგნესის რჩევა – მოეძებნა უფრო ახალგაზრდა ქალი. ჰედლი რიჩარდსონი თითქმის ალი-კვალი იყო აგნეს ფონ კუროვსკისა – ორიოდე თვით უმცროსი, იმავე სიმაღლისა, ცისფერი თვალებიც მიუგავდა და იუმორის მრუდე გრძობა ჰქონდა. მათ ერთმანეთი გაიცნეს ჩიკაგოში, ერნესტის მეგობრის ბინაში გამართულ წვეულებაზე, 1920 წლის ოქტომბრის დამლევის. და ერთი წელიც არ გასულა გაცნობიდან, დაქორწინდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი ცერემონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ერნესტს გაუჭირდა მუხლის მოყრა, რადგანაც მუხლი დაზიანებული ჰქონდა.

აგნეს ფონ კუროვსკი სტენფილდი: ჩემთვის სიურპრიზი იყო მისი წერილი, მაგრამ მივწერე, ძალზე მოხარული ვარ, ძველი მეგობარი რომ შემეხმინა-მეთქი. და ისიც მივწერე, თუ როგორი სიამაყე დამეუფლება, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ვიტყვი, რომ ჰემინგუეის ოდესაც კარგად ვიცნობდი. მისგან მეტი აღარაფერი მსმენია.

**ინგლისურიდან თარგმანა
თამაზ ნატროშვილმა**

კულუარები

**რა ნიშნებს
ეტანებთან
ვაჰინგტონში?**

სოციოლოგიური გამოკითხვა არც დაგვჭირდება.

თუნდ მხოლოდ ერთ მაღაზინში შეიარე — იყოს, ვთქვათ, „ბარნს და ნობლი“ — და რამდენიმე საათს ადევნე თვალი მკითხველებს.

იქ ყოველთვის ხალხმრავლობა და განსაკუთრებით კი სამი წიგნი იტაცებენ. შეგეხარება წიგნის ყიდვის ის ჟინი. ის სამი წიგნი კი ერთ ჟანრში ერთიანდება:

ჩვენშიც გახმაურებული ჯ. კ. როულინგის „ჰარი პოტერი“; მანამდეც პოპულარული და უკვე კლასიკად აღიარებული ქ. ს. ლუისის „ნარნია“;

და ახალი თაობის მწერლის ქრისტოფერ პოლინის „ერაგონი“.

ჟანრი ზღაპრულ-ჯადოსნური პროზაა. ნაკლებ ეტანება ამერიკის მკითხველი ფანტასტიკას, ნაკლებ ეტანება პორნოგრაფიულ ლიტერატურას. გამოფენით კი გამოფენილია „დავინჩის კოდის“ მსგავსი წიგნები, მაგრამ მათ სერიოზულად არ აღიქვამენ. სახელოვან მწერალთა — კლასიკოსთა თუ

თანამედროვეთა — წიგნები შეუნიშნავი და გაუყიდავი არა რჩება, მაგრამ მათდამი ინტერესი ბევრად უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ამ სამი წიგნის მიმართ.

მიზეზი რა შეიძლება იყოს?

იქ შემთხვევით მოხვედრილ

ქართველ ლიტერატორს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ამ და ამ ყაიდის მხატვრულ თხზულებათა მოძალება — ჯადოქრებზე, ურჩხულებზე, რაინდებზე — გულსხმობს საერთო ნოსტალგიურ განწყობილებას ძველი, კეთილი, რაინდული ხანის მიმართ, რაღაც ძვირფასისა და სანუკვარის გაქრობისა თუ მინავლების გამო. ტრადიციული და ზღაპრული მოტივები მონატრებით და სულიერ სწრაფვას ამ წიგნებისაგან მოგვრილი ილუზიით იმომინებენ.

ჭეშმარიტ ფასეულობას მის მდარე სახეობას ამჯობინებენ? ანალიტიკური განსჯა სხვა დროისათვის იყოს.

მთავარი ისაა, რომ ამ მოვლენის ტრადიციული და ზღაპრული მოტივების მონატრებით ახსნას ეთანხმება ამერიკული კონსერვატიზმის მეტრი კლაუს რინი.



თეიმურაზ მეტრეველმა ჟურნალისტის დღედ დაამკვიდრა 16 მარტი – ილიას „ივერიის“ გამოცემის თარიღი

ორმოცი დღე რომ მიიწურებოდა თეიმურაზ მეტრეველის გარდაცვალებიდან, 2005 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში მისი ხსოვნის საღამო გამართებოდა: ის-ისაა გამოცემულ წიგნსაც – „ივერიის“ მონატრება“ – წარმოადგენდნენ და მისი სახელობის ფონდსაც დააარსებდნენ.

იგი ლექციებს კითხულობდა ამ უნივერსიტეტში და ახალგაზრდა ჟურნალისტთა გამოსვლები კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებდა, თუ რაოდენ სასიკეთო გავლენა მოეხდინა მათ სულიერ ჩამოყალიბებაზე.

ეს იყო კარგად გააზრებული საღამო, სევდიანიც და იმედით აღსავსეც, რადგან ყველა ადამიანის სიცოცხლე სამარის ლოდთან სულაც არა მთავრდება, და ამიტომ თეიმურაზ მეტრეველის არსებობა ბუნებრივად გაგრძელდებოდა და არა მხოლოდ ოჯახისა და მეგობარ-ნათესავთა სურვილით, რისი მონმენიც ხშირად გავმხდარვართ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ძალდატანებას ადრე თუ გვიან ყავლი გასდის.

არაერთი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა იმ მემორიალურ თავყრილობაზე, მათ შორის, როსტომ ჩხეიძის ეს სახელდახელო გამოსვლაც.

ისე მოხდა, რომ ბოლო წლებში ისინი ერთდროულად რედაქტორობდნენ „ომეგას“ მიერ დაარსებულ ორ ერთმანეთზე გადაჯაჭვულ ფერად გაზეთს: „ახალი ეპოქა“ და „ჩვენი მწერლობა“ – და ერთადაც მოუხდათ მათი შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

„ჩვენი მწერლობის“ სიცოცხლე განახლდა – თუმცა ორკვირეულ ჟურნალად და არა ფერად გაზეთად, და მის პირველივე ნომერში, ცხადია, აუცილებელი გახლდათ იმ ადამიანის გახსენება, ვისი შემოქმედებითი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ხანაც ასე მტკიცედ დაუკავშირდა ამ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს.

ამიტომაც ვთხოვეთ საგანგებოდ იმ გამოსვლის ტექსტის აღდგენა და ჩანერა „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს, გამოსვლისა, რომელშიც ლაკონურად წარმოსახული, ოღონდ ზუსტი შტრიხებით საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს თეიმურაზ მეტრეველის კოლორიტული სახეობა.

ჩვენ ვცხოვრობთ სინამდვილეში, სადაც ყველაფერი უღმერთოდაა აჭრილი: ღირსება უღირსობად ცხადდება, უღირსობა ღირსებად, სიკეთე უკეთურებად, უკეთურება სიკეთედ... და ადამიანს გიჩნდება სკეპსისის განცდა – ღირს კი რაიმე ასეთ რეალობაში, ან ხსოვნის საღამოს გამართვა, ან წიგნის გამოცემა და მითუფრო – წარდგინება, ან ფონდის დაარსება... მაგრამ რაკიდა აქ, ამ ქვეყანაში მოგვესაჯა სიცოცხლე, ადამიანი არ უნდა შეეჭმევინო ასეთ ფიქრებს და ერთგულად მისდიო, რაც მოქალაქეობრივ მოვალეობად დაგკისრება.

ამიტომაცაა აუცილებელი თეიმურაზ მეტრეველის გახსენებაც, მისი სახელობის ფონდის დაარსებაც, მისი ახლახან გამოცემული წიგნის საჯარო შემოტანაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ნიშანდობლივია წიგნის სახელწოდება – „ივერიის“ მონატრება“.

ესაა ერთ-ერთი სტატიის სათაურიც და გამჭოლი იდეაც მთელი კრებულია. „ივერიისა“ და ილია ჭავჭავაძის სახელის მონატრება ამ წიგნის ავტორისათვის ხომ მხოლოდ რამდენიმე – თუნდაც თავისთავად მნიშვნელოვანი – სტატიის თემა

არა ყოფილა, მისთვის ეს იდეალი გახლდათ, მას მიჰყვებოდა თავისი უანგარო მოღვაწეობით და საუკეთესო ჟურნალისტებისათვის ამიტომაც დააარსებდა „ივერიის“ სახელობის პრემიას და ჟურნალისტის დღეების თარიღად დაადგინდა 16 მარტს – ამ გაზეთის გამოჩენის დღეს ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში.

მკითხველს ყოველთვის გაახსენდება და აქაც ახსენეს ის რამდენიმე გაზეთი, რომელსაც თეიმურაზ მეტრეველი რედაქტორობდა: „კაბადონი-8“, „დილის გაზეთი“, „ქართული კულტურა“, „მოქალაქე“, „ახალი ეპოქა“.

ჯერ მარტო ამ ჩამონათვალითაც თვალსაჩინოა მისი მოუსვენარი, მაძიებელი ბუნება, მისი შეუპოვრობა, მისი მცდელობა – პოლიტიკას არ გადაეყლაპა კულტურა, თვით „მოქალაქის“ ფურცლებზეც.

ისე მოხდება, რომ ბატონი თეიმურაზისა და ჩემი ურთიერთობა მისთვის საბედისწეროდ გადაიქცეოდა.

სწორედ ჩემი ერთი უწყინარი მასალა აღმოჩნდებოდა ერთ-ერთი მიზეზი მისი გამოქვეყნების „კაბადონი-8“-დან.

მიზეზი „მოქალაქის“ დახურვისა და, რედაქტორთან ერთად, მთელი რედაქციის გამორეკვისაც ქუჩაში კვლავ ჩემი უწყინარი მასალა გახდებოდა – ეს უკვე ერთადერთი და გამამწყვეტი?

„ახალ ეპოქაში“ სამსახურმა კიდევ უფრო გადააჯაჭვა ჩვენი სახელები – ამ მეტად მნიშვნელოვანი, თავისებურად უნიკალური გამოცემის ლიტერატურულ ჩანართად განვსაზღვრეთ „ჩვენი მწერლობა“ და ერთობლივად ვცდილობდით საზოგადოებრივი და სახელოვნო ცხოვრების წარმართვისა ჩემპარტიო ფასეულობებისაკენ, რაც ზედაპირული, ატაცებელი აღქმით ცოტა ძველმოდურად გამოიყურებოდა, მაგრამ სულიერი თვალთახედვით სწორედ ეს გახლდათ აუცილებელი და მარადიული.

ბუნებრივი, დაუბრკოლებელი გაგრძელება უნდა ჰქონოდა ამ სასიკეთო წამოწყებას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურისათვის, მაგრამ რაილა ისეთ სინამდვილეში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი უღმერთოდა აჭრილი, თეიმურაზ მეტრეველს თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი ბიზნესის დასაცავად ტყვიების წვიმაშიც მოუხდებოდა დგომა.

რა იქნებოდა, ეს მაინც არ გამოეცადა.

აქ, ამ დარბაზშიც ბრიან ის ადამიანები, რომელთა გვერდითაც იდგა მაშინ ბატონი თეიმურაზი და შეუძლებელია ამოუშალოთ მეხსიერებიდან მისი სახე – შეუპოვარი და თვაზხეხელაღებულიც, საქვეყნოდ რომ ამხელდა და ბრალს დასდებდა ძალმომრეობას, იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ვერა და ვერ ტოვებდა საქართველოს გადამრჩენის შთაბეჭდილებას... სულ უფრო ვერა...

ეს უკვე ყველას მოაგონდება – მისი მძაფრი სატელევიზიო და სამიტინგო გამოსვლები.

და იგი მოესწრო სამართლიანობის აღდგენას – იმ დაქცეული საზოგადოებრივ-კულტურული ოაზისის შენარჩუნებასა და კვლავ ფეხზე წამოდგომას, რისთვისაც ასეთი მონღო-მებით იღვანა.

თუმც ვეღარ მოესწრო მის ხელახალ აღორძინებასა და დამკვიდრებას ქვეყნის ცხოვრებაში.

სენი სენია, მოურჩენელი ავადობა მოურჩენელი ავადობა, მაგრამ იმ მეხტატებაზე თუთოდ გაუმწავა სხეულში ჩაბუდეული სნეულება და დააჩქარა აღსასრულიც.

რამდენიმე თვე ფეხზე დადგომაც აღარ შეეძლო.

წრე იკვროდა და თეიმურაზ მეტრეველი ისე მიდიოდა ამქვეყნიდან, როგორც კეთილშობილებითაც გამოეველო თავისი გზასავალი.

გაზეთი ერთი დღისა – არსებობდა და ჟურნალისტთა წრეებშიც დაბეჯითებით ტრიალებდა ასეთი აზრიც, იქნებ არც მთლადმოკლებული გარკვეულ ლოგიკას, მაგრამ ეს მაინც ზედაპირული აღქმა გახლდათ, გაიოლებული დამოკიდებულება ჟურნალისტის პროფესიასთან.

ჩვენს სინამდვილეში თამაზ ბიბლიური შეენინაალმდეგებოდა პირველი ამ შეხედულებას და თეორიულადაც და ჟურნალისტური მოღვაწეობითაც დაადანსტურებდა მის ცალმხრივობასა და შეზღუდულობას.

ერთი დღისა მხოლოდ კონიუნქტურული გაზეთია. ერთი დღისა მხოლოდ ცრუჟურნალისტური მასალებია.

ნამდვილი გაზეთი ერის ცხოვრების დოკუმენტურ მატია-ნეს ქმნის, ხერხემალს საისტორიო ქრონიკებისათვის, გზამკვლევს საზოგადოებრივი ყოფისა და ცნობიერების სიღრმეში შესაღწევად – „ივერიამ“ რაც გვიანდებდა, „დროებისაგან“ რაც გადმოგვცემია... და ჩვენს თვალწინაც არსებობენ ადამიანები, რომელნიც ვერ შეეგუებიან გაზეთის ერთდღიანობას.

ცხადია, არც თეიმურაზ მეტრეველისათვის ყოფილა გაზეთი ერთი დღისა.

ამიტომაც გაცხილებია მისი სტატიები – ჯერჯერობით ორ კრებულში რო მოუყრია თავი – ერთი დღის საკითხავის ფარგლებს და ახალგაზრდობისთვისაც მრავალმხრივ საგულისხმოდ რჩება.

ამ წიგნებიდან არაერთ სასიკეთოს შეითვისებს დაკვირვებული ყმაწვილი.

შედგენით „ივერიის“ მონატრებასაც თვითონვე შეადგენდა, თუმც სამზოზე გამოტანა არ დასცალდებოდა და ამას ოჯახი ითავებდა მანანა კარტოზიას თანადგომით; შეადგენდა, უფრო რჩეულის ყაიდაზე ააგებდა და სხვადასხვა წლების ნაღვანიდან ამოკრებდა ცალკეულ სტატიებს; და მისი ცნობილი ციკლიდან „ამოდულდი, მარგალიტო“ ერთადერთი ნიმუში ამიტომაც მოხვდებოდა. თუმც „ახალი ეპოქის“ ფურცლებზე ნომრიდან ნომრში გამოქვეყნებული ეს ციკლი უთუოდ მთლიანად უნდა განმეორდეს – თავისებური ქრესტომათიული მნიშვნელობა ექნება იმ ჩიქორთულის გონებაშეხილური მხილებით, ასე რომ მოსდებია ჩვენს პრესას და აზრი აზრს აღარ ჰკავს და ენა ენას. მოსწრებული სიტყვით, პაროდით, იუმორით სავსე ეს ჩანანერები ერთ მთლიან პანორამად წარმოგვიდგება, ჩვენი რეალობის თავისებურ ანარეკლად ერთ ჯაჭვში ჩაბმული მრავალი პერსონაჟით.

არავის მოერიდებოდა, ვერავის აპატიებდა ქართულ ენასთან უდიერობას.

იუმორი ნანერშიც მოსდევდა და პირად საუბარშიც, სუფრაზე სულაც ფეიერვერკით აფრქვევდა. თამადაობის ხელოვნება შეეთვისებინა და იმ სილაღით, იმ გონებაშეხილობით, იმ პოეტური აღმაფრენით წარუძღვებოდა სუფრას, აკადემიისთვისაც რომ შეუდარებიათ. თითქოს პაროდიად გადაიქცეოდა ეს გამოთქმა: ქართული სუფრა აკადემიააო, – მაგრამ საპაროდო არაფერი სჭირს, თუკი სადავები ნამდვილ თამადას უწყრია ხელთ და არა მის მდაბიურ შემცველს.

მდაბიურობამ ნალეკა ჩვენი ყოფა. სუფრასაც ის ემუქრება ნახდენით.

თეიმურაზ მეტრეველი მის ადათ-წესებსაც ინარჩუნებდა და სახალისოსაც რომ ხშირად გამოუჩრევდა, ლირიკული სტრიქონებიც წამდაუნუმ ეკერა პირზე, განსაკუთრებით მაინც გალაკტიონი. უცხოელები გაფაციცებით მისჩრებოდნენ, გრძნობდნენ მის უჩვეულო აღმაფრენას და თარჯიმნებს სთხოვდნენ, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გვითარგმნეთ, არაფერი გამოგრჩეთო. ისინი კი ბუზღუნებდნენ და თვითონ თეიმურაზს ჰკადრებდნენ საყვედურს, ვითომ ხუმრობით,

მაგრამ მაინც: იქნებ გალაკტიონს ჩამოეხსნა, ან ისეთი სტრიქონები შეარჩიო, თარგმნა შედარებით იოლი რომ იყოს, თორემ, აბა, როგორი გადასატანია უცხო ენაზე, თანაც ასე სახელდახელოდ – „მტევნები, საესე მზის ალუბლებით“, ანდა – „ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი“, ან სხვა ამისთანებო.

თემური იცინებდა, დაპირდებოდა და... პირობას ამ ერთადერთ შემთხვევაში ვერ შეასრულებდა – თავისთავად მოჩქევდა გალაკტიონის თავბრუდამხვევი ხილვები და როგორ გინდა შეგეჩერებინა ეს დამატყვევებელი ნაკადი.

ამ სიცილით, წამიერად გაქეპვებული ამ სურათით გავრევი მის სახელსაც „ნაკვესების“ ციკლში. ზოგი მახვილი სიტყვა თუ იუმორისტული დეტალიც მოინიშნებოდა შემდგომისათვის, ზოგიც თანდათან შეივსებოდა. მის იუმორს ამონურჯა ჯერ არაფერზე ეტყობოდა.

მაგრამ მისი წრეც უნდა შეკრულიყო და გარინდებაში ჩადირული ხელშესახებად გამოცდიდა, თუ რას ნიშნავს, როდესაც აღარ ირხევა გადაზნექილი სიზმრების წელი, და თითქოს... თითქოს გინდა, რომ აღარც შეირხეს.

კითხვაც უკვე უძნელდებოდა. ითხოვდა: წამიკითხეთო. წიგნით, ნაბეჭდი ტექსტით ეცოცხლა და ავი სწულვებაც ვერ მოწყვეტდა მის ანდამატურ ძალას. მაგრამ ბედისწერა აინუშნიც არ აგდებს არანაირ წუხილს და თავისი ტვიფარით მიგველალება, ეგაა, მრუმე, ჩალუსკუმებულ გარემოშიც არ მიგატოვებს ისე, ხანდახან მაინც არ გაიმეტოს საბოძვარი, მზის ალუბლებით საესე ის მტევნები, რომელსაც ვერასოდეს იხილავ, თუ არ ირწმუნე.

„ივერიის“ მონატრებისა“ არ იყოს, ირწმუნებ და კიდევ მოიძიებ შენს არსებაში ამ განცდასა თუ მის ნამცეცებს გზამკვლევადა და იმედად. ოღონდ თუ ირწმუნე... თუ ირწმუნე...

ლიტერატურის სიასწლი

ნანა ალექსიძე
თითქოს
ერთი
ქმნილება
იყოს



ამერიკული ნოველების
ახალი კრებული

„ათი ამერიკელი“, – როდესაც ამ სათაურს კითხულობ, თავისთავად ჩნდება თითქოს უკვე პასუხგაცემული კითხვა – რატომ ათი? ალბათ იმიტომ, რომ ეს მრგვალი რიცხვი ყველა ათეულის საწყისია, ხოლო ერთი საფუძველი და ურყევი ციფრია. თითქოს აქ არითმეტიკულ კვლევა-ძიებას და ციფრების ამოცნობას არავითარი კავშირი არ გააჩნია კრებულთან, თუმცა აზრობრივად წიგნის შინაარსობრივ აგებულებასთან პარალელის გავლება მაინც შესაძლებელია.

კრებული (შემდგენელი როსტომ ჩხეიძე, რედაქტორი თამაზ ნატროშვილი) თემატურად, შინაარსობრივად და თანმიმდევრულად ისეთივე სრულყოფილია, როგორც მისი პირობითი სათაური, რომელიც კრებულში შესული ნოველების რაოდენობის შესაბამისია.

როგორც „ათი ამერიკელის“ წინასიტყვაობად ნავარაუდევს ესეიმი – „ბილიკები ჯადოსნურ ტყეში“ – არის აღნიშნული:

„... მთავარი მოტივი თავისთავად გამოვიდა ერთი – ტრაგიკული სულისკვეთება, ხან უკიდურესობამდე მიღწეული, ხანაც უფრო შეფარული და ქვეტექსტებში ნაგულისხმევი...“

ნოველების ეს წვეთი თუ სხივი გაბმული ტკივილი და კვნესა და მხოლოდ სადღაც შორს კრთის იმედი, მრუმე განცდებში იჭრება სინათლის ანარეკლი და თითქოს ველარც გაგირკვევია, მართლა სინათლეა თუ... მისი ციაგი, ხსნის მოჩვენებითი ძაფი“ (როსტომ ჩხეიძე).

შესაძლოა ეს მეტად სუსტი და დაუსაბუთებელი მსგავსებაა, მაგრამ რამდენადმე კრებულის შინაარსიდან და მასში შესული ნაწარმოებების ავტორთა საერთო წარმომავლობიდან გამომდინარე ამ წიგნისა და ჯეიმზ ჯოისის „დუბლინელებს“ შორის პარალელის გავლებაც შესაძლებელი ხდება, რადგან – ისევე, როგორც „დუბლინელებში“ – აქაც, მიუხედავად სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებებისა და მათი გმირების ნაირსახეობისა, თავისუფლად შეიძლება აღვიქვათ კრებული ერთ მთლიან ნაწარმოებად თავისი ტრაგიკული პერსონაჟებით, რომელთა ცხოვრებაში, განცდებში, შეგრძნებებში, ფსიქიკასა და შემეცნებაში არაფერი ახალი და საერთოადაამიანური ბუნებისაგან განსხვავებული არაა.

იცვლება მხოლოდ დრო, სივრცე, მოვლენები, მაგრამ პიროვნებები, ადამიანური ცნობიერება და მისწრაფებები იგივე რჩება, რომელიც მხოლოდ გარეგნულად, კონტექსტურად იცვლება და არა შინაარსობრივად.

სწორედ ეს საერთოა – ცხოვრებისა და სიცოცხლის არსის ძიება და მისი სრულყოფა – კრებულში შესულ ნაწარმოებთა გმირების მისწრაფება და განსხვავება მხოლოდ ამის გამოხატვის ფორმაშია.

კაცობრიობის უპირველესი ფიქრი დღემდე უპასუხოდ დარჩენილი კითხვის – ბედისწერის გარდაუვალობის – გარშემო ტრიალებს, რომელიც თავისი ნების გამოხატულებას ადამიანთა ამქვეყნად მოვლინებაში, მის ცხოვრებასა და სიცოცხლის დასასრულში ასახავს.

ცხოვრების საზრისის ძიების თემაზეა აგებული ედგარ ალან პოს ფატალურ-მისტიკური ნოველა „შავი კატა“, რომელიც ხსნის კრებულს.

ნოველაში თითქოს ერთბაშად ატყდება მკითხველს თავს ადამიანური სისასტიკის, გულგრილობისა და უბედურების ყველა გამოვლინება, რომელსაც ბედისწერის ბნელი აჩრდილით, სასტიკი განაჩენივით თან სდევს შავი კატა. მსხვერპლი კი თითქოს თვითონვე გრძნობდა ბედისწერის გარდაუვალობას და წერას ატანილივით სწამდა, რომ მომაკვინებლად სცოდავდა და თავის უკვდავ სულს საშინელ ხიფათს უმზადებდა, თუმცა თვითვე აღიარებს: „აზრადაც არ მომდის უბედურებასა და სიმკაცრეს შორის მიზეზოვნების კავშირი აღმოვაჩინო, მაგრამ მსურს გავყვე მოვლენათა ჯაჭვს და არც ერთი რგოლი არ გამოვსტოვო“.

მოსალოდნელი ანმყო გადაწყვეტილია, შავი კატის არაადამიანური ხრიალი იუნყება აღსრულების ჟამს.

ბედისწერის, ცხოვრების მიერ გამოტანილი განაჩენის თემა გრძელდება ედუარდ ჰეილის ნოველაში – „უსამშობლო კა-

ცი“, რომელიც ყველა სხვა დანარჩენ ნოველაზე მეტადაა გულთან მისატანი და ახლობელი ქართველი მკითხველისათვის. იქ ერთგვარი ანტიუთება გვხვდება არა მხოლოდ ნოველის სათაურსა და შინაარსს შორის, სადაც უსამშობლოს განცდა აძლიერებს სწორედ სამშობლოს ცნებას, არამედ თვით ნაწარმოების მთავარი გმირის ან უკვე „უსამშობლო კაცად“ წოდებული, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ყოფილი ლეიტენანტის – ფილიპ ნოლანის – სულიერ განცდებსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაში.

ედუარდ ჰეილისათვის „სამშობლოს დაკარგვა გვარის დაკარგვის ტოლფასია, ხოლო უგვარო კაცი უთვისტომო, უჯიშო ლეშად გადაიქცევა, რომელიც ფესვიანად ამოგლეჯილი ხესავითაა, რაგინდ ლამაზი, მაღალი და ნაყოფიერიც უნდა იყოს იგი, ადრეული გახმობისა და ჭკნობისთვისაა განწირული“. ასეთ ფესვებგაცილილი ხესავით ადრეულად ჩამოხმა და დაბერდა ნოლანიც, რომელიც მართალია ჯერ მთლად ახალგაზრდა და ჯანსაღი ოცდაათი წლის ყმაწვილი გახლდათ, მაგრამ ნიადაგგამოცლილს „შიგ გულში დაჭრილი კაცის არაქათ-გამოცლილი გამოხედვა ჰქონდა“, რომელსაც სასამართლომ საკუთარი სურვილის დაკმაყოფილება მიუსაჯა – უარი ეთქვა საკუთარ სამშობლოზე და ამით საბედისწერო განაჩენი გამოუტანა თავის თავსა და ცხოვრებას.

მწარე და მტიკინეული რეალობის წინაშე მყოფმა უკვე ნათლად და მძაფრად შეიგრძნო თუ რას ნიშნავს ყოფნა უოჯახოდ, უსახლკაროდ და უსამშობლოდ – „და თუ ოდესმე მოგებრინება თქმა, ან გაკეთება ისეთი რამისა, რაც მოგწყვეტს შენს ოჯახს, შენს სახლ-კარს და შენს სამშობლოს, შეევედრე ღმერთს, რომ მოიღოს მონყალება და ბოლო მოგიღოს!“

სხვა ყველა მონყალებისა თუ შეწყალების ნაცვლად მას ეს „მონყალება“ ხვდა წილად, იგი აღესრულა იმ ბედნიერი შვერძებით, რომ, მიუხედავად უღირსობისა, მაინც თავის სამშობლოს შვილად დარჩა, ვისი შერცხვენა არ იყო იმაზე მეტი, ვიდრე დაიმსახურა და ვისაც „ისე უყვარდა თავისი სამშობლო, როგორც არ ჰყვარებია არავის“.

მიუხედავად ადამიანის მიწიერებისა და ცოდვილი ბუნებისა, მასში კეთილი სანყისია, რომელიც თვით ყველაზე მეტად გაუხეშებულ და გატლანქებულ სულშიც კი ღვივის, და საჭირო ნაპერწკლის გამოჩენისას ააღდება და აენთება, რომელიც წამიერად მაინც შეძლებს გატლანქებულ სულს სიფაქიზე მიანიჭოს.

რანდული სულისკვეთების გადარჩენისა და გადაუგვარებლობის, მისი შენარჩუნების იმედია გამოხატული სტივენ კრენის ნოველაში „პატარა ჩაიდა იელოუ-სკაიში“, სადაც ქალის სინატიფე, სიფაქიზე, ღმობიერება და მოწილდება აღმოჩნდება სწორედ ის ნაპერწკალი, რომელიც თავზეხელაღებული სკრეტჩის სულში ადამიანურობის, სიკეთის სანყისს აანთებს და წამით ააალებს, წუთიერად გაუნათებს გონებას და საყვარელ ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

სულიერების, ზნეობისა და სიმტკიცის შენარჩუნებას დიდი ნებისყოფა სჭირდება, რომელიც მხოლოდ სიცოცხლის სტიმულისა და ცხოვრების აზრშია, ამის მიღწევა კი სანატრელი და მიუწვდომელია მარტოხელა, უოჯახო, უთვისტომო ადამიანთათვის. ცხოვრების აზრი მხოლოდ ურთიერთ სიყვარულში, ზრუნვასა და თანაგრძობაშია, რაც დიდი ნებისყოფითა და ღირსეული დამსახურებით მოიპოვება. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ნოველის – „ისე ბაბილონი“ – გმირი-სათვის უპირველეს მიზნად სიმტკიცის შენარჩუნება შექმნილა, რადგან რომ არა ნებისყოფა, ზნეობა და სულიერი სიძლიერე, ჩარლი თავისი ცხოვრების ერთადერთ სიხარულსა და ბედნიერებას – საკუთარ შვილს დაკარგავს: „ისევე ჰქონდა იმედი ხასიათის სიმტკიცისა, როგორც მარადიულად ფასდაუდებელი რაღაცისა, დანარჩენი ყველაფერი წარმავალი იყო“.

ჩარლისაგან განსხვავებით ცხოვრების აზრი დაკარგა, ბედსა და საკუთარი სიცოცხლის დასასრულს შეურიგდა ერნესტ ჰემინგუეის ნოველის – „მკვლევები“ – გმირი ოლე ანდრესონი. ოდესღაც ძლიერი მეზრდოლი, მოკრივე ახლა ცხოვრებასთან დამარცხებულ და ყველაზე სუსტ არსებად ქცეულა, რომელსაც იოტისოდენაც არ ძალუძს მოიმოქმედოს საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, თითქოს მისთვის ახლა ერთადერთი შვება – ნაცვლად ბუნებისა და მზიან ამინდში სეირნობით დატკობისა სიკვდილის ლოდინია. მისთვის სულერთია ანმყო, მომავალი, რომელიც წარსულმა ნაშალა, დრო კი მხოლოდ სიკვდილის მოახლოების წამებს ითვლის.

და მაინც რა არის დრო? – ეს თემა მკაფიოდაა გამოკვეთილი ტომას ვულფის ნოველაში „დაკარგული ბიჭი“, ბიჭი, რომელიც დროში დაიკარგა და დროის საზღვარი მისთვის მხოლოდ იმ ადგილებისა და საგნების ხილვისას იცვლება, რაც უმცროსი ძმის თვალში დაკარგული ბიჭის სახებას დაეძება, მის ხელშესახებ აღდგენას ლამობს, და ამასობაში საკუთარ თავსაც პოულობს: „მის წარმოდგენაში მარადილად და ახლა ერთმანეთს შეერწყა“. ამ შერწყმის ფონზე იგი დაექმდა საკუთარ დაკარგულ „მე“-ს და დროს, „მაღიმაღ ქუჩას გახედავდა იქნებ დრო დაენახა“, იქნებ დროის „დანახვისას“ სწორედ პირად „მე“-ს შეჩებებოდა, მოულოდნელად მაინც!.. პატარა ბიჭმა კი არ იცოდა ის, რომ დრო თვითონვე იყო, დრო იყო და დრო არის ყველა ის ადგილი, საგანი და ადამიანი, რომელიც მის ცხოვრებას ასახავდნენ და მისი სიცოცხლის, არსებობის საფუძველსა და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ეს საფუძველი კი მისი სახლი და მისი ოჯახი გახლდათ: „აი სახლი და სახლი უსმენს, აი, სიცარიელე, ნაშუადღევის სიცარიელე: ეს სახლი, ეს სიცარიელე, ჩემი გულია, ჩემი არსი, – აი, მეც!“

მუდმივი სიხარული წარმოუდგენელია, ისევე, როგორც მუდმივი მწუხარება. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, მაგრამ წარმავლობის ტრაგიზმს აათმავებს სუბიექტურად გამოტანილი განაჩენი და წუთიერი ცხოვრების წამიერი დასასრული, რაც ბანანათევზებით წინასწარგანზრახული თვითმკვლელობის შედეგია, ისეთივე განაჩენია, როგორც ჯერომ სელიჯერის ნოველის „ბანანათევზის ამინდი“ გმირმა – სიმორმა – გამოუტანა საკუთარ თავსა და ცხოვრებას.

რამდენი სამყარო არსებობს ერთი მთავარი და რეალური სამყაროს მიღმა?!

ჰენრი მილერის ნოველაში (უფრო ზუსტად: ნოველისებურ ფრაგმენტში რომანიდან „კირჩხიბის ტროპიკი“) – „კორექტორის ადგილი“ – წარმოდგენილი კორექტორის ოთახი დედამიწაზე არსებული ჭკმმარტი სამყაროს მიღმა მყოფი პატარა, უშინაარსო სასვენ ნიშნებზე აგებული სამყაროა, სადაც: „თარიღები, ნაწილაკები, წერტილ-მძიმენი გახლავთ მთავარი და გადამწყვეტი“. ოთახი – სამყარო, სადაც ადამიანები სკამის ადგილის მფლობელობის მიხედვით იცვლებიან, რომელთა მიერ ცხოვრება, სამყარო თავისი ტრაგიზმითა და კომიზმით მხოლოდ გარეგნული მახასიათებლებით, პირობითი ნიშნებით, კორექტურის სამზეროდან აღიქმება და ყოველგვარ შინაარსს, აზრსა და სიღრმეს მოკლებულია, ისევე, როგორც მათი ცხოვრება კორექტორის ოთახში მუშაობისას, სადაც ერთადერთი მიზანი შეცდომის აღმოჩენა, მისგან თავის დაცვა და პუნქტუალური სიზუსტეა, სხვა ყველაფერი კი უმნიშვნელოა, ისევე, როგორც უმნიშვნელოა თვით ცხოვრებაც, მაგრამ ამავედროულად ასეთი განწირულობისა და გარიყულობისაგან თავის დაღწევა, ცხოვრების ჭკმმარტი აზრისა და სიცოცხლის შეგრძნება ჰაერივით სჭირდება ამქვეყნის, რეალური სამყაროს ყველა შვილს, და ადრე თუ გვიან მისი განცდის დაუოკებელი წყურვილი და ამ წყურვილის მოკვლის

სურვილი ყოველივეზე მაღლა დგება და სიცოცხლის საზრისის შეგრძნების ერთადერთ საშუალებად იქცევა, რასაც არა მშრალი და უშინაარსო კორექტირებისათვის გამზადებული, პუნქტუაციურად მონესრიგებული ტექსტები, არამედ ცოცხალი ადამიანი, ცხოვრების თანაზიარი, სიყვარული, თანაგრძნობა გაგრძნობინებს და გადაგარჩენს: „რა გეშველება, შენი ცოლი რომ ჩამოვიდეს?“ – „კარგი, ჩამოვიდეს, მეერ რა. ერთის ნაცვლად ორი პირი იქნება დასაპურებელი. სამაგიეროდ, ჩემს გასაჭირს გაიზიარებს. და თუკი სილამაზე არ დაუკარგავს, მეუღლესთან ყოფნა უფრო უკეთესია, ვიდრე მარტობა“.

საერთადადამიანური ბუნების, მისი პრობლემებისა და მასთან დაკავშირებული, ზემოთხსენებულ ნაწარმოებებში ხაზგასმული აზრისა და იდეის თემატური გაგრძელება და სრულყოფაა უილიამ ფოლკნერის ნოველა „იყო“ (დამოუკიდებლადაც რომ ქვეყნდება ხოლმე და ერთი თავიცაა ამერიკული ყაიდის რომანისა „გარდავედ, მოსე“) და შერვუდ ანდერსონის „ნეტა მაცოდინა“.

ბავშვობის ოცნებები ყველაზე უფრო წმინდა, მინიერებისაგან გარიდებული, გულიდან ამოზრდილია, რომელმაც შესაძლოა ზრდასრულობისას მწარე, შიშველი რეალობის პირისპირ მარტოდ დარჩენილ სულში იმედის სხივი აანთოს; მისმა სინათლემ და სიტბომ იგი შესაძლოა ქვეყნიერებას დაუბრუნოს და ახალფეხადგმული ბავშვივით, სიფრთხილით და ერთხელ უკვე განცდილი დაცემის ტკივილის აღარ განმეორების იმედით რწმენადგენილმა განაგრძოს ცხოვრება. მაგრამ ტრაგედია სწორედ ისაა, რომ ბავშვობის ოცნებები ბავშვობაშივე ნისლით დაიფარება და მრავალი კითხვის წინაშე აყენებს ჯერ კიდევ გამოუცდელ, მაგრამ მაინც პიროვნებას – პატარა ადამიანს.

შერვუდ ანდერსონის ნოველა „ნეტა მაცოდინა“ პატარა ბიჭუნას ოცნებებზე მოგვითხრობს, ბავშვისა, რომელმაც ყველა ზრდასრულზე უფრო კარგად იგრძნო ადამიანის გული, შეიცნო თვით ადამიანი და ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა, რომ ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის. გულის სისპეტაკე მხოლოდ გულით სუფთა ადამიანმა პატარა, ჯერაც მეოცნებე მხედარმა შეიგრძნო და მისმა გულმაც მხოლოდ ასეთივე ადამიანები შეითვისა, გულმა, რომელსაც სიმტკიცე, სიმამაცე, სინმინდე, სამართლიანობა და თავისუფლება ასაზრდოვებდა.

„ნეტა მაცოდინას“ პატარა გმირისათვის ყოველივე ამის განსახიერება იპოდრომი, ბედაური და მისი უსაზღვრო ჭენება გახლდათ, იგი ისე სისხლხორციელად ილტვოდა ასეთი სრულყოფისაკენ, რომ ყველას, ვინც ამ სრულყოფილებას რითიმე უკავშირდებოდა, მთელი არსებით შენატროდა. თავისი ოცნების აღსრულება, ცხენთან სიახლოვე, მის გარშემო თივისა და ყავის სუნიც ისე ხიბლავდა, რომ თავისი რასის პატარა მემამბოხე გაბედულად და გულწრფელად აცხადებდა: „... ზანგობა მინდება, ამის თქმა სისულელე კია, მაგრამ რა ვქნა, ცხენებზე ჭკუას ვკარგავ და სხვანაირად არ შემიძლია“.

მას სხვანაირად არ შეეძლო, სწორედ ამიტომ წუთიერად ალტკინებულმა ლამის საკუთარი მამაც უარყო და მასზე წინ თავისი რჩეული ბედაურის მეპატრონე დააყენა, იდეალად აქცია. საზღვარი ყველგან საჭიროა, და უსაზღვრო ოცნებანი უტოპიაა. ცვალებადია ადამიანის ბუნება და ზეცას რომ ელტვის, მისი ცოდვილი ბუნება შესაძლოა ქვესკნელში ჩაიძროს. ამ დიღემის წინაშე დააყენა ცხოვრებისეულმა რეალობამ პატარა გმირი, რომლის იმედგაცრუებული სიტყვებიც – „ნეტა მაცოდინა“ – ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნაწარმოებს, რაკილა ვერაფრისდიდებით ვერ ახსნა, თუ როგორ შეიძლება დიდებული ბედაურის მეპატრონემ, ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, საროსკიპოს მიაკითხოს.

ცხოვრება წარმოდგენაა, დიდი და უწყვეტი წარმოდგენა, გაუთავებელი ანტრაქტებითა და მიზანსცენებით. სცენარის ავტორი უცვლელია, მხოლოდ დასი იცვლება, დასი, რომელიც ყველაზე უფრო ბუნებრივად თამაშობს თავის როლს. მათთვის არასოდეს არავის უთქვამს მათ მიერ განსახიერებული როლის შინაარსი, არც დასაწყისი და არც დასასრული. ისინი ცხოვრების რიტმს მიუყვებიან, იმ რიტმს, რომელიც მათ თანდათან ცვლის ან მათ მიერვე იცვლება. ცხოვრებისეული წარმოდგენის შემსრულებელი არიან უილიამ ფოლკნერის ნაწარმოების („იყო“) გმირები, რომელთა ყოფაც ბედის ირონიისა თუ უნებლიე დამთხვევის წყალობით იმ ადამიანის ხელით იცვლება, რომელიც მათი განუწყვეტელი დევნის საგანია, მათი საკუთრებაა და რომლის ცხოვრებასაც თვითონ ესენი განაგებენ. მაგრამ წილ ნაყარია! – ტომის ტერლის ფერადზურგიანი ხელი გამოჩნდება სინათლეში, კარტს აიღებს და დაარჩევს...

და ეს ვითომდა შემთხვევითი მოძრაობა განსაზღვრავს ფოლკნერის თხრობის უეცარ შემობრუნებას. მისს სოფონსიბას მარჯვედ დაგებული ხაფანგი ფუჭი მცდელობა აღმოჩნდება და გათხოვებაზე ოცნება კიდევ ერთხელ ემსხვერვა შინაბერობისას.

და რაკილა ხელშესახებია შინაგანი ძაფები ეპოქებითა და სტილისტიკით საკმაოდ დაცილებულ თხზულებებს შორის, კრებული ამიტომაც წარმოგვიდგება ერთ მთლიან ნაწარმოებად, ხოლო გმირები კი ერთი თხზულების სხვადასხვა პერსონაჟებად.

კრებული თავისი მნიშვნელობით მრავალმხრივია, ამერიკული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ნაწარმოებათა თარგმანები – ერეკლე ტატიშვილის, ვახტანგ ჭელიძის, ციალა თოფურიძის, ვალენტინა ტატიშვილის, თამაზ ნატროშვილისა და პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ შესრულებული – ქართველი მკითხველისათვის საინტერესო და ახლობელია, რომელიც მკაფიოდ და ნათელ სურათს გვიხატავს XIX-XX საუკუნეთა ამერიკული ლიტერატურისას. და ასეთ შესანიშნავ გამოცემას სწორედ ისეთი ილუსტრაციები დაშვენდებოდა, როგორც ჩვენი აღიარებული მხატვრის – კარლო ფაჩულის – ნამუშევრებია, ყოველ ნოველას თითო ილუსტრაცია ახლავს, განწყობილებათა თუ ზოგადი იერის მარჯვედ მიმანიშნებელი, და მათი ერთობლიობა კიდევ ერთხელ გვიძლიერებს განცდას „ათი ამერიკელის“ ერთ ქმნილებადალქმისა.

დასასრულისათვის კი კიდევ ერთ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ კრებულის წინასიტყვაობიდან, რაც ხელშესახებად გვაგრძნობინებს, რომ ამ კრებულს უსათუოდ მოჰყვება სხვა ამ ყაიდის გამოცემებიც:

„დაკარგული პერსონაჟებიც კვლავ გამოჩნდებიან თავთავის ადგილას, თავთავიანთი მისიის აღსასრულებლად, ბედს მინდობილებად თუ მის წინააღმდეგ ამხედრებულებად და წამიერად მარადისობა და ახლა მათ წარმოდგენაშიც შეერწყმის ერთმანეთს, როგორც გროვერი გრძნობს რალაც იდუმალ ძახილს იმ მოედანზე, რომელიც პატარა ქალაქის ქუჩების გადაკვეთაცაა და სამყაროს შუაგულში – იმ ძველთუძველესი ჟამის მეტაფორასავით, როდესაც ერთმანეთს შენივთებოდა მინა და ზეცა...“

და კიდევ:

„... ისევ ისე ამოდის და ჩადის მზე და ნათელს ჰფენს იმ მოედნებსაც – რეალობაშიც და ჩვენს სულშიც – სადაც ერთმანეთს ერწყმის წამი და მარადისობა“.

ამერიკული ნოველისტიკის სხვა დაკარგული პერსონაჟებიც უნდა გამოჩნდნენ კვლავ თავთავის ადგილას, თავთავიანთი მისიის აღსასრულებლად, ბედსმინდობილებად თუ მის წინააღმდეგ ამხედრებულებად.

და იქაც ერთმანეთს შეერწყას წამი და მარადისობა.

ლელა ოჩიაური

არ იცით, რაა მამაკაცური სახლი?!

*

ადამიანები გაურბიან უბედურებას,
სინამდვილეში კი ხელიდან
ეცლებათ ბედნიერება

ვინ არის დამნაშავე, რომ ჩვენ ხუთი ადამიანის სიკვდილის მოწმე ვავხდით? ვინ არის დამნაშავე, რომ ოჯახში (რომელსაც შეეძლო ბედნიერი ყოფილიყო) უბედურება დატრიალდა? ვინ არის დამნაშავე, რომ ადამიანებმა გაჭირვების, სიღატაკისგან თავის დაღწევის მიზნით, ამქვეყნიური არსებობის პრიციპებს უღალატეს და ვილაცის ნებას დაემორჩილნენ? რა შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ისინი იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო და ბედის საძიებლად უცხო ქვეყნებში გადაიხვეწონ? რა ხდება მათ არყოფნაში და სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ?

ამ კითხვებზე პასუხს მივიღებთ მას მერე, რაც ვნახავთ იოსებ ნემსაძის მიერ, თეატრში „გლობუსი“ წარმოდგენილ სპექტაკლს - „ვინ არის დამნაშავე?“ და შევიტყობთ, თუ რატომ დაინტერესდა იგი 21-ე საუკუნეში მე-20 საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ქართველი გლეხის ტრაგიკული ისტორიით; რატომ გახდა ნინო ნაკაშიძის ეს ნაწარმოები მიზიდველი დღეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ; რატომ იქცა შორეულ წარსულში განვითარებული მოვლენები თანადროული; კვლავაც რატომ გვაფორიაქებს ამბავი, რომელიც ერთმოქმედებიან სპექტაკლში „ჩაუტია“; და ვფიქრდებით, თუ რისი თქმა და რატომ სურდა რეჟისორს საზოგადოებისთვის.

ქართული თეატრის ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილი სპექტაკლები, მხატვრული ღირებულებისა და სხვა გამორჩეული თვისებების (სათქმელი, პრობლემატიკა, მოქალაქეობრივი პოზიცია, სამსახიობო ნამუშევარი და ა.შ.) წყალობით ტოვებს სასწავლებლების კედლებს და საზოგადოების წინაშე გამოდის, როგორც დამოუკიდებელი, დასრულებული ნაწარმოები.

„ვინ არის დამნაშავე?“ სწორედ ასეთი შემთხვევაა, მაგრამ ამავე დროს, თავისებურად გამოწვეულიც. როდესაც ანალოგიურ ფაქტებთან გვაქვს საქმე, სპექტაკლთა ავტორებად ოსტატები, ჯგუფის ხელმძღვანელები, პროფესიონალი რეჟისორები გვევლინებიან. იოსებ ნემსაძემ დადგმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალურ კათედრაზე სწავლის დროს განახორციელა. „გლობუსის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, სანდრო მრევლიშვილმა კი თავისი თეატრის სცენაზე გადატანით შეუწყო მას ხელი.

„გლობუსის“ წრიულ სივრცეს რეჟისორმა ოსტატურად მთარგო სპექტაკლის სამოქმედო არე. მოქმედება მრავალი

სცენის ერთ პატარა, ცენტრალურ მონაკვეთზე მიმდინარეობს, ყავისფერი ხისგან შეკონინებული ობიექტების (მინაზე მდგომ თუ ჰაერში გამოკიდებული) მარტივი, მაგრამ გამომსახველი, მოძრავი და ქმედითი დეკორაციის გარემოცვაში, სადაც თითოეულ დეტალს მნიშვნელობა, „როლი“ და „შინაარსი“ აქვს.

მარტივი, მაგრამ მეტყველი, ხის კონსტრუქციებით აწყობილი ეს მერყევი, მყიფე სივრცე ის საფუძველია, რომელიც თითოეულ პერსონაჟს გამოცლილი აქვს, იმ უსამშობლო თუ საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი შეცდომების გამო ნიადაგდაკარგული ადამიანების სამყოფელი, რომელიც სამყაროს მიკრომოდელად ქცეულა.

სპექტაკლში განვითარებულ მოვლენებს ამფითეატრი-სებურად განლაგებულ სკამებზე მოთავსებული მაყურებელი აკვირდება. ყველაფერი ხელისგულზეა, ყველაფერი თითქოს გამადიდებელ მინაში აღიქმება. ეს სიხსლოვე განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის, მაყურებელი გარედან დამკვირვებლად კი არ რჩება, არამედ მოქმედების უშუალო მონაწილედ იქცევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ის, რაც სპექტაკლის გმირებს თავს გადახდათ, კი არ გვიამბეს ან გვიჩვენეს, არამედ თვითონაც ვიყავით მოვლენებში ჩართული. კავშირი იმას შორის, რაც ჩვენს გარშემო, სინამდვილეში ხდება, და რაც სცენაზეა, შინაგანად მეტად აქტიურია, მაგრამ გამომსახველი ფორმები, მხატვრული გადაწყვეტა, სრულიად სხვა ხარისხშია აყვანილი.

აქ არ ხდება მოვლენათა პირდაპირი ილუსტრირება ან მათთვის ერთგვარი პუბლიცისტურ-პროპაგანდისტული ხასიათის მინიჭება. რეალური რჩება მხოლოდ პრობლემის სოციალური დატვირთვა, მისი სცენიური გადაწყვეტა კი უკიდურესად პირობით, მეტაფორულ სახეს იღებს, და ის სინამდვილე, რომელიც რეჟისორის წარმოსახვაში არსებობს და, ამდენად, განზოგადებულია, გაკვირვებს თავისი მრავალნახნაგოვნებითა და მრავალსახეობრივობით.

სპექტაკლი უამრავ პირობით სახე-სიმბოლოზე, მეტაფორაზეა აგებული და მთლიან მეტაფორად აღიქმება. სტრუქტურა, მასში შემავალი ხაზები, ფორმისა თუ მხატვრული ხერხების, ჟანრობრივი ერთიანობა განსაზღვრავს თავისთავადი მეტყველების არსებობას და ეს თავისთავადობა, ყოველ ელემენტში, თითოეული პერსონაჟის დახასიათებისა თუ მიზანსცენის გადაწყვეტაში გამოიხატება.

რეჟისორი და მსახიობები ინარჩუნებენ კუთხურ კოლორიტსაც (გარემოს, მეტყველების, პერსონაჟთა თვისებების დამახასიათებელი შტრიხების გამოყენებით) და, ამავე დროს, მეტაფორად აქცევენ მთლიან ამბავს. რეალური, გნებავთ, ისტორიული საფუძველი ამ ამბის გადმოსაცემად შენარჩუნებულია, მაგრამ მისი ასახვის ხერხები, მხატვრული ფორმა და პრობლემა განზოგადებისკენაა მიმართული.

სათქმელის გამომხატვისას იგი იუმორს იყენებს, რომელიც კარგავს რეალურ საზღვრებს, სახეს იცვლის და სივრცეში განიფინება. ამგვარი გადაწყვეტა კი უფრო მეტად მწვავეს ხდის სათქმელს, უფრო ამძაფრებს პრობლემის აღქმას და, ამავე დროს, ლალი, თამამი და თავისუფალი აზროვნების მაუწყებელია.

მხატვრული სახეებით აზროვნება, თითქოს უმნიშვნელო დეტალებისთვის არსებითი დატვირთვის მინიჭება, ერთი მხრივ, სამყაროს ესთეტიზაცია და, მეორე მხრივ, მისი რთული, ბნელი ლაბირინთების გამომზეურების სურვილი რეჟისორს მაღალ რეგისტრში აქვს აყვანილი. საერთოდ, გემოვნება, განონასწორობულობა იოსებ ნემსაძის დამახასიათებელი თვისებაა. თვით ისეთ სცენებშიც კი, რომლებსაც ინტიმურს ვუნოდებთ, უხამსობის, ზედმეტობის ნახსივ

არაა. რეჟისორი მათ არა თვითმიზნურად, ეფექტის მოსახდენად იყენებს, არამედ მნიშვნელოვან იდეურ დატივრთვას ანიჭებს მათ.

ეს სცენები, ესთეტიკური და რომანტიკულ საბურველში გახვეული, ძალადობის მეტაფორად გარდაიქმნება. საერთოდ, ასეთი მოულოდნელი გადასვლები, კონტრასტულ-ქტული წყობა მთელ სპექტაკლს ახასიათებს.

მუსიკა (მუსიკალური გამფორმებელია მსახიობი სლავა ნათენაძე) არაა მხოლოდ ფონი ან ცარიელი ხმოვანი სივრცის შემავსებელი ელემენტი, ის ზუსტად გამოხატავს მოვლენათა არსსა თუ პერსონაჟთა ემოციურ მდგომარეობას.

ამ სივრცეში პიესის პერსონაჟები ნელ-ნელა ჩნდებიან, ცოცხლდებიან, ნელ-ნელა შემოდინ და მოქმედებაც განვითარებებს იწყებს. ამბავი იწყება იმით, რომ ორი მთხრობელი (ნათია ვარდოსანიძე და ამირან ქაჩიბაია) შავ ტრიკოებში გამოწყობილი, ცოტათი მიმი, ცოტათი ბედისწერის სიმბოლო, ცოტათი ავის-მაუწყებელი ფიგურა – რეალურისა და ირეალურის ზღვარზე, მთავარი კითხვების დასმასა და ამბის თავისებური ინტერპრეტაციით გადმოცემას იწყებს.

ეს ორი პერსონაჟი, ორგანულად ჯდება სპექტაკლის ქსოვილში, მაგრამ არა როგორც ძირითადი მოქმედების შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც განყენებული ელემენტები. შემდეგ ისინი მოქმედებაში ერთვებიან, მაგრამ არა უშუალო მონაწილეების, არამედ განყენებულად თუ დამხმარე ობიექტების სახით. მათი თანაარსებობა ყოველ ეპიზოდში უხილავი რჩება პერსონაჟებისთვის და მხოლოდ მაყურებლისთვისაა ხილული. ამავე დროს, ბარიერი - პიესის ძირითად პერსონაჟებსა და მთხრობლებს შორის – ფაქტობრივად, არ არსებობს. რეჟისორი ამ თუ სხვა შემთხვევაში აღწევს იშვიათ ჰარმონიას ამ არაჰარმონიულ და ნგრევის პირას მდგომ სამყაროში.

მთხრობელები იწყებენ პერსონაჟების წარდგენას, აკეთებენ კომენტარებს, რაც უნდა მოხდეს. აქ თხრობა ქმედებაში დინამიკურად გადადის და სათქმელის გამოსახვის ეს ორი ფორმა ერთმანეთის პარალელურად ლაგდება. ორმაგი თამაშის ხერხი, რომელსაც რეჟისორი მიმართავს, ორი პირობითი შორის არსებობა და მათი შერწყმა სპექტაკლის აგების მთავარი პრინციპია. ეს, ერთი მხრივ, განყენებული, შორიდან აღქმული და გადმოცემული, გარკვეული თვალსაზრისით, შემფასებლური თხრობაა, მეორე მხრივ, მაყურებლის უშუალოდ „დასწრების“ ილუზია.

ვერ ვიტყვი, რომ მოვლენათა დრამატულ განვითარებას არაფერი მოასწავებს. პირიქით, ყველაფერი პირველივე სცენიდან სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ დაფარული არაფერი დარჩეს და მაყურებელიც შინაგანად მომზადებული შეხვდეს ტრაგედიას, რაც შემდგომ დატრიალდება.

ერთი მოვლენა შეუმჩნევლად მეორეში გადადის, დაძაბულობა მატულობს, ვითარება უფრო და უფრო მძიმდება და რთულდება, მაგრამ რეჟისორის მოქმედება კვლავ პარალელური ხაზებით მიჰყავს.

იგი იუმორით აჯერებს სცენებს და დრამისა და კომედიის ასეთი მონაცვლეობა, მუსიკალური, ვოკალური, ქორეოგრაფიული თუ სანახაობრივი სცენების არსებობა უფრო მეტად აზოგადებს სათქმელს, უფრო მეტად უსვამს ხაზს ამბის ტრაგიზმს და მოვლენათა განტყვევის საშუალებას იძლევა.

ნაღმები, რომლებიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში ფეთქდება, ნი-ადაგასა თუ ადამიანების სულებში უკვე დიდი ხანია ჩადებულია, მექანიზმი ჩართულია და მხოლოდ დრო ჭირდება, რომ საბოლოოდ ამოქმედდეს.

ნაღმების ამოქმედება კი სპექტალში მონაწილე მსახიობებს უწევს. მათ ერთმანეთის თითქოს უსიტყვოდაც ესმით, რადგან ერთ ენაზე მეტყველებენ.

„ცუდი სიზარი მაქვს ნანახი“ – ავისმოსანავეებლად ჩიფიფებს მხრებში მოხრილი, ექიმბაში ჯუფანი (სოფო ფერაძე), გაფრთხილება მიღებულია, მაგრამ ის სპექტაკლის

ლის გმირებს არ ესმით. ეს ის შრეა, რომელიც მაყურებლისკენაა მიმართული,

სამყაროში არსებული ძალადობის პირველ სიმბოლოდ, მოვლენათა განვითარების ბიძგის მიმცემად თუ საბაზად მევალე (ომარ ბექაური, სოსო მგალობლიშვილი) გვევლინება. გარემოებათა ჯაჭვი ისე ლაგდება, გამოუვალ მდგომარეობაში, ხაფანგში მოქცეულ, დედისგან, სალიხსგან (თამარ მადურაშვილი) შეგულიანებულ ყარამანის (დევი რეხვი-აშვილი) ზემოქმედებისგან დაუძლურებულ სიკოს (ვანო ხუციშვილი) სხვა აღარაფერი რჩება, კონტრასტული მოაწეროს და ამერიკაში, ხუთი წლით, ცხენებზე საჯირითოდ წავიდეს.

მხოლოდ ფატი (ნინო ფილფანი) და არსენა (სოსო მგალობლიშვილი, ომარ ბექაური) არ მონაწილეობენ ამ პროცესში, თუმცა ორივეს სხვადასხვა მიზანი აქვს - ერთი დაუცველი რჩება და თითქოს გრძობს, როგორ ახლოვდება კატასტროფა, მეორე - მოვლენათა დრამატულ განვითარებას უწყობს ხელს, ფატისთან სიახლოვისკენ ისწრაფის და მოსალოდნელ შედეგებს არ უფიქრდება.

ერთი არასწორი ნაბიჯი საბედისწერო აღმოჩნდება სიკოსა და ფატისთვის, რადგან, პირველ რიგში, მათი ცხოვრება ინგრევა. ამ სამყაროში ადამიანთა ურთიერთობები რთული და წინააღმდეგობრივია. შეცდომა აქ თითქმის ყველას მოსდის, სხვადასხვა ხარისხით, სხვადასხვა მასშტაბით, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველა ერთნაირად ისჯება, ისიც კი, ვინც არასწორად მოიქცა, და ისინიც, ვინც სრულიად უბრალოა - ბავშვი და ბაბუა (პიერ ქადაგიშვილი). ამ მოხუცის სიმბოლური სიკვდილით რეჟისორი კიდევ ერთ მეტაფორას ქმნის, ისევე, როგორც სალიხს მიერ მისი ქოხის დანგრევით.



დევი რეხვი-აშვილი (ყარამანი), ვანო ხუციშვილი (სიკო) და თამარ მადურაშვილი (სალიხე)

ეს ორი ფაქტი რაღაცის სამუდამო დაკარგვას, გაქრობას მოასწავებს, რაღაც ისეთის განადგურებას, რის გარეშეც ცხოვრება ფასს ჰკარგავს, ურომლისოდაც ადამიანის ამქვეყნიად ყოფნას აზრი აღარ გააჩნია.

ამერიკიდან დაბრუნებულ სიკოს პაპის სახლი დანგრეული ხვდება, ეს კიდევ ერთი, კონტრაპუნქტული სიმბოლოა, რომელსაც რეჟისორი გეთავაზობს. „არ იცით, რაა მამაპაპური სახლი?“ – კითხულობს ადამიანი, შინ 5 წლის დაბრუნების შემდეგ. სიკო შინ ბრუნდება, მაგრამ, რა არის სამშობლო, თუ იქ უკვე აღარავინ გხვდება, თუ იქ არ გიერთგულეს და აღარ არიან შენი ცოლი და შვილები, აღარც მოხუცი პაპა და აღარც მისეული ძველი ქოხი?!

სპექტაკლის ფინალში, ხის ძელები, რომლებიცგან ოდესღაც ძველი, მამაპაპური სახლი იყო შეკრული, მოულოდნელად ადგილან იძვრის, ჰაერში ეკიდება და ჯვრის ფორმას იღებს. ქოხის ადგილზე ნამოჭიმულ ოდას (მის მაკეტს, რომელსაც რეჟისორი ნამდვილის ნაცვლად გეთავაზობს) კი ცეცხლი ეკიდება და ეს მწუხარე ცეცხლი დიდხანს ანათებს სიბნელებში.

სპექტაკლის პირველივე სცენებში მთხრობელი ამბობს: „ადამიანები გაურბიან ბოროტებას, ყოველთვის მის მოლოდინში არიან, სინამდვილეში კი ხელიდან ეცლება ბედნიერება.“

სწორედ უბედურებისგან გაქცევისა და მის მოლოდინში მყოფი ადამიანების შესახებაა „ვინ არის დამნაშავე?“ – მათ შესახებ, ვისაც ბედნიერება ხელიდან არასწორად გადადგმული ნაბიჯების, არასწორად აღებული გეზის გამო გამოეცალათ. ამგვარ ვითარებაში ყველა დამნაშავეა და არავინაა დამნაშავე.

სპექტაკლს ისე ვუყურებთ, თითქოს არაფერი ვიცოდეთ ნინო ნაკაშიძის, თავის დროზე, ცნობილი, მაგრამ, რატომღაც უსამართლოდ დავინყებულები მოთხრობის შესახებ.

თანაგანცდის მომენტი მეტად ძლიერია, მაყურებელი აქტიურად ერთვება მოქმედებაში, მაგრამ მას არაფერი შეუძლია, თანაგრძნობის გარდა. ცხადია, მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ისევე, როგორც მოთხრობელებს, როგორც ჯუფანს თავისი წინასწარმეტყველებით. თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ადამიანს მხოლოდ რეალური ცხოვრება შეუძლია შეცვალოს და არ დაავინყდეს, რომ ამბავი, რომელსაც სპექტაკლში გვიყვებიან, ძველია და ყველასთვის ნაცნობი. ეს რეალურად, არაერთხელ მომხდარი ისტორიაა, რომელიც დღესაც გრძელდება, მაგრამ უფრო დიდი, შეიძლება ითქვას, კატასტროფული მასშტაბით. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო რამდენიმე ათეულმა „უაილდ ვესტის მხედარმა“ დატოვა, დღეს მათი რიცხვი მილიონამდეა.

თუ პირველი ემიგრანტებიდან უკან, სამშობლოში, ნაწილი მაინც დაბრუნდა, საინტერესოა, სად არიან ჩვენი თანამედროვე „მხედრები“?

რედაქციის მინაწერი:

ჟურნალ „არილის“ ფურცლებზე (2005, №6) გამოქვეყნებულ პოეტურ ციკლში შოთა იათაშვილი ერთ ლექსს უძღვნის იმ ნინო ფილფანს, ვინც ამ მრავალმხრივ საგულისხმო სპექტაკლში „უდანაშაულო დამნაშავე“ ასე ჩინებულად განასახიერა ფატის როლი.

ამჯერად არაფერს ვიტყვით მის სხვა თეატრალურ თუ კინოროლებზე და მხოლოდ იმ მშვენიერ პოეტურ ნიმუშს გავიმეორებთ იმის შესახსენებლად, რომ: ჩვენი მსახიობები მაინცდამაინც არ არიან განებივრებულნი მწერლებისაგან, საერთოდ, ხელოვანი – ერთმანეთისაგან; არადა, ჩვენს საზო-

გადობასა და კულტურულ ყოფას ძალიან და ძალიან ესაჭიროება გულთბილი შეხმიანებანი ერთი თუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის.

ხომ არ შეიძლება, რომ მოვლენები თუ ცალკეული შემოქმედებითი გაერთიანებანი თავიანთ თავში ამოიკეტონ?

ამ მხრივ მიზანდასახულ შემობრუნებას კი შესაფერისი ნიმუშები უშველის და არა დეკლარაციული განცხადებანი.

გვულისხმობს საზოგადოებრივ-კულტურულ პოლიტიკას და არა ცალკეულ პიროვნებათა თუ შემოქმედებით გაერთიანებათა მცდელობას.

ნუთუ არ გვენატრება სისხლსავსე სახელოვნო და სამწერლო ცხოვრება, მთელს ჩვენს მინა-წყალზე გაშლილი? და არა მისი სუროგატი, ორი-სამი გამზირით შემოსაღებული...

მაგრამ კალამი ნუ გაგვექცევა.

როგორც შეგპირდით, „არილის“ ერთი პოეტური ნიმუში:



ნინო ფილფანს

ტროტუარი თბილისის,
ივლისის დღე, წაწნალი,

ერთი გოგო, აქტრისა,
ჩემი სულის წაწნალი.

ინერება ლექსები,
ცხოვრება კი მიდის,

რჩება დეკორაციად
ტროტუარი მინდვრის.

დღე გადადის ლამეში,
ლამე კიდევ დღეში,

მაინც არ გიჩლუნგდება
პოეტური გეში.

არ გადაგყავს წარსული
ლამაზ მოგონებად:

„იყო გოგო-აქტრისა,
გულზე სული ება.

ფეხშიშველა ქუჩაში
დადიოდა მთვრალი...“

არა... გოგო-აქტრისა
იყო და კვლავ არი.

შოთა იათაშვილი

ნაჯიბ მაჰფუზი

გამოქიება

ვილაცამ კარზე დარეკა. კონველსიაში გადაჯაჭვული ორი სხეული შეშინებული მოსცილდა ერთურთს. ორივე ტანსაცმელს დასწვდა. კაცმა ნაიჩურჩულა: აკი არავის ელოდი? ქალმა ჩურჩულითვე უპასუხა: ეგებ სამრეცხაოდანაა? – კაცი ხელ-ფეხს ტანსაცმელში უყრიდა: დასამალად მზად უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ სად? – არ მიფიქრია, რომ ეს დაგჭირდებოდა, მაგრამ რაკი ასე მოხდა, საწოლის ქვეშ შეძვერი...

ქალი ოთახიდან გავიდა, თან მჭიდროდ შემოირტყა კაბა ტანზე და კარს მიაშურა. კაცმა საწოლის ქვეშ შეიხედა, მაგრამ შემდეგ სწრაფად მივიდა ოთახის კართან და ყური მიუგდო. გაიგონა გაღების ხმა, შემდეგ კარი დახურეს და მძიმე ნაბიჯები გაისმა. ახლა კი თვალის დახამხამებაში შეიმალა საწოლის ქვეშ. ვინ არის მოსული? ქმარი არაა, თორემ საძინებელ ოთახში შემოვიდოდა ტანსაცმლის გასახდელად. თანაც ქალი ხომ მას ერთი საათის წინათ ალექსანდრიაში ტელეფონით დაუკავშირდა. ალბათ ოჯახს შემოჩვეული სტუმარია ან ვინმე ოჯახის წევრთაგანი. სხვაგვარად, აბა, როგორ შემოიჭრებოდა ასე გვიან? ასეა თუ ისე, უნდა დაიმალოს. ამას კი მოთმინებიდან გამოჰყავს და მძიმე წინათგრძნობაც ეუფლება – განსაკუთრებით გამაღიზიანებელი სულ ცოტა ხნის წინანდელი სიამოვნების შემდეგ. უნდა მოითმინოს, სტუმარი ალბათ მალე წავა; შეუძლებელია ასეთი ვიზიტი უსასრულოდ გაგრძელდეს. დასრულდება და მის ტანჯვასაც ბოლო მოელება. უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა. აბეზარი მწერივით აეკვიატა – ვაითუ მოსული საწოლ ოთახში შემოვიდეს და კონიაკის ბოთლი და შოკოლადის კოლოფი დაინახოს? ხომ არ გამოძვრეს და ბოთლიცა და კოლოფიც საწოლქვეშ შემალოს? მაგრამ არ განძრეულა. გამბედაობა არ ეყო. სულ უფრო ეუფლებოდა მოსალოდნელი უბედურების განცდა. ერთმა ხანმა გაიარა. დრო გაჭიანურდა და თითქოს დამძიმდა. ჯერ ფერადი ხალიჩის ორნამენტს მისჩერებოდა, მაგრამ წითელი აბაჟურის მკრთალ შუქზე თვალები აუჭრელდა. შემდეგ თვალიერება დაუწყო საწოლქვეშისა და ტანსაცმლის კარადის ფეხებს, ხაოიან ხალიჩაში რომ ჩაფლულიყვნენ. უეცრად გააჟრჟოლა, რადგან მის ყურთასმენას უჩვეულო ხმაური მიწვდა. დაინახა, როგორ გაიღო ოთახის კარი ნელა, სულ ნელა და ვილაც კაცმა თამამად შემოაბიჯა. აი, მისი თეთრი ფეხსაცმელი, ყავისფერით განწყობილი, და შარვლის ტოტის ნაწილი. მოსული მარცხნივ, კარადისკენ გაემართა და გააღო კიდეც. კარადის წინ ერთ-ორ წუთს შეჩერდა. ლუტფია სადღაა? უცხო კაცმა კარადა დაკეტა და შემდეგ კარისკენ ისევე ნელა გაემართა, როგორც შემოვიდა. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? როდის ეღირსება ამ საპრობილედან გა-

მოსვლა? დაძაბულობა, უხერხულობის გრძნობა და უიმედობა უძლიერდებოდა. მოეჩვენა, რომ ხაფანგში მოიმწყვდიეს, რკინის მარწუხებს უჭერდნენ. ფეხები თეთრ, ყავისფერით განწყობილ ფეხსაცმელში ჩაეფლო. უეცრად თითქოს ვილაცამ ჩასძახა, თავი დაეხსნა ამ გამოუვალი ვითარებიდან, საპრობილეში ყოფნას რომ წააგავდა. შიშით გაღვივებულმა შინაგანმა ხმამ უკარნახა, რომ ხსნა მისი ფანტაზიის ძალაზელა ჰკიდია და მხოლოდ ფანტაზიას შეუძლია, ეს საშინელება უბრალოდ არასასიამოვნო სიზმრად აქციოს. სამუდამოდ ხომ არ დარჩება საწოლის ქვეშ – ამ ღრმა და უცნაურ სიჩუმეში!? კაცი მკლავს შლის, რომ საათს დახედოს და ცოტადენი სუფთა ჰაერი ჩაისუნთქოს. თავს კუსავით ფრთხილად ჰყოფს გარეთ, სმენას ძაბავს – სიჩუმე საშინლად ეჩვენება, მაგრამ მაინც ბედავს და საპრობილეს ტოვებს. სიბნელეში სიკვდილი მიმალულა – ადგილზე ჰყინავს ყოველ მოძრაობას და ახშობს ყოველ ბგერას.

კაცი უკვე სიგიჟემდე გადაიღალა. თითქოს ძალღონის ნატამალიც აღარ შერჩა, მაგრამ გაქრობის პირას მიუსულმა უკანასკნელმა ძალისხმევამ, ერთ გიჟურ ნახტომში სიცოცხლისათვის საბრძოლველად – სასონარკვეთილებამდე მისული ადამიანის იმპროვიზირებულ ავანტიურაში მოიყარა თავი.

* * *

დილა ისე გათენდა, თვალი არ მოუხუჭავს. გაიგონა, როგორ დააკაკუნა მეზობლის ქალმა მისი ოთახის კარზე. ქალი სიკვდილმისჯილივით გაჰკიოდა:

– ბატონო ამრ, გაიღვიძეთ?

კარგი იქნებოდა, დღეს თვალში არავის მოხვედროდა რაიმე საპატიო მიზეზით, მაგრამ ეს აზრი მაშინვე ამოიგდო თავიდან. თან გულში ამბობდა: „ეს ქალი თვითონ სიკეთეა“.

– გავიღვიძე, უმმ სამყა! – დაიძახა პასუხად.

ხოლო როცა დარბაზში პატარა მაგიდას მიუჯდა და ერთი თეფში მოხარული ლობიო, ჭიქა რძიანი ჩაი და ნახშირზე გამოცხვარი ხმიადი დაინახა, ხელი ჭიქისაკენ გაექცა და ჩაილაპარაკა:


– ჩაის ვიკმარებ...

მოხუცი ქალის ყოველთვის ერთნაირი გამომეტყველების სახეზე ცხადად აისახა შეგონების წარმოთქმის სურვილი და მან ვერც ამჯერად შეიკავა თავი:

– ყოველი ლუკმა გულს შეენევა...

ამრისთვის კი საშინელი სანახაობა სიმძაფრეს არა ჰკარგავს, სტანჯავს და დაუნდობლად სადღაც უბიძგებს. ამრი ხელს ჰკარავს მას და მთელი ძალით ცდილობს გაექცეს ყოვლისმომცველ ჩვენებას – დაავიწყდა კონიაკის ბოთლი და შოკოლადის კოლოფი და ორივე მხოლოდ საკუთარი ოთახის წვედიადშილა გაახსენდა.

ტანსაცმელი ჩაიცვა და ლუტფიას ბინიდან გამოვიდა. მთელი დედამინა მხრებზე აწვა. გიზამი, ალ-კუბბას ქუჩის



გადაკვეთაზე, დილის გაზეთი იყიდა, მიუხედავად იმისა, რომ თავს აფრთხილებდა: ჯერ არავინ არაფერი იცის, ბოლოს აღმოჩნდა, რომ დეპარტამენტში თავის სამუშაო მაგიდას უჯდა. მალე უფროსიც შემოვიდა და სხვებიც თავიანთ მაგიდებს მიუხსდნენ – ერთის გარდა. ცარიელი მაგიდისკენ ქურდული მზერა გააპარა – ეს მაგიდა სწორედ მის პირდაპირ დგას, ოთახის მეორე მხარეს. მუშაობას შე-

უდგა და თან ფარულად იმ მაგიდას უთვალთვალედა. თუ ყველაფერს გადაურჩა, ხანგრძლივად იგლოვებს ლუტფიას, მაგრამ ახლა გლოვის დრო არ არის. უფროსმა იკითხა: ქალბატონი ლუტფია არ გამოცხადებულა და არც მიზეზი შეუტყობინებია? და როდესაც პასუხი ვერ მიიღო, განაგრძო: მომუშავე ქალბატონებს ხომ მიზეზები არ დაელევით... მის სიტყვებს ბოროტი და მლიქვნელური სიცილი მოჰყვა. ამრიგად არ აჰყვა სიცილს. თავისთავს ეკითხებოდა, ხომ ვერავინ შეამჩნია უხმო დიალოგი ჩემსა და ცარიელ მაგიდას შორისო? შესაძლოა გამოჩნდეს მონმე, რომელსაც მათთვის თვალი მოუკარავს და თავდაყირა დააყენოს მისი სამყარო, ან თავი ნამოყოს ვინმემ, ვისაც ის და ლუტფია ალ-ჰარამის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევში უნახავს. გარდა ამისა, მას ხომ იქ კონიაკის ბოთლი და შოკოლადის კოლოფი დარჩა. რა საიდუმლოებათა გამჟღავნება შეუძლია ბოთლსა და კოლოფს? გაიძვერა გამოძიებლები ყველაფერს აალაპარაკებენ და ლეგენდები შეითხზება. იქნებ სხვა რამეც დარჩა იმ ოთახში და ახლა უხმოდ, ანგარიშმიუცემლად და გაუფრთხილებლად ადასტურებს მის დანაშაულს. შესაძლოა გამოძიებლები ზადეში გაიხლართნენ და ნამდვილ მკვლელს თვალიც მოუხუჭეს.

უფროსის ხმა ჩაესმა ყურში. ხმა მბრძანებლური და მჭახე იყო. – ბატონო ამრ, შემოსულ ქალაქებს, რომლებიც სასწრაფოა და ლუტფიას ევალებოდა, შენ გადმოგაბარებ!

რაღა მაინცდამაინც ის აირჩია? ალბათ იმიტომ, რომ ამ თანამდებობაზე სულ ცოტა ხანია მუშაობს. რაიმე ქვენა აზრი ხომ არ ამოძრავებს? სულმდაბალი, ქვეგამხედვარი და გაიძვერა კაცია და იქნებ სულ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული? თვალი თანამშრომლებისაკენ გააპარა. უფროსის ბრძანებაზე მათი რეაქცია რომ შეემონებინა, მაგრამ მოხელეთა სახეებზე ვერაფერი ამოიკითხა. ყველაფერი მშვიდად და ჩვეულებრივად მიდიოდა. მკვლელი უცნობია! რა აზრი აქვს შიშს? დაბნეულობას ებრძოდა, როდეს-

საც უცხო ხმა ჩაესმა – ვილაც ზრდილობიანად კითხულობდა:

– ქალბატონი ლუტფია დღეს არ მობრძანებულა?

მოსული ყურადღებით შეათვალღერა. დაინახა მაღალი, გამხდარი, საბრალო შესახედაობის შავშავი ახალგაზრდა, რომელსაც ლურჯი პერანგი და ყავისფერი შარვალი ემოსა. როგორც კი პასუხი მიიღო, ახალგაზრდა ოთახი-

დან სწრაფადვე გავიდა. არავის უკითხავს მისთვის ვინაობა და მასაც ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ამრსაც ახალგაზრდა მაშინვე დაავინწყდა, როგორც კი თვალს მიეფარა. კვლავ შიშმა შეიპყრო, ფიქრებმა ათასჯერ მაინც მიიღო სხვადასხვა ხორციელი ფორმა. გაახსენდა, როგორ გაიქცა თავზარდაცემული ლუტფიას დანახვისთანავე. კვლავ თავის ფიქრებში ჩაიძირა და რამდენ ხანს იყო ასე, თვითონაც ვერ გაეგო. ეს კია, რომ ლაპარაკმა გამოაფხიზლა. საუბარი თეთრ ფეხსაცმელს შეეხებოდა. რას ამბობენ? ერთი ამბობს, თეთრ ფეხსაცმელს ახლა იშვიათად თუ ატარებს ვინმეო. მეორე ამბობს, მომწონს ასეთი ფეხსაცმელიო. პირველი კი ამტკიცებს, ასეთი ფეხსაცმელი ადვილად ცვდება, მისი განმენდაც ჭირს და ის უგემოვნოცაა იმიტომ, რომ ყავისფერთაა განწყობილიო.

მხატვარი კარლო ფაჩულია

ყაყანმა თავი მოაბეზრა და იკითხა: რა ფეხსაცმელზე ლაპარაკობთ? პირველმა მოხელემ მიუგო: თეთრი, ყავისფერით განწყობილი კლასიკური სტილის ფეხსაცმელი იმ ვაჟს ეცვა, რომელიც ლუტფიას კითხულობდა. – შეუძლებელია! – ისეთი წვრილი ხმით და ისე ნერვიულად წამოიძახა, აქეთ-იქიდან ყურადღება მიაქციეს. ამკარა იყო, რომ სრული ნერვიული გამოფიტვის ზღვარს უახლოვდებოდა და როდესაც იგრძნო, ირგვლივ მყოფნი მხოლოდ მე მომჩერებიანო, ჩაილაპარაკა:

– მომიტევეთ, ჩანს, გრიპი მენწყება.

და ვითარებისათვის შეუფერებლად ხმამალლა გაიცივნა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და მეორე მოხელეს ჰკითხა:

– იმ ახალგაზრდას თეთრი, ყავისფერით განწყობილი ფეხსაცმელი ეცვა?

– დიახ, და ამან გამაოცა, საქმეც ესაა!

ნებართვა ითხოვა და შენობიდან გასასვლელ კარს მიაშურა. სამინისტროს შენობას გარს, ბრმასავით შემოუარა, მაგრამ იმ ვაჟის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო. დაბნეული შეჩერდა, თან თავს ეუბნებოდა: ასე ხდება ამბები, რომელთაც შორიდან, ინტერესის გარეშე ვისმენთ ხოლმეო.



შემთხვევა ახალი ამბებისათვის განკუთვნილ საგაზე-
თო ფურცლებზეც მოხვდა. ბეჯითად და მთელი ყურად-
ღებით წაიკითხა. ინფორმაცია კარისკაცის ჩვენებით ინ-
ყებოდა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მოიჯარადრის
ჯავდათ ჰუსეინის ბინის კარი ჩვეულებსამებრ, დაკეტი-
ლი არა ყოფილა და მთავრდებოდა იმით, თუ როგორ აღ-
მოაჩინეს მოხელე ქალის გვამი და დაუკავშირდნენ მოქა-
ლაქეთა დამხმარე პოლიციის პატრულს. ცხადი გახ-
ლდათ, ქალი მაშინ დაახრჩვეს, ვიდრე მისი ქმარი კომერ-
ციულ საქმეებზე წასულიყო ალექსანდრიაში. მოპარული
არაფერი აღმოჩნდა. ნახეს კონიაკის ბოთლი და შოკოლა-
დის კოლოფი. ბუნებრივია, გამოძიება გრძელდება, რათა
ფარდა ახადოს დანაშაულის საიდუმლოებს და დააბა-
ტიმროს მკვლელი. მოხელეები მწუხარედ ისხდნენ, გარე-
მო მკვლევლობის ამბებითა და მითქმა-მოთქმით დამძიმ-
და. ოხვრა და კვნესა ისმოდა. ამრმა მკვლევლობის მიზეზი
იკითხა, ამასთან დაინტერესდა, რას ნიშნავდა კონიაკი და
შოკოლადი ქმრის არყოფნისას. ერთ-ერთმა მოხელემ უთ-
ხრა: ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომღა მოკლა?

დიახ, რატომ მოკლა? მომხდარი მის სულიერ სიმშვიდეს
ამფოთებდა! მკვლევლობის აზრი გაუგებარი იყო. მკვლე-
ლობა ისე არ მომხდარა, როგორც აღწერენ – სადღაც მიე-
ქანებიან ცდუნების გზაზე მდგარი მთვრალეებით და კი-
დევე ერთ ცოდვას სწადიან. ფეხსაცმლის პატრონი თავისი
ფეხით მოვიდა მათთან, მაგრამ ისინი კონიაკისა და შოკო-
ლადის მიმტანს კითხულობენ. ჭეშმარიტება მხოლოდ მის-
თვისაა ნათელი. მან გახსნა დაბეჭდილი საიდუმლო. იქნებ
დასაფლავებაზე წაანყდეს მკვლელს?! არა, აუცილებლად
უნდა ნახოს იგი დასაფლავებაზე. ამას მოითხოვს ლოგიკა.

დასაფლავებაზე მიმავალი მტკიცე გადანყვებილებე-
ბითაც ისევე აღვსილიყო, როგორც სევდით. განსვენებუ-
ლის ოჯახის წევრებს, რომლებიც მოსამძიმრებებს ეგებე-
ბოდნენ, გამჭოლი მზერით შეჰყურებდა – დაინახა ქმარი,
რომელიც თითქოს მძიმე ავადმყოფობას გაენადგურებინ-
ა. ნახა სხვებიც, მაგრამ ვისაც ეძებდა, იმის კვალსაც კი
ვერსად წაანყდა. კუბოს უკან მიჰყვა, თან პროცესიას
ჩუმრუმად თვალს ადევნებდა და გული ეწურებოდა. სევ-
დის ტალღებმა ისე მოიცვა, შიში თითქმის გადაავიწყდა.
გაახსენდა თავისი ხანმოკლე და ძლიერი სიყვარული, რო-
მელმაც ტანჯვაში გაიარა და საშინელი უბედურების გარ-
და არაფერი დაუტოვა.

ვინ არის თეთრი ფეხსაცმლის პატრონი? ხომ არ უნა-
ხავს იგი კარისკაცს მკვლევლობის ღამეს და შეძლებს თუ
არა იცნოს? ამრი კი ნახა კარისკაცმა და როდესაც ჰკით-
ხა, ვისთან მიდიხარო, ამრმა მიუგო, კბილის ექიმთან მე-
სამე სართულზეო, და მართლაც იყო ექიმთან პროფილაქ-
ტიკისა და სანაციისათვის, რაც თვით ამ ექიმმა ურჩია.
ექიმს გარდაცვლილთან ერთად შეუთანხმდა. ამ მხრივ
გული საგულეში აქვს.

დეპარტამენტში ერთმა მოხელემ გაზეთი ჩაიკითხა და
თქვა:

– საქმეები თანდათან ნათელი ხდება, ქმარი კი ძლიერ
ავადაა. პირველ ცოლთან ორი შვილი ჰყავს – ვაჟი და ქალიშ-
ვილი. პირველ ოჯახთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს...

მეორემ შენიშნა:

– მისი პირველი ოჯახი მანამდე გათავისუფლებულა
ახალი ცოლისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელი მოახერხებდა
მათი მამის ქონებას დაჰპატრონებოდა.

მესამემ იკითხა:

– ხომ არ არსებობს კავშირი მოიჯარადრის ვაჟსა და
სასმელსა და შოკოლადს შორის?

პირველმა უპასუხა:

– გამომძიებელი ასეთ რამეს ხელიდან არ გაუშვებს.

მეოთხემ დაბეჯითებით მიუგო:

– მკვლელს ბოთლისა და კოლოფის საშუალებით მიაგ-
ნებენ.

ამრს ყელში რაღაცამ ნაუჭირა, მაგრამ თავს ძალა და-
ატანა და წამოიძახა:

– ათასობით ბოთლი და კოლოფი არსებობს!

– მაგრამ ბოთლი მალაზიამდე მიიყვანთ, მალაზია კი –
მყიდველთან. იპოვიან ქალაქს, რომელშიც ბოთლი იყო
გახვეული და მალაზია ან დუქანი გაირკვევა...

– შემდეგ ამ ვაჟს ან სხვა ეჭვიტანის მალაზიის ან
დუქნის გამყიდველებს წარუდგენენ.

ყველა სამხილი თუ ეჭვი ბოთლთან და კოლოფთან მო-
იყრის თავს! დიდხანს იფიქრა ამაზე და გულზე კვლავ
სევდა შემოანვა. პირველმა მოხელემ განაგრძო:

– საქმე ნათელია, მოიჯარადრის ვაჟმა კავშირი დაამ-
ყარა განსვენებულ ლუტფიასთან, შემდეგ კი მოკლა.

ნეტავ ასე იყოს. ნეტავ თეთრი ფეხსაცმლის პატრონი
იყოს მკვლელი, ან სწორედ მოიჯარადრის ვაჟი აღმოჩნდეს
თეთრი ფეხსაცმლის პატრონი. ამ შესაძლებლობათაგან
ერთი თუ მაინც გამართლდა, ამრი გადარჩენილია, რასაც
იმსახურებს კიდეც. მაგრამ თუ გამომძიებელი კონიაკისა
და შოკოლადის მომტანის კვალს გაჰყვა, მაშინ მათ წყარო-
საც მიაგნებს. და ეს ხომ ამრია, მას ხომ პირადად იცნობს
მალაზია „ყვავილის“ პატრონი. ისევე, როგორც ის გოგონა
საკონდიტრო „1001 ღამე“-ში რომ მუშაობს. შესაძლოა, მი-
სი გარეგნობის აღწერილობაზე მსჯელობენ გამომძიებ-
ლის ოთახის კედლებში სწორედ ამ წამში.

ლუტფიას, მისი ქმრის – ჰუსეინისა – და ჰუსეინის ვა-
ჟის – მუჰამადის – სურათები პირველად გამოქვეყნდა გა-
ზეთებში. ამრისათვის ცხადი გახდა, მოიჯარადრის ვაჟი
და თეთრი ფეხსაცმლის პატრონი სხვადასხვა არიანო.

მოხელეთა კომენტარებს დეპარტამენტში განსაკუთ-
რებული ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს.

– პოლიცია ამბობს, მივაგენით ძაფს, რომელმაც შე-
საძლოა მკვლელთან მიგვიყვანოსო...

– იქნებ მოიჯარადრის ვაჟს გულისხმობენ?

– ან ბოთლსა და კოლოფს?

– დანაშაულის საიდუმლოება ბოთლში იმალება!

უფროსმა თავი აიღო ქალაქიდან, რომელსაც გულ-
დასმით კითხულობდა და თქვა:

– ხალხნო და ჯამაათნო, ჩვენ ყველას ჩვენების მისა-
ცემად გვიხმობენ...

თითოეული მოხელე იძლეოდა ჩვენებას და არა მა-
ლაზდა, რაც იცოდა. მაგრამ ეს ჩვენებები არასერიოზული
იყო. მაგალითად, როგორ დაინყო ლუტფიამ სამსახური

10 წლის წინათ, ან როგორ გათხოვდა ორი წლის წინათ. უფროსმა ლუტფია დაახასიათა, როგორც სანაქებო ცხოვრების წესის, საქციელისა და ურთიერთობების ადამიანი. ამასთან, იგი მშვენიერი მოხელეც იყო, მაგრამ ფარეშმა, ძია სულეიმანმა, გაიხსენა ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა – ლუტფიას გათხოვებამდე ცოტა ხნით ადრე ძია სულეიმანს იგი ერთ ვაჟთან უნახავს – ეს სწორედ ის ვაჟი გახლდათ, რომელიც დეპარტამენტში მოვიდა მკვლელობის დილით და ლუტფია იკითხა. ყველამ დაადასტურა იმდღიანი ვიზიტი და ამ კაცის მიახლოებით აღწერაც სცადაეს. შექმნილ ვითარებაში გამოძიებულმა ხსენებული შემთხვევა მნიშვნელოვნად ჩათვალა. და როდესაც ამრს დაუძახეს უცნობის შესახებ ჩვენების მისაცემად, მან უცნობი შესანიშნავი სიზუსტით აღწერა – გაიხსენა მისი სიმაღლე, აღნაგობა, სახის ფერი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი. გამოძიებულმა უთხრა:

– ჩანს, ყურადღებით შეგითვისალებიათ!

ამრს შენიშვნა ეუხერხულა, მაგრამ მაინც დარწმუნებით თქვა:

– პირდაპირ ჩემს წინ იდგა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში უხერხულობას და დაძაბულობას გრძნობდა. გამოძიებლის შენიშვნაზე ერთიცა და მეორეც გაუძლიერდა. მძიმე ფიქრებისაგან სისუსტე მოერია. თანაც გამოძიებლის კაბინეტში გაიგო, რომ მოიჯარადრის ვაჟი მკვლელობის ღამეს ექსკურსიაზე ყოფილიყო და ყველა ეჭვი მის მიმართ გაქარწყლდა. ახლა კი ეჭვები მის გარშემო თავს მოიყრიან...

* * *

შეცადა გამოძიებლის გონებაში შეეღწია და წარმოსახვაში მის ფიქრებს აედევნა. რატომ მოვიდა მკვლელობის დილას დეპარტამენტში ვაჟი, რომელიც ძია სულეიმანმა განსვენებულ ლუტფიასთან ერთად ნახა? ხომ შესაძლოა კონიაკი და შოკოლადი მისი მოტანილი იყოს, ან კიდევ ვიღაც სხვის მიერ, ვისაც მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია.

საიდუმლოება ბოთლისა და კოლოფის უკან იმალება. წარმოვიდგინოთ მთელი ამბავი, რომელიც დაინყო მისი სიყვარულით. შეყვარებულებმა ქმრის გამგზავრებით ისარგებლეს და პაემანი შეუღლეა ბინაში დანიშნეს. დათქმულ დროს ამრი შეუმჩნეველად მიუახლოვდა შენობას. ასეთ უზარმაზარ შენობაში შესვლა სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან იქ ექიმის მისაღებიც იყო. აი, ის უკვე ლუტფიას უზის გვერდით, როგორც შეყვარებულებს სჩვევიათ. როგორ და როდის შეიპყრო მკვლელობის იდეამ? მოულოდნელად და წანამძღვრების გარეშე არ აღმოცენებულა. ალბათ, მან ეს იდეა მზამზარეულად მოიტანა თან. შემდეგ შემთხვევითი წინააღმდეგობა ან ქალის მხრიდან კავშირის განწყვეტის სურვილი და... ეგებ სიგიჟემდე შეყვარებული და გამოუცდელი ახალგაზრდა უსახლვრო პატივმოყვარეობის მქონე ქალს გადაეყარა, რომელიც მოიჯარადრეს გაჰყვა, განწყვიტა კავშირი ახალგაზრდასთან, რათა ქონება და წარჩინებული მდგომარეობა მოეპოვებინა. ვაჟმა კი ისეთივე ძალით შეიძულა ქალი, როგორითაც ადრე უყვარდა. და როდესაც ქალმა ალერსის დროს კეკლუცად უთხრა „დამახრჩე!“ ორივე ხელი შემოაჭდო კისერზე, მთელი ძალით მოუჭირა და აღარ გაუშვა, ვიდრე ხელში ქალის უსულო სხეული შერჩებოდა.

დანაშაული ჩაიდინა და გაიქცა, მაგრამ ბოთლი და კოლოფი დაავინყდა. ამრს შიში იპყრობდა, რომ იგი ნახეს ქალიშვილმა საკონდიტროში და მალაზია „ყვავილის“ პატრონმა. რალაც შემთხვევის წყალობით ის შეიძლება ამოეცნოთ და ცხადი გახდებოდა, რომ იგი განსვენებულის კოლეგაა, დეპარტამენტში მუშაობდა მასთან ერთად და ეჭვიც განმტკიცდებოდა. თუ ცნობილი გახდება, რომ ბოთლი და კოლოფი მან მიიტანა და ქალის საყვარელიც სწორედ იგი იყო, რა ძალა შეაძლებინებს აიცილოს ბრალდება. რა სიჯიუთითაც უნდა უარჰყოს ყოველივე, ვერ გადაურჩება თოკს, რომელსაც კისერზე ნაუჭერენ.

* * *

გონივრული იქნება, შეწყვიტოს მკურნალობა კბილის ექიმთან. აი, ეს გზაც კიდევ ერთხელ! და, აი, თვით შენობაც! ნუთუ ჰუსეინ ჯავდათს კვლავ უკავია ეს ბინა? კარს უკან სავარძელში კარისკაცი იჯდა. ჩანს, ზემო ეგვიპტიდანაა. სიგარეტს ეწევა. სადარბაზოში შევიდა. კარისკაცი ადგა და უკან მიჰყვა. ლიფტშიც შეჰყვა. მაშინ ამრმა მოკლედ თქვა: ექიმი ნასრი, კბილისი ექიმი.

და, აი, უკვე ლიფტიდან გამოდის მესამე სართულზე. ძირს დაიხედა და კარისკაცის ფეხსაცმელი დაინახა. ხელფეხი აუკანკალდა – თეთრი, ყავისფერით განწყობილი ფეხსაცმელი! ექიმის მისაღებისაკენ უკვე ჭკუადაბნეული მიდიოდა. კარისკაცი ხომ არ არის მკვლეელი? მაგრამ კარგად ახსოვს, ფეხსაცმელების პატრონს შარვალი ეცვა და არა ჯილბაბი. თვალმა ხომ არ მოატყუა? გაქვავებული და ფიქრებში ჩაძირული იყო, ვიდრე ექიმის სამანიპულაციო ოთახში არ უხმოზდნენ. დაჯდა და ექიმს ჰკითხა:

– სანაცია ამ ჯერზე დამთავრდება?

ექიმმა თქვა: ვხედავ, მოთმინება გამოგელიათ.

ამრმა კვლავ იკითხა: რა ისმის მკვლელობაზე?

– ა... ის ქალი! კარგად ვიცნობდი. ქმარს მოჰყვა, როდესაც მან ორი გვერდითა კბილი ჩაისვა.

– მართლა?! – ინანა, რომ ენა წაიგრძელა.

ექიმმა თქვა: ძია ხალილს, სანიტარს მიაჩნია, რომ მკვლეელი ნახა.

– მართლა?!

– ხალილი სხვენზე, პატარა ოთახში ცხოვრობს. მან მოკლულის ბინასთან ჩავლისას იქიდან გამოსული კაცი დაინახა.

– კარგად გაარჩია?!

– არ ვიცი.

– თავის ჩვენებაში უნდა მიეთითებინა!

– ასეც მოიქცა.

ვინ არის ის კაცი, სანიტარმა რომ ნახა? რა გავლენას მოახდენს მის მიერ ნანახი? ხომ არ წავა ეჭვები სხვა მიმართულებით?!

* * *

სამინისტროდან გამოსვლისას ამრმა იგრძნო, ვიღაცა მომდევსო. უკან მოიხედა და დაინახა ძია სულეიმანი, ფარეში. ამრის უსიტყვო შეკითხვაზე ძია სულეიმანმა თქვა: ამრ ბექ, საქმე ისაა, გამოძიების დროს ყველაფერი არ მითქვამს, რაც ვიცი. ამრი დაბნეული მიაჩერდა ძია სულეიმანს, მან კი განაგრძო: ჩვენების მიცემისას დავმალე ზოგი რამ; გამოძიებლისათვის რომ ყველაფერი მეთქვა, მოეშვებოდა უდანაშაულო ხალხს, გასაგები იქნება, ვინ უნ-

და აგოს პასუხი. – რას გულისხმობ? – ფარეში შეეცადა ზრდილობიანად ელაპარაკა: – თქვენი აღმატებულება ვნახე ერთხელ... განსვენებულს კოცნიდით ლიფტში!

- რას ამბობ? – შეჰყვირა ამრმა.
- დაგინახეთ, რომ კოცნიდით.

ამრს ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ არაადამიანურად დაიძაბა, ძალა მოიკრიბა და თქვა:

- შენ ბრმა ხარ, უეჭველია.
- დავმალე, რადგან მეშინოდა, ეჭვს შენზე მოიტანდნენ.

- ამრმა კვლავ წამოიძახა:
- შენ ბრმა ხარ!

ფარეშმა კვლავ გაიმეორა:

- მაპატიეთ, ბექ! ბოროტი განზრახვა არა მქონია.

ამრმა უკან დაიხია, აღშფოთებული კაცის როლის თამაში შეწყვიტა:

- ასეა თუ ისე, მადლობას იმსახურებ.
- ფარეშმა „მადლობა ალაჰსო“, და წავიდა.

ამრმა ხმამაღლა შენიშნა:

- ამ მკვლევლობაზე გაზეთებში აღარაფერია.
- ერთმა მოხელემ უპასუხა:

– გაზეთები სენსაციურ ამბებზე ბევრს წერენ მხოლოდ რამდენიმე დღე. შემდეგ სენსაციები ისე ქრება გაზეთების ფურცლებიდან, თითქოს არც ყოფილა.

მეორემ თქვა:

– ვფიქრობ, ცნობების გამოქვეყნებას პროკურატურა უშლის ხელს.

- რატომ? – იკითხა ამრმა.

– ასე იქცევიან, როდესაც გამოძიება რაიმე კვალს დაადგება. ამას მკვლელს უმაღავენ.

ამრმა სახეზე ხელშესახებად შეიგრძნო ვილაცის გამოხედვა. ინსტინქტურად გაიხედა იმ მხარეს და მისი თვალები ძია სულეიმანის თვალებს წააწყდა – ძია სულეიმანს დირექტორისათვის ყავა მიჰქონდა. წუთმა უხერხულობაში გაიარა. შემდეგ ამრმა იკითხა: როდის და როგორ შეიმუშავებენ კანონს სახელმწიფო ქონების დატაცების შესახებ?

ახლა ერთი სურვილია ჰქონდა, თავიდან მოეშორებინა სამი ადამიანი: გოგონა საკონდიტროდან, მაღაზია „ყვავილის“ პატრონი და ძია სულეიმანი. ამათგან უნდა გათავისუფლებულიყო, რათა თავი დაეხსნა მომქანცველი უძილობისაგან, რომელიც ღამეობით სტანჯავდა. სასწაულები ერთმანეთს მოჰყვა: ლამაზი ქალიშვილი საკონდიტროდან სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა, მაღაზია „ყვავილის“ პატრონი ერთ-ერთ მუშასთან ჩხუბში მოკლეს, ძია სულეიმანი კი მოულოდნელად გარდაიცვალა ბუფეტში მუშაობისას. შვილის ნაკადით ჯერ კიდევ ბოლომდე არ დამტკბარიყო, დირექტორის ხმამ გამოაფხიზლა: როდის აპირებთ მუშაობის დაწყებას, ბატონო ამრ!?

მოულოდნელად თითქოს ცით მოვლენილი ხილვა ეჩვენა – კარისკაცი არ არის თეთრი ფეხსაცმლის თავდაპირველი მფლობელი. ფეხსაცმელი მას არ შეეფერებოდა არც გემოვნებით, არც ეკონომიური თვალსაზრისით. სავარაუდოა, კარისკაცმა ფეხსაცმელი საჩუქრად მიიღო.

ვინ არის მჩუქებელი და როდის უძღვნა ეს საჩუქარი? იქნებ ეს ყოველივე სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ მაინც უნდა გააანალიზოს და შესამოწმებლად ექიმის მისაღებისაკენ აიღო გეზი. ლიფტში კარისკაცს მიმართა: რა ლამაზი ფეხსაცმელი გაცვია! კაცმა უსიცოცხლო თვალებით შეხედა ამრს და არაფერი თქვა. – მზა არის თუ შეკვეთით შეკერილი? – კვლავ ჰკითხა. ახლა კი მიიღო პასუხი: შესაძლოა ასეთ ფეხსაცმელს ამინ აღისთან კერავენ, ადდაილამის ხეივანში. აი, პასუხი. ორივემ შვებით ამოისუნთქა. ცუდი წინათგრძნობა მაინც გაუჩნდა. ადდაილამის ხეივანი ახლოს იყო. მენალის დუქანი კი მის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს. მენალეს მიესალმა და უთხრა: მინდა თეთრი, ყავისფერით განყობილი ფეხსაცმელი შეგიკვეთოთ. მენალემ ამრი ჩალის დაწნულ სკამზე დასვა და ზომის აღება დაიწყო. ამასობაში ამრმა უთხრა: ასეთი ფეხსაცმელი 26 ივლისის ქუჩის მეთერთმეტე სახლის კარისკაცს ვუნახე და მან მომასწავლა შენთან. მენალემ წელა წარმოთქვა: ჩემს მუშტრებს შორის კარისკაცი არ არის. ამრს გული სიხარულით აუძგერდა, რადგანაც ვარაუდი გაუმართლდა.

– ალბათ საჩუქრად მიიღო ერთ-ერთი შენი მუშტრისაგან.

- შესაძლოა.

– ასეთი ყაიდის ფეხსაცმელებზე დიდი მოთხოვნილებაა?

– ძალიან იშვიათია, ვინმემ ასეთი ფეხსაცმელი შეუკვეთოს. ბოლო ორი წლის განმავლობაში შენ მესამე ხარ, ვინც ამგვარ ფეხსაცმელს მიკვეთს.

- ის ორი რომელ ფენას ეკუთვნოდა?

– ერთი ყურანის წამკითხველი იყო, მეორე კი... – რამდენჯერმე გაიმეორა ნათქვამი, ცდილობდა გაეხსენებინა. ბოლოს თავის შეკვეთების დახეულ დავთარს ჩააცქერდა და სწრაფად დაუწყო გადაფურცვლა. ამრი კი მის მხარს ზემოდან იყურებოდა დავთარში. ბოლოს მენალემ თქვა: ჰუსამ ფაიზი... მგონი მოხელე უნდა იყოს... დავთარში მხოლოდ მისამართია. ამრი მენალის დუქნიდან გამოვიდა, თან მისამართს იმეორებდა.

მტკიცედ ირწმუნა, რომ მკვლელის კვალს დაადგა და მკვლელი ის კაცი აღმოჩნდებოდა, ვინც დანაშაულის მეორე დღეს ასე უგუნურად შემოიჭრა დეპარტამენტში... ამის შემდეგ თავის ერთადერთ მოვალეობად ჩათვალა, შეხვედროდა გამომძიებელს და მის წინაშე ყველაფერი ელიარებინა, ან უმჯობესია შეედგინა წერილი, რომელშიც გამოძიებისათვის საკმარის დეტალებს მიუთითებდა.

სახლი ალ-მუთავალის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ ქუჩაზე მხოლოდ საცხოვრებელი სახლები იდგა, რომელთა ნახევარი სრულიად ახალი იყო, მეორე ნახევარი კი – ძველი, ერთ და ორსართულიანი. აქ არავითარი დაწესებულება არ იყო, თონისა და სამრეცხაოს გარდა. ეს უცნაური ქუჩა გახლდათ. ასეთ უცნაურ ქუჩას იშვიათად შეხვდებით. ნაშუადღევს საჭირო სახლს ჩაუარა და მის აივანზე დაინახა 20-25 წლის ქალიშვილი. მისი მზერა დაიჭრა და მიხვდა, ქალიშვილი ბედნიერ და მყარ ოჯახურ ცხოვრებაზე ოცნებობდა. ოდესღაც მისი ოჯახი ლუტფია იყო. ლუტფია უჩვეულოდ იყო დამოკიდებული ამრზე. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზები ამრისთვის

უცნობი იყო. ეს ქალიშვილი კი წონასწორობის, მოთმინების, კდემამოსილებისა და საიმედოობის განსახიერება ჩანდა. იგი მკვლელის ცოლი იყო, ან შესაძლოა და. სამრეცხაოში დაბალი ცალთვალა ქალი შენიშნა. ქალი ყურადღებით აკვირდებოდა ამრს. მიხვდა, ქალი სამრეცხაოს პატრონიაო, და მისკენ გაემართა. დროის გასაჭიანურებლად ჰუსამ ფაიზის სახლი იკითხა. ქალმა აუხსნა, თან ამრს ზიზლით ათვალეერებდა თავისი ერთადერთი მარცხენა თვალთ. შემდეგ კი დაუმატა: ეს კი მისი დაა, აივანზე რომ ზის. ქალს ალბათ მოეჩვენა, რომ ამრი ქალიშვილი უფლიდა გარს. ამრმა მადლობა გადაუხადა და წასვლა დააპირა. სამრეცხაოს პატრონმა თქვა: კარგი ოჯახია. ამრი თავის დაქნევით დაეთანხმა. ქალმა ჰკითხა: ხომ არ იცნობთ მათ? ამრმა იუარა და მაშინვე დანყნარდა, რადგანაც მიხვდა, რომ ქალი ცდილობდა მაჭანკლის როლი ეთამაშა. ქალმა ზოგი რამ უამბო ჰუსამზე. გამოავლინა გულმხურვალე მზადყოფნა, ნებისმიერი კეთილმოზილური სამსახური გაენია ამრისათვის. მოულოდნელად თვალი ჩაუკრა ამრს და წამოიძახა: აი, თვითონ ჰუსამიც მიდის ყავახანაში! – ამრმა მოიხედა, გული საშინლად აუტკერდა, მაგრამ დაინახა კაცი, რომელიც ადრე არასოდეს ენახა. თვალისმომჭრელ თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული ელეგანტური კაცი მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში. მსმელს კი ჩამოჰგავდა, მაგრამ არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანთან, ვისაც ამრი ეძებდა. არ გამართლდა მისი ვარაუდები. მიხვდა, კარისკაცმა ძია ამინზე მიუთითა როგორც ყველაზე ახლო მენალეზეო. თეთრი ფეხსაცმლის საიდუმლოება კი საიდუმლოებადვე დარჩა. ამრი დაუბრუნდა წერტილს, რომლიდანაც დაიწყო...

* * *

იმისათვის, რათა როგორმე დაეძლია ეს სიმძიმე, ამრმა ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი და მტკიცედ გადანყვიტა იმ მოვალეობის ნახევარი მაინც შეესრულებინა, გარდაცვლილთან სიახლოვე რომ აკისრებდა! ახლოს ვერ ეკარებოდა ქუჩას, სადაც ცხედარი ესვენა. ძია სულეიმანსაც ვერ უსწორებდა თვალს. გონებაში სულ ლუტფია და მისი ტრაგედია უტრიალებდა. ქალზე მოგონებები ტანჯავდა და ფიქრობდა, გაუთავებლად ფიქრობდა... ბოლოს გამომძიებლის სახელზე დაწერა ვრცელი მამხილებელი წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ეს მე ვარ, ღვინისა და შოკოლადის პატრონი. თქვენთვის ეს ერთადერთი ნივთმტკიცებაა, რომელიც საქმეში გაგარკვევთ“. წერილი დიდი გულისყურით შეადგინა, შეავსო დეტალებით. მხოლოდ ხელი არ მოაწერა და არც გაუგზავნია. გაგზავნა იმ დრომდე გადადო, ვიდრე ყველა სხვა შესაძლებლობას არ ამონურავდა. გადანყვიტა, არ მოვისვენებ, ვიდრე მკვლელს არ დაიჭერენო. თავს ეკითხებოდა – რა უნდა ყოფილიყო ქალის უცნაური მკვლელობის მიზეზი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულის მიღმა ძარცვა არ იმალებოდა! განა არ შეილებოდა ქალი მას – ამრს – მოეკლა? საამისოდ ხომ უამრავი მიზეზი ჰქონდა! მან ხომ ისეთივე ძალით შეიძულა ქალი, როგორითაც ადრე უყვარდა. ამრს ვერ ეპატიებინა ლუტფიასათვის გიჟური ლტოლვა სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ და უამრავი შეცოდება, ჩადენილი ამ გზაზე. კაცი ძალას ატანდა ქალს, ქალი კი მის წინაშე თრთო-

და სურვილისა და გაშმაგებისაგან. ასეა თუ ისე, მას არ განუცდია ლუტფიასთან ცოლ-ქმრული ცხოვრების სიამოვნება, ვიდრე არ დასრულდა ეს სამწუხარო ამბავი და ქარიშხალიც არ ჩაცხრა.

საბედისწერო შენობისაკენ გაემართა, რათა კბილების მკურნალობა დაემთავრებინა. ისარგებლა შემთხვევით, ჩაჯდა ლიფტში და მეოთხე სართულზე ავიდა. თითქოს რაღაც ძალა ეწეოდა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მოიჯარადრის ბინის კარზე სინათლე ენთო. კარი გაიღო. გამოვიდა ლუტფიას ქმარი – სტუმარს აცილებდა. ამრი დერეფნის ბოლოში შეჩერდა და მათ საუბარს ყური მიუგდო.

– არ დაგავიწყდეს ალ-ადჰას დღესასწაული, – თქვა მოიჯარადრემ.

– მრავალს დაესწარით, სულ ჯანმრთელად! – მიუგო სტუმარმა.

მაშინ ლუტფიას ქმარმა თქვა:

– წელს ძროხა დაკვლათ.

– და მისი ტყავისგან შევიკეროთ კლასიკური სტილის ფეხსაცმელები.

ამრს გულმა რეჩხი უყო და იგრძნო, წარმატებასთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე წარმომედგინაო.

სტუმარი გავიდა. ამრს სიხარულის ხმები აღმოხდა. თავის წინაშე ხედავდა მეტოქეს და სხვას არავის. იდუმალეებით მოცული უცნობი მკვლელი!

გამხეცებული მივარდა, ხელები გაუკავა და დაიღრიალა:

– ეს შენა ხარ მკვლელი!

კაცი პანიკამ შეიპყრო. მოიჯარადრემ კარი მიხურა და მიიმალა. უცხო კაცთან მარტო დარჩენილი სტუმარი უფრო მეტად დაფრთხა და წამოიკვნესა:

– რა მკვლელი?

ამრმა მთელი ძალით გაანწა სილა და შეუტია:

– ალიარე!

კაცმა ამოილულულა:

– ალაჰიმც შეგინდობს!

– ეს შენ მოჰკალი ლუტფია!

მიხვდა, ზედმეტი მომივიდაო. კაცმა კი ვერაფერი გაიგო, სულ დაიბნა და წამოიძახა:

– ვალიარე... ოლონდ ნუ მცემ!

ამრს იგი მომწყვდელი ჰყავდა და ნადირივით ჩაჭფრენოდა მკლავებში...

* * *

წერილზე ბევრი იფიქრა. ბოლოს იმ აზრამდე მივიდა, რომ წერილი საბეჭდ მანქანაზე დაებეჭდა, რათა არ ეცნოთ მისი ხელწერა და, შესაბამისად, არ ამოეცნოთ მისი ვინაობა. არ იქნებოდა გონივრული, გამომძიებლისათვის თავისი ხელწანერი გაეგზავნა. ამ მოსაზრებით დიდად კმაყოფილი დარჩა და გადაწყვიტა საბეჭდი მანქანა ეყიდა აუცილებელი კონსპირაციის დასაცავად. გამოსავალს კვლავ ეძებდა გაზეთების საეჭვო დუმილსა და ძია სულეიმანის გამოხედვას შორის წარმოქმნილ საშიშ სიცარიელეში. ბოლოს იფიქრა, ქალაქში დარჩენა ისეთი სისულელეა, რომლის იქითაც სხვა სისულელე აღარ არსებობსო, მაგრამ საით გაქცეულიყო?

ერთხელ, ყავა რომ მიართვა, ძია სულეიმანმა უთხრა:

– რაღაც ვერ უნდა იყოთ კარგად, ბატონო ამრ!

სისხლი აუდულდა, რადგან მოეჩვენა, ყოველი მხრიდან ალყაში მომაქციესო, მაგრამ ავის მომასწავებელი ფიქრები თავიდან მოიშორა და ცივად მიუგო:

– კარგად ვარ. დიდება ალაჰს!

ერთ დღეს შეიძინა თავისი დანაზოგის შესაფერი საბეჭდი მანქანა. არ ესამოვნა, რომ მანქანები გაძვირებული აღმოჩნდა, რადგან ფულს არ ფლანგავდა მას აქეთ, რაც ლუტფიას ცოლად შერთვის სურვილმა შეიპყრო მისი არსება. ცხადი იყო, საბეჭდი მანქანის ყიდვა სანანებლად გაუხდებოდა, მაგრამ მაინც იყიდა, მიუხედავად ყველაფრისა. დაბეჭდა დამაინტრიგებელი წერილი, შემდეგ – მისამართი და საფოსტო ყუთში ჩააგდო.

და პირველ ხანებში შვება იგრძნო.

* * *

სამუშაოში ჩაფლულიყო, როდესაც მის ყურს ხმა მიწვდა – ვილაც კითხულობდა:

– ქალბატონი ლუტფია სადაა?

თავი ძლივს წამოწია – შიშმა აიტანა. მის წინ იდგა უცნობი ახალგაზრდა. სწორედ ის, ვინც მკვლევლობის მომდევნო დღეს შემოიჭრა დეპარტამენტში. მეორე მოულოდნელ შემოჭრას საყოველთაო გაოცება მოჰყვა, ხოლო შეკითხვამ ყველა სახტად დატოვა. ამრს თავით ფეხებამდე შრუანტელმა დაუარა. აი, აქამდე უჩინარი სატანა, ფეხსაცმელიც კი არ გამოუცვლია. სად იყო? რატომ მოვიდა? ან რას ნიშნავს მისი შეკითხვა? და იმ წამებში, როდესაც ძია სულიმანმა კარი ჩაკეტა და ზურგით მიანვა მცველივით, უფროსმა ჰკითხა მოსულს:

– თქვენ ვინა ხართ?

თითქოს შეკითხვა არ გაუგონიაო, უცნობმა კვლავ გაიმეორა:

– სად არის ქალბატონი ლუტფია?

– რატომ კითხულობთ მის ამბავს?

– ეს პირადად მას ეხება.

– კი მაგრამ, თქვენ ვინა ხართ?

მორიდებულად მიუგო: რა მნიშვნელობა აქვს.

– არ გაგიგიათ, რა დაემართა ქალბატონ ლუტფიას?

– ალბათ, ყველაფერი კარგი, ალაჰის ნყალობით.

– რატომ შინ არ მიხვალთ მასთან?

– არ ვიცი, სად ცხოვრობს.

– არ იცი, რომ ათი დღის წინათ მოკლეს!

ახალგაზრდა გაშრა და ძლივს ამოილულულა:

– როგორ თუ მოკლეს?

– გაზეთებს არ კითხულობ?

– არა, გაზეთებს არა ვკითხულობ!

– ასეა თუ ისე, გამომძიებელს სურს თქვენთან შეხვედრა.

– ჩემთან? რატომ?

– ბუნებრივია, მას სურს დაკითხოს ყველა, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონდა განსვენებულთან.

უცნობი ერთხანს დუმდა. შემდეგ თითქოს მძიმე დარტყმისგან გამოერკვაო, მშვიდად თქვა:

– მზად ვარ შევხვედ გამომძიებელს.

* * *

აი, თვით აჩრდილი! აი, საოცრება! თვითონ მოვიდა თავისი თეთრი ფეხსაცმლით. ეს რანაირი მკვლელია? რა წესებით მოქმედებს? მასთან დასაპირისპირებლად ძია სუ-

ლიმანი მოიწვიეს. სწორედ ძია სულიმანისაგან შეიტყო დეპარტამენტმა ამ პიროვნების შესახებ. ცნობილი გახდა, რომ ამ კაცს მაჰმუდ ალ-ლარრი ჰქვია და ტაქსის მძღოლია. თურმე განსვენებული ლუტფია გათხოვებამდე ერთი წლით ადრე მოელაპარაკა მძღოლს, ეტარებინა მისი კუთვნილი ტაქსი. თავდაპირველად ქალს უნდოდა საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი, რადგანაც, ერთი მხრივ, სამსახური დაინყო დეპარტამენტში, მეორე მხრივ კი, გარიგება ტაქსის მძღოლთან დაუმალა თავის ოჯახს, რათა არ ეკითხათ ფულის წყაროზე, რომლითაც მანქანა შეიძინა. ქალი მძღოლს გარაჟში ხვდებოდა. მძღოლმა არ იცოდა, სად ცხოვრობდა ქალი, სამაგიეროდ, ქალმა თავისი სამსახურის ადგილი მიუთითა, რათა საჭიროებისას დაკავშირებოდა... და როდესაც საჭირო გახდა, მიაკითხა კიდევ დეპარტამენტში სწორედ მკვლევლობის ღამის მომდევნო დღით. და რაკი ლუტფია ვერ ნახა, იძულებული გახდა დამოუკიდებლად ემოქმედა – ერთი ოჯახი ალექსანდრიაში წაიყვანა და ემსახურებოდა მათ იქ ერთ კვირაზე მეტ ხანს. შემდეგ დაელოდა ქალთან შეხვედრის დათქმულ დროს, მაგრამ ლუტფია არ გამოჩენილა და მეორედ წავიდა დეპარტამენტში მასთან შესახვედრად. ასე დასრულდა მისი დაკითხვა, აუღეს თითის ანაბეჭდები და გაათავისუფლეს.

ამრს თავგზა აებნა. საქმე ისე დატრიალდა, სულ რომ არ მოელოდა. ლაბირინთში გაიხლართა! როგორ ნანობდა, რომ ის საბედისწერო წერილი დაწერა. მაგრამ ტაქსის ამბავი ჭეშმარიტება იყო, უეჭველი ჭეშმარიტება. მის გულში საშინელმა ტკივილმა გამოიღვიძა. განა გულახდილად არ უთქვამს ქალისათვის: „არ მომწონს, როგორ იქცევი!“ და როგორ უპასუხა?.. თავდაჯერებულად და შემაშფოთებელი სიღინჯით: „რაც გინდა, ის იფიქრე, მაგრამ ხომ გიყვარვარ!“

კაცმა გაცოფებულმა მიაძახა:

– თავი მანქანიან ნადირს მიჰყიდე!

– მაგრამ შენ ხომ გიყვარვარ?

კაცი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

ქალმა კი გაიცინა და თქვა:

– ნუ გადარდებს ჩემი საქციელი, ნურც ჩემი ქორწინება! ჩემი გული მხოლოდ შენ გეკუთვნის!

თავს გამოუტყდა, რომ საკუთარ გულს ორად გახლეჩის განაჩენი თვითონვე გამოუტანა ამ ჯოჯოხეთური სატანჯველით, რომელიც ვერ ამოიგლიჯა შეგნებიდან მაშინაც კი, როდესაც ორივე წითელი აბაჟურის შუქზე დნებოდა და ყავისფერით განყობილი თეთრი ფეხსაცმელი დადგა ხალიჩაზე კარადასა და მაგიდას შორის, რომელზეც ბოთლი და კოლოფი იდო. შპალერებიდან ტალღებივით მოგორავდა შიში, ჰაერში მიმოიფანტა უცნაური ჩურჩული და ზღვარს მიაღწია, როდესაც მისი ხელები გიჟური ვნებით ამოძრავდნენ. ქალმა ნაზად წაიჩურჩულა: დამახრჩე!

* * *

უმმ სამყა გამოვიდა აივანზე, სადაც ამრი განმარტოვდა, რათა ზაფხულის ღამის მონაბერი ნიავით დამტკბარიყო.

– კართან სტუმრებია!

– იცნობ მათ?

– არა, მითხრეს გააღეო, და მოვედი შენთვის სათქმელად.

კარის სარკმელი გააღო, დაინახა სახე, რომელიც აქამდე არასოდეს ენახა. გული შეეკუმშა. კარი მშვიდად გაა-

ლო. შემოვიდა კაცი. მას სამნი შემოჰყვნენ და ჩხრეკა დაინწყეს. კაცმა კი თქვა:

- ბოდიში, მაგრამ ჩხრეკა აუცილებელია. პროკურატურის ბრძანება გვაქვს.
- რას ეძებთ? – სუსტი ხმით იკითხა ამრმა.
- საბეჭდ მანქანას.

ამ დროს საბეჭდი მანქანაც გამოიტანეს. ოფიცერმა დაათვალიერა და თქვა:

- ეს ის მანქანაა, რომელზედაც წერილია დაბეჭდილი. და თვალწინ აუფრიალა წერილი, რომელიც ამრმა თავისი ნებით გაგზავნა.
- ეს შენია?
- არ მესმის, რას მეუბნებით, – დაბნეულად უპასუხა ამრმა.

- როდის შეიძინეთ ეს საბეჭდი მანქანა?
- ვიყიდე, ხომ არ მომიპარავს! ვალდებული არა ვარ, ანგარიში ჩაგაბაროთ ჩემი ცხოვრების დეტალებზე.

- დაგიპირისპირებენ ორივე მალაზიის თანამშრომლებს, ვისგანაც კონიაკი და შოკოლადი იყიდე და მაინც ჯიუტად უარპყოფ ყველაფერს? რითი დაამტკიცებ, რომ უდანაშაულო ხარ?

პოლიციის მანქანაში დაინტერესდა, როგორ მიიტანეს ეჭვი მასზე, რამაც მისი ბინა გააჩხრეკინათ. ოფიცერმა გაიღიმა და არაფერი უპასუხა.

ამრი მიხვდა, წერილის გაგზავნა უდიდესი შეცდომა იყო. წერილი საბეჭდ მანქანაზე იმიტომ დაბეჭდა, რათა ხელწერით არ ამოეცნოთ, ახლა კი ცხადი იყო, მის ხელწერას გამოძიებელი ჩაიგდებდა. მეორე მხრივ კი ეჭვქვეშ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც განსვენებულს ურთიერთობა ჰქონდა. მათ შორის კი ქალის კოლეგებიც დეპარტამენტიდან. ამრიგად, ამრის შეცდომამ სხვათა ბინებს შორის მისი ბინის გაჩხრეკაც გამოიწვია. ასე მიაგნეს საბეჭდ მანქანას და ცნობილი გახდა წერილის, კონიაკისა და შოკოლადის პატრონი.

- მე მაინც უდანაშაულო ვარ და ყოველი სიტყვა წერილში სრული სიმართლეა.

- ჩვენ თავიდანვე ვიცოდით განსვენებულთან თქვენი ურთიერთობის შესახებ, – თქვა ოფიცერმა გულგრილად.

ამრის დაფლეთილ წარმოსახვაში ძია სულემანის სახე ამოტივტივდა.

- ეს წერილში ვალიარე! მაგრამ არა ვარ დამნაშავე!
- მომწონს შენი ფანტაზიები!

ახლა უგულისყუროდ, თავისი სიტყვების მნიშვნელობისათვის საზგაუსმელად ჩაილაპარაკა:

- ნამდვილი დამნაშავე ხელიდან გისხლტებათ!
- ვისზეც კი ეჭვი მივიტანე, ყველა უდანაშაულოა.
- თუ ასეა, მაშ ვინლა მკვლელები? – იკითხა ჯიუტად.
- ოფიცერმა მტკიცედ, მაგრამ მშვიდად მიუგო:
- ალარავინ დარჩა შენს გარდა!

არაბულიდან თარგმნეს მაია ანდრონიკაშვილმა და ნინო ანთიქა-კახიანამ

რედაქციის მინაწერი:

ეგვიპტური და მსოფლიო ისტორიული მოვლენების მაქსიმალური ცხადობა, მწერლური ხელოვნებით და არა ჟურნალისტიკისა.

თანამედროვე ეგვიპტელი მწერლის, მსოფლიოში აღიარებული შემოქმედის ნაჯიბ მაჰფუზის ორიოდ ნოველას აქამდეც იცნობდა ქართველი მკითხველი იზოლდა გრძელიძისა და დარეჯან გარდავაძის წყალობით, ბოლო ხანს კი გამოცემლობა „ინტელექტმა“ ნოველის პრემიის ლაურეატთა სერიით ერთ ნივნად გამოაქვეყნა მისი ორი რომანი „მირამარი“ და „როდოპისი“, არაბულიდან თარგმნილი მაია ანდრონიკაშვილის მიერ, შესავლად კი უძღვის გიორგი ლობჯანიძის სტატია „ნაჯიბ მაჰფუზი ტერორისტულ აქტსა და მისთვის სიცოცხლეშივე აგებულ ძეგლს შორის“, რომელშიც ხელშეახლები დეტალებითაა წარმოსახული სილუეტით და შემოქმედების ზოგადი პროფილიც იმ კაცისა, ვისაც მთელს არაბულ სამყაროში პირველს მიენიჭა ნობელის პრემია 1988 წელს „რეალიზმისა და არაბული მოთხრობის გამრავალფეროვნების გამო, რაც მნიშვნელოვანია მთელი კაცობრიობისათვის“.

მკითხველი არაერთ საგულისხმო ცნობას იპოვებს სტატიაში ამ დრამატული ბედის მწერალზე, ვინც ბუნებრივად უჩინარ ტერორისტულ თავდასხმას და სიცოცხლეშივე აგებული ძეგლისაგან მოგვრილი უცნაური შეგრძნებაც გამოცადა; და ვინც დიდად შეუწყო ხელი არაბული პროზის გამართვას ევროპული რადიუსით, მაგრამ არც კლასიკურ არაბულ ტრადიციას მონყვევითა, თავისი ხელხვაივანობითა და საზოგადოებრივ მოვლენათა აღწერის ჟინით კი მართლაც განცვიფრებას იწვევს თანამოკალმეებსა და მკითხველთა შორის. მიუხედავად მსოფლიო ასაკისა – იგი ამჟამად ოთხმოცდაათობის წლისაა – კვლავაც ძველებური დაუცხრომლობით მიისწრაფის ყოველგვარი სიახლისაკენ და თავის შემოქმედებაში გვაგრძნობინებს თანამედროვე

წინასიტყვაობის ავტორი, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ცდილობს თვალისჩინდაკარგული მწერალი ცხოვრებას არ ჩამორჩეს და არცერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოვლენა უყურადღებოდ არ დატოვოს, იმომებს პასაჟს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან, როცა მაჰფუზი სინანულს გამოთქვამს, ჯანი რომ მომდევდეს, აუცილებლად დავწერდი რომანს მონიკა ლევენსკისა და ბილ კლინტონის ურთიერთობაზე სათაურით „შენი მშვენიერების კაბა, მონიკა,“ ამ გახმაურებულ სკანდალში კი საძრახისს ვერაფერი ვხედავ, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტისა და მისი თანაშემწე ქალის ამბავი სავსებით ბუნებრივი და ჯანსაღი ვნებააო.

სხვათა შორის, ნაჯიბ მაჰფუზმა ეგვიპტურ სინამდვილეში განახორციელა ის, რაც ოთარ ჩხეიძემ საქართველოს რეალობაში: მან ისევე შექმნა XX საუკუნის ეგვიპტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მხატვრული მატთანე, როგორც ქართველმა მწერალმა თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების საგა. და ორივე მონუმენტური ქმნილება, გარდა პირწმინდად მხატვრული ღირსებებისა, უაღრესად სანდო წყარო იქნება ისტორიკოსთათვისაც, რათა უკეთ შეერკვნენ ეგვიპტისა და საქართველოს ბედისწერასა და საკმაოდ აბურღული ცხოვრების მდინარეებში. ნოველა „გამოძიება“, დეტექტიური ჟანრის ქმნილება და ერთობლივი თარგმანის წარმატებული ნიმუში, თვალსაჩინო დასტურია ნობელიანტი ეგვიპტელის სიუჟეტური ოსტატობის და ფარული იუმორისა.

* * *

ბარძიმ მაჩაბელი იმ ფრაზით შემორჩებოდა საქართველოს ისტორიას, ყოველ დღით დარაბას რომ გამოაღებდა: ჯერ კიდევ არ წასულანო? – და საჩქაროდ მიხურავდა.

რუსების წასვლა ეჩქარებოდა ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაუქმების პირველი დღიდანვე.

ამ ფრაზას სხვებსაც მიაწერენ, იქნებ ის სხვანი – ბარძიმის წამხედურობით – იმეორებდნენ კიდევ, მაგრამ პირველმთქმელი თამარაშნელი მებატონეა და ნუ დაუუკარგავთ ამ რამდენიმე სიტყვას, რომელიც უაღრესი დანურულობით წარმოსახავს ჩვენს ტრაგიკომიკურ სინამდვილეს.

იმას ეჩქარებოდა.

– ჯერ კიდევ არ წასულანო?..

შვილი – დავით მაჩაბელი – კი საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად რუსეთის იმპერიის წაწილად მის გადაქცევას მიიჩნევდა და ცოდვად და დანაშაულად ესახებოდა ყველა მოქმედება, რაც ამ კავშირის განყვეტას ესწრაფოდა. ამიტომ არც თავისი მასწავლებლის, სოლომონ დოდაშვილის, საქციელს გაამართლებდა და არც საერთოდ 1832 წლის შეთქმულებას. სოლომონი აგულიანებდა ყმაწვილს, იმავე სალიტერატურო წრის წევრი რომ იყო, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილიც ეკუთვნოდა, პირველ მხატვრულ ცდებს თავისი ჟურნალში („სალიტერატურონი ნაწილინი ტფილისის უწყებათანი“) გამოუქვეყნებდა, მერე კი დავითი ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაუბრუნებოდა სამწერლო საქმიანობას. რომანტიკოსთა ანთოლოგიაშიც შეეტანათ მისი ლექსი, XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს რომ შეედგინათ, და პოეზიის ჭია მთელი სიცოცხლე ღრღნიდა, ვიდრე ოსი ყაჩაღები თავს დაეცემოდნენ და სასიკვდილოდ განირავდნენ.

პოემა „მთიული“ მხოლოდ XX საუკუნეში გამოქვეყნდებოდა – რუსთა გამარჯვების საგალობელია ეს თხზულება, ადღერის კონცხის აღებას შეასახამს ხოტბას, თვითონაც მონაწილეობდა ამ ბრძოლებში და „მთიული“ გამართლებდა კავკასიურ ომში ქართველთა თავგამოდებისა იმპერატორისა და რუსი მხედრობის მხარდასაჭერად.

აქებდა იმას, რასაც ცოტა მოგვიანებით ალექსანდრე ყაზბეგი ასეთი დაუზრდელობით დაგმობდა.

მიუხედავად ანტიკავკასიური სულისკვეთებისა, „მთიულს“ თავისი მნიშვნელობა მაინც აქვს, როგორც საისტორიო-დოკუმენტურ წყაროს, და თვითონ დავით მაჩაბელიც არ არის დასავიწყებელი, როგორც ჩვენი მაშინდელი

არისტოკრატის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

ამიტომაც საგულისხმო გახლდათ ამ პოემის გამოქვეყნება 1984 წელს, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერზე უნდა მიგვიწვდებოდეს ხელი, რაც ქართულად დანერილა, და თვითვე დავრწმუნდეთ მის ავ-კარგში.

ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ...

ვრცელი შესავალი გამოვიდა ერთი პანია ფრაგმენტისათვის.

ნიგნი სოლომონ ხუციშვილს გამოეცა, ტექსტიც დაედგინა და წინასიტყვაობაც დაერთო, და ნაცნობ-მეგობრებს რომ ჩამოურიგებდა, უნივერსიტეტის დერეფანში რაფასთან მიაყენებდა უმცროს კოლეგებს, ლადო მინაშვილსა და იუზა ევგენიძეს, ყველას ძმები რომ ეგონა და ვერ იგებდნენ, სხვადასხვა გვარი რატომ ჰქონდათ.

ჯერ ლადო მინაშვილს წაუწერდა:

„ლადოს, სიყვარულით. რედაქტორ-გამომცემლისგან. 22, 1, 85. თბილისი“.

ახლა იუზა ევგენიძის ჯერიც დადგებოდა:

„იუზას, ასეთივე სიყვარულით“.

და შეცბებოდა. „ასეთივე“ იმ წამს კი გასაგები გახლდათ, ორივე კრებული გვერდიგვერდ რომ იყო, მაგრამ მერე სხვადასხვა ოჯახში, სხვადასხვა ბიბლიოთეკაში დაბინავდებოდა და ვილას გაეგო, ეს „ასეთივე“ რას გულისხმობდა.

ამიტომაც ამ სიტყვას თავზე ერთიანს დაუსვამდა, ქვემოთ სქოლიოს ჩამოიტანდა და განმარტავდა:


„1. იხ. ტექსტი ლადო მინაშვილის ეგზემპლარში“.

მეცნიერული წარწერა კი გამოვიდა, სქოლიოთიც განყოფილი.

მე ასეთი წარწერა სხვაგან არსად შემხვედრია და თუ ვინმემ იპოვნოთ – ძნელი მოსალოდნელი კი არის – ნუ დაიზარებთ და შემატყობინეთ.


სქოლიო გზაზე აყენებდა დაინტერესებულ პირს, თუკი მინიშნებით გულს ვერ შეიჯერებდა, სად ეძებნა „ასეთივეს“ სათავე. რა გახდებოდა ლადო მინაშვილთან მიკითხება, როდესაც სოლომონ ხუციშვილს უამრავი ბიბლიოთეკა თუ ნიგნთსაცავი გადაებრუნებინა, სახელმწიფო თუ კერძო არქივები ეჩხრიკა ძირისძირობამდე და გულს ვერ იმშვიდებდა, კიდევ უნდა ვეძებო, ვიპოვნო და ვაზუსტოო.

... სქოლიოს მიძღვნიტ წარწერაშიც ჰქონია თავისი ხიბლი, თორემ ისე რომ აქვს და აქვს, შოთა ჩანტლაძის მინიატურა – სქოლიოს დითირამბად ჩაფიქრებული – ყველაზე სკეპტიკოსებსაც იოლად დაარწმუნებს.



* * *

– არ გინდათ ეს „ბატონო“, – ეტყვის გივი შაჰნაზარი ახალგაზრდებს მთარგმნელობით კოლეჯიაში მუშაობისას, – ერთად რაკი ვართ, ერთ ოთახში ვსხედვართ, ერთი თაობაც უნდა ვიყოთ, ასაკობრივ განსხვავებას რა მნიშვნელობა აქვს, მეუხერხულება, ბატონობით რომ მომმართავთ, გივი დამიძახეთ, განა ასე ძნელია?



არადა, მართლაც პლატონი ბაჩანაა. „ნადიმს“ რომ გამოსცემდა 60-იანი წლების დასაწყისში, ვინ იფიქრებდა, თანდათან მთლიანად რომ ამონურავდა პლატონის დიალოგებსაც და ჩვენს საამაყოდ და თავმოსაწონებლად ქართულ ენობრივ სამოსელში მოაქცევდა ურთულესსა და უმარტივეს სამყაროს, თანაც უმნიშვნელოვანეს ნარკვევებსა და კომენტარებს დაურთავდა.

ახალგაზრდებს ეხამუშებათ ასეთი მიმართვა, დაუმეგობრდებიან, გაუშინაურდებიან, მაგრამ რალაც ზღვარის გადაბიჯებას ერიდებიან და კვლავ:

ერთი ინსტიტუტისხელა საქმედ მართო ეს ჩაეთვლება.

– ბატონო გივი...

– ბატონო ბაჩანა...

– ბატონო...

– არ გინდათ, – ეხვეწება, თან ანამუსებს, – ასაკს რატომ მაგრძნობინებთ.

ისინი მაინც: ბატონო და ბატონოო!..

და ერთხელაც:

– მე, კარგი, ბატონო მიძახეთ, – დაუთმობთ, – მაგრამ ბაჩანასაც ასე ნუ მიმართავთ. ყურსა ჭრის „ბატონო ბაჩანა“. ამიტომაც „პლატონო ბაჩანა“ დაუძახეთ. ვაჰ!..

მართლაც პლატონი ბაჩანაა, მაგრამ მიგნება უნდოდა ამ მარჯვე სიტყვათშეთანხმებას და ლამის არ დაიჯერო გივი

შაჰნაზარისაგან ეს მახვილი კალამბური. ჩინებული თარგმანები არ გიკვირს, არც ერუდიცია, არც დახვეწილი გემოვნება, მაგრამ ეს...

– მართლა თქვენი თუ ზეზვა მედულაშვილის?

– ჩემია, ჩემი... ამისთანები ზოგი ვის მიანერეს და ზოგიც ვის, მაგრამ ნამდვილად ჩემია. ზეზვას თავისიც ეყოფა!..

... ისე იმ „ნადიმში“ ბაჩანა ბრეგვაძეს ჰონორარად 75 მანეთი აქვს მიღებული. ესაა და ეს.

* * *

როდესაც ბაბუა ალუდაური თავის სახელს ეტყობა ვინმეს, აუცილებლად ეკითხებოდნენ:

– ნამდვილი სახელი რა გქვიათ?

– ნამდვილია.

– არა, მართლა...

ერთხელაც თანაკურსელს ურეკავს. ქუთაისში მოუწია სამხედრო სამსახურმა და შტაბიდან შეეცდებოდა გულნარა ქსანდოპულოსთან შეხმიანებას.



ყურმილს მისი ბებია აიღებდა და უპასუხებდა: გულიკო ტყიბულშია და, როდესაც ჩამოვა, რა გადავცეო.

– ქალბატონო, გადაეცით, რომ ბაბუამ დაურეკა და კიდევ შევეხმიანები.

– ვი-ინ???

– ბაბუამ-თქო. თვითონ აქ ვერ მომძებნის და ამიტომ კიდევ დავრეკავ თქვენი ნებართვით.

– ჩემი ნებართვით კი არა, აქ მეორედ აღარ დარეკო, ვილაც ოხერი ხარ, გულიკოს ბაბუა რახანია გარდაეცვალა.

– არა, ქალბატონო...

ტუ-ტუ-ტუ-ტუ...

სალამოს კი გულიკო, შინ ფეხის შემოდგმისთანავე:

– ბაბუას ხომ არ დაურეკავს?

ბებია გაოგნებული მისჩერებია.

„გვიყუდები, გონია!“

– აუცილებლად დაგირეკავო და... ისე მე, აბა, როგორ მოვძებნო.

ნამდვილი სახელი რა გქვიათ? – გაბეზრებული ჰყავდათ ბაბუა, და თუ თქვენც ენის წვერზე მოგადგებათ ხოლმე ეს შეკითხვა მისი ფოტოგეტიუდების გაცნობისას, ამიერიდან მაინც ნულა მოინდომებთ მისი ნამდვილი სახელის გამორკვევას.

ახალგაზრდა რაიკომის მდივნის ვნებანი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

იყო ერთი რაიონი საქართველოში, განთქმული თავისი ბალ-ვენახებით, მესაქონლეობითა და ლიმონ-ჩაის კულტურით; ხოლო პარტრაიკომის პირველ მდივნად, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მუშაობდა კაცი, რომელსაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ჰქონდა, დამტკიცებული მოსკოვის „ვაკ“-ში (უმადლესი საატესტაციო კომისია). რაიკომის პირველი მდივანი, პროფესიით ფილოლოგი, თანაც დამძიმებულ-დაბრძენებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით, ალბათ, უნიკალური მოვლენა იქნებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

სასოფლო-სამეურნეო რაიკომის მდივნებად, ძირითადად, ნიშნავდნენ აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ეკონომისტებს, ჰა და ჰა – იურისტებს და, სხვათა შორის, ისტორიკოსებსაც (საქართველოში, იმხანად, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს შეარქვეს რაიკომის მდივანთა მოსამზადებელი კურსები), მაგრამ ესოღოდა პასუხსაგებ თანამდებობაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წამოსკუპება მანამდე კაცს არ გაეგონა!

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ დანიშნეს ფილოლოგი სასოფლო-სამეურნეო რაიკომის მდივნად? ეგებ, ნეპოტიზმის წყალობით... ეგებ, ორგანიზატორის ტალანტი აღმოუჩინეს შორსმჭვრეტელმა უფროსებმა...

ვინ იცის, ეგებ იმიტომ დანიშნეს, რომ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელი, უაღრესად განათლებული კაცი, სიტყვაკაზმული მწერლობის ტრფიალიც გახლდათ (ზეპირად იცოდა ილია-აკაკი-ვაჟა, რუსთველზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა. ალბათ, სიმპათია გაუჩნდებოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის მიმართ, რომელიც ასევე გატაცებული იყო ლექსების წერით (ოღონდ ჩუმ-ჩუმად წერდა, მაგრამ „ემგებეს“ ყოვლისმხედველ თვალს რას გამოეპარებოდა მისი იატაკქვეშა მოღვაწეობა).

ჩვენი რესპუბლიკა წარმატებით ასრულებდა საკავშირო გეგმებს და ზემოსხენებული რაიონიც მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო. ბარაქთან მიწა ჰქონდათ, გამოცდილი გლეხკაცები, ფილოლოგიისგან შორს რომ იდგნენ, მარჯვედ უძღვებოდნენ კოლმეურნეობებს და რაიკომის პირველ მდივანს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წარჩინებული პატაკების ჩაბარება ევალებოდა. ჩააბარებდა და მხარ-თეძოზე წამოწოლილს უდრტივინველად შეეძლო დამტკბარიყო, ერთი მხრივ – ქართული პოეზიის შედეგებით და მეორე მხრივ – თავისი ულამაზესი და უსათნოესი მეუღლით.

ერთ მშვენიერ დღეს, რაიკომის პირველი მდივნის პირადი თაოსნობითა და მონდომებით სტუმრად მოიწვიეს გამოჩენილი ქართველი პოეტი თავისი მეგობარი კრიტიკოსის თანხლებით.

ჯერ დაათვალიერებინეს ბალ-ვენახები და მესაქონლეობის ფერმები. მერე საზეიმო შეხვედრა გაუმართეს კლუბში. პიონერებმა წაიკითხეს სტუმრად ჩამოსული პოეტის ბრწყინვალე ლექსები და ნიშნად დიდი სიყვარულისა – პიონერის წითელი ყელსახვევიც ჩამოჰკიდეს ყელზე.

პოეტმა მარჯვენა დაულოცა რაიონის მშრომელებსა და ხელმძღვანელობას. მერე რამდენიმე ლექსიც წაიკითხა ჩვენს გმირულ წარსულზე, დიდ სამამულო ომსა და, რასაკვირველია, სტალინზე. მეგობარმა კრიტიკოსმა ორიოდ სიტყვით

მიმოიხილა პოეტის შემოქმედება.

პარტაქტივს სტუმარი ხვალ შეხვდებო, განაცხადა რაიკომის პირველმა მდივანმა; ახლა დასვენება და მოსვენება სჭირდება. ვინ შეედავებოდა?!

თავის სახლში გაუშალა უზადო სუფრა და მოილხინეს მამაპაპურად. მასპინძელი მალე შეჭიკჭიკდა და თავდავინყებით დაიწყო თავისი მეუღლის ქებადიდება. წამდაუნუმ ადღეგრძელებდა, საკუთარ ლექსებსაც წარმოთქვამდა თავის პირველ და ერთადერთ სიყვარულზე, რომელიც განგებამ ცოლად უბოძა. ხოტბას ასხამდა მშვილდისრის დარ წარბ-წამწამს, მაყვლისფერ თვალებს, ვარდ-ლან-ვეებს, ბროლის ყელს, ფიქალ ძუძუ-მკერდს (შემდგომი მარშრუტით შემკრთალმა პოეტმა სიტყვა გაანყვეტინა და ქართველი გლეხკაცის სადღეგრძელო შესვა).

მაგრამ ახალგაზრდა მასპინძელი უფრო და უფრო თვრებოდა და თავისას მიერეკებოდა. რაიკომის მდივნებში ასეთი ლამაზი ცოლი არავის ეყოლებოდა. ქალი მორცხვობდა, აღარ იცოდა სად გაქცეულიყო, ანკი როგორ მიატოვებდა სტუმრებს. სამზარეულოში ფუსფუსს აჭიანურებდა...

„შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენებოდა“, – ჩემს ცოლზე არის დაწერილი, დაჟინებით ამტკიცებდა რაიკომის პირველი მდივანი. არაო, მაგას ნუ იტყვი, საქვეყნოდ არის ცნობილი, ვისაც მიეძღვნაო, – მოკრძალებით უსწორებდა პოეტი. ვერაფრით ვერ დაარწმუნა.

გამოჩენილ პოეტს, ყველა სიკეთესთან ერთად, მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე დამონმებული სტრიქონის ავტორი, ვინაიდან თავი უკეთეს პოეტად მიაჩნდა (სავსებით სამართლიანადაც!) და სწყინდა, რომ მისი ახალგამოჩენილი მეტოქე გაცილებით პოპულარული იყო ხალხში.

სახელოვან სტუმარს ბოლოს და ბოლოს მობეზრდა ახირებული მასპინძლის უსასრულო დილორამები საკუთარი ცოლის მისამართით (სხვას რომ თავი დაეანებოთ, ლამაზი ცოლით ვერ გააკვირვებდი. ისეთი ცოლი ჰყავდა, თბილისში ერთი-ორი თუ იქნებოდა მისი სადარი).

ჰოდა, აევსო მოთმინების ფილა, ღვინოც მაგრად ჰქონდა მოკიდებული, და როდესაც ლამის მესამედ შეჰღალადა რაიკომის მდივანმა შეცბუნებულ დიასახლისს: ტანო-ტატანო, შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენებოდაო, გამომთვრალმა პოეტმა ხელი ჩასჭიდა ცოლ-ქმარს, საძინებელ ოთახთან მიიყვანა, კარი შეაღო და ასე მიმართა მასპინძელს: შედი, თუ ძმა ხარ, შეიყვანე შენი დუღციწინა და რაც გინდა, ის უქენიო...

მეტი აღარაფერი ახსოვს. ელვიძება დილის ხუთ საათზე, სასტიკად სტკივა თავი და შიგნით რაღაც ბზრიალებს ჩიკორივით – იდუმალი, შავი და საზარელი. რაღაც ახსენდება ძალზე ბუნდოვნად, მეგობარ კრიტიკოსსაც აღვიძებს და ჩურჩულთ ეკითხება: წუხელის რამე ხომ არ დავაშავეო?

სჯობს სიცრუესა ნაძრახსა სიმართლე სახელოვანო და მეგობარი კრიტიკოსი გულახდილად უამბობს ყველაფერს.

პოეტი თავში შემოიკრავს ხელს (ვაი, სირცხვილო!), სასწრაფოდ ჩაიცვამს, გიჟივით გავარდება გარეთ და რკინიგზის სადგურისაკენ მიეშურება.

საქართველოს ისტორია დუმს იმის თაობაზე, შემდგომში როგორ შეხვდნენ ერთმანეთს გამოჩენილი ქართველი პოეტი და რაიკომის პირველ მდივნად დანიშნული ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბერლინის გვირაბი

რომლის სიგრძემ თითქმის 400 მეტრს მიაღწია (სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე ჰქონდა 1, 80 მეტრი).

„ბერლინის კედელი“, ალბათ ყველას გასმენიათ და ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს იყო ტრაგედია მთელი გერმანელი ხალხისათვის, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიის ასობით თუ ათასობით მოქალაქე შეენირა ამ კედლის გადალახვის მცდელობას.

გაცილებით ნაკლებად არის ცნობილი ჩვენში ამბავი „ბერლინის გვირაბისა“, რომელიც კომედიას უფრო წააგავს.

ამერიკულ და ბრიტანულ სადაზვერვო სამსახურთა ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ოქრო“, განხორციელდა იმ მიზნით, რათა მიეღოთ საჭირო ინფორმაცია საბჭოთა და აღმოსავლეთ გერმანიის სატელეფონო ხაზებიდან და აი, გადაწყდა, რომ დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთ ბერლინში საიდუმლო მინისკეპმა გვირაბი გაეთხარათ.

ოპერაციის დაფინანსება და პრაქტიკული რეალიზაცია ამერიკელებმა თავის თავზე აიღეს.

1954 წელს აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს („სი-აი-ეი“) დირექტორმა, სახელგანთქმულმა ალენ დალესმა ოპერაციის პროექტი მოინონა და განკარგულება გასცა, რომ მის შესახებ „რაც შეიძლება მცირეოდენი ცნობები მიენდოთ ქალაქისათვის“.

ოპერაციის ხელმძღვანელობა დაევალა უილიამ ჰარვისის, რომელიც ადრე გამოძიების ფედერალურ ბიუროში მუშაობდა, მერე კი „სი-აი-ეის“ თანამშრომელი გახდა.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია დასავლეთ ბერლინის საზღვრის მახლობლად მოსკოვ-აღმოსავლეთ ბერლინის დამაკავშირებელი სამი სატელეფონო კაბელის შესახებ დალესს მიაწოდა დასავლეთ გერმანიის დაზვერვის შეფმა რეინჰარდ გელენმა.

ამერიკული და ბრიტანული დაზვერვის პასუხისმგებელი წარმომადგენლები ერთობლივი ოპერაციის დასაგეგმად ლონდონში შეიკრიბნენ. შემდგომში გამოჟღერდა, რომ პირველივე თათბირის ოქმის შემდგენელი ჯორჯ ბლეიკი, „ინტელიჯენს სერვისის“ თანამშრომელი, იმავდროულად „კაგებეს“ საიდუმლო აგენტი იყო.

ამგვარად, მოსკოვში ყველაფერი იცოდნენ „ბერლინის გვირაბის“ თაობაზე, ვინაიდან მასალები „კაგებეს“ საგარეო დაზვერვის უფროსის მაგიდაზე უფრო ადრე მოხვდა, ვიდრე „ინტელიჯენს სერვისის“ შეფი გაცნობოდა.

„კაგებემ“ გადაწყვიტა, რომ ოპერაცია „ოქრო“ დაუბრკოლებლად განხორციელებულიყო და ბერლინის გვირაბი დეზინფორმაციის გადასაცემად გამოეყენებინათ.

სამხედრო ინჟინრების ხელმძღვანელობით მთელი წელიწადი თხრიდნენ დაახლ. 5 მეტრის სიღრმეზე მინისკეპმა გვირაბს,

ლოებინათ, მხოლოდ ღამით მუშაობდნენ. ამოთხრილი გრუნტი ზედაპირზე დიდი სიფრთხილით აპქონდათ.

საბოლოოდ შესადლებელი გახდა მიერთებოდნენ სატელეფონო კაბელების შენაწევრებას და მოესმინათ საუბრები მოსკოვსა და ბერლინში საბჭოთა საელჩოს, საბჭოთა და აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

მაგრამ „კაგებემ“ ყველაზე მნიშვნელოვანი საუბრები გადაიყვანა სხვა ხაზებზე. ამასთან ერთად, სამხედრო და პოლიტიკური პრობლემების ირგვლივ დამუშავდა ფართომასშტაბიანი დეზინფორმაციის გეგმა.

ამერიკელები კი ბაიბურში არ იყვნენ.

ბედი „ბოროტების იმპერიას“ სწყალობდა.

სულ მოსმენილ და ჩანერილ იქნა 443 ათასი სატელეფონო საუბარი. ასობით თარჯიმანი თარგმნიდა ტექსტებს. ასობით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ატარებდა მოპოვებული ცნობების ანალიზს, რათა „გამოერჩიათ იქელი ღვარძლისგან“.

ოპერაცია „ოქრო“ ამერიკელებს მართლაც ოქროს ფასად დაუჯდათ. დაიხარჯა ათობით მილიონი დოლარი. იმდენად ბევრი მასალა მოიპოვეს, რომ მათი დამუშავება 1958 წლის სექტემბრამდე გრძელდებოდა.

1956 წლის 21 აპრილს, დაახლ. ერთი წლის შემდეგ მოსმენათა დანყებიდან, საბჭოთა და აღმოსავლეთ გერმანიის ჯარისკაცები გვირაბში შევიდნენ და საიდუმლოც გამჟღავნდა.

ამერიკელი მკვლევარები ნორმან პოლმარი და ტომას ალენი ნიგმაში „შპიონაჟის ენციკლოპედია“ აღნიშნავენ, რომ რუსებმა პროპაგანდისტული ხმაური ატეხეს და დასავლეთის სპეცსამსახურთა ამ ოპერაციას უწოდეს „საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა“ და „ბანდიტიზმის აქტი“.

მხოლოდ 1961 წელს ბლეიკის დაპატიმრებისა და გასამართლების შედეგად დასავლეთისათვის აშკარა გახდა, რომ ოპერაცია „ოქრო“ ჩაფუშული იყო მანამდე, ვიდრე „ბერლინის გვირაბის“ გათხრას დაიწყებდნენ.

ასე სასაცილოდ ჩაფლავდა ვითომდა ყოვლისშემძლე „სი-აი-ეი“, რომელსაც სახელი მოხვეჭილი აქვს, ძირითადად, „ბანანის რესპუბლიკებში“ პრეზიდენტთა გამოცვლით.

1963 წელს ალენ დალესმა გამოაქვეყნა თავისი ნიგმა „დაზვერვის ხელოვნება“, სადაც აღტაცებითაა აღწერილი ოპერაცია „ოქრო“. ავტორმა, ცხადია, უკვე იცოდა ამბავი ბლეიკის ღალატისა, მაგრამ იგი ერთი სიტყვითაც არ უხსენებია.

ქრონიკა

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით, **2005 წლის სახელმწიფო პრემია** მიენიჭათ:

ლიტერატურის დარგში: პოეტ **დათო მალარაძეს** — ლექსების კრებულისათვის „სალვო“.

მუსიკის დარგში: პიანისტ **ლექსო თორაძეს** — 2003-2005 წლების საკონცერტო გამოსვლებისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში: მოქანდაკე **გენო ზაქარაიას** — 2003-2005 წლებში შესრულებული სკულპტურული ნაწარმოებებისათვის (ელიზბარ ერისთავის ძეგლი გორში, ვახტანგ ბოჭორიშვილის ძეგლი თბილისში, ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლთა მემორიალი გარდაბანში).

თეატრის დარგში: მსახიობებს **მედეა ჩახავასა** და **თამარ სხირტლაძეს** — ლალიასა და ჩიტოს როლებისათვის (თბილისის სამეფო უზნის თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „აქ, ამ საგანგებო“).

კინოხელოვნების დარგში: კინომსახიობ **გურამ ლორთქიფანიძეს** — ბოლო წლებში შესრულებული როლებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

პუბლიცისტიკის დარგში: პოეტ **დავით წერეთლის** — სტატიებისა და ესეების კრებულისათვის „ანარეკლი“ (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

თარგმანში: **ნათან შაპოვს** — ნიგნისათვის „XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (რუსულ ენაზე).